ISSN 0132-6023

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ცისკარი

4

1980

ეროვნული
ბიბლიოთეკა

სისკარი

275

გამოცემის ოცდაცხრამეტე წელი

4

აპრილი

1980

თბილისი

სსრ კპ ცკ-ის გამომცემლობა

ლიტერატურულ-მხატვრული და საზოგადოებრივ-პოლიტიკური ჟურნალი

საქართველოს ასკკ ცენტრალური კომიტეტისა და მწერალთა კავშირის ორგანო

შ ი ნ ა ა რ ს ი

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ლენინიანა

3. ვაჟა ხორნაული — აპრილის სინათლეში. ლექსი
3. შარლოტა კვანტალიანი — ლენინის დაბადება. ლექსი
4. ვახტანგ გორგაძელი — ლენინის მავზოლეუმთან. ლექსი
4. ალექსანდრე ტაბატაძე — ფიქრები ლენინზე. ლექსი
5. ფაბიო მჰედლური — დაბადების დღე. ლექსი
6. ოლეგ გველესიანი — აპრილი — სავსე ზღვით და სიცოცხლით. ლექსი
6. ფაბიო ნავდარაშვილი — წითელი ფერი. ლექსი

პროზა

7. ვეფხვა ფავლიაშვილი — არა იმუშურნო. მოთხრობა
20. ჯუმალ ქირია — მარადი მზედარი. რომანი. გაგრძელება
74. ლევან გალაზონია — თუთიყუშები ბრიმით. მოთხრობა
96. მიქა ალექსიძე — მოთხრობები
103. ლევან სანიკიძე — უქარქაშო ხმლები. გაგრძელება

კოეზიის მერიდიანები

113. ისიაკავა ტაკუზოკუ — ერთი მუშა ქვიშა. იაპონურიდან თარგმნა ჯანსუღ ჩარკვიანმა.
118. ეკა შტრიტმატერი — ლეკსები. გერმანულიდან თარგმნა მეფიკა ჯახიძემ
120. ფაბიუი; ქესაი მარაველი; ფერონი; საადი; სანაი; ჰაფეზი — სპარსულიდან თარგმნა მაგალი თოდუამ

ლენინი გვასწავლის

124. ივანე ჭობალია — ლენინი ახალგაზრდობის კოეზენისტური აღზრდის შესახებ
129. სერგო ჟურაშვილი — ეპოქის დოკუმენტები
133. ფერიმზახან ციცაკაძე — ლენინი და პირველი საბალხო რევოლუციონა საქართველოში

წერილები

136. როლან ბუჩეულაძე — „წვიმება ქეთევან დედოფლისა"
149. ლია ჭობაშვილი — ქართული ხალხური ზღაპრების კომენტირებისათვის

მსოფლიო ლენინიანა

153. მარტინ ანდერსენ-ნექსე; არნოლდ ცვაიგი; გუსტავი ბალაბანელი; ალბერტ რის ვილიამსი; კოლ ვაიან-ვუტიერე; ივან ოლბრახტი; თეოდორ დრაიზერი, ფრანსისკო რ. პინტოსი.

გახსენება

157. შალვა გოზალიშვილი — მუშობლიური ხალხის სამსახურში

იუმორი

160. — ეფერალთა ლიტერატურიანარეკი ცხოვრებისეული ეპიზოდები. თარგმნა შოთა ამირანაშვილმა

მთავარი რედაქტორი
ეროს ფოფხიშვილი

სარედაქციო კოლეგია:
ჭაბუა ამირეჯიბი,
გიორგი გეგეჭკორი,
გურამ გვერდწითელი,
რისმაგ გორგიჯანი,
გიორგი გუგლია,
ნოდარ დუმბაძე,
მერაბ ელიოზიშვილი,
იოსებ ორჯონიკიძე,
ედუარდ მენაბდე,

მთავარი რედაქტორის
მოადგილე
ოტია პაჭკორია,

გურამ ფანჯიკიძე,
ნუგზარ მატბაძე,
ჯანსუღ ჩარკვიანი,
გიორგი ძნელაძე,
ნუგზარ ნერეთელი,
თამაზ ნიკოლაძე,
ტარიელ ჭანტურია,
რევაზ ჟღენტი.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ლენინიანა

ვაქა ხორნაული

აპრილის სინათლეში

ოთხივე მხრიდან მოველოდით —
კარგად ვიცოდით,
გაგვაბრუებდა იდუმალი შუქით და ლანდით;
კვლავ ჩვენთანაა —
ბიბინებენ გზები სიცოცხლის
და ექოების თბილ ტალღებზე
ქანაობს მნათი!...

კვლავ ჩვენთანაა მოგიზგიზე დილა აპრილის
ულამაზესი გვირგვინებით, ფრთებით, ფერებით;
ლივლივებს. ბრწყინავს
დედამიწის მწვანე ნაპირი
და ცა იცინის ჩვენი ხელებით!

სივრცე მერცხლებით ინამება... ცეცხლი ბრიალებს
და გჯერა, გჯერა:
სიყვარული იცოცხლებს მუდამ!...
და აყვავებულ მწვერვალებს და მერიდიანებს
სამოთხის ხმაზე აშრიალებს
აპრილის სუნთქვა!

შაირღუა კვანჭარიანი

ლენინის დაბადება

...და იმედის გამხმარ ხეზე კვირტი ამოიღერა
სიხარული ჯადოსნურ წვიმასავით ცრიდა...
წაეკიდა მიწას ღვთაებრივი სიმღერა:
დაიბადა ის აპრილის ციდან.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მაღალ შუბლზე მზედ ანთია ერთი სიტყვა, — „მესია“.
მისი სუფთა თვალები ახალ ბილიკს ზეერავს;
ვარსკვლავების ჯარი ღამეს შემოესია,
შუქად შერჩა გზას კეთილი მზერა.

ვახტანგ გორგანელი

ლენინის მავზოლეუმთან

მთვარე გასდო ზღვაზე ხიდად,
თუ მზის სხივზე აჰყავს ფიქრი,
ძირს ჩამოაქვს ზეცა წმინდა,
თუ მაისის ველზე მიჰქრის ;
ნაკადული ზვრებში მიჰყავს,
თუ მიუძღვის ძმისკენ მნათობს,
გუთნის კვალში სჭიდავს სიტყვას,
თუ ყაყაჩოს შუქზე აწრთობს,
კომბაინის საჭეს მართავს,
თუ მიჰკაფავს თოვლის ნამქერს,
ბუხრის პირას ჰყვება ზღაპარს
თუ ლეგენდად აქცევს საქმეს;
თუ სულის წვას აქსოვს კვირტში,
მერცხლის ხმაში სუნთქვას ნუშის,
აქ დგას იგი, აქ დგას იგი
საპატიო ყარაულში.
აქ დგას, ვინაც წინსვლის სურვილს,
გამარჯვების რწმენით მოსავს,
მშობელ მიწის სიყვარული,
ვისაც მიაქვს მზედ და დროშად.
ვინც მშვიდობის ფასი იცის
და მის უქრობ ვარსკვლავს უვლის...
დიახ, მჯერა, აქ დგას იგი
საპატიო ყარაულში,
აქ სავალი გზა აქვს რჩეულს,
აქ ისეთი რეკავს ზარი,
რომ ბელადის მავზოლეუმს
ვერ დახედავს ავი თვალი.
აქ რამდენი სხივიც იშვა,
შეუერთდა ქვეყნის ძახილს.
აქ, დუმილში გავლილ მიზანს
ჰქვია მხოლოდ წინსვლა ხალხის.
ეს დუმილი წამიერი
საუკუნის ბურჯად დგება.
ვაშა, ახალ დღეებს ღელვის,
ვაშა, ახალ შემართებას.
გულო, ფეთქავ მკერდში ვიდრე
მე ერთ ნატვრას ვარდებს ვუშლი,
ვიყო ღირსი — მუდამ ვიდგე
აქ დიდების ყარაულში.
როგორც მუდამ, კვლავაც ფხიზლად
წინ იარე, გულო, მედგრად!
გავუფრთხილდეთ იმ დიდ მიზანს
ლენინმა რომ გვიანდერძა.

ალექსანდრე ჯაბავაძე

ფიქრები ლენინზე

1.

რაც თავი გვახსოვს, შენს სახელს
ვამბობთ,
შენს ხმას მქუხარეს ისმენს
მსოფლიო,
ყველაზე მართალ, ყველაზე სანდო,
ყველაზე კაცურ კაცად ცნობილო!
რაც თავი გვახსოვს, შენს სახელს
ვისმენთ,
გადაჩვეულნი ცრემლსა და ტირილს
და არავისი არა გვწამს ისე,
როგორც მაგ შენი ბუმბერაზ ტვინის.
ფეხაწყობილი მოგვყვები ისევ
წვიმაში, ქარში, ავდარში, დარში,

ეროვნული ბიბლიოთეკა

თავაწეულნი მივდივართ მზისკენ
ცხრაას ჩვიდმეტში შობილი მარშით.

2.

მძიმე დღეებიც ვიხილეთ ბევრი,
შენი სიმწვანე ვერვინ გარუჯა...
ჩვენი ძლიერი კუნთი და ნერვი
რას არ მოესწრო, რას არ გადურჩა!...
სამშობლოსათვის თავებს ვწირავდით,
არ დაგვცდენია: გვიშველე, ღმერთო!
საკუთარ სურვილს სულში ვძირავდით
და თვალში მხოლოდ მამული
გვენთო.
კომკავშირელი ბიჭების ქუხილს
კონტინენტებზე არწევდა ქარი,
არ მოგვიყრია მტრების წინ მუხლი
და არასოდეს არ გვცვლია მხარი.

3.

მოსკოვში, ალბათ, ლამაზად
ბარდნის,
ისე ლამაზად, ისე გულწრფელად,
თითქოს ზეციდან თოვლიანფეხა
ვარდებს
ქალაქს ვიღაცა აბნევს ფურცლებად.
ამ ქალაქს თოვლი ისე ამშვენებს,
უთოვლოდ თითქოს რაღაც აკლდება,
და მავზოლეუმს, მაგ შენს აკლდამას
ეს მშვიდი ბარდნა შენის ასევე,
წითელ მოედანს, შემოსილს თეთრად,
ხვალ ჩემი ტოლიც გადასჭრის, ალბათ,
ის ქუდმოხდილი შემოვა შენთან
და მოგიყვება კოსმოსის ამბავს.

4.

რაც თავი გვახსოვს, შენს სიტყვას
ვისმენთ,
გადაჩვეულნი ცრემლსა და ტირილს,
და არავისი არა გვწამს ისე,
როგორც მაგ შენი ბუმბერაზ ტვინის.
ფეხაწყობილნი მოგყვებით ისევ
ნვიმაში, ქარში, ავდარში, დარში,
თავაწეულნი მივდივართ მზისკენ
ცხრაას ჩვიდმეტში ატყორცნილ
მარშით.

დავით მჭედლური

დაგადეგის დღე

დიდი სინათლით
ივსება თვალი,
აპრილის სუნთქვა
გაისმის მძაფრი,
დაჰქრის კეთილი
სამხრეთის ქარი
და სულს გვიმშვიდებს
ლამაზი ზღაპრით.
წავა ზამთარი
ეჭვით დაღლილი,
მოვა მიწა და
გაქრება თოვლი,
და კიდევ... ბევრჯერ
მოვა აპრილი
გაბრწყინებული მაღალი ხსოვნით.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ოლეგ გვეტესიანი

აპრილი — სავსე მზით და სიცოცხლით

აპრილი, — ცისკრად შუქგანფენილი,
კვლავ მოზეიმე გზნებით ირთვება,
აპრილი — მზერა დიდი ლენინის
და გაზაფხულის ამოზვირთება.

აპრილი — თრთოლვა თეთრი ნუშებით,
აპრილი — სითბო, დედა მაისის,—
ხეები კვირტებს ვეღარ იტევენ,
ბაღებს დაეტყო სიდარბაისლე.

აპრილი — ფიქრი ფიქრს რომ ერევა
და ყვავილების ყელმოღერება,
აპრილი — ცისკრის თბილი ფრთების
ხმა
და დღე სინათლის დაბადებისა!

დავით ნავდარაშვილი

წითელი ფერი

სიმბირსკი! — ბნელის დამამხობელი,
ყველამ სიკეთის დედად ვიწამეთ!
კაცთა მოსარჩლე და მახლობელი
ამობრიალდა მზედ ამ მიწაზე.
მზე აელვარდა ბედნიერების,
ჩაუქრობელი სინათლის მფენი.
ოცდაორ აპრილს ქვეყნიერების
რუკაზე გაჩნდა წითელი ფერი.
იტანჯებოდა მხარე ყრუ სევდით,
მოვიდა გმირი და გზა გაკვალა.
ჩამორჩენილი მეფის რუსეთი
რევოლუციის იქცა აკვანად.
დღეს უკვდავია წითელი ფერი,
მისი სითბო და სიკეთე გვმოსავს.
არ დაიხრება, ვლადიმერ ლენინ,
კაცობრიობის წითელი დროშა!

მედეა შავლიაშვილი

არა იმშურნო

ქარადის კარი გაიღო და ორივე თაროზე ჯარისკაცებივით ჩამწკრივებული კონიაკის ბოთლები გამოჩნდა. თითქოს წესრიგშიც ჯარისკაცებს ეჯიბრებოდნენ. ყველა წარწერა „ენისელი“, „ვარციხე“ თუ „თბილისი“ წინ იყო შემობრუნებული.

ქარადის კარის გაღებაზე ტიტე მიქავას თვალები გაუშტერდა.

თაროებს უკან ჩადგმული სარკე ბოთლებს აორმაგებდა და ღირებულებას აზვიადებდა.

„ვინ მისცა ამ ბედოვლათს ხუთასი მანეთის კონიაკი? რა უბრალოდ უწყვია, თითქოს რახი იყოს, მუქთად ნაშოვნი კარალიოკის რახი“.

იმ „ბედოვლათს“ ცალი ხელი ქარადის კარზე შერჩა, მეორეთი ბოთლებს არჩევდა და სტუმრებს სთავაზობდა, რომელი გნებავთ, რომელი გაგიხსნათო.

ტიტე მიქავა მონუსხულივით შესცქეროდა მოწითალო სითხით სავსე ბოთლებს და ყელში ძალივით გაჩხერილი ბოღმის მონელებას ცდილობდა.

„ეს დოყლაპია როგორ უნდა მჯობნიდეს ჩემი გაქანების კაცს... თითქოს უმირდათ და... რომ არცა მალავენ?..“

— თემო, გუშინ ჩვენთან რომ გადმოიტანე, ისეთი გახსენი, — სთხოვა უჩამ.

— ისეთი აღარა მაქვს, ხუთი ბოთლიღა იყო დარჩენილი და კახაბერმა წაიღო, მუმბარაქი გვაქვსო.

— კახამ ხომ წინა კვირას წაიღო?

— კიდევ მთხოვა, მაშინ ვერ მოვახერხეთ და შემოგვეხარჯა.

„არა, ეს კონიაკი ნაყიდი არ უნდა იყოს. ნაყიდს ასე საყველპურად ვერ დაარიგებდა..“ — ეს ამ ოჯახის სადღეგრძელო იყოს, ბარაქა ნუ დაულიოს ღმერთმა! — ტიტემ ფიქრს სძლია და პირამდე გალიცლიცებული ჭიქა ცოცქიმ ასწია. — გოგი, ალავერდი შენთანა ვარ! — დაცლაზეა, ოჯახის სადღეგრძელოა!.. მამაჩემი ამბობდა, მეზობლის მოსახვედრ ქვაა შუბლი შენ უნდა შეეუშვიროო.

— რომელს, „თემის ქვას“? — იკითხა უჩამ.

— ის ქვა კი არა, ლოდი იყო, ბიჭო! — გოგიმ ჭიქა გამოსცალა.

— თურმე მამის ანდერძის ხათრით გვაშვერინებდა იმ ქვისთვის თავებს, — ჩაილაპარაკა ჯანსუღმა.

თემომ ყური წაუყრუა...

იმ ქორკანდელივით ჩამოკიდებულმა ლოდმა დანახვისთანავე გაუხეთქა გული...

ნამდვილი ჭალივით ზედ შუა ხაზზე ჩამოგრძელებულიყო. მარცხენა მხარე დაირიბებულ ფიცარს ეხებოდა და ქვევიდან ისე ჩანდა, თითქოს ზედ დანდობოდა, თითქოს მის სიმძიმეს აეყირავებინა ფიცარი. და რაკი ხეს იმოდენა

ლოდის შეკავება არ შეეძლო, ოდნავი შექანებაც საკმარისი იქნებოდა. აფეთქება კი არა, მანქანის შეგრილებაც ეყოფოდა, რომ დაბლა გაედინა ზღართანი.

— ჯანსულ, გვირაბის შემოსასვლელი ძელით გადაკეტე, თვითმცლელები არ შემოვიდნენ. ნახე, რომელ უბანზე აკეთებენ ცემენტაციას და ცოტა ხნით აივნიანი ამწე სთხოვე. მე გეოლოგს ამოვიყვან. შენი ხალხი კედელ-კედელ გამოიყვანე გარეთ.

— როგორ თუ გამოვიყვანო, ბეტონი? — ყურს არ დაუჯერა ჯანსუღმა.

— ჯერჯერობით შეწყვიტე მიღება.

— რაც ჩასხმულია, დაუტკეპნავი დავტოვო? — სულ დაიბნა ცელის ოსტატი.

— ცოტა ხნით დატოვე.

— როდემდე? რომ გამაგრდეს? — წამოსცდა უნებურად.

— მეორედ მოსვლამდე, ქვეყნის დაქცევამდე! — უცებ აყვირდა თემო. — სანამ გეოლოგი მოვიდოდეს და იტყოდეს, როგორ არის დაზარალული ჭერი, სანამ მოვიფიქრებდეთ, როგორ ჩამოვაგდოთ ეგ ოხური ქვა, რომ მთელი თაღი არ ჩამოშვავდეს, სანამ ქვეშ ვინმეს მოიყოლებდეს და ჩასრესდეს, რა ვიცი, როდემდე?!

ჯანსუღმა ჭერს ახედა. აბა, ეს რა ლოდია, ასე რამ გადარია ჩვენი უფროსიო, მაგრამ თქმა ვეღარ გაბედა.

ცემენტის ხსნარში ამოგანგლულ ამწეს თემო, გეოლოგი და ორი მბურღავი გვირაბის შესასვლელთან დახვდნენ. თემო დაბლა დატოვეს, ყველანი მაინც ვერ დავეტევითო. მანქანამ სწორედ იმ უკუღმართ ლოდქვეშ დაამუხრუჭა. თემო შეკრთა. დგუშმა ნელ-ნელა დაიწყო ყელის დაგრძელება.

გვირაბის კედლებს გრძელ ძაფზე ასხმული ყელსაბამივით ეკიდა უამრავი ნათურა. მიუხედავად მათი სიმრავლისა, იქაურობა სანახევროდ განათებულს ჰგავდა. და მაინც ყოველი შემოსვლისას საყდარი აგონდებოდა თემოს. იქნებ იმიტომ, რომ ეს სიბნელე და გამქრალებული შუქჩრდილები ღვთიურ სანთლებივით რაღაც საიდუმლოს ინახავდნენ, იქნებ იმიტომაც, უჩვეულოდ მაღალი თაღი ყოველგვარ ხმაურს საგალობელივით რომ აგრძელებდა და აბუბუნებდა. ის მაღალი თაღი ამ გვირაბს მანამდე აშენებულ ყველა გვირაბისაგან განსხვავებდა და ეკაცს ავიწყებდა, მიწის ქვეშ რომ იწყოფებოდა.

სიგრილეც საყდრისებური იდგა გვირაბში, — ფილქნიანი საყდრის სიგრილე.

დგუშმა მოაჯირიანი აივანი ნელ-ნელა მიუახლოვა ჭალს.

„ახლა რომ მოწყდეს ქვა?.. — შიშმა ნერწყვი გაუშრო პირში. — რა ქვა ავიტეხე, სადაური ქვაა, სკივრის ტოლა ლოდია!“ — და უცებ მიხედა, რომ სწორედ შიში ამატარავებინებდა და ქვად ანათვლინებდა იმოდენა ლოდს.

გვირაბი დროებითი იყო, რადგან ძირითადთან მისადგომად იყო გაჭრილი და შემდეგ ბეტონით ამოიქოლებოდა. ამიტომ ჯერჯერობით შეუმოსავი დატოვეს, კლდე უნაპრალოა, დაუბზარავი და არ ჩამოიშლებაო.

ის „ჯერჯერობა“ ძალიან გაუგრძელდათ. ამასობაში ჭერიდან და გვერდებიდან გამუდმებით მოწყწყარე ყამირის წყლებმა ტინებს შორის ჩაკირული თიხა გულმოდგინედ გამორეცხა და კლდის შლას მიჰყო ხელი. რასაც ლოკვით ვერ დააკლო, ყინვა იხმარა მუხრუჭად. ვერტიკალური სადაწნეო კოშკის გაჭრის შემდეგ იქაურობა ორმხრივი ქარების სათარეშოდ იქცა. ზამთარი დადგომას ვერ ასწრებდა, მკლავისსისქე ლოლუებს სანთლებივით იმშვენებდნენ ლოდები. მაგრამ წყალი და ყინვა ვერაფერს გახდებოდა, მთავარი გვირაბის გასაჭრელად მიწისქვეშეთი წარამარა რომ არ ეფეთქებინათ და ეზანზარებინათ. ყოველი აფეთქება უსიამოვნოდ ბზარავდა და ანათებდა ზედაპირს.

თაღად შეკრულ რელსებსა და კლდეს შორის აქა-იქ სოლებივით ჩაშედეს მოზრდილი ფიცრები. თანდა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

თანობით ის ფიცრები ისე მომრავლდა, ლამის ჭერი დაფარა, მაგრამ მოსალოდნელი უბედურების შიშს ვერ მოერია.

გვირაბში მიმავალ კაცს თვალი ერთთავად ზევით გუურბოდა, ერთიც ვნახოთ, სადღაც მომწყდარი კარწში თუ კოხი ბედისწერად იქცესო. ეს ხანდაზმულებს და გამოცდილებს, თორემ ახალბედებს ცა ქუდად არ მიაჩნდათ და ვაი, იმ უქუდოდ შეხეტებულს ბრალი, ვინც უბნის უფროსს გადეყრებოდა.

თემო იმ ადგილს ჩაპეტონებულივით შერჩა.

ამწე ჭერს მიუახლოდა. გეოლოგის წერაქვმა კლდეზე მორიდებით გაიკაუნა. ფანარჩენმა ორმა ბუღრეები მოიმარჯვა უნებურად. წერაქვი თანდათან გაუთამამდა „ჭაღს“. მაღალმა თაღმა კაკუნიც დაბაბუნა, დარტყმის ხმაც და ზევიდან ჩამოძახებელი: დაგვწი დაბლა, ეს ლოდი არ აპირებს ჩამოხტომასო.

თემოს გულზე მოეშვა.

— რა ჭაღი, რის ჭაღი! ამოდენა გვირაბს ეგ მომცრო ლოდი ჭაღად გამოადგებოდა? კაუჭად ძლივს ივარგებს, — გაიცინა გეოლოგმა.

— რომ ავადფეთქოთ?

— მთელ ჭერს ჩამოაქცევს. დაბეტონებას დავუცადოთ. მანამდე არაფერი უშარს, — დაიინდა გეოლოგმა.

მაგრამ, როცა ბეტონით ძარასავსე თვითმცლელმა იმ ლოდქვეშ გაიარა, თემოს გულმა ძგერას მოუმატა. გვირაბგამყვანებიც კედელ-კედელ შემოლაგდნენ. მეორე და მეათე მანქანის გავლამ კი ისე გაუქარწყლათ შიში, ოხუნჯობის ხასიათზე დადგნენ, მაშინ შეერქვა იმ ლოდს „თემოს ქვა“.

— უნამუსოები ხართ, კაცი თქვენთვის ფრთხილობს, თქვენ კი.. — ხელი ჩაიქნია ჯანსუღმა.

— გადაჭარბებული სიფრთხილე სილაჩრეა, — თქვა რელსზე ჩამომჯდარმა პაატამ და ჯანსუღის წკიპურტის შიშით თავი მუხლებს შორის ჩაყო.

— სილაჩრე კი სიცილით განიკურნება. — სილაჩრე კი სიცილით განიკურნება.

თვრამეტი წელი წინა თვეს შეუსრულდა პაატას.

— ლაჯებში თავჩარგული ლაპარაკი სილაჩრე არ არის? — გაეცინა ჯანსუღს.

ყურთან დადგმული ტელეფონი იმ ღამეს ოთხ საათზე აწკრიალდა. თემომ საბანი შეშლილივით მოისროლა და მილს ეცა.

— რა მოხდა, ქვა ჩამოვარდა?!

— რომელი ქვა, რა დროს ქვაა. გვირაბი დაიტბორა, წყალსაქაჩებს მიხედე, ჩქარა! — შემოესმა სამმართველოს უფროსის ხმა და საბოლოოდ გამოფიზზლდა.

რამდენიმე დღის შემდეგ უბნისკენ მიმავალს ტექნიკური განყოფილების თანაშრომელმა ვილისით გადაუჭრა გზა და ანიშნა, გაჩერდიო. თემო ორივე მუხრუჭს ერთდროულად შეეხო. თვლები ასფალტზე ახრჭიალდა და მოცურდა. მანქანამ კუდი ისე მოიქნია, გზის პირას ორორიგად ჩაპეტონებული საპურავები რომ არა, უფსკრულში გადაიჩეხებოდა. თემომ თავი გამოყო, პირი თვეზევით გააღო, მაგრამ ხმა ვერ გამოსცა, მერე ჰაერი ღრმად ჩაისუნთქა და ენის ბორძიკით იკითხა:

— ქ-ქვა ჩა-ჩამოვარდა?

ტექნიკური განყოფილების თანაშრომელმა გაოცებით შეხედა

— შენ სამკურნალო ხომ არა ხარ, რა ქვა უნდა ჩამოვარდნილიყო?

— აბა რად გამიჩერე?

— გეოფიზიკოსებმა ჰიდროლოგები ჩამოიყვანეს და მეცამეტე მღვიმე მოამზადეთო.

— მღვიმეს რა მომზადება უნდა, მოვიდნენ და ნახონ! — გაბრაზდა უცებ, მერე ორივე ხელით თვალები მოიფშვნიტა. ზეზეურად მძინავსო, ჩაილაპარაკა, მანქანა შემოაბრუნა, სამმა-

ეროვნული
ბიბლიოთეკა

რთველოში ჩავიდა და მთავარ ინჟინერს განცხადება დაუწერა.

— შენ მკურნალობა ხომ არ გჭირდება? — გაეცინა მთავარ ინჟინერს.

— მკურნალობა რა შუაშია, თქვსმეტი წელია ფეხიდან რეზინის ჩექმა არ გამიძვრია. შვებულებაშიც მიწას ვეჭიდები, მაშაჩემს ვენახს ვუბრუნებ. თვეს ხომ არა გთხოვ, კვირა ჩავწერე. ამოდენა ღამის ტეხამ და უძილობამ სულ გამომათაყვანა, ყველგან საფრთხე მელანდება, ლამის მართლა გავგიჟდე! — აყვირდა თემო.

— ეგ გეტყობა. აბა რომელი ჭკუამყოფელი ჩაწერდა განცხადებაში, უნდა გამოვიძინოო? — სერიოზულად შეეკითხა მთავარი ინჟინერი. მოუტულ თვალებში კი მაინც გაეპარა ღიმილი.

თემო იმ ღიმილს კარგად იცნობდა, რადგან ეს კაცი მისი თანაკურსელი იყო. ისიც იცოდა, ის ღიმილი კვიმატ სიტყვასა და საერთო ხარხარს რომ მოასწავებდა და ამიტომ სხვისა სათქმელად აჩქარდა:

— რა გადაწყვიტეთ, როდის ვაბეტონებთ იმ გვირაბს?

— „შენ ქვას“? როგორც კი სადერიგაცო გვირაბს კალაპოტში ჩაყენება...

„სადერიგაცო გვირაბის კალაპოტში ჩაყენება“ უკუთაღლის ორასი მეტრის დაბეტონებას ნიშნავდა თვეში, ის კი ასსაც ძლივს ასწრებდა.

— უჰ, ეგ როდის იქნება? — ხაფანგში მოხვედრილივით იკითხა თემომ.

— მაგას მე უნდა გეკითხებოდეს... მაგრამ ორმა დღემაც ვერ მოასწრო გასვლა, ჯანსუღმა რომ დაურეკა, სამართველოში თქვეს, ჩქარა გამოვიდეს, გვირაბი დაბეტონეთო.

— რა მოხდა? — იკითხა თემომ.

— ის ქვა რომ მოწყდა...

— ქვა მოწყდა?! — თემო გასაქცევად წამოხტა.

— არა, შენი არა. წყალგამყვანის ზევით, გზის ფერდობზე მოწყდა, მანქანას დაეჯახა და დამეწყრილზე გადაჩეხა.

— შოფერი?

— გადარჩა. ბუჩქებში თავის საქმეზე გადასულიყო და...

— უჰ, მადლობა ღმერთს, ბედი ჰქონია კაცს! — ამოიგმინა თედომ.

— აბა, ერთმა წუთმა და ერთმა მეტრმა გადაარჩინა. ახლა ყველგან დადიან, მიწის ქვეშ თუ მიწის ზევით ყველა ქვას და ლოდს ამოწმებენ.

რელსების არმატურას ამაგრებდნენ თუ ყალიბს ამზადებდნენ, ერთთავად იმ ლოდს შესცქეროდნენ. სოლებად ჩაჭედილი ფიცრების მოხსნისას, ნაჯახის ზედმეტად მოქნევას ერიდებოდნენ, ემანდ ლოდი არ ჩამოვაშვავოთო. ლოდის დაბეტონებამდე სადერივაციო გვირაბის აფეთქება შეწყვიტეს. პაატა რო პაატა იყო, იმანაც მოიშალა შუა გვირაბში სიარული, იმ დღიდან კედლის გასწვრივ მიმოდიოდა.

მოულოდნელად ძია სანდრომ ბეტონის სატკეპნი მოისროლა. რკინამ ჯერ კლდეზე გაიხრეჭილა, მერე დაბლა გადინა ზღართანი.

— ამის დედა ვატირე, მაშ ეს ნამუსია?!

თემოს თვალები გაუფართოვდა. ეს კაცი გაჯავრებული არასოდეს ენახა.

— რა მოხდა?

— რაღა რა მოხდა. ჩვენ განწირულებივით ამ ლოდქვეშა ვდგავართ, არ ვიცით, თავზე როდის ჩამოგვექცევა, ის კი სახლისკენ მიაქროლებს ბეტონს.

— ვინა? „კრაზმა“ კიდევ გააცდინა რეისი? არ გამოარკვიე, რომელი შოფერი ზის? — თემომ ჯანსუღს დაუბრიალა თვალები.

— გამოვარკვიეთ, დავკითხეთ. ჩემგან რა გინდათ, ჩემი უფროსი მიქავა, საცა მიბრძანებს, იქ მიმაქესო.

— სად მიბრძანებსო?

— სადაც აგარაკს იშენებს, მთაში. ჩვენ დაგვიბრიყვა. აქედან იმიტომ მიაქვს, იცის, მთავარი გვირაბის გეგმის შესრულებაში არ იწერება ეს ბეტონი. რაკი მთავარი არა ფერხდება...

— მარტო გეგმაა საქმე, ამოდენა ხა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლხი რო საკვდილს შევაცქერით თვალებში?..

— ნუ ჯავრობთ, ძია სანდრო, ახლავე დავრეკავ ბეტონის ქარხანაში და სხვა მანქანას ვთხოვ. — „კიდევ იმიტომ დაგვიბრიყვა, იცის, ჩვენს არ ვიკადრებთ, არავის შევაყენებინებთ. ქვეყანაზე ეს უშნო მორიდება და ვითომ ნამუსიანობა რომ არ იყოს, სითავხედე ვერ იბოგინებდა“, — თემო გასასვლელსაკენ წავიდა.

— დასჯა მარტო შოფრისა შეიძლებოდა? იმას რატომ არაფერს ეუბნებით? — ჩაიბუზღუნა ჯანსუღმა.

— ჯანსუღ თოდრიავ, მიქავას რომ კარი გადავუკეტო, რას იზამს, თუ იცი? — დასერიოზულდა თემო.

— სირცხვილის ოფლს დაასხამს. რას იზამს და ფანჯრიდან შემოძვრება.

— ფანჯარაც რომ დავუკეტო?

— ნუ გეშინია, მაინც იპოვის ხვრელს!

— ჰოდა, მე თუ ის ხვრელები ვეძებნე და ვკეტე, როდისღა ვიმუშაო?

— მაშ ჩვენ ვიმუშაოთ და ის ვამდიდროთ?

— ვერა მდიდრდება, თოდრიავ, თუ დაფიქრდები, ჩვენ უფრო მდიდრები ვართ. შენისთანა ბიჭს იმისი კი არ უნდა შურდეს, უნდა ებრალებოდეს.

— ებრალებოდეს კი არა, სინსილა უნდა გაწყდეს მაგათ! — ჯერაც ვერ დამშვიდებულიყო ძია სანდრო.

— ღმერთმა დაგვიფაროს, ძია სანდრო, მგლები რო გაწყვიტეს, ირმებიც დაიხოცნენ, — გაიღიმა თემომ და გვერბიდან გავიდა.

სუფრა აიშალა.

ტიტე მიქავამ უკანასკნელად გახედა კარადის კარს, რომელიც ჯარისკაცებივით ჩამწკრივებულ კონიაკის ბოთლებს მალავდა.

— გოგი, მოიცა, ბორჯომს გაგატან, თორემ შენი ამბავი რომ ვიცი, ხვალ აღარ გამოდგები... — თემომ საკუჭნაოდან სამი ბოთლი ბორჯომი გამოიტანა.

საკუჭნაოს იატაკზე ერთმანეთის გვერდით ორი ყუთი იდგა. შიგ კოტტაღ, წყობისად ელაგა კონიაკის ცარიელი ბოთლები — დარეცხილ-დასუფთავებული, საცობჩამოცმული.

ტიტე მიქავამ საკუთარი კისერი ვეღარ აიძულა საკუჭნაოს მხრიდან გასასვლელისკენ შემობრუნებულიყო.

ეზოში, კიბის გვერდით კიდევ ერთი ყუთი დაინახა. კონიაკის დაბზარული და გვერდჩალეწილი ბოთლები ნაგვის მანქანას მოთმინებით ელოდებოდა.

„უჰ, მაგათი... ჩემი უნარის პატრონმა, მაშ ვერ უნდა გავარკვიო, საიდან აქვთ ამდენი? ერთი გავიგო და მერე მე ვიცი... — ტიტე მიქავამ მკერდისკენ გაქანებული მჯიღი უბეს შეაფარა.

თემომ მაგიდის უჯრიდან ფურცელი ამოიღო და ნახაზების გროვას ზევიდან დაადო. ქაღალდმა შემოდგომის ფოთოლივით გაიშრიალა.

თემო შეერთა.

ყვითელი ფოთოლი გვიან შემოდგომაზე სპილენძისფერს ირევდა მთაში. ირგვლივ იმდენი ყვითელი იყო, თვალს თუ დახუჭავდი, ყვითელი წრეები იწყებდნენ ფრენას. გამხმარ ფოთოლთა სქელი ფენა მსუბუქად ეხურა დედამიწას. ფეხი ჯერ არ შეხებოდა, შარიშური გაჭქონდა აბრეშუმივით. ბიჭები კოტტა თითებით აღრმავებდნენ ორმოებს და წიფლის აწაწინა წიწიბებს მსუნაგებივით ეძებდნენ. მერე იმ ორმოებში წვებოდნენ, ზევიდან მშრალ ფოთლებს იყრიდნენ, ყვითელ სბანქვეშ თავფეხიანად იმალებოდნენ და სულგანაბულები იტვრინებოდნენ, აბა თუ გვიპოვნიანო.

გორაკის ფეხთით საკვამურებს აბოლებდა სოფელი. მხოლოდ ერთი, თემოს სახლი იდგა კერიაჩამქრალი ნიავს გემრიელი საკაზმის სუნი ამოჰქონდა ზევით. მაღალი წიფლების დაში-

ჰედა შალალიშვილი
ბრა იმშენრნი

ეროვნული
ბიბლიოთეკა

შვლებულ რტოებს ყვითელ სხივებში აბანავებდა მზე. როცა ცეცხლის ბურთი მთის თავზე მოეკერდა, ძახილი აუტყდებოდა სოფელს.

— გიგლაა, ჰაუ, გიგლაა!!!

გიგლა მხოლოდ იშმუშნებოდა და შემკრთალ ფოთლებს აშრიალებდა.

— მოდი, შვილო, ჭამის დროა, მოდი!

— რატი! აგრეც შენ არ მოუკვდი დედაშენს, თუ იღირსო ჩამოსვლა!

რატი ფოთლების საბნიდან თრითინასავით ყოფდა ცხვირს და თემოს სამალავს შურით შესცქეროდა.

— ზურაა! ჭირი შენს დამაწყევარს, როდემდე უნდა მაყვირო, ბიჭო?! ჩამო ჩქარა და თემოც ჩამოიყვა!

— არ მომყვება!

— ჩამოიყვა, ჩამოიყვა, მაგის ცოდ-ვით ყელში არ გადადის საჭმელი.

— არ მომყვება და ქვებს მიღერებს. თავი დამანებე, მამაჩემი მომიტანსო, ამბობს.

— უჰ, ეგ ქვის ნატეხი. მამამისი რას მოუტანს. მაგისმა მზემ, შემწვარ-მოხრაკულებს გამოატანენ მაღაროდან.

როცა ფოთლები პატარა ნაბიჯებს სოფლისაკენ ჩაშრიალებდა, თემო წყალშემდგარივით შეიშმუშნებოდა, ნელა აახელდა ცრემლიან თვალებს და ზეცას მიაპყრობდა მზერას. მერე, რაც ძალი და ღონე ჰქონდა, დაიძახებოდა და საკუთარ სახელს დედის მაგიერ დაიძახებდა, ოღონდ გულში, უხმოდ, თავისთვის.

— თემზა�!!! მოდი, შვილო, გაგიცავდა საჭმელი!

და ისევ ცას შეხედავდა. ძალიან მაღალს, ძალიან ლურჯს და გამჭვირვალეს, რადგან უთხრეს, დედა იქიდან გიყურებს და ყველა შენს საქციელს ნუსხავსო.

რაკი თავს დაიმარტოვებდა, წიფლებქვეშ გარინდულ ნაელესიარის მიადგებოდა — სახურავჩამომპალს, კედლებდახავსებულს, ქვისფილაქნიან ნაელესიარს. კარიბჭესთან დამალულ აბგას გადმოიღებდა, ზღურბლზე ჩამოჯდებოდა და ნელა დაიწყებდა ცივი მჭადის ან ხმელი პურის და ძეხვის თუ ყველის ჭამას. თან ქვის ფილაქანზე კირქვით ხატავდა ოხშივარმოდებულ მთთლაფას.

თემო თეთრ ქაღალდს დასცქეროდა.

იმ ქაღალდით ამას წინათ მოსულ ცვლის ოსტატს სამუშაოს უმიზეზოდ გაცდენისათვის საყვედური ეცხადებოდა.

ცვლის ოსტატს იმ ქაღალდისფერი თითები ჰქონდა, ისე გრძელი და მოქნილი, ბურღსა და წერაქვს კი არა, თეთრ კლავიშებს რომ შეეფერებოდა.

ცვლის ოსტატს ღვიძლი სტკიოდა. ღვიძლის ტკივილს თემოც კარგად იცნობდა, როცა არათუ ხელის, ზეწრის მიკარებაც აუტანელ წამებას იწვევს, როცა წუთები საათებივით იწელება და გული გისკდება, ვაჟკაცობა მიღალატებს და აღრიალდებიო.

ახლა თემოს საყვედურზე უფრო საუბარი უნდოდა იმ თეთრთითება ოსტატთან. იმაზე უნდოდა საუბარი, რაც ახალგაზრდა ინჟინერმა თემოზე უკეთ იცოდა: რომ თურმე ადამიანების ან ცხოველების ავადმყოფობის დროს, ორგანიზმში პათოლოგიური ცვლილებები შეიძლება ზუსტი მათემატიკური ფორმულით გამოიხატოს, რომ თურმე... საყვედურს საუბარი ერჩია, მაგრამ საუბრის ნაცვლად ცვლის ოსტატს სამმართველოს უფროსის მიერ ხელმოწერილი საყვედურის ბრძანება გააცნო.

რადგან მან, უბნის უფროსმა, ახალგაზრდა ინჟინერზე უკეთ იცოდა, რომ ხვალინდელი სიახლის იმედით დღეის საქმე არ უნდა გადასდო, თორემ ის ხვალე აღარასოდეს მოვა: რომ ავადმყოფისა და უძლურების სახელით შეწყალება და დათმობა არავის უნდა სთხოვო, თორემ იმ უძლურების დაჯაბნას ვერასოროს ისწავლი, სულსა და ხასიათს ვერ განიმტკიცებ და გრძელ თითებს ვიოლინოს ნაცვლად წერაქვს ვერასოდეს დაჭერინებ. უწერაქვოდ კი ინჟინერს ისევე გაგიჭირდება, როგორც მწერალს უანბანოდ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

თემო უბნის უფროსი იყო, ხოლო უბნის უფროსობა ის შუა რგოლია, რომელიც მუშასა და სამმართველოს უფროსს შორის ჩაეფდილა და რომელსაც ორივეზე მეტი ჯაფა ადგას.

და როცა ნირწაზხდარი ცვლის ოსტატი გაისტუმრა, ცოდვა კისერზე იღო და ის ბრძანება ნაკუწებად აქცია, ემანდ საბუთებში ჩაკერებულმა სწორედ მაშინ არ გაუფუჭოს საქმე, როცა წერაქვი ნუკრებს გაუჩენსო.

იმ ცვლის ოსტატთან ერთად მშენებლობაზე ოცამდე ახალგაზრდა სპეციალისტი მოვიდა. ამდენი გოგო-ბიჭის შემომატება მაშინვე უნდა შეტყობოდა: იქაურობას, მაგრამ როგორღაც შეუმჩნევლად მომრავლდნენ, თითქოს ჩრდილში დგებოდნენ, თითქოს ერთმანეთს ეფარებოდნენ. ღღეს კი ერთად თავმოყრილი რომ ნახეს, გაიკვირვეს, ეს რამდენნი ყოფილხართ, ღმერთმა გამრავლოთო.

თავი კი იმიტომ მოეყარათ, ერთი იმათი ტოლი ინჟინერი ქალი წინა დღეებში ვიღაცას გაექურდა და ტტტე მიქავას ეშვი სათითაოდ ყველაზე მეტანა, ყველა ნამდვილი ქურდივით დაეკითხა.

ტტტე მიქავას მშენებლობის საქმეებზე უფრო ასეთი საქმეების ჩხრეკა-ძიება ეხალისებოდა. რაკი მისი ნათესავ-მეგობრების უმრავლესობა საგამომძიებლო ორგანოებში მუშაობდა, თვითონაც მცოდე ეგონა თავი.

ახალგაზრდები მშენებლობის უფროსთან ჩიოდნენ, ცელი დაგვწაპა და შეურაცხყოფა მოგვაყენაო.

ფერდაკარგულმა ტტტე მიქავამ პასუხისათვის ერთი კვირის ვადა მოითხოვა.

იმ კვირის სწორზე უფროსს და მომჩივანთ დამნაშავე დაუსახელა, დანაშაულობა დაუმტკიცა და ნიშნისგებით დაუმატა, ეგრეც ვიცოდიო.

ქურდი ერთი იმ ოცთაგანი იყო.

გოგო-ბიჭები ცოცხალ-მკვდარნი გამოვიდნენ კ-ბინეტიდან. ვინ იცის, რა გრძნობები ბობოქრობდა მათ სულში:

ტტტე მიქავასათვის კი ეს თითქმის კანონზომიერი მოვლენა იყო: ოცი კაცი-დან ერთი ქურდი აღმოჩენილიყო.

ოცი კაციდან ოცივემ ქურდად იგრძნო თავი. ცხრამეტმა უდანაშაულმ სხვისი დანაშაული უსტაყვოდ გაიზიარა და იმდღეგანდელი ეშვითა თუ დაკითხვით გამოწვეული შეურაცხყოფა სავსებით დამსახურებულად ჩათვალა.

თავჩაქინდრულ გოგო-ბიჭებს ფეხდაფეხ გამოჰყვა თემო:

— ძალიან მომწყურდა, ვისა გაქვთ ჯიბეში ფული? თითო ჭიქა დავლიოთ.

ბიჭებმა ჯიბეები მოიჩხრიკეს. ერთი მაღაზიაში წავიდა, მაგრამ ხელცარიელი დაბრუნდა. კარი გადარაზული დამხვდა, პროკურორის მოადგილემ კონიაკისა და ღვინის ბოთლებით სავსე კასრები ლუქით დაგვიბეჭდაო, — თქვა გამყიდველმა.

— რადა?

— ტტტე მიქავასათვის ვიღაცას უთქვამს, შინ გაკეთებული სასმელით ვაჭრობენო.

— ჯანდაბას მაგათი თავი. ჩვენთან წავიდეთ, — თქვა თემომ. — გოგოებიც წამოიყვანეთ.

გორაკის ფეხთით აბოლებულ საკვამურებს თემოს სახლმაც აუბა მხარი.

კერიაში ცეცხლი გაჩაღდა, ეზოში კრუხ-ქუქულა გამოიშალა, სხვენიდან ჩამოღებული აკვანი დაირწა.

მაღაროდან დაბრუნებულ მამას/მაგიდაზე ჩამორიგებული მალაფეები ცხელი ოხშივრით ეგებებინან.

სკოლიდან მოსულ თემოს აკვანში ჩაკრული ბიჭი ერთადერთი კეჩით უცინის.

— თემო, დაარწე, აკვანი დაარწე, თორემ გაკეკალაკდა ბიჭი...— მერე კი, როცა სახლის უკან დარჩენილ შიმალაები მეორეჯერ გადაიპენტენენ თეთრად:

— ბიჭო, აგრემც შენ მოუკვდი შენს პატრონს, მიხედე ბალღებს!

ბეჭდა შეკვეთიანვილი
არა იმბერნი

ეროვნული ბიბლიოთეკა

თემო ერთს ხელში იყვანს, მეორეს ფეხით არწევს, ცალი თვალით კი, ლამის გაელმებული თვალით მაგიდაზე გადაშლილ წიგნს ირიბად ჩაჰყურებს და მაინც ღიმილი დასთამაშებს სახეზე.

— ერთი უყურეთ, როგორ მოუბამს ყმაწვილი მაგიდის ფეხზე, ამ მიწადასაყრელს?!.

თემო ფრთხილად ხსნის გამოკვანძულ ყელსახვევს, აკისკისებულ ბიჭს მუხლზე ისვამს, გათახთახებულ ფარდას შეუმჩნეველად კუთხეს უწევს და წიფლებში ჩამალულ ძველ ეკლესიას გასცქერის — სახურავჩამოშალ, კედლებდახავსებულ, ქვისფილაქნიან ეკლესიას. უფრო ქვევით გამხმარი ფოთლების საბანი გაკაებულივით წაუხურავს დედამიწას. ნიავს ამოყოლილ ხმას ის ყვითელი ფოთლები შარიშერით აძლევენ პასუხს.

ხოლო საღამოს..

— ბავშვი მე მომეცი, შენ მამაშენს მიუჯექი, გენაცვალე, ცხელი კერძი შეირეგ!

„საკუთარ“ სახლში საკუთარი ყუთიღა დარჩა. ვარსკვლავიანი პრიალა ღილებით, პლატმასის ცხენისანი კავალერიით, ტანკებით, ძველი კომპასებით, მომცრო ფარნებით, ქლიბებით, ჭანჭიკებით და ათასი რაგინდარაათი სავსე ყუთი.

სახლში მაკრატელი მოჰფარდება თვალს თუ მეზობელი მოიჩიენებს კლიტის ან სხვა წვრილმანის დაკარგვას, ის ყუთი ხან დღეში რამდენჯერმე პირქვავდება და თემოს თვალწინ გულმოდგინედ, დაწვრილებით იჩხრიკება.

ბიჭი თვალს არიდებს, მაგრამ ქლიბისა თუ ღილის თითოეული გაფლარუნება ხანჯლის წვრილივთ ესობა გულზე. მერე მუხლებზე იჩოქებს, მალულად სინჯავს ყუთის ორმაგ ფსკერს, სადაც კედლიდან ჩამოხსნილი დედის სურათი დევს, უფრო მალულად იწმენდს ლოყაზე დაგორებულ ცრემლს და ჩხლართა თითებით უკანვე ჰყრის ძველ კომპასებს, მომცრო ფარნებს, წვერწატეხილ ქლიბებს, დახლართულ-შეკუმშულებს და ათას რაგინდარას.

ბოლოს, როცა სხვაგან დაკარგული ნივთების ძებნისას ის ყუთი უთვალავჯერ გაიჩხრიკა, მეზობელმა ძაღლის დასაბმელი ჯაჭვი დაკარგა. აქ მეგდო და ხელსა და თვალს შუა გაქრაო.

დედინაცვალმა სახლის კუთხე-კუნჭული გადააბრუნა.

შუაღამისას მამა ლოგინიდან წამოაგდო ჯაჭვის ყიდარუნამ. ბიჭს ისე მაგრად ჩაეკრა გულში, სანამ არ გაოცვიძეს, ვერ აართვეს. მერეც უკან ექაჩებოდა ნამძინარევი, ხელით ეპოტინებოდა, თითებით ეალერსებოდა, როგორც სულდგმული, როგორც ძალიან ერთგული და ახლობელს

მამა გადაირია:

— რად გინდოდა, ბიჭო, ჯაჭვი, ჩემი შვილი და ქურდი?!

— იქნებ ძაღლი მყოლოდაო.. — ძლივს წაილუღლუღა ბიჭმა.

მამის ძლიერმა ხელმა ლაწანი გაადინა ჯერ შეუღონღლავ ლოყაზე. ის სილა პირველიც აღმოჩნდა და უკანასკნელიც. გამთენიას შვილმა სამუდამოდ დატოვა მამის კერიაგაღუებული სახლი.

— მარტო ხარ?

კანტორაში ჯანსუღი შემოვიდა.

— თემო უფროსო, რას გვერჩოდი, ისე უღმერთოდ რომ დაგვთვრე იმოდენა ხალხი?

— ჯანსუღ თოდრიავ, ჯერაც არ გამოფიზლებულხარ? შენ რძე უნდა გესვა, ბიჭო. რა შენი საქმე იყო სამარკო კონიაკი?

— არც შენ იყავი კაი დღეში. რამდენი აფიცე ერთმანეთის ძმობა იმ გოგო-ბიჭებს

— ვერ მიხვდი, რადა?

— მთვრალი იყავ და იმადა.

— თოდრიავ, იცი რას ნიშნავს Humanus?

— ვიცი, ადამიანურს.

— ჰოდა, ყველა ჰუმანური, ანუ ადამიანური ქვეყნის კანონი სასტიკად

ეროვნული ბიბლიოთეკა

კრძალავს ხალხის გაჩხრეკას, როცა საზოგადოების თავშეყრის ადგილას რამე იკრგება.

— რადა?

— იმიტომ, რომ ჩხრეკის დროს ყოველი იმათგანი ქურდად იგრძნობს თავს.

— თუ არაფერი მომპარავს, რად ვიგრძნობ?

— ეგეთია კაცის ბუნება. ეჭვის აშკარა მიტანა ღირსების შელახვაა, ღირსებაშელახული კაცი კი... ხეს რომ უძახო, გახმი, გახმიო, ისიც გახმება. სახელმწიფოს ეს მორალური ზარალი დაკარგულ ნივთზე ბევრად უფრო ძვირი უჯდება, ისე რომ, ეჭვის აშკარა მიტანი თვითონ ჩადის დანაშაულს.

— გეტყობა, გუშინდელი გაქეს გამოყოლილი, ისე იურისტივით ჩაარაკაკე. შენ ეგ კი არა, ერთმანეთის სიყვარულის ფიცს ართმევდი ხალხს გუშინ.

— აბა რა მექნა? ისე გულწრფელად სჯერდათ თავიანთი სიმართლე და ისე თავგამოდებით მოითხოვდნენ, ეჭვის მიმტანი დასაჯეთო, იმათ რომ მოულოდნელად დაუმტკიცებ, ერთი თქვენთაგანი იუდაა, როგორღა გინდა მეორისა და მეოცის წმინდანობა ირწმუნონ?

— რომ დაათვრე, ირწმუნეს?

თემომ მხრები აიჩეჩა.

— თემო უფროსო, იცი, მიქავას აღთქმა აქვს მიცემული, დამთავრებამდე გვირაბში ცხვირს არ შეეყოფო...

თემოს გაეღიმა.

— როგორღა ახერხებს ამდენი სკამის მორგებას ეს კაცი?

— ადაპტაციით.

— ცხოვრებასთან შეგუების უნარით?

— ჰო, ერთი ჭკვიანი კაცი ამბობს, ხშირად ძალიან ნიჭიერთ ნაკლებად ნიჭიერნი ისე ხელმძღვანელობენ, პიროველნი ვერც კი ხვდებიან, რამდენად არიან მეორეებზე დამოკიდებულნი. რადგან ეს უკანასკნელნი უკეთ მიჩვეულნან საზოგადოებაში ტრიალს, ადამიანებთან ურთიერთობის მეტი გამოცდილება აქვთ, იციან იმ ნიჭიერი ხალხის პატარ-პატარა სისუსტენი, მთელი ხალხის იქით მიმართავენ და ხელში იგდებენო. ამ ჭკვიანი კაცის საუკუნეში ცხოვრებასთან შემგუებლობა თავის მოწონების უნარს ნიშნავდა. მაშინ ბედიცა და კარიერაც არისტოკრატების სალონებში წყდებოდა. თავს თუ არ მოაწონებდი, არც დაგპატიჟებდნენ.

მიქავები კი... ეჰ, რამდენჯერ მითქვამს შენთვის, ჯანსუფ თოდრიავ, შენისთანა ბიჭს იმათი შურდეს კი არა, უნდა ებრალებოდეს-მეთქი ისინი.

— ჯერჯერობით კი ისინი მიბრალებენ და... კაი სახლ-კარიც იმათა აქვთ, კარზე მანქანაც უდგათ და აგარაკიც გადახურული აქვთ...

დამხმარე გვირაბი დაბეტონებამ ერთი მეტრით შეავიწროვა. კედელზე მძივებივით აკინძული ნათურები ჭერს ვერც ახლა უწვდენდნენ სინათლეს და ჩრდილში მოქცეული თეთრი თაღი უფრო ამაღლებული ჩანდა.

საამქროში დამონტაჟებული აგრეგატი ვიწროა კვეთში აღარ გაეტია შესვლით კი შევიდა, მაგრამ საღერეგაციო გვირაბში ვერ გაუხვია, გრძელი კუდი ვერსად მოაბრუნა.

თათბირზე აგრეგატის დემონტაჟი და გვირაბში ხელახალი მონტაჟი გადაწყდა.

ცეცხლწაკიდებული ფოლადის მილი დილიდან ღამემდე და ღამიდან დილამდე დაბორიალებდა თითის სისქე ფოლადის ფურცლებზე, დანიშნულ ადგილებს ერთმანეთზე აღნობდა და ადუღებდა. ცეცხლი ჯადოქარივით შიშინებდა, იმუქრებოდა. თავზე ჩამორქმეული ჩაჩქანი მემონტაჟეებს ინკვიზიციის ჯალათებს ამსგავსებდა. შავი შუშებიდან შესცქეროდნენ წვერდამოკლებული ალის ცეცვის და დაგორკლილი ნაკრილობებივით აგრძელებდნენ შედუღებულ ხაზებს.

მიდია შავლიაშვილი
არა იმუშრნო

ეროვნული
ბიბლიოთეკა

— ნოდარ, მოშორდი. მაგ არმატურას, ცეცხლს ნუ უყურებ, თორემ ამოდამ ნახე შენი თვალების ტეხა! — ყვირის ჯანსუღი.

— სად მოვშორდე, ყველგან ცეცხლია!

— სათვალე გიკეთე...

— მაშინ გვირაბში ვეღარაფერს ვხედავ და წარამარა ვედები რაღაცას.

ლურჯი ციალი რამდენიმე წამს ცახცახებს. მერე სიკაშკაშეს შეჩვეული თვალი პაწაწინა ნათურების შუქზე ვეღარაფერს არჩევს.

— ნოდარ, შენი ცვლა ხომ დამთავრდა, რაღას დაბოდიალებ, ბიჭო, აქა?! — ჯავრობს თემი.

ნოდარი ბურტყუნით იმართლებს თავს და სანთლისაგან ჩამოქნილი თითებით ლითონის ფილას დაგვერდებულ საფეხურს ბალიშად უდებს.

— აბა თუ წავიდეს ეს კაცი სახლში! მერე ამისი ცოლი ჩვენ გვეჩხუბება!

— რადა?

— ღამით თვალები რომ სტკივა, ძილში წარამარა ყვირის, მაგრამ ისეა დაქანცული, ვეღარ ფხიზლდებაო, ვზივარ და მთელი ღამე დათლილ კარტოფილებს ვადგე თვალებზეო...

— აღარა ვყვირი, მივეჩვიე, — იღიმება ნოდარი.

„მიეჩვე. ტკივილს კი არა, საქმეს მიეჩვიე. შენც ჩაგითრია გვირაბში. თითებზე ნუკრები გაგიჩინა წერაქვმა და საქმე შეგაყვარა,“ — ფიქრობს თემი და უცებ ხმამაღლა ამბობს:

— ძია სანდრო, რა გვეშველებოდა, საქმე რომ არა ყოფილიყო?

— ეე... ქედი იყოს, თორემ...

— არა, სიტყვაზე, ვთქვათ, საქმე წაგვართვეს, სულ ჩამოგვართვეს?!

— ყველანაირი საქმე?

— ყველანაირი საქმე.

— რანირა ვიქნებით მაშინ? ჩვენი წილი საქმე თუ სხვას დარჩება, ჩვენ მოწმეებად ვიქცევით.

— რის მოწმეებად, საქმისა? — შეეკითხა ჯანსუღი.

— საქმისა კი არა, ცხოვრებისა.

— რათა, ცხოვრება მარტო საქმეა? ვიქეიფებ, ვისეირნებ, წავიკითხავ, თეატრში ვივლი, კინოსა ვნახავ.

— ჰოდა, ეგ კაციც მაგას გეუბნება, ყველაფერში სხვისა ცხოვრების, სხვისა შემოქმედების, სხვისა გაკეთებულის მოწმე გახდები და არა მონაწილეო, — თქვა თემომ.

— იმიტომ გამორბიხარ ხოლმე შეგებულებიდან ერთი კვირით ადრე, რომ აღარავინ მირეკავს, ვგიჟდები, რაკი არავის არაფერში ვჭირდები, ჩემი თავი კაცი აღარ მგონიაო? შენ ისა სთქვი, ადამიანურ ცხოვრებას გადაეჩვიე და ვეღარ შეგიშნოებია, საგარეო კოსტიუმი გეხამუშება.

— აბა ის რაღა ქეიფია, სათქმელი თუ არაფერი გექნება? ჩვენ ხომ საქმითა ვართ, რაცა ვართ. უმისოდ ჩვენ დამტირებელს ორი სიტყვაც ეყოფოდა: იყო და მოკვდაო, — ძია სანდრომ ბეტონსატკეპნი აღრიალა ისევ.

თემოს აღარაფერი უთქვამს, რადგან ამ დროს გვირაბში შემოსული გოგი დაინახა და მისკენ გაემართა.

მანქანაში ორნი ისხდნენ.

— თემო, იცი, რად დაგიბეჭდინა მიქავამ კონიაკთ სავსე ყუთები? — გოგიმ მოსახვევში სიჩქარე გადართო.

— სახლში გაკეთებული კონიაკი შეუზიდიაო ვიღაცას?

— ის ვიღაცა შენა ყოფილხარ თურმე.

— რას ამბობ, ვინა თქვა?! — თემოს სისხლი მოაწვა სახეზე.

— მის ცოლს წამოსცდენია.

თემომ კარგა ხანს ვერ ამოიღო ხმა.

— ეგ-ე როგ-გორ იფიქრეს ჩემზე?

და უცებ ის მუხის კასრი გაახსენდა, მამამისი რვა წელიწადს რომ ელოლიავა, შარშან ორმოციოდე ლიტრა კონიაკი ძლივს დააყენა და შვილს უკლებლივ გამოუგზავნა.

— ს-სხვადასხვა ეტიკეტიან ბოთლებ-

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ში ჩავსხი, ბიჭებს გავაკ-კვირვებ-მეთ-ქი და ნახე?!

— ჩვენ გაუკვირვებლადაც შევვირგეთ. არაფერს გეტყოდი, მაგრამ შენთან რომ ვინმე მოსულიყო შესამოწმებლად, გაგიფდებოდი: თანაც სხვას დავსწარი თქმა, საცემრად უჩემოდ არ წავიდეს-მეთქი.

— ცემა არ შეიძლება, ქალის ენაა გარ-რეული. უნდა შემოწმდეს და მერე ამოენაყ-ყოს ცხვირ-პირი.

— შემოწმება მე მომანდე.

გოგომ თქმოს თვალებში ჩახედა, მაგრამ გამძვინვარებულ სახეს ღიმილი არ გეეკარა.

ცისფერმა ცაილმა უცნაურად დაბრანშული ჩრდილები დაადინა გვარაბის კედელს და იქაურობა ჭინკებისა და ალქაჯების საფგომ-საცხოვრებელს დაამსგავსა.

თქმო საბურავებთან ჩაცუცქულ გოგის მიუახლოვდა.

— ეგ ვიღამ მოიფიქრა, აგრეგატისათვის „ტუ-104"-ის საბურავები დაეყენებინა? — იკითხა გოგომ.

— გაჭირვებამ. ზედ რომ ორმოცი ტონა ტვირთი შედგებოდა, ჩვეულებრივი საბურავი რამდენი დასჭირდებოდა?

გოგი ფეხზე წამოდგა.

— შენ პაპი კიგი გაგიგია? — ისე მოულოდნელად შეეკითხა თქმო, თითქოს შეეშინდა, გოგის არ მოესწრო ხმის ამოღება.

გოგის გაეღიმა.

— შენ კიდევ არ მოიშალე ლათინურობია? კიდევ კარგი, ბეგრი არ იცი, თორემ ხომ ვეღარაფერს გაგეგებინებდი...

— პაპი კიგზე ამბობდნენ, — პატარაში დიდი და დიდში პატარაო, რადგან მცირე საქმეებს დიდ ყურადღებას უთმობდა და დიდში ეჭედებოდა, თურმე. ამოდენა საქმეს ვეჭიდებით, ღიმს ყურადღების მისაქცევად ვიღაცის უნამუსობა?

გოგომ იმდაგვანდელივით ჩახედა თვალებში და ხმამაღლა გაიცინა:

— მეც მაგის სათქმელად მოვედი, ყველაფერი დავაზუსტე, მაგრამ ის კაცი ხელის გასერად არა ღირს-მეთქი.

— თემო, ტელეფონზე გთხოვენ.

— ვინ არის, რა გვინდაო?

— ხვალ იბარებენო აგრეგატს.

— მობრძანდნენ, ბატონო!

აგრეგატის ბიმღებ კომისიას მშენებლობის უფროსი და მინისტრის მოადგილე მოჰყვნენ. ეს პირველი მანქანა იყო, რომელიც თვითონ მშენებლებმა იანგარიშეს, დაპროექტეს და დაამონტაჟეს. გვირაბის უკუთალის დროულად დაბეტონებისათვის მას ;თითქმის გადამწყვეტი მნიშვნელობა ჰქონდა, და ამიტომ ყველა გულშემატკივრობდა.

ვიღაცამ დაიძახა, სამმართველოს სადარბაზოს შუაში აქეს ჩალეწილი, მიხედეთ, სირცხვილიაო. ხელოსანმა ლურსმნის კაკუნი მაშინ დაიწყო, სტუმრების მანქანამ მთავარი გზიდან რომ გადმოუხვია. ტიტე მიქავას სისხლი ყელში მოაწვა. ახლა ერთი დაღრიალება და შეგინება ქვეყანას ერჩია, მაგრამ ამის მაგივრად სახე გაიმეხ და „რა დროს ეგ არის, თქვენონ..." წაისისინა. მერე კარს განიერი ბეჭებით აეფარა.

ჯანსული მოშორებით იდგა და ბიჭებს დასცინოდა, ისე გადაჩვეულხართ ადამიანურ ტანსაცმელს, ვეღარ ჰგუობთ გეხამუშებათო. უცად მიქავა დაინახა და გაშტერდა. ჩამტვრეული შუშის დასაფარად კაცი ნამდვილი ჯვარცმულივით იყო კარზე აკრული, სახეზე საოცარი თავგანწირვა და ქვეყნის სამსახურისათვის მზადყოფნა ეწერა.

„ახლა მაგას ვინმე რომ დაემუქროს, ორლეანელი ქალწულივით ქვემოდან შემოგინოვებთ ცეცხლს ან კახეთის დედოფალივით დაგშანთავთო, ალბათ მაშინაც არ მოშორდება ამ კარს".

მანქანები გახედნილი ცხენებივით შე-

ვ ე ფ ხ ი ა ს ტ ყ ა ო ს ა ნ ი
პ რ ა ნ ი ბ ა ბ ა ნ ი

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ჩერდნენ სამშართველოს სადარბაზოსთან.

მშენებლობის უფროსმა სტუმრები ჯერ ახალი სასადილოს დასათვალიერებლად წაიყვანა.

ტიტე მიქავა მხოლოდ ერთი წამით შეყოყმანდა. მერე საოცარი სისწრაფით მოსწყდა საკუთარი ნებით მიჩენილ სადარაჯოს და სტუმრების შორიახლოს გაჩერდა.

„რა ზუსტად განსაზღვრა მანძილი, რომელიც უფროსებისაგან უნდა აშორებდეს ზრდილობიან და საჭირო თანამშრომელს. ამის სწავლა არ შეიძლება. ეს თანდაყოლილია. ჯერ კიდევ მამისა და პაპის მიერ გამომუშავებული“, — ჯანსუღმა საკუთარი თავი დაიჭირა, თემის აზრებს რომ იმეორებდა, ოღონდ იმასავით ვერ ალაგებდა.

იმ ზუსტად განსაზღვრულ მანძილზე მოწფფესავით ხელებდაშვებული იდგა მიქავა. თავი ოდნავ გვერდზე ჰქონდა გადახრილი. ნერწყვსაც არა ყლაპავდა. სახეზე წეღანდელი თავგანწირვის ნაცვლად ესსაზღვრო მოწიწება და თანაც ნატვრა ეწერა — ოღონდაც რამეში დაჭირებოდათ, ოღონდაც რამით მომსახურებოდა, ოღონდაც რამეში გამოსდგომოდა.

„ნიკოლასა ჰგავს, ყრმა ნიკოლას, ნატაშა როსტოვას ძმას, ომში წასვლის წინ მეფეს სახეში რომ შელიცლიცებდა და მისთვის თავის განწირვის ბედნიერებას ნატრობდა...“ — გაიხსენა ჯანსუღმა.

ერთმა სტუმარმა პაპიროსი ამოიღო ჯიბიდან და ასანთს დაეწყო ძებნა. ტიტე მიქავა მისი სისქისა და წლოვანებისათვის შეუფერებელი სიმარჯვით მოსწყდა ადგილს და ასანთის აღს ვეება ხელები შემოუჩრდილა.

„დაეწვება, ორივე თითი დაუბებრდება, — გაიფიქრა ჯანსუღმა. — ვეღარ გაოქლებს. ახლა გადაადგებს...“

მაგრამ ტიტე მიქავა წარბშეუხრელად იდგა მანამდე, სანამ სტუმარმა პაპიროსი არ გააბოლა და მადლობის ნიშნად თავი არ დაუქანდარა. მერე თავის ადგილზე დაბრუნდა, დამწვარ თითებს სული შეუბერა და ჯიბეს შეაფარა.

„დანიშნულება შეასრულა, მოვალეობა მოიხადა...“ — ჩაქუჩივით ურტყამდა თავში და თანდათან ბოლმა ერეოდა ჯანსუღს.

სტუმრები ბორჯომის დასალევად შეიპატიჟეს. მიქავა შორიახლოს აედევნა. მერე დასაქმებული ბავშვივით გამოიქცა უკან, ვიღაცასთან ძუნძულით მიიჭრა, რაღაცა გადასცა, ისევ გადაირბინა ბეტონის ბილიკი, ჯერ ფანჯარაში შეიხედა, მერე შენობაში შევიდა და აქლოშინებული იმავე მანძილზე და იმავე პოზაში გაქვავდა.

„აი, მაგის ადაპტაცია, — გაიფიქრა ჯანსუღმა. — დაბლა მდგომთათვის სეტყვა და მეხი, ზეკითებისათვის ცხვირსახოცია, სანამ არ სჭირდება კაცს ჯიბეში თუ უდევს არც ახსოვს, ოღონდ თუ დასჭირდა და არ აღმოაჩნდა, ნერვიულობს“.

და ბოლოს, როცა მანქანების მწკრივი გვირაბისაკენ დაიძრა, ტიტე მიქავამ დაცვარული შუბლი ცხვირსახოცით შეიმშრალა და ისე შვებით ამოისუნთქა, გული ამოაყოლა ლამის. ჯანსუღმა აცახცახებულ ხელზე შეხედა და უცებ გულწრფელად შეებრალა ეს ვეება კაცი, რომელიც, რამდენსაც არ უნდა ცდილიყო, ადამიანად, თავისუფალი სულის ადამიანად ვერასოდეს იგრძნობდა თავს.

„ეგეც შენი მანქანა, შენი ავარკაი, შენი ტკბილი ცხოვრება, — გაიფიქრა ჯანსუღმა და ისე გადაადაფურთხა, ძირმწარე სდებოდა თითქოს. — ეს ოხერი ცხოვრება ტყუილად არავის არაფერს აძლევს. ზოგი შრომასა ხარჯავს და ზოგი თავმოყვარეობას...“

გვირაბში უჩაჩქანოდ შევიდა. პროექტორებს იქაურობა ისე გაეჩირაღდნებინა, აღარ იცნობდა.

— ისევ ტელევიზიაა? — ჰკითხა ვიღაცას.

— ისევ.

ვეება კრაზი აგრეგატზე შედგომას აპირებდა. ირგვლივ უამრავ ხალხს მოეყარა თავი. ჯანსუღმა თვალებით

ეროვნული
ბიბლიოთეკა

თემო მონახა — მანქანის გვერდით ჩაცუდქული დაფარდებულ ფეხს შესცქეროდა.

„ეშინია! შიში სახეს უგრძელებს ხოლმე. გუშინ ამაზე მძიმე ტყვრთით გამოსცადა და დღეს მაინც ეშინია, ის ფეხი არ ჩაიღუნოსო“.

თემოს გოგი, ეჩა, პაატა, ძია სანდრო მთელი უბანი უკან ამოსდგომოდა. კომისიის ხალხი ცალკე შეკგუფულიყო.

„კრაზი“ მაღლა ავიდა. ქოთქოთი შეწყვიტა, ძარა ასწია, ოცი ტონა ბეტონი ჩქარი ჩაცალა ავრეგატს ვარცლში და საქმემოთავებული კაცივით დინჯად ჩამოვიდა, ახლა თქვენ იცით და თქვენმა ვაჟკაცობამ.

თემო წამოიმართა.

ერთი წამით ისეთი სიჩუმე ჩამოვარდა, წყლის წვეთების წკაპანი გაიგონა ყველამ.

თემომ მანქანას უკანიდან შემოუარა და ხელით ანიშნა, ასწიეთო. პაატა ბერკეტს მივარდა. ბეტონი კუზივით ამოიზიდა შუაში. მერე ვარცლი ორად გაიყო და ნელ-ნელა დაფარდდა. თემოს ჯერ კისერი დაუგრძელდა, მერე ფეხის წვერებზე შედგა. ორი დგუში გედის ყელივით მაღლა-მაღლა მიიწევდა და ორადქცეულ ძარას გასახსნელი ხიდივით აშორებდა ერთმანეთს. ბეტონის მეწყვერმა შეუმჩნეველად დაიწყო ცოცვა: ორი ძარა ერთდროულად და ერთნაირად ცდილობდა გავერტიკალებას. ბეტონნი დევეებისათვის მოზელილ ცოს ჰგავდა. ისე ეკვროდა ვარცლებს, მოშორება ენანებოდა თითქოს. თემო კუთხოგანებისაგან შეკრულ ყუთზე ავიდა.

„ახლა თვალწინ დანა რომ აუელვარო, იმასაც ვერ შეამჩნევეს, — გაიფიქრა ჯანსუღმა. — თვალსაც არ ახამხამებს, თითქოს აგრეგატს ამით შეეშლება ხელი“.

ბეტონმა მოულოდნელად იხუვლა. ჯერ ძირი გამოეცალა, მერე ზევიდან წამოვიდა და ფოლადის ფურცლოვან ყელიბსა და კლდეს შორის ჩაიცალა.

— „უუხ!“ — აღმოხდა თემოს.

— „უუხ!“ — ერთხმად გაიმეორა მთელმა უბანმა.

— „უუხ!“ დაბუტბუტა მაღალმა თალმა.

„უუხ!“ — თავისიანებს გასცინა ჯანსუღმა. — უშნოები, მაგალ „უუხ“ კი არა, ვაშა უნდოდა!“ — მაგრამ ვერც თვითონ გაბედა ვაშას დაძახება.

სამი ხელი ერთად მისწვდა ნიჩაბს. ძარას ჩამოსაწმენდად. ძია სანდრომ დაასწრო ყველას. გახარებული მშენებლობის უფროსი თემისაკენ წამოვიდა. თემო კუთხოვანების ყუთიდან ჩამოხტა. უფროსს მარჯვენა ხელი აუწია, შორიდან გაუღიმა, მერე ძია სანდროსაკენ შემობრუნდა, ნიჩაბი გამოსტაცა, ვიღაცას მიაჩეჩა, თვითონ მკლავები გააშლევინა და გადაეხვია.

მშენებლობის უფროსი ბიჭებს კოცნით ულოცავდა გამარჯვების, კომისიის წევრები ხელს ართმევდნენ ყველას. ვიღაცა ძია სანდროს სახელოზე ექაჩებოდა, სიმღერა წამოიწყო. ძია სანდრო ლუღლუღით უარობდა და ხელის ზურგით იწმენდდა გადმოგორებულ კურცხალს.

ორი ძარა ნელ-ნელა ეშვებოდა ერთმანეთთან შესატყუპებლად. ბეტონსატკეპნებს ერთი გუგუნი და ვაიუშველებელი გაჰქონდათ ყალიბს გადადმა.

ჯანსუღი მოჯადოებულივით შესცქეროდა აგრეგატს.

„რა ხანმოკლეა ეს ოხერი სიხარული... ახლა ყოველ მათგანს თავი ღმერთი ჰგონია, იმან თუ ქვეყნიერება შექმნა, ჩვენ — აგრეგატო. ხვალ კი ამ ძარების აწევ-დაწევა ჩვეულებრივ ამბად გადაიქცევა და აღარავის აალელვებს... არადა, ლამის ნახეევარი წელი შევალიეთ მაგის მონტაჟს...“

გვირაბგარეთ მზეს ბროწეულისფრად გაეღიტებინა ცის დასალერი. თვითონ ფეხს ითრევდა, ჩასვლას აგვიანებდა. თითქოს იცოდა, მიწისქვეშეთიდან გამოსულ კაცს მისი ხილვა ხელახლა დაბადებასავით რომ გაახარებდა.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ჯემალ ქირია

ფარული ცეცხლი

რომანი

საფლავნი მამათა

მთელი წინა ღამე ტატოს არ ეძინა. რამდენჯერაც სცადა დაძინება, იმდენჯერვე სიტყვათა ლეგიონი დაესეოდა და ძილს უტეხდა. სიტყვები ჯერ დანაწევრებულიყო, ქოსურად ირეოდნენ, თითქოს ყოველ მათგანს მართლაც და დამოუკიდებლად შეეძლო არსებობა. არსებობდა სიტყვა „პური“, „წყალი“, „ჰაერი“, არსებობდა „სიყვარული“, „ტყვია“, „სიკვდილი“, „მზია“... ვინ ჩამოთვლის, რამდენი სიტყვა არსებობდა და ყველას ცალკე ცხოვრება ეწყადა.

ტატო იტანჯებოდა, ლამის თავი უსკდებოდა. სინათლეს აჭრობდა. თვალს მაგრად ხუჭავდა. სიტყვები მაინც არ აძლევდნენ საშველს და მირიადი მწერივით ყურებში ჩაეუნებდნენ.

ხანდახან მშვიდდებოდა. ტყვედ ნებდებოდა შემოსეულ მტერს. მაშინ სიტყვები ლაგდებოდა აწყარებად და სტროფებად, ოღონდ ისე სუსტი ძაფებით იყო ერთმანეთს მიბმული, რომ ლოგინიდან მაგიდამდე ველარ მიჰქონდა, კალამს ხელში აიღებდა თუ არა, უმალვე ტანჯვით მოპოვებული წესრიგი ირღვეოდა... თავს ზევით ძალა არ იყო. კალამს კედელს მიანარცხებდა, რათა მშფოთვარე ძილს მისცემოდა, მაგრამ ესეც შეუძლებელი იყო. ზოგჯერ ახერხებდა სტროფის დაწერას, წამით იმედის ნაპერწყალი მოეცემოდა და კვლავ ქრებოდა. როცა გადაიკითხავდა, ტუჩებს იკვნეტდა, ქაღალდს დაჭმუჭნიდა და იატაკზე მოისვრიდა. იქ უკვე უამრავი დაჭმუჭნილი ქაღალდი ეყარა და ტატო ცდილობდა არ მიეხედა იქითკენ იმ კაცივით, ვინც თვალს არიდებს სასაფლაოს, სადაც ახლახან მიაბარა საყვარელი ადამიანი.

ასე შემოათენდა.

გარიყრაკზე ცივი ყავა დალია და ვაკის პარკში წავიდა.

აქ სეირნობდა მოჟუჟუჟუე კასკადის პირას. წყლის მუსიკა აფრთხობდა მტრადქცეულ სიტყვას. სუფთა და გრილი ჰაერი სულს უმშვიდებდა, უწმენდდა.

მერე ნარიყალას მხრიდან მზე ამოვი-

გაგრძელება. დასაწყისი იხ. „ცისკარი“ № 3.

ეროვნული ბიბლიოთეკა

და. ტატო საგანგებოდ აცოცდა მთის ფერდობზე, რათა მზის ამოსვლის სასწაულისათვის ეცქირა. თბილისის სახურავებს ღილის ჯანღი ადგა და მზესაც თითქოს თხელი პირბადე აეფარებინა. სხივები უგზო-უკვლოდ მიმოიფანტა, გამორჩეულად ანათებდა კრამიტებსა და თუნუქის სახურავებს, რომლებიც წითლად ღვიოდნენ ანდა ალუმინისფრად დუღდნენ და საშიშიც იყო, რომ არ ჩამოდვენთნილიყვნენ.

ქართლის დედაც ვერცხლისფრად ბრწყინავდა ამ დროს. თვალსა ტკენდა, როგორც სარკეში მობარჩხალე მზე. ტატოს მოეჩვენა, რომ მდუღარე ვერცხლი იღვრებოდა თასიდან, რომელსაც ქართლის დედა მოკეთეებს უწვდიდა.

მზის სხივები მთაწმინდის მთელ ფერდობს დაჰყვა, უამრავი ხაზებით დაალიანდგა, ათინათები კი, რომლებიც ფარაცხელ მინაზე ირეკლებოდა, ჩრდილოვან კალთებს შესეოდა თეთრი ბაცაცებივით.

პარკში, სადაც ბუჩქებს შერჩენილი ბინდი კვამლივით იცრიცებოდა, ბულბული გალობდა. ჭაბუკს თვალზე ცრემლი მოადგა, რადგან ერთი ბეწო მაფშალია მღერიდა თავის სიმღერას, თვითონ კი ვერა.

კასკადის პირას, ტირიფქვეშ ძელზე ჩამოჯდა.

„უნდა იცხოვრო, უნდა თვითონვე გადაიტანო ყოველივე...“ — ფიქრობდა. რა უნდა გადაიტანა? სხვანაირად როგორ ეცხოვრა? მრჩეველი არავინა ჰყავდა, მის გარდა არც არავის უნდა სცოდნოდა პასუხი ამ კითხვაზე.

ფიქრით დაუბრუნდა ბინის კედელზე ჩამოკიდებულ მამის სურათს, რომელიც ყოველ დილას, ყოველ საათსა და წუთს ახსენებდა მთავარ მოვალეობას.

„საყოველთაო სიმღერა თავისუფლებისა“ — ასე წაწერა თავის უმთავრეს ლექსს, არც კი ახსოვდა როდის, ალბათ მაშინ, როცა პირველად ჩამოჰკიდა მამის სურათი კედელზე, ჩე გევარას სურათის გვერდით... ეს იყო და ეს. სტროფი სტროფს მისდევდა, მაგრამ არ იყო ის „საყოველთაო სიმღერა“, რომლის გამო იწვოდა. უკვე არც სჯეროდა, თუ ოდესმე დაიწერებოდა იგი, გული ეტყდებოდა, მაინც ჯიუტად უბრუნდებოდა ერთსა და იმავეს, ეწამებოდა...

მუხლებს იდაყვებით დაეყრდნო, თვალები დახუჭა. ქუთუთოებქვეშ კვლავ სიტყვათა ქაოსი ურიალებდა, რომელიც ხანდახან თუ ლაგდებოდა უღიმღამო, გაცრეცილ, ხმარებისაგან ფერადაკარგულ ფრაზად და ტატო დაუნდობლად უკუაგდებდა მას.

ასე იჯდა და ფიქრობდა, ფიქრში ესაუბრებოდა კედელზე ჩამოკიდებულ მამის სურათს, მერე მზიას, მერე ისევ მამას... და სიტყვათა ქაოსში იძირებოდა.

წყლის თანაბარი ჩხრიალი ჩაესმოდა. გონებაში ბინდი შემოდიოდა. აზრი სუსტდებოდა, მოწყვეტოდა ამქვეყნიურ რეალობას და სადღაც ტკბილი ზმანების სამეფოში გადადიოდა. წყლის ჩვეული ჩხრიალი თანდათან მოშორდა სმენას. მის ადგილს სხვა ხმა იკავებდა — მდელოებში ჩაკარგული ნაკადულის წკანწკარი, რომელიც ასე ჰგავდა შორს მყოფი ადამიანების უთავბოლო ჩურჩულს... მერმე ხმა მომძღავრდა... ეს უკვე ხმები იყო... ბრბოის ყაყანი ედგა ყურში...

ტატომ თავი აიღო და თვალს არ დაუჯერა... ადგილი ვერ იცნო...

●

ადგილი მართლაც არასოდეს ენახა... ზურგს უკან მთა ალბათ მამადავითი იქნებოდა, თუმცა მის კალთებზე ეგოდენ დაბურული, ბებერი ტყე არ ეგულებოდა. მზე საიდანაც ამოდიოდა, ციხის შორეული გალავნები და ქონგურები მოჩანდა... იქ ნარიყალა უნდა ყოფილიყო... ერთმანეთზე მიხუხულავებულ ქოხთა რიგებს კვამლის სქელი ფენა ადგა და აქაოქ მოგიზგიზე ხანძარი ლოკავდა კედლებს. ირსად ჩანდა მრავალ-

ზაზიგალ ჭირია
ბარაღი ბეიდარი

სართულიანი სახლები, ასფალტირებული ქუჩები, არ ისმოდა მანქანების უწყვეტი გუგუნი, ყველაზე მშვიდ და მოფარებულ ადგილას რომ აღწევს ხოლმე. ეს თუ თბილისი იყო, თავის თავს არ ჰგავდა.

ტატო შემაღლებულზე იჯდა. ირგვლივ ველური ბუჩქნარი ეხვია. არსად იყო ეგომეტრიული სიზუსტით გამოთლილი გრანიტის კასკადი. მხოლოდ სუსტი ნაკადული უხუმრად იწრიტებოდა მაღალ ბალახში.

ბუჩქებს გადაღმა მოისმოდა ბრბოის ყაყანი, ზანზალაკების წკარუნი, ტატოსათვის უცნობი ცხოველის ბღავილი, ცხენთა ჭიხვინი და თქრიალი... ხეთა კენწეროებს მტვერი ადიოდა ბოლქვებად.

როცა წამოიწია, იგრძნო, უთვალთვალებდნენ. შემტრიალდა შემკრთალი. აქლემის კოზაკს თავი გამოეყო ბუჩქიდან და გულგრილად ლოღნიდა ნარეკალს.

ტატო ფრთხილად გაძვრა და ჩრდილში დამალულმა გაიხედა. თავი სიზმარში ეგონა, ხელზე იკბინა, მაგრამ ამით არაფერი შეცვლილა.

გათელილ მინდორზე უცხო მხრიდან ჩამოსულ ქარავანს დაეცა ბანაკი. აქლემებს დიდ წრედ ჩაემუხლათ. უამრავი ძმიმედ დატვირთული სახედარი ეყენათ ჯგუფ-ჯგუფად. შუაში კოცონები ენთო. მოკვეთილი ცხვრების თავები და შიგნეულობა მტვერში აზიხულიყო. ძაღლების ხროვა ზედ ეხვეოდა ყეფა-წკმუტუნითა და ალიაქოთით. იქვე ჭრელ, ალმასავლურ ხალათებში ჩაცმული კაცები ისხდნენ და ჯერაც უმ ხორცს თქვლეფა-თქვლეფით მიირთმევდნენ. ყველაფერ ამას ცერისტოლა ბუზი ეხვეოდა და ჰაერში გულისამრევი სიმყარალე ტრიალებდა.

ბანაკს ირგვლივ ხმლებითა და შუბებით შეიარაღებული მებრძოლები ყარაულობდნენ, პანღურით ერეკებოდნენ თავზე ხელაღებულ მათხოვარ ბავშვებს, რომლებიც მექარავეებს პირიდან სტაცებდნენ გამოხრულ ძვლებს.

უყურებდა ყოველივე ამას ტატო და საგონებელში ჩავარდნილიყო.

კინოგადაღებაოო, ჰუმმანით გაიფიქრა, თუმცა არსად იყო გადასაღები ტექნიკა, არ ენთო პროექტორები, არ დარბოდნენ რეჟისორი და მისი ასისტენტები.

ორიოდე ნაბიჯზე ტოტმა გაიფაჩუნა. წყალი თვალი შემოაქერდა ყურადღებით. ჩამძონძილი ბიჭი იყო.

— ქართველი ხარ? — ჰკითხა ჩურჩულით ტატომ.

ბიჭმა თავი დაუქნია.

— რა გქვია?

— გიორგი.

— ესენი ვინ არიან?

— არა ვიცი.

— სკოლაში არ დადიხარ?

ბიჭმა წამწამები აიფახულა.

— არცა უწყი, რასა-ეგე შენ იტყვ.

ტატო შეყოვნდა, ეჭვით შეათვალიერა, ხომ არ დამცინისო.

— ეს ქალაქი თბილისი არ არის?

— ჰაბა? — ბიჭმა თავი ბუჩქში გაყო, ქარავანი და მისი დაცვა შეათვალიერა, ჩურჩულით მიუბრუნდა ტატოს, — ფრთხილ იყავ... უშჯულონი მოგვეჯდეს ქალაქსა ზედა, რამეთუ ინება უფალმან მოწყუედაჲ ჩუენი.

შემდგომ დაიხარა და გაუჩინარდა, თან ხმადაბალა დაუგდო:

— გფარვიდეს უფალი...

— ნახვამდის, — მიადევნა ტატომ.

არ იცოდა რა ეკეთებინა. ყოყმანის შემდეგ გადაწყვიტა, ქარავნისათვის თავი აერიდებინა და ქალაქისაკენ ტყეტყე გასწია.

საკმაოდ სწრაფად მიდიოდა. საათი არ ჰქონდა. არ იცოდა, რამდენი დრო გავიდა. იქ, სადაც ვაკის უბნები ეგულებოდა, ახლა ასწლოვანი უორანი ტყეები იყო, რომელსაც აქა-იქ ჰკვეთდა საურმე თუ საქარავნე გზები და ბილიკები. რაც უფრო წინ მიიწევდა, მით უფრო მეჩხერდებოდა ტყე და ბოლოს ნახნავძოალზე გავიდა. ფოთლები აესხიპა აღს, ჩანახშირებულ ხეებს შავი ტოტები აეჩხირა. ალაგ-ალაგ ჯერ კიდევ ბო-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლავდა და ჰაერში მშვარტლი და ფერფლი ტრიალებდა.

ნახანძრალის გაღმა ქალაქის გალავანი იგრაგნებოდა მთის კალთებიდან ვიდრე მტკვარამდე და ალბათ მის გაღმაც. ძლიერი გოდოლები შეემესრა, ზღუდეები მოერღვია შემოსეულ მტერს. ზოგან ჯერ კიდევ ეყარა ბანცილთა გვამები და ქალაქის თავზე ყვავ-ყორანთა შავი ლაშქარი იდგოდა.

ტატო ხეს ამოეფარა. გაშლილი მიდამო მოფენილი იყო მოხრილი ხმლებითა და გრძელი შუბებით შეიარაღებული მეომრებით. ასეთი ხალხი არც ენახა ოდეს. ელდანაცემი მთლად მზერაღ გადაიქცა: „თუალითა მცირე ჭურიტ და გრემან, განზიდულ და საჩინო; თავითა ტიდ, თმითა შავ და ჭშირ, შუბლ-ბრტყელ, ცხვრითა მდაბალ ესოდენ, რომელ ღაწუნი უმაღლეს იყვნიან ცხვრთა და მცირედნი ოდენ ნესტუნ ჩნდიან ცხვირთა; ბაგენი მცირე, კბილნი შეწყობილნი და სპეტაკ, ყოვლად უწუერული, ესევითარი აქუნდათ უმსგავსო სახე...“

ტატომ შეუმჩნევლად დაიხია, მდინარისაკენ დაეშვა ფრთხილად. არ უნდოდა მტრის მეომრებს შეჰფეთებოდა. ხანდახან გაიხედავდა ხეს ან ბუჩქს ამოფარებული. ყველგან მტერი იყო, კალიასავით შესეოდა მიდამოს. იდგა ერთი ყაყანი და ალიაქოთი. წაღმა-უკუღმა დაეჭროლებდნენ ცხენებს, დაათრევდნენ ნაალაფარს, უბელო ცხენზე გადაგდებულ ხელფეხშეკრულ დიაცთ, იყორავდნენ შუცლებს, ცხვირ-პირს უნაყავდნენ ერთმანეთს, ვინებს უხსნიდნენ ცხენებს და სისხლს ეწფეფებოდნენ: გამარჯვებით დამთვრალნი, თავებს აჭრიდნენ ტყვეებს, ეყარნენ და ხვრინავდნენ... ტატოს კი გული უქვავდებოდა, ზიზღი და სიძულვილი უპირებდა დახრობას.

მდინარის დუდუნი შემოესმა, მტკვარი შეეღება სისხლს, გვამები მოჰქონდა... თვალი აარიდა. შარაზე გავიდა.

გზა ქალაქს ბუეში შედიოდა. ბუეც მოერღვია მტერსა და ქამს. უზარმაზარი კარი ეგდო პირდაპირ გზის პირზე.

შესასვლელთან უამრავი შეიარაღებული მეომარი იდგოდა და ტატო შეყოვნდა.

ცხენთა თქარუნი მოესმა. შარაზე მტვერი ავარდა. თეთრ ცხენზე ბრგე ვაჟკაცი იჯდა. ჯაჭვის პერანგი ეცვა, ოღონდ არც ხმალი ჰქონდა, არც ხანჯალი, არც შუბი. მარცხენა სადავისათვის ჩაევლო და ცხენი ნებაზე მიეშვა, მარჯვენაში მათრახი ეჭირა.

შეაძრწუნა ტატო ვაჟკაცის ხელებმა. დაუოკებელი, შეგუებებული ძალა იგრძნობოდა მათში და, ამასთან ერთად, სასოწარკვეთა, უსუსურობა, თითქოს უხილავი ჯაჭვებით შეეკრათ ისინი... ახლა სახეს დააკვირდა ვაჟკაცისას, ოღონდ თავი დაეხარა ვაჟკაცს, ფაფარი ჩამშლოდა, წვერი მკერდზე სცემდა. მის გამომეტყველებაში აშკარა უნუგეშობა იგრძნობოდა.

ცხენებზე ამხედრებული ხმლებლები მიპყვებოდნენ ფეხდაფეხ, მასზე უფრო მდიდრულად ჩაცმულნი. ისინიც მგლოვიარეებივით სახედაღვრემილნი იყვნენ, თითქოს სასიკვდილოდ მიაცილებდნენ თავიანთ უფალსა და პატრონს.

უცბად გადაწყვიტა ტატომ. გამოვარდა სამალავიდან და ხმლებლებში შეერია. ორ ცხენოსანს შორის გარბოდა, თან უზანგებისათვის ჩაევლო ხელი. ხმლებლებს არც ორაფერი გაჰკვირვებიათ, არც ხმა ამოუღიათ... ასე უნდა გადაელახა ბეე, თუმცა არ იცოდა, რა მოელოდა იქ, მისთვის ახლობელ, მაგრამ ახლა სრულიად უცნობ ქალაქში.

კარიბჭეს რომ გაუსწორდნენ, ორივე მხრიდან მეცხოვნენი გამოცვივდნენ. გზა გადაუჭრეს მგზავრებს. ერთმა, ჩანდა, წინამძღოლი იყო, სადავეს ხელი უტაცა თეთრცხენოსანს. არატრატდა თავს გაუგებარ, უცხო, ქვეშისა და და უდაბნოს სიცხით გაუხეშებულ ენაზე.

ჯემალ ქირია
მარადი მხედარი

ტატო გაირინდა, ვაქაცის ხელს მიაშტერდა. ხელი ატოკდა, ძარღვები დაებერა, მათრახმა ოდნავ აიწია, თითქოს უნდოდა მათრახით გადაესხია თავხელი, მაგრამ საკუთარი უღონობით გულშეპირვებულს მკლავი მოკრილივით ჩამოეკიდა...

ჯიქურ ჩამოხდა ცხენიდან ჭაბუკი მხლებელთაგანი, ხელი მაჯაზე უტაცა მტერს, დასჭყივლა:

— გზა მიეც, ნონის სტუმარ არს!

დაიღრიჯა უსჯულო, გველის მზერა დამალა წამწამებს მიღმა. ხელი უშვა სადავეს და დაიხია...

●

კარიბჭეს გასცდა თუ არა, მხედრებს ჩამოსცილდა... ნიავი უბერავდა და შავი, ზოზინა კვამლი ეფინებოდა ქალაქს. ჩანახშირებული სახლები, მკვდარი უბნები, მორღვეული ბალავრები... სასახლეთა და ციხეთა სქელ კედლებსღა ვერ შეწვდომოდა ხანძარი. მძარცველთა ხელი ეტყობოდა ყოველივეს... უგზო-უკელოდ დაბორიალებდა ტატო ნგრეულ ქალაქში, ერიდებოდა მტრის მეომრებს, ვიწრო შუკათა ლაბირინთებს მისცა თავი. ზოგი უბანი დაენდო ცეცხლს. იქ პატარა, ჭუჭყიანი სახლები ერთმანეთზე მიხორხლილიყო, ბანი ბანისათვის შეეერთებინა, კიბე კიბეს ებმებოდა, შუკები კი ეგზომ ვიწრო იყო, კაცი სახედარს ვერ ჩაუვლიდა გვერდით.

იშვიათ გამველს წაწყდებოდა ზოგჯერ. დამფრთხალ მზერას შეავლებდნენ ტატოს, კედელს აეკრობოდნენ, სანამ არ ჩაივლიდა. ჯერ უკვირდა, ვერ გაეგო შიშის მიზეზი. მერე მიხვდა. ჯინსსა და თეთრ პერანგში ჩაცმული უცნაურად გამოიყურებოდა ამ უბედურ ქალაქში.

მერმე ცენტრს მიაღწია. უამრავი ქარავასლა და ბაზარი გადაბმოდა ერთმანეთს. ხალხიც მომრავლდა. ქართული არ ისმოდა, თორემ სამყაროს ყველა ენას გაიგონებდა კაცი. ტატოც უცხოელი ჩანდა და არავინ აქცევდა ყურადღებას.

მოედანზე მეომარი ვინმე შედგა. ზუჩი მოიხადა, რათა ოფლი მოეწმინდა. თავი ასწია. გაიშხუილა ჰაერში ისარმა და შიგ ყანყრატონი ჩაეშვიდა. მეომარი შეტორტმანდა, პირიდან სისხლი წასდა და ქვაფენილზე დაეხეთქა.

მომიჯნავე შუკებიდან უსჯულონი გამოცვივდნენ, შემოეწყვნენ სახლს, საიდანაც ისარი გამოფრინდა, ცეცხლი შეუნთეს. ცოფსა ჰყრიდნენ, ყაყანებდნენ. ქვები და მაშხალები დაუშინეს კარებსა და სარკმლებს.

სახურავზე პატარა ბიჭი გამოჩნდა. მშვილდი ეჭირა ერთ ხელში, მეორეში კი ტარმოცლილი თეთრი დროშა, რომელზეც წმინდა გიორგი იყო გამოსახული.

მისი სითამამით გაოცებული ბრბო თანდათან დაცხრა, გაყუჩდა... ხანძარი ძლიერდებოდა და ალი ბუბუნით შედგომოდა სახლის კედლებს.

ბიჭმა მშვილდი გადადო, გადმოიხედა.

სახლის წინ, მოედანზე შუბების ტყე იდგა.

ბიჭმა პირჯვარი გამოისახა, თეთრი ალმი ტანზე შემოიხვია და გადმოხტა...

ტატომ თვალი დახუჭა, ხელზე იკბინა. ესმოდა ბრბოს ღრიანცელი და ყიჟინი. იცოდა, რომ შუბებზე წამოგებულ მსხვერპლს დაათრევდნენ ქუჩა-ქუჩა, გარნა არ შეეძლო ჩარევა, რადგან ყოველივე დიდი ხნის წინათ მოხდა.

ქვის კედელთან ჩაიმუხლა და ასე იჯდა, სანამ ყველაფრისადმი გულგრილმა მზერამ თავის მარადიულ გზაზე არ გადაიწია...

მაშინ წამოდგა და ქვა აიტაცა, უბეში დამალა. დადიოდა შუკიდან შუკაში, შურისძიებას ეძებდა. მტერი ყოველ ნაბიჯზე ხვდებოდა. ცივ ქვას ხელს რომ მოჰკიდებდა, ხორცი ხორცთაგანი, ადამიანი იდგა მის წინ და ხელი აუთრთოლებდოდა. როცა გაეცალებოდა, მაშინ ისევ და ისევ ახსენდებოდა შუბებზე წამოგებული ბიჭი და სული ეხუთებოდა.

ერთგან კივილი შემოესმა. ფეხმოკლე, ბრტყელპირა უსჯულოს ათიოდე წლის გოგო ჩაებღუჯა და ცხენისაკენ მიათრევდა. გოგო კიოდა, ქრისტეს სახელით შველას ითხოვდა, ირგვლივ გადმოპუურე ივნები კი დუმდნენ.

სისხლი თავში აუვარდა ტატოს, უბეში ჩამალული ქვა მოსინჯა. მიეხდა მოძალადეს და კეფაში დურთა. უსჯულო არ წაქცეულა, ერთ ადგილას ბანცალებდა მთვრალივით, ვერ მიმხვდარიყო, რა დაემართა.

გოგონას ხმა ჩაუწყდა, კედელს აკრული ცახცახებდა და უზომო შიშით სავსე თვალები მიეპყრო მოძალადისათვის.

ტატოც ერთ ადგილას გახევდა. ზიზღს შეეპყრო, ამ ქვის მიმართ, ამ უცხო მოძხდურის მიმართ, ამ უბედური ქალაქის მიმართ, საკუთარი თავის მიმართ.

ვიღაცამ მკლავზე სტაცა ხელი და მოჰქაჩა.

— ივლტოდე! — ჩასჩურჩულა და ახლო შუკისაკენ გაითრია. ტატო გაუძალიანდა, მაგრამ თვითონაც შიში მოაწვა და გაიქცა. მხსნელიც გვერდიგვერდ მიჰყვებოდა. უკან კვლავ ისმოდა კივილი, ტატოს ჩარეკას უკვე არ შეეძლო რაიმეს შეცვლა.

რამდენიმე უბანი გაირბინეს და წყაროსთან სული მოითქვეს.

— გიორგი, შენა?

პატარა ბიშმა თეთრი კბილები გამოაჩინა.

— ეგრე მოგკვლიან, უმჯობესს არს, იმალვიდე... — თქვა და თავი გააქნია, — ღმერთმან ქმნას, ქალსა მას ნურა ევნების...

— რას უზამენ? მოკლავენ?

ბიშმა მხრები აიჩეჩა.

— ნეტამც მომეკლა ის ტიალი, — სიძულვილი მოაწვა ტატოს. აქამდე არ იცნობდა ამ გრძნობას, მაგრამ ბოროტებას წილ სიყვარული არ შეეძლო.

საით წასულიყო? რა ეკეთებინა?

აქ სადღაც უნდა ყოფილიყო სრა-სასხლეინი თამარისი და ლაშასი, პალატნი რუსუდანისა... სად ცხოვრობენ ბრწყინვალე დიდებულები და მხედართმთავრები, მეცნიერნი და მოშაირენი, სად იყვნენ მამაცნი რაინდნი და ველად გაჭრილი მიჯნური, მდიდარი სოვდაგრები და განსწავლული ოქროსმჭედლები... სად ინახებოდა საჭურჭელნი, წიგნნი, სტავრა... სად?.. სად?..

გუმბათამორღვეული სიონი იცნო, გულდათუთქული განშორდა. მეტეხის პლატოზე ყვამლის სვეტში ვერაფერი გაარჩია. მრავალი დღე და ღამე გავიდა, სასახლეები კი იწვის და იწვის... ის, რაც ასეული წლები კეთდებოდა, ნადგურდება და ქრება პირისაგან მიწისა...

პატარა ბიშე ყველგან დასდევდა ფეხდაფეხ. არაფერს ეუბნებოდა, მაგრამ უცხო თვალს არიდებდა, დროზე მალავდა დანახშირებულ ნანგრევებში.

ასე გადაჭრეს მთელი ქალაქი და აღმოსავლეთის კარიბჭეს მიაღწიეს.

აქ შეისვენა.

განადგურებული ქალაქის დიდი ნაწილი გართხმულიყო ფერხთით. ნიავს მოჰქონდა ჭვარტლი და ზურნის ჭყვიტნი. ნანგრევებში მათხოვრები იქექებოდნენ.

ვიღაცას ნახანძრალში ქოთანი ჩაედგა, სალაფავს იხარშავდა. შორიახლო ფეხებგაფშეკილი ცხენები ეყარა და ყვავ-ყორნები ესეოდა ყრანტალით. ბიშმა ქვა მოუქნია, მათ კი ყურადღებაც არ მიაქციეს, განაგრძეს თავისი ნადიმი.

მხოლოდ ნარიყალას ზღუდეები გადმოსცქეროდნენ ზევიდან. ეს იყო მოჩვენებითი დიდება, რადგან მის კედლებსაც აჩნდა ხანძრისა და რღვევის კვალი.

ცხენების ფლოქვთა თქარუნი გაიგონა.

კვლავ თეთრცხენოსანი ვაქაკაცი გამოჩნდა, უკან კი ბრწყინვალე ამალა მოჰყვებოდა უხმოდ.

ვაქაკაცს წინანდელზე უფრო მოეხარა მხრები, დავრდომილს დამსგავსებო-

---

ჯემალ ციცია
მარადი მხედარი

და. თითქოს მთელი ქვეყნისა და ქალაქის უბედურება მას აწვა მხრებზე და მიეზიდებოდა.

— ცოტნე, ცოტნე დადიანი! — წამოიძახა გიორგიმ და მუხლებზე დაეცა. **ფეხრფლზე უნებურად წამოიჩოქა ტატომაც.**

თავი დახარა და მხოლოდ ცხენთა ფლოქვებს ხედავდა. მოეკვეთა თეთრი ცხენი, გრძნობდა პატრონის წუხილს, ცდილობდა მის გახალისებას.

გონს მოეგო ტატო, წამოვარდა, მაგრამ გვიანი იყო. ბოლო მხედარი გადოდა უპატრონოდ მიტოვებული კარიბეჭიდან.

— ეჰ, მეც წავყოლოდი ანისს! — ამოიოხრა, — მივიდოდით და ცხელ მოედანზე ჩავჯდებოდით ყვარყვარე ჯაყელთან, სარგის თმოგველთან, შოთა კუპრთან... მშვიდობით, გიორგი, ჩემს გზას უნდა დავადგე!

— გფარვიდეს უფალი ჩუენი, წმინდა გიორგი!

ათიოდე ნაბიჯზე მოიხედა.

— შენ რაღას აპირებ, გიორგი?

ბიჭმა გაიღიმა.

— ამიერ ვიწყო შენებად სახლკაცსა... მერმე ვიზრახო ცოლება ქალისა, ჩემებრ ჯაბუკისა, რამეთუ აღვანთო კერაკანი მამათა...

ესა თქვა და ნახანძრალში გაუჩინარდა.

ტატომ ბეჭე ქალაქისა გაიარა და საქარავნე გზას დაადგა...

●

მის წინ გადამწვარი ველები და გორაკები გადაშლილიყო. ბღუჯა-ბღუჯა ბალახი მიმწკნარიყო გორახ მიწაზე, ნიავიც არ არხევდა. ადამიანის კვალი არსად ჩანდა... დაცხა. მზე სულ ერთ ადგილას ეკიდა და დროის სათვალავი დაჰკარგა...

მაღალი ბორცვიდან გადაიხედა. შეცბა. ლილოჭრილო ეგონა. თეთრი ლაქები ფარავდა მთელ მინდორს. სანამ ქვევით ჩავიდოდა, უკვე მიხვდა, **რომ** მარი ველი იყო, ადამიანთა ძვლებით მოფენილი.

პირველ ჩონჩხთან ჩაიმუხლა. მთლად გაეთეთრებინა მზესა და ქარს. თავის ქალას შემზარავად დაეკრიჭა კბილები. **ზუჩი იქვე ეგდო.** ხმლის ვადაზე ოდესღაც რაღაც წარწერა უნდა ყოფილიყო, ოღონდ ახლა არ იკითხებოდა.

იჯდა ტატო და ფიქრობდა მეომარზე, ვის ჩონჩხსაც მცირე ხნით პატრონობდა. უნდოდა საფლავი გაეთხარა, მაგრამ რომელი ერთისათვის.

სანამ თვალი მიწვდებოდა, ყველგან ჩონჩხები ეყარა და წამით მოეჩვენა, თითქოს სუსტად გმინავდნენ დაღუპულები, ბედს უჩიოდნენ, რადგან ვერ მოიძიეს მშობლიური თბილი საფლავი...

გზა განაგრძო. გადაიარა ვრცელი ველი. მას კიდევ სხვა ველი მისდევდა, იქიდან კი შორს არ იყო სამშობლოს სამანები...

ფლოქვებით გათელილ ბილიკებს წაეწყდა, უამრავი იყო და ყველა ერთ მხარეს მიისწრაფვოდა...

უცბად ზურგს უკან თქარუნი მოესმა, განზე გახტა.

ცხენოსნები მოიჩქაროდნენ. სამი ასეული მეომარი მოაგელვებდა ცხენებს, მტერის კორიანტელი მისდევდათ კვალზე.

მზეზე ბრწყინავდა თორი და ზუჩი, შუბის წვერები და ხმლები... ჭიხვინებდნენ ურჩი ცხენები...

— სადაურები ხართ, მეომრებო?

— არაგვის პირას დავტოვეთ მამათა კერა და შვილთა აკვნები...

— საითკენ მიიჩქარით?

— მტერი მოსდგომიაო სამშობლოს სამანებს!

ჩამოიქროლეს ცხენოსნებმა, მერმე მიწყდა ფლოქვთა თქრიალი, მტვერი დაეფინა შარას...

ტატოც ბილიკს დაადგა, მისდია...

ცოტა ხანში ზურგიდან კვლავ მოესმა ცხენთა ჭიხვინი, კვლავ გადავიდა ბილიკიდან, მოიხედა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ცხრა მეომარი მოისწრაფვოდა გზაზე. მეწინავეს ჯაღარაშერეული წვერი სცემდა მკერდზე, ბოლოში მომავალს ჯერაც ღინღილი ამოსდიოდა საულვაშეზე.

— ვინა ხართ, მამაცნო?!

— ხეხეულიძეთა გვარისანი ვართ!

— სათი გაგიწყვიათ?

— მტერი მოსდგომიაო სამშობლოს სამანებს!

ამთავიც ჩაიქროლეს და ტატო კვლავ დაადგა გზას.

ისევ ვრცელი მინდორი გამოჩნდა, ჩონჩხებით გადათეთრებული.

მიდიოდა ტატო და უკვე არც სიძულვილსა გრძნობდა, არც სიყვარულს, არც კიცხავდა ვინმეს, არც იბრალებდა, არ იცოდა ვინ იყო დამნაშავე და ვინ უბრალო... ძნელი ყოფილა საგანთა ნამდვილ არსში ჩაწვდომა და ახლა მთელი თავისი პოეზია, გატაცებანი, ოცნებანი ჭიაზეველის უსუსურ ფუსფუსად მიაჩნდა, რომელიც არაფერია ყველაზე ძლიერის — მარადისობის წინაშე...

ველის ბოლოს მიაღწია და სერს შეუდგა...

სერს გაღმა ხმაური მოისმოდა. პირველად ყურადღება არც მიუქცევია. ხმაური გაძლიერდა და ტატო ფიქრებისაგან გამოერკვა.

„ოო-ალა-აა, ოო-ალ-აა!..“ — გაბმულად კიოდა ბრმო და დედამიწას გუგუნი გაჰქონდა ფლოქვთა ცემისაგან.

წამიერ დაავიწყდა ამდენი ხნის ნაფიქრალი მარადისობაზე. არ იცოდა, რა ხდებოდა, მაგრამ ბრძოლის ქიმი შეიპყრო და ფეხს აუჩქარა.

ხმა კი ძლიერდებოდა. მტვრის გიგანტური ბოლქვი დამდგარიყო სერზე. ვიღაცა გაწწირული ხმით იძახდა, მოსთქვამდა... უბრაგუნებდნენ დოლებზე, აკაკანებდნენ ზურნას, ჭიხვინებდნენ ცხენები...

ცხენოსანი ამოიჭრა სერზე. გახვითქული ცხენი დატრიალდა ადგილზე, ფლოქვებით ქვას ამსხვრევდა, პირიდან ცეცხლსა ჰყრიდა... ორბის მზერა მიმოავლო მხედარმა ირგვლივ. მარჯვენით ხმლის ვადა ჩაებღუჯა. ხმალი სისხლი სდიოდა წურწურით და თვითონაც ცხენ-მხედარი სისხლის შხეფებით აჭრელებულიყო.

„ცოტნეა, დადიანი“, — გაიფიქრა ტატომ და ცხენოსანს მიეკრა.

მოხედა მხედარმა. გაიელვეს მისმა ცოცხალმა, ბიზუმმა თვალებმა.

— გიორგი, შენ?! — აღმოხდა ტატოს. მისი ხმა მხედარს არ გაუგონია.

— ჰკა მაგას! — გადასჭექა ველს და ცხენი ადგილს მოსწყვიტა.

სერ გაღმა, ველზე, ორი ჯარი შეყურეულიყო სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლაში და ძნელი იყო მტრისა და მოყვრის გარჩევა.

— ოო-ალა-აა!..

— ვაშა-აა!..

აუელ-დაუელიდა ველს და მხედრიონები ზვირთებივით ასკდებოდნენ ეროვნულნს.

ბოლოს იძლია ჭრელი ბრბო, ჩაღმები გაგორდნენ მიწაზე, ძვირფასი ხალათებით მოიფინა ბრძოლის ველი, ზურგი იბრუნა მტერმა.

— არ გაუშვათ, დაჰკარით!.. — იხუვლა მდევარმა და გამოეკიდა გაქცეულს.

ტატომაც მისდია, ვერ იქნა, ვერ მიეწია.

თანდათან სუსტდებოდა მეომართა ყიჟინა, თანდათან ჩამოწვა მდუმარება ველზე და მაშინღა მოისმა დაჭრილთა და მომაკვდავთა კვნესა-ჩივილი.

შორიახლო შესჭიხვინა ცხენმა. იცნო ტატომ. გიორგის ცხენი დააჭენებდა დახოცილთა შორის. ზოგჯერ შეჩერდებოდა, პატრონს მოიხმობდა და კვლავ გარბოდა დამფრთხალი.

დიდხანს ეძებდა ზედახორად დაყრილ გვამებს შორის.

ბოლოს წაასწყდა. უზარმაზარი ვაჟკაცი ეგდო მდელოზე. მის ირგვლივ აურაცხელი მტერი ეყარა...

ფაროთა მკერდზე ჯაჭვი შეეხია შუბს,

ზეგალ ქერია
ბარალი ბალაბაი

ლავიწები ჩავმსხვრია, გულს მისწვდებოდა, და მაინც დევკაცური სხეული ძალუმად ებღაუჭებოდა სიცოცხლეს.

— გიორგი, ბიჭო, გიორგი! — ჩასძახა სასოწარკვეთილმა.

მკერდზე ყური დაადო, გული ოდნავ ფეთქავდა.

— გიორგი, ბიჭო, მოიხედე, შენი ჭირიმე! — ეხვეწებოდა ტატო და საკუთარი უმწეობა ახრჩობდა.

მუშტისტოოლა თვალები გაახელა გიორგიმ, სანიავებელივით წამწამები შეხსნა, შიგ ბინდი ედგა.

მომაკვდავმა თავის ფიქრს გაუღიმა, წაიჩურჩულა:

— ხომ გავიმარჯვეთ?

— ჰო, გიორგი, შენი ჭირიმე, გავიმარჯვეთ, კუდით ქვა ვასროლინეთ!.. — იმედი მოეცა ტატოს.

— ეჰ, მეგობარო, ხმაზე გცნობ, ჩვენებური ხარ, ოღონდ ამ ქვეყნისა მეაწი არა ვარ...

ტატოს ცრემლი მოადგა და ხმა ჩაუწყდა.

— ნუ ღელავ, მეგობარო, სატირალი რა მჭირს, განა დიაცურად ვკვდები?..

— მისი ხმა ისე ისმოდა, თითქოს ჭაში იყო ჩაგუბებული.

— გიორგი, ბიჭო, ის მაინც მითხარი, ვინა ხარ, შენი ჭირიმე?

— ქართლოსიანთა გვარისა ვარ, მეგობარო... პაპაჩემი ფარნავაზის ყამს დაბადებულა, მწიგნობრისა, მამაჩემი დავითისა და გიორგის დროშის ქვეშ იბრძოდა... მეც ხმალი დამიტოვა ანდერძად... შინაცა მყავს ერთი გიორგი, ჩემი გვარისა... ის იძიებს შურს...

— რამდენი წლისა ხარ, გიორგი?

— ჰაბა, რა ვიცი, სამასი-ოთხასისა მაინც ხომ ვიქნები...

— გიორგი, შენი ჭირიმე, მომხედე!.. ნუ კვდები, გიორგი! — ეხვეწებოდა ტატო.

— ეჰ, მეგობარო, შორი გზა მიძევს და ნუ მიშლი!.. — წაიჩურჩულა დევკაცმა და თანდათან ჩაქრა.

იჯდა ცხედართან ტატო და ვერ გაეგო, ცხადი იყო ყოველივე თუ სიზმარი.

მზე ჩასვენა ჰორიზონტს მიღმა.

მობნელდა...

●

შუა ღამეს გონს მოეგო. სამარისებური სიჩუმე სუფევდა. ცაზე ვარსკვლავებიც გამქრალიყო. ნიავი ფაჩუნობდა ტოტებში.

ხელი მოაფათურა. გიორგი არსად ჩანდა. არც ბრძოლის ველზე იმყოფებოდა ალბათ, რადგან ტყის სურნელი იგრძნობოდა.

დარჩენა არ ღირდა. ადგა და ხელის ცეცებით გაუდგა გზას.

ხანდახან უზარმაზარ ხეებს შეეჯახებოდა. ხორკლიანი კანითა და სუნით გრძნობდა, რომ ფიქვნარში მიდიოდა. მიწა რბილი და სრიალა იყო, მრავალი წლის წიწვით მოფენილი.

გათენებამდე ასე იარა.

რიყრაყზე სიბნელიდან ღრუბლებივით აფუებული სიგნები გამოიკვეთა, თანდათან დაიწმინდა და ყველაფერს თავისი სახე მიეცა.

ტანკენარი ფიჭვები აშოლტილიყვნენ თვალსაწიერზე.

ბილიკიც არსად ჩანდა, აჩემებული მიმართულებით მიიკვლევდა გზას.

ღილის ჯანღი ქრებოდა, მზის გამჭვირვალე სხივები იცხრილებოდა წიწვნარში.

ტატო მიჰყვებოდა მზის სხივებით გაკვალულ გზას და სხივები თითქოს მასთან ერთად მიიწევდნენ წინ, ფანტავდნენ წყვდიადს.

ტყისპირს მიაღწია. წინ ვრცელი ყანები და საძოვრები გადაიშალა. ღილის სხივები თანაბრად დაეფინა მადლიან მიწაზე.

იგრძნო რაღაც სამშიროება. ხეს ამოეფარა და იქიდან გაიხედა.

წყება-წყება სანგრები გაეთხარათ, ბოლო არ უჩანდა. მუზარადიანი ჯარისკაცები ჩასაფრებულიყვნენ და დაძაბულნი ელოდნენ. მიწაყრილზე ავტომატები და ტყვიამფრქვევები დაეწყოთ. შენიღბულ ქვემეხებს ლულები მიეპყ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

როთ სივრცისათვის, წამიდან წამზე უნდა აყეფებულიყვნენ.

ტატოსათვის ყურადღება არავის მიუქცევია. ხმაც არ ამოუღიათ. ტატომ არ იცოდა, როგორ მოქცეულიყო და კვლავ ისე იდგა, ხეს ამოფარებული.

უცებ სიმღერა მოესმა:

«Deutschland, Deutschland über alles...» მღეროდნენ გაშლილ ველებზე.

დაკვირდა ტატო და უამრავი მიხაკისფერი კალია შენიშნა. ლეგიონებად მოსდებოდნენ შორეულ სივრცეებს და ერთნაირად ასწორებდნენ მთასა და ბარს, ტყესა და ველს. კვამლი და ფერფლი სვეტებად დგებოდა მათ ნაკვალევზე, შავ ღრუბლებს ჩამოგბნელებინაცის დასალიერი და ნთქავდა მზის სხივებს.

იდაყვზე ვიღაც შეეხო. მედიცინის და იყო. მისი მშვენიერი სახე ეცნაურა, მზიას შეადარა, ოღონდ ახლა არ სცალოდა საფიქრალად. ქალიშვილმა ანიშნა, სანგარში ჩადიო. დაემორჩილა, სწრაფად და შეუმჩნეველად ჩაიძურწა და მეტყვიამფრქვევეს ამოუდგა გვერდით.

მეტყვიამფრქვევემ ეშმაკური თვალები შეაკრა და ტატოს გული გაეწურა. გიორგი იყო. უნდოდა ეყვირა, გადაეხვიოდა. გიორგიმ ტუჩზე თითი მიიდო და ტატომ თავი შეიკავა.

მიხაკისფერი კალიების ლეგიონი ახლოვდებოდა. მთელი სივრცე დაეკავებინა სახელოებდაკაპიწებულ, მკერდგაღეღილ, თავდაჯერებულ არსებებს, რომლებიც თამამად მოიმღეროდნენ და ჩექმებითა და ტანკების მუხლუხებით თელავდნენ პურისა და ჭვავის ყანებს.

— გიორგი, ქაღალდი მინდა, — ჩურჩულით სთხოვა. გაზეთის ნაფხრეწი გაუწოდა მეტყვიამფრქვევემ. ტატომ აიღო გაყვითნებული, დაჭმუჭნილი ქაღალდი, მუხლზე ისწორებდა, უსმენდა უცნო სიმღერას, ველური ყინით რომ მოსდებოდა ქვეყანას და იცოდა, რომ აქვე უნდა ეპასუხა, ამწუთას უნდა ეპასუხა რაღაც ძლიერით, ამაღლებულით, ქაცურ კაცურით...

«Deutschland, Deutschland über alles ...über alles in der Welt... – მღეროდა გათამამებული მიხაკისფერი ტალღა და კალიასავით შესეოდა პურისა და ჭვავის ყანებს.

პირველი პწკარი თავისით დალაგდა ფურცელზე... ქართული ლამაზი ასოები რიგში ჩამომწკრივდნენ საპასუხოდ გასროლილ ტყვიასავით და მაშინ აკაკანდა გიორგის ტყვიამფრქვევეი...

❶

და როდესაც ბოლო სიტყვა დაწერა ტატომ, ირგვლივ, ტყისპირას, ტყეში, პურისა და ჭვავის ყანებში სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლა გაემართათ...

უცებ ქაღალდის ნაგლეჯს ჩრდილი დაეცა.

აიხედა... ესესელის ფორმაში ჩაცმულმა კაცმა რევოლვერი დაუმიზნა...

სროლა არ გაუგონია...

გაჰკრა თავში მოულოდნელმა და უკანასკნელმა აზრმა. ესესელს ნაცნობი სახე ჰქონდა...

მსხვერპლი

მექისემ კინალამ ტყავი გააძრო, მაგრამ სიდამწვრის სუნი ვერ მოაცილა. ჯუმა ბედია დილიდანვე უგუნებოდ იყო და ყველას უამბურად უბღვერდა. ალბათ მარტო მან იცოდა, რომ ეს დღე არ იყო ჩვეულებრივი, რიგით დღე. ამჩნევდა ცვლილებებს ნაცნობთა სახეებზე. ზოგან ეს იყო ფაღული შიში, ზოგან — სიხარული. ზოგისათვის გაურკვევლობას სახეზე სილენჩე დაეხატა, ზოგისათვის რაღაც უცნაურის მოლოდინი... ეტყობა, ყველას რაღაცა სურვილი უსრულდებოდა, ერთნი საათში უბედურდებოდნენ, სხვები ბედნიერდებოდნენ და ჯუმა ბედიამაც არ უწყოდა, რა უფრო სჯობდა.

ვინ იცის, ვის რა ენატრებოდა და რა უსრულდებოდა ამ თარსს, ცამეტის

ჯემალ ქირია
მარადი ხმიდარი

ეროვნული ბიბლიოთეკა

რიცხვით აღნიშნულ დღეს... თვით ჯუმა ბედიას ჯერ არაფერი მიეღო დაპირებისამებრ, ვერც ხვდებოდა, რა იქნებოდა ჯილდოდ... ტანში ზარავდა გაფიქრებისას, რომ წმინდა მსხვერპლი უნდა მიეტანა დიდი ჯაგრნაუტის საკურთხეველზე. ამ ფიქრს მოეწამლა მისი გონება, ჩაეჩუმებინა ყოველი სიმი მის არსში, რომელიც აქამდე ეგონა, სიკეთით თრთოდა.

ჯუმა ბედიას თავში ფეიერვერკივით ირეოდა აზრი. ფიქრი იყო არამდგრადი, ვერ ჩერდებოდა რაიმე კონკრეტულზე. ხან მზია აგონდებოდა, წმინდა და უმწიკვლო, თეთრ სარეცელში ბავშვივით რომ ეძინა; ხან ტურფა — შემზარავი, მყრალი სალოფავით აქოთებული ალქაჯი; ხან გუჯმახანის ცბიერი ღიმილი და კვლავ მზია.

სჯობდა, პაპაიროსი მოეწია. მაშინ პაპიროსს დაბრალდებოდა ის საძაგელი სუნი, რომელიც თან სდევდა განუყრელი მეგობარივით.

ამიტომაც არ შეეძლო ძმებთან საუბარი. გაუხარდა, ისინი რომ სასეირნოდ წავიდნენ. კარი გამოიკეტა და თვითონაც ქუჩაში გავიდა.

ცდილობდა ვითარება გაეაზრებინა, ეწონ-დაეწონა. ჯერ კიდევ ჰქონდა უკან დასახევი გზა. იქნებ არც იყო ასეთი გზა, მაგრამ ეგონა, რომ ჰქონდა, და კვლავ ჭოჭმანობდა.

გული ბოღმითა და ზიზღით ავსებოდა. მთელი ქვეყანა მისი მტერი იყო. ახლა გამვლელთაც სხვანაირი თვალით უყურებდა. სახე ვერ მალავდა მძულვარებას. შემხვედრნი მხარს უქცევდნენ, რაღაცნაირად ელდანაცემნი და შეურაცხყოფილნი.

„ჯაგრნაუტის მონათა ბრბო, ჭიანჭველათა ლეგიონი“, — ყველას ერთნაირად კრეჭდა, თვითონ კი თავი მაღლა აეწია და ისე მიაბიჯებდა. სხვებს არ ჰგავდა, გამორჩეული გახლდათ. ის რომ დაიბადა, ბედიების სახლს ოქროსფერი ნათელი დაადგა. ეგებ მთლად წმინდანი იყო, წვრილმანი სურვილები ვერ იტაცებდა, საწუწნავი კანფეტებით გუჯმახანი მას ვერ შეისყიდიდა. ხელშეკრულება დაიდო, მაგრამ იგი ფარატინა ქაღალდია, თვალის ახვევა თუ მოუნდომეს.

„ოღონდ მსხვერპლი?“ — ეს მძიმე კითხვა მხრებზე უზარმაზარ ტვირთად აწვა, ზიდვა უჭირდა. ზოგჯერ, სისუსტის წუთებში, ფიქრობდა, რომ ჯერაც არ იყო გვიან. შეეძლო განზრახვაზე უარი ეთქვა, წინანდებურად განეგრძო ცხოვრება. უმალვე უუკადდება ასეთ აზრს. იცოდა, ვერ დაიხევდა. ჯუმა ბედია არ იყო ერთი კვირის წინანდელი ჭაბუკი, ყველა კართან რომ მათხოვრის პოზით იდგა. ცხოვრებისაგან ის თავის წილს მოითხოვდა. გაწაფული თითები თავისთავად მოძრაობდნენ ცხრაფეხას საცეცებივით, რათა ყოველგვარი სიკეთე, რასაც მოიხელთებდნენ, მიესაკუთრებინათ.

ჯუმა ბედიამ თავი გააქნია, გამოფხიზლდა, სამსახურამდე მიეღწია. საათს დახედა, ერთი საათით დაგვიანდა; ეს არ აწუხებდა. აწი არავისი ეშინოდა, რიდი და მორჩილება გამოუსადეგარი ბარგი იყო.

მაცაცუნას მოჭკრა თვალი. გოგომ ვითომ ვერც დაინახა. „ჩემი გამოჭერა უნდა, — გაიკრა გუნებაში ჯუმა ბედიამ, — ეგეთი ეშმაკობა ჩემი მოგონილია, გენაცვალე“. დარწმუნებული იყო, მაცაცუნამ საგანგებოდ ჩამოიარო. ცინიკურად მიადევნა თვალი და კვლავ ბოღმამ შემოუტია. არავინ იყო დასანდობი, ყველა ფეხებში ეპლანდებოდა ჯუმა ბედიას და თუ ასეა, არც მას აუკანკალდება ხელი.

დერეფანში მდივანმა ქალმა გააჩერა, დირექტორმა დაგიბარაო. „ამას კიდევ რა უნდა?“ — უკმაყოფილოდ გაიფიქრა. წინათ ხუთჯერ შეეყოფმანდებოდა, სანამ კარის შეღებას გაბედავდა. ახლა ჯიქურ შეაბიჯა, უსიტყვოდ მიუახლოვდა დირექტორის მაგიდას და სავარძელში გაიშოტა.

დირექტორი წერდა. ხმაურზე თავი ასწია, ერთხანს უყურა, გაკვირვება არ დაიმჩნია და წერა განაგრძო.

ჯუმა ბედია ცნობისმოყვარედ ათვალიერებდა დირექტორის დაღარულ შუბლს, ჭაღარას, შეღებილ ულაშებს, დაღლილ უბეებს, რომლებშიც, როცა ახედავდა, კონტრასტულად ცოცხალი თვალები ციმციმებდნენ. ახედვით კი მხოლოდ ორიოდეჯერ ახედა. ხმა არ ამოუღია და ამან ჯუმა ბედიას თანდათან დააკარგვინა სითამამე. „წმინდა მსხვერპლია ვითომ?“ — აქაც გაიფიქრა. დანამდვილებით იცოდა, დირექტორის წმინდანობა ქვიშაზე ეწერა.

უცებ შეშინდა, სიჩუმე აფრთხობდა და შეტოკდა, სავარძელში გასწორდა, ხმადაბლა ჩაახველა. დირექტორმა შეხედა, მაინც არაფერი თქვა და ღილაკს თითი დააჭირა, მდივანს მოუხმო.

— საუზმე მომიტანე, გეთაყვა, ამ ღილას ვერ მოვასწარი! — და კვლავ ქაღალდებს მიუბრუნდა.

ჯუმა ბედიას გული ყელში მოეჯინა, ეძებდა სათქმელს და ვერ პოულობდა.

მდივანი ლანგრით შემოვიდა. საწერ მაგიდაზე გაზეთი გაუშალა, ზედ ხაჭო, წვრილად დაჭრილი შავი პური, ერთი ცალი კვერცხი და ჭიქა ჩაი დაუდგა.

დირექტორმა ქაღალდები განზე გასწია. ჯერ ჩაის მოურია და თავი მიანება. პურის ნაჭერს დანით ხაჭოს ადებდა და თუ ნამეცი ჩამოუვარდებოდა, მასაც პურზე აბრუნებდა.

ჯუმა ბედიას მოთმინება დაელია, წამოდგა და გაბზარული ხმით ჩაიდუდუნა:

— თქვენ დამიბარეთ?

— აჰ, ამხანაგო ჯუმა, ბრძანდებოდეთ, ბრძანდებოდეთ! — ვითომ პირველად შეამჩნია დირექტორმა.

— არა, მე ვიდგები! — ძლივს ამოღერღა აღშფოთებულმა.

— როგორც გაგიხარდება, ამხანაგო ჯუმა, ასე კიდეც უკეთესია, ჩანხარ მაინც, თორემ იმ სავარძელში ვერც შეგნიშნე, — საკუთარ ხუმრობაზე გაეღიმა.

ჯუმა ბედიამ დუმილი ამჯობინა.

— შენზე მომახსენა განყოფილების გამგემ, კარგი, მუყაითი ყმაწვილიაო. დავალებებს პირნათლად ასრულებ. ამაზე მადლობის მეტი რა გეკადრება, მაგრამ აცდენ თურმე სამსახურს, თითქმის ყოველდღე იგვიანებ. სამსახურში კი, მოგეხსენება, უპირველეს ყოვლისა, დისციპლინაა მთავარი. ახლა სიტყვიერ საყვედურს გაკმარებ, წადი და საქმეს მიხედე!

კაბინეტიდან გამოვიდა და მაშინ უფრო გამწარდა. გუნებაში აგინებდა დირექტორსაც, განყოფილების გამგესაც და ყველას, ვინც გზაზე შეეჩეხებოდა. „ამითვალისწუნეს, ნაღდად ამითვალისწუნეს“, — ამეორებდა აღელვებული. ეწყალ რაიმე გულსატკენი, მწარე სიტყვით ეპასუხნა დირექტორისათვის, ეთქვა, რომ არც ისაა წმინდა წყლისა, ჯუმა ბედიას არაფერი გამოეპარება... დამსხდარან და შეექცევიან უზარმაზარ ნამცხვარს, ჯუმა ბედიას კი ახლოსაც არ იკარებენ, თავისიანად არ თვლიან, არ ენდობიან... ვითომ ვერ შეამჩნია, სავარძელში მისი ჩაჯდომა რომ ეუცხოვა?

„გამარჯობის“ უთქმელად გაიარა მაგიდებს შორის. გამგისაკენ არ მიუხედია. დარბაზში ქაღალდის შრიალი და ხმადაბალი გადალაპარაკება მოისმოდა. უხმოდ მიუჯდა მაგიდას, უჯრა გამოსწია და პირკატა ეცა, შიგ მბზინვარე რევოლვერი იდო.

●

მზემ თვალებში შეაჭყიტა და სახე აარიდა. ღიმილი ისე ჩამოიბერტყა, თითქოს სამასკარადო ნიღაბი მოეხსნას. ისეთ სიცარიელეს გრძნობდა, ეგონა გულში ყინულის ნატეხი ჩაუდესო. ხანდახან უმიზეზო სიბრაზე შხამავდა, გაურკვეველი გრძნობა აშფოთებდა.

მაცაცუნა იმავე ადგილს შემოეყარა. მთელი ეს დრო ალბათ ქუჩაში მიმოდიოდა. „მასეთ ანკესზე ვერ წამომაგებ“, — გაიფიქრა ეაჟმა და გზაზე გადაეღობა.

ჯემალ ქირია
მარადი მხიდარი

ეროვნული

— რაღაც ვედარა მცნობ, ესმა!

— აჰ, ჯუმა! — ისე წამოიძახა მაცაცუნამ, გეგონებოდათ, სიზმარში იყო და გამოღვიძებისთანავე თავის ნანინა-ნატრის შეეჩეხაო.

— ასე მალე დაგავიწყდი, ხომ?

— მაპატიე, ჯუმა, ჩაფიქრებული ვიყავი...

— ლამაზ გოგოებს ჭარბი ფიქრი მხოლოდ აუშნოებს, — თავს ძალა დატანა, სალაზღანდარო გული სად ჰქონდა.

— მე ლამაზი არა ვარ, — სწრაფად თქვა მაცაცუნამ, თან წამწამები ხშირ-ხშირად აუპარპალა.

— საიდან მოიტანე, გოგო?!

— ბიჭები მარტო გასაართობს ეძებთ, ჩვენ კი მუდამ სადარდებელს გვიტოვებთ... მოხვალთ, აგვაფორიაქებთ, თვითონ ყოველივეს ივიწყებთ, სინდისის ქენჯნა თქვენს გულს არ ეკარება; გადათელილი ყვავილნარი გრჩებათ გზადაგზა, თუმცა ეს რაზე შეგაწუხებთ?.. — ნაღვლიანად ამბობდა მაცაცუნა და ჯუმა ბედია ვერ ამჩნევდა, მართლაც ალალი სიტყვები ესმოდა, თუ კვლავ რაღაც როლს თამაშობდა გოგო. შეებრალა კიდეც, ოღონდ წამიერად. „ესეც წშინდანი ხომ არ არის? — დაცინვით გაიფიქრა, კალთის ქვეშ დამალული ცივი რევოლვერი მოსინჯა, — ეს ხომ არ მიმეტანა მსხვერპლად? რატომაც არა! მეტი რა უნდა ჯაგერნატუს?.. ნორჩი მსხვერპლი, ცხელი სისხლი, ამოგლეჯილი გული ალტარზე, ბომონის წინ, როგორც აცტეკთა ქურუმები აკეთებდნენ!“

მაცაცუნა დიდხანს რატრატებდა კიდევ. ჯუმა ბედია არ უსმენდა. გვერდით მიჰყვებოდა, სახეზე ყურადღება ეწერა, თვითონ კი შორს იყო, ვრცელ უდაბნოში, სადაც ბედის წისქვილის კოლასლური ბორბლები ფქვავდა და ფქვავდა...

— მზია შემხვდა, — თქვა უცებ მაცაცუნამ და გამომცდელად შეხედა ვაჟს.

— რომელი მზია? — ბნელი ჭიდან ამოდიოდა ჯუმა ბედია და ამ მოულოდნელ სიტყვათა აზრი გონებაში ზედაპირზე რიკოშეტით ასხლტა, გაუჩინარდა.

— შენი მეზობელი.

— აჰა, — სინამდვილეს დაუბრუნდა ვაჟი, — მერე რა?

მაცაცუნას წმინდანობა დაუჯერებელი იყო და ჯუმა ბედიამ ხელი მოაშორა ცივ რევოლვერს.

— არაფერი, ისე მიდიოდა...

— შენ საიდან იცნობ?

— მე ყველას ვიცნობ, ვინც შენს გარშემო ტრიალებს, — ღრმაზროვნად გამოუვიდა მაცაცუნას.

— ის ჩემს გარშემო არ ტრიალებს.

— შენ ხომ ტრიალებ? — მოულოდნელად სიბარაზე გაისმა მაცაცუნას ხმაში.

— იცი, რა გითხრა, ესმა? — ჯუმა ბედია შეჩერდა, ჩავლილ ნაცნობს თავის ქნევით მიესალმა და ამან დაამშვიდა.

გოგო ჩუმად უცდიდა.

— წადი, ლექციაზე დაგაგვიანდება, — ესღა უთხრა, მკლავზე ოდნავ უბიძგა და გაზეთის ჯიხურთან შეჩერდა.

თავიანურნული მაცაცუნა გაეცალა. ჯუმა ბედიას უკვე დაავიწყდა იგი. გამყიდველს ხურდას უწევდიდა, როცა მაცაცუნამ იდაყვზე მოჰქაჩა.

— კიდევ აქა ხარ? — გაკვირვება ვერ დამალა ჯუმა ბედიამ.

— ვაკის პარკისაკენ წავიდა, — წასჩურჩულა გოგომ. ვაკი ვერაფერს მიხვდა. — მე ვხედავდი, — გაიმეორა მაცაცუნამ, — ტატოსთან ერთად იჯდა, ჩემი თვალით ვნახე...

— წადი, წადი, — წაიბურტყუნა ჯუმა ბედიამ, ტროტუარს ნელა დაუყვა, თან ახალი გაზეთი გაშალა. სათაურებს ათვალიერებდა და ვერაფერს ვებულოობდა.

აუჩქარებლად მისეირნობდა, ან რად უნდა ეჩქარა. არც იცოდა, საითკენ მიდიოდა და რისთვის... არაფერზე ფიქრობდა, აზრი არც ფოფინობდა თავში, სულში სიცარიელე ჩაესახლა.

მზიანი დარი იდგა. ასფალტზე ცხელი ჰაერი ლივლივებდა. ინსტინქტურად ეძებდა ჩრდილს, კედლებს ეტანებოდა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ამიტომაც ყოველ ნაბიჯზე აწყდებოდა ტროტუარზე გამოშვერილ კიბეს, საწვიმარ მილს, სადარბაზოებიდან გამოსულთ.

ნაცნობებს ვეღარ ცნობდა, უცნობთ ვერ ამჩნევდა. ადამიანთა სახეები მიცურავდნენ, როგორც ფერადი ტიტეფეები ნისლიანი წყლის ზედაპირზე. თვითონაც თითქოს ბუღლელა ნისლში იყო ჩაფლული.

ერთი ორჯერ სმენას მისწვდა „გამარჯობა“. ვიღაცამ საიდანღაც უთხრა, არ იცოდა კი საიდან. პასუხად თავს აქნევდა, ოღონდ დაუფიქრებლად, ქვეშეცნეულად.

ერთხელ შეჩერდა, გახედა. ბორბლების გრიალი მოესმა. მიწა იძროდა და ბუმბერაზი ცხენები მიაქროლებდნენ ძმიმე ეტლს, მის ქვეშ სდებოდა ასფალტი, იფშვნებოდა ბეტონი, დნებოდა რკინა. წამოიმართა მტვრის ღრუბელი, განწირულთა წივილ-კივილმა სმენა წაართვა...

გამოერკვა. „იკარუსის“ ტიპის ძძიმე ავტობუსმა ჩამოიგუგუნა. ტურისტები იყურებოდნენ ფანჯრებიდან, ხელებს იქნევდნენ და მღეროდნენ არეულად, ხმის შეუწყობლად.

ზმანებას თავი დაადწია, პერანგის ქვეშ გარჩილი რკინის საგანი შეიმაგრა.

„ჯაა!.. — ედგა ყურში აუტანელი ზარი, — ნაუუტ, ნაუუტ, ნაუუტ!..“

სიგიჟე იყო ყოველივე, მაგრამ ყველა ხიდი ჩაინგრა, ყველა გზა მოიჭრა.

ეს იცოდა და არც უნდოდა ამაზე ეფიქრა... სისხლი უკვე შხამად ქცეოდა, მოწამლულსა და გაბორკტებულს მთელი ქვეყნის მოწამლვა უნდოდა. იმ ჭირიანსა ჰგავდა, რომელიც ეუჩაში ყველას აწყდება, ვინძლო სხვებიც ჩემს გზას გავუყენონო.

თავბრუ ეხვეოდა, ეს ალბათ სიცხის ბრალი იყო.

სახლს ჩაუარა, ჩრდილი გათავდა და კვლავ შეჩერდა. თაკარა მზე ადგა თავზე, ჯაგრნაუტის სახესავით შეაბარჩალა თვალებში, დაუბნელა, სინათლე წაართვა... შუბლზე ხელი მოიფარა და მეორე სახლის ჩრდილს მიეტანა.

ეუჩაში მანქანები მომრავლდა. ორი ტროლეიბუსი გაჩხირულიყო და გზა გადაეკეტა. პიპინებდნენ მანქანები, ცდილობდნენ გაეღწიათ და უარეს ჩიხში ექცეოდნენ.

იქედნურად ჩაიხითხითა. „აღსრულებულ სურვილთა დღე, აღსრულებულ სურვილთა დღე... დიდი ოინბაზი ვინმეა ეს გუჯმახანა... ნეტა ვინმემ თუ იცის, ნეტა ვინმემ თუ იცის?..“

არავინ არაფერი იცოდა.

მხოლოდ მან იცოდა. მას კი ერთადერთი სურვილი შერჩენოდა, ჯაგრნაუტის საკურთხეველზე მიეტანა წმინდა მსხვერპლი, მის სისხლში დაებანა ხელი და ამით თვითონ განწმენდილიყო.

დიახ, განწმენდილიყო!.. ჩამომშრეებოდა ჯოჯოხეთის დაღი, სიდამწვრის სუნი, გუჯმახანმა რომ გამოაყოლა თავის რჩეულს.

ვაკის პარკში ხალხმრავლობა იყო. შესასვლელის კიბეზე ნელი ეშვებოდა, ათვალიერებდა გოგონებს, ალბათ ლეკციებიდან გამოპარულ სტუდენტებს, რომელნიც სიცილ-კისკისით ასწრებდნენ. ერთმა მხარიც კი გაჰკრა შემთხვევით, მოუბოდიშა, შემოსცინა, ალბათ მოეწონა კიდეკე და უმალვე დაიმანჭა, ამასაც სუნი ეცა.

შადრევნის მძლავრი ჭავლები შხეილით სცემდა, მირიადი წინწკლა მიჰქონდა ჩუმ ნიავს. ჰაერში მოქანავე ევეკი მარგალიტის ნისლივით ეკიდა მზეზე და ჯუმა ბედიამ სუსტი და ნაზი ცისარტყელა ინილა, ოღონდ მისი გული დახშული იყო. გულგრილად ჩაუარა გვერდით, თუმცა ნიავმა ცივი შხეფები მოაფრქვია სახეზე.

ბავშვი შემოეგება, შეეფეთა, მის ფერხთით წაიქცა. შეშინებული ატირდა. დიდრონი თვალებიდან ცრემლებიც ისე წამოსცვივდა, როგორც ჯებირგახსნილ ნაკადულს. მისმა ფუნჩეულა, ვარ-

ჯემალ ჟირია
მარადი მხედარი

ეროვნული
ბიბლიოთეკა

დისფერმა ღაწვებმა, ცრემლებში ჩაცვივნულმა ცისფერმა თვალებმა გული მოულბეს წამით, ყოველივე დავიწყეს. ბავშვის ახალგაზრდა, ლამაზი დედა მოიკრა, შვილი აიტაცა, გული ჩაიკრა, მოეფერა, ჯუმა ბედიას კი მკაცრი, მტრული მზერა ესროლა.

— თვალებში ვერ იხედებით?

ჯუმა ბედიას გულში კვლავ შხამი ჩაიღვარა, კვლავ მინელდა სინთლე და სული წკვარამში ჩაეშვა.

ისმოდა ბავშვების მოურიდებელი ტკრეცალი, სიცილ-კისკისი. პატარები ებლანდებოდნენ ფეხებთან. მათი დედები, ბებიები, პაპები ძწვანე სკამებზე ჩამომსხდარიყვნენ მშვიდად. ჩოჩქოლით მოძრაობდა გრძელი რიგები გაზიანი წყლის ჯიხურთან, კარუსელთან, საქანელებთან. იდგა ერთი ალიაქოთი და მხიარული ხუხუნი. ჯუმა ბედია კი ვერაფერს ამჩნევდა, მის გულს არაფერი ეკარებოდა.

და უცებ შეკრთა.

ტირიფთან, კასკადის პირას ისინი ისხდნენ, ორნი.

ტატოს ჯინსი და თეთრი, ქათქათა პერანგი ეცვა. ოქროსფერი ქოჩორი შუბლზე ჩამოეყარა. მუხლზე ქაღალდი ედო და გამალებით წერდა... წერდა ფაყვითლებული გაზეთის ფურცელზე, ეს უცებ შენიშნა ჯუმა ბედიამ... მხოლოდ ერთხელ ასწია თავი; სახე აღტყინებული ჰქონდა, ბაგეზე სხივოსანი ღიმილი ეთოო, თვალებში შინაგანი აზრი კამკამებდა და ვერაფერს ხედავდა ირგვლივ, ან ხედავდა, ოღონდ სულ სხვა სამყაროს, მისეულს, ჯერჯერობით ყველასათვის დაფარულს...

გვერდით მზია ეჯდა, თვალს გაფაცებით ადევნებდა. ნათელი ეფინა სახეზე, თითქოს შთაგონების მცირე ნაწილი გადასდებოდა, მასაც ზიარებოდა...

მიხვდა ჯუმა ბედია, თუ რა აკრთობდა გოგონას. შურმა გამოიყვანა გარიწდებიდან, გული შეეკუმშა.

ბუჩქებს ამოფარებული მიუახლოვდა. საამკარაოზე რომ გამოვიდა, მათ შორის კასკადის თხელი, ანკარა წყალი მოჩქაფუნებდა.

შეჩერდა, შურიანი თვალი მიაშტერა წყვილს.

ხვატარა მზე ბარჩხალებდა ცაზე და თავი უხურდა, აზრი უსხლტებოდა, სიცარიელე რჩებოდა... თვალწინ ფერადი წრეები უტრიალებდა. ეჩვენებოდა, რომ კასკადის თავზე სუსტი, ნაზი ცისარტყელა ეკიდა, ხელს უშლიდა... სიჩუმე სუფევდა ირგვლივ. მიწუნარდა ბავშვების ყიჟინა, არც რადიოს ხმა ისმოდა, არც შადრევნის შხეილი... მერე უცებ მოვარდა ღრიანცელი და გუგუნი... გუგუნებდა მიწა, ტორტმანებდა ფეხებქვეშ და პირმიწაზე დამხობოლი ბრბოი მონათა ღრიალებდა: „ჯაა-გერნაუუტ... ნაუუტ!..“

თვალთაგან ბინდი გაქრა. კვლავ პარკში იდგა კასკადის პირას. მზის სხივები იღვრებოდა თხელ წყალში, ვერცხლისფერი ჭავლები ლიფსიტებივით დასრიალებდნენ.

ტატოს ხელი გაუშეშდა უცბად, თავი ასწია... თვალებში სინთლე ედგა, სულ სხვა სინთლე და ჯუმა ბედიას ვერ ხედავდა... მერე თანდათან გამოერკვა, იცნო... ამას ჯუმა ბედიაც მიხვდა... იცნო და წამოდგა, სახეზე შეშფოთება დაეტყო...

ჯუმა ბედიაც შეშფოთდა, დაფრთხა, მუხლებში სისუსტე ჩაეღვარა, მაგრამ მხოლოდ წამიერ... დაუფიქრებლად დაარო რევოლვერი და თითი ჩახმახს დააჭირა.

გასროლის ხმა არ გაუგონია. არც სხვა რამ ხმა გაუგონია... თითქოს მუნჯი კინოს კადრებს ხედავდა.

ნელა, ძალიან ნელა მიიდო მკერდზე ხელი ტატომ. მეორე ხელი კი ზე ასწია და გადაიხარა... ნელინელ ვარდებოდა... დიდხანს ვარდებოდა, თითქოს მიწა არ იღებდა თავის შვილს... სახეზე გაოცება ეხატა, ბაგე გაეხსნა, ხმა კი არ ამოსდიოდა... მზია!.. ფართოდ გახელილი თვალები, ჩამოშლილი თმა, ჩახშობილი კივილი... და როდესაც ტატო დავარდა მიწაზე, მზიაც ზედ გადაეგ-

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ხო, ჩამოშლილმა თმამ სახე დაუფარა ვაჟს...

ჯუმა ბედიამ რეკოლვერს ზიზღით დახედა, წყალში მოისროო და ბუჩქებში აუჩქარებლად გაუჩინარდა.

მზეჭაბუკ ბედიას ბედნიერი დღე

უცნაური თავგადასავლები წაეწყო ამ დღეს მზეჭაბუკ ბედიას. ცვლილება უცბად იგრძნო და ეს იყო საოცარი. გული აუჩქარდა, შეტორტმანდა, რატომღაც ფეხზე კარგად ვერ დგებოდა, თითქოს გასაბერი ბუშტი ყოფილიყოს, რომელიც ბავშვს გაუვარდა და ახლა აუჩქარებლად და მსუბუქად ხტუნაობდა. სმენაც გაუმახვილდა. არ იცოდა რატომ, მაგრამ გარკვევით ესმოდა ადამიანთა ლაპარაკი, დაუსრულებელი მონოლოგები, როგორც ერთმანეთში ირეოდა და ძნელი იყო გარკვევა, ვინ ლაპარაკობდა და რა უნდოდა ამ ქაოტური აზრებით გადმოეცა.

მზეჭაბუკ ბედია ახლად ფეხადგმულივით მიდიოდა ქუჩაში. გული სწრაფად, შიშნარევად უცემდა. ხელს აკლებდა ყველაფერს, რასაც ჩაუვლიდა: ხეს, ტროტუარის კიდეზე დაყენებულ ბარიერს, ვიტრინას, ზოგჯერ გამვლელსაც, როგორც მთვრალი, მუხლების იმედი რომ არა აქვს.

— მე მეუბნებით? — შეეკითხა ვეურდით ჩავლილ შლაპიან მამაკაცს, რადგან აშკარად მოესმა უკმაყოფილო დუღღუნი ნარკომან ახალგაზრდებზე, რომელნიც დღისით-მზისით ქუჩაში დაეხეტებიან და გამვლელებს ფეხებში ედებიან. მამაკაცმა წარბები აწკიპა. მას ბაგე არ გაუხსნია. „მაშ, ვინ იყო, ნარკომანი რომ მიწოდა?“ — გაიფიქრა მზეჭაბუკმა და ფეხს ძალა დაატანა. იმავე წამს საოცრება მოხდა. ტროტუარს მოწყდა და რამდენიმე მეტრზე ავარდა, მერე კი ნელ-ნელა, უზარმაზარი ბაბუაწვერას სიმსუბუქით, კვლავ ტროტუარზე დაეშვა. შეშინებულმა მზეჭაბუკმა გაოფლიანებული შუბლი ცხვირსახოცით მოიწმინდა და მალულად მოიხედა. ერთ დედაკაცს ბოსტნეულით სავსე ჩანთები დაეფდა და თვალებდაჭყეტილი შეჰყურებდა. „აჰ!“ — წამოიკვნესა უზომოდ გაკვირვებულმა, მეტი არაფერი უთქვამს, თუმცა მზეჭაბუკმა აშკარად გაიგონა: „მაგრე კისერს მოიტეხ, აი, იქნება სეირი!“

თავი არ აუწევია, გზა ისე განაგრძო. თანდათან შიშნარევი სიხარული დაეუფლა, თავბრუ დაახვია. მიხედა, რაც ჭირდა, მაგრამ ჯერ კიდევ ვერ ბედავდა თავისი ადმოჩენის სიტყვიერ გარსში მოქცევას.

ეს იყო მისი საიდუმლო და ვერავის გაუმხელდა, ძმებსაც კი. ამით აღგზნებულმა არც იცოდა, საით წასულიყო. შინ გამოიკეტებოდა, მაგრამ ძმები დაუწყებდნენ გამოკითხვას, რა გეჭირს, რა დაგემართოო... თუ არადა, სადმე შორს სურდა გადაკარგვა, უნდოდა ადამიანთა თვალს მოჰფარებოდა, თავისი აღმოჩენა შეემოწმებინა...

ქუჩამ მოედანზე გამოიყვანა. მინისა და რკინა-ბეტონისაგან ნაგებ სახლზე დიდი, წითელი „M“ ციმციმებდა. გადაწყვიტა მეტროთი გამგზავრება.

ესკალატორზე მეტროდან ამომავალი ქარი უბერავდა და მზეჭაბუკი საკუთარ სიმძიმეს ვერ გრძნობდა. მოაჯირს ჩაფრინდა, რეზინის საფეხურს ყოველ მობერვაზე მოსწყდებოდა ხოლმე და ტოტზე ჩამოკიწნულებული ფოთოლივით თრთოდა.

ალმა მომავალი ესკალატორი აქამდე ცარიელი იყო. მერე, ეტყობა, მორიგი მატარებელი ჩამოდგა, ესკალატორს ბრბო მოაწყდა და მისასვლელი ჩაიკეტა. მოძრავმა კიბემ თითო-თითოდ ამოიტაცა იქიდან მგზავრები.

კიბეზე გასისწორვიდნენ და სახე მზეჭაბუკისაკენ მოაპყრეს. ყმაწვილს მზერა გადაურბოდა სახიდან სახეზე, ხან გულგრილად, ხან კიდევ სუსტი ინტერესით, როცა გოგონას სახეს შეეფეთ-

---

ჯემალ ქირია
მარადი მხედარი

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ბოდა, ან ბავშვისას, ან უცნაურ ვარ-ცხნილობას, ქუდს. არავის ამოუღია ხმა, მაგრამ გვერდით მოძრავ კიბეს ცოცხალი ადამიანები ამოჰყავდა და მზეკაბუკს აშკარად ესმოდა სულში ჩამალული ხმები: „ოჰ, რა ღრმაა!..“ „ხუჭუჭთმიანი...“ „მგონი ხურდა დამაკლეს...“ „ის გოგო რომ ჩამიგორდებოდეს...“ „მე კი ვუთხარი, ისე ვუთხარი...“ „რას იქუიტები ნეტავ“:.. „შაურიანის მაგიერ ჩავაგდე და დებილი აკმამატი...“ „ჰი-ჰი-ჰი...“ „მუშტი ჩაგაფარო...“ „მაკოცნინე...“ „ჯიგარია, რა ჭამა-სმა იცის?..“ სიტყვები და ფრაზები ირეოდა, ქოტურად მოფარფატებდა ყოველი მხრიდან და ტვინში მოძვრებოდა ისევე, როგორც ასასვლელთან მოჯარული ბრბო, როცა ყველა ცდილობს ერთმანეთს ასაწრო ესკალატორზე და სივიწროვეში იქეჯეკიანან.

ვაგონში ტალღას შეჰყვა და კარიც მიხურეს. ვაგონი ხალხით იყო გატენილი. სახელურს ვერ მისწვდა. როცა მატარებელი დაიძრა, თავი ძლივს შეიკავა. შეეცადა, როგორმე მყარად დამდგარიყო. საკუთარ სიმძიმეს ვეღარა გრძნობდა. როგორც კი შეეცდებოდა ფეხი დაეკრა იატაკისათვის, უმალვე ჰაერში ჩამოეკიდებოდა. გვერდით ათლეტი ედგა, ყელს თავზევით აწვდენდა ღონიერ ხელს და სახელური ჩაებღუჯა. „შეგიძლია ჩემს მკლავზე დამებღუჯო, მაგრად ვდგავარ“, — ხმადაბალი ნათქვამი მოესმა მზეკაბუკს, ხედავდა კი, რომ ათლეტმა მხოლოდ შეხედა, პირი არც გაუხსნია. ახლა სარკეში უყურებდა თავისსა და მზეკაბუკის გამოსახულებას. მზეკაბუკი მის მკლავს ჩაეჭიდა; ასე დგომა უფრო მოხერხებული იყო. ათლეტმა გაუღიმა, ხმა მაინც არ გაუცია და არც მზეკაბუკი მოჰბოდიშებია. „შენისთანა თხუთმეტისათვის მეყოფა ღონე, — ესმოდა მონოტონური დუდუნი, — მკლავზე თხუთმეტი კაცი რომ ჩამომეკიდოს, ოდნავადაც ვერ გადამიღუნავენ... ისე, კაი ბიჭი ჩანხარ... გაგიცნობდი კიდეც, მაგრამ ეს ოხერი ხმა არ ამომდის ყელიდან, მერე დეება...“

მზეკაბუკს გაეღიმა. მატარებელი მიგუგუნებდა ვიწრო გვირაბში. ხანდახან სუსტი ნათერა გაიელვებდა ფანჯარაში, თუ არადა, იქ მხოლოდ ვაგონში მყოფთა გამოსახულება ჩანდა: მჯდომარეთა ნაირ-ნაირი კინკრიხოვები, ვინც იდგა, იმათი გაუღიმარი, სერიოზული სიფათები. „ორი შაურის ოხრახუში, ორი შაურის ქინძი, ორი შაურის ნიახური, ოთხი შაურის წიწაკა...“ — ითვლიდა ვიღაცა ბაზრის ნავაჭრს, ალბათ ის ხანშიშესული ქალი, რომელსაც ხელები მუცელზე დაეწყო, ცხვირსახოცში გახვეული ფული ერთ ხელში ჩაებღუჯა, ფეხებთან კი მწვანილით გატენილი ჩანთა ედო: „გზაზე მიდის ერთი კაცი, რათა ერთი? მაშ რამდენი?..“ — განუწყვეტლივ იმეორებდა ვიღაცა, ალბათ ის სათვალიანი ახალგაზრდა, მძიმე საფიქრალი რომ აღბეჭდოდა სახეზე; „ამ ბიჭს გავხდი, თანდათან, აუჩქარებლად... მერე ჩამეხვევა, გავუძალიანდები, ის კი მაინც ჩამეხვევა...“ — ესმოდა მზეკაბუკს და ლოყაზე ალმური ეკიდებოდა. ვიღაცა აშკარად მასზე ფიქრობდა. მოიხედა, ქალიშვილის მზერას შეეჩეხა. ქალიშვილმა ფანჯარაში დაიწყო ყურება. მზეკაბუკმა ვერ გაიგო, იქაც მის გამოსახულებას ათვალიერებდნენ, თუ უკვე დაივიწყეს. ქალიშვილს წაწწამებზე ოდნავ წაესვა შავი ფანქარი, ბაგეზე კი ბავშვური უმანკოების დაღი აჯდა... „ისე ვახო მქვია, ნაკრებში ვეკითამბ... იმ დღეს ორი უცხოელი ვბერტყე, ტელევიზორში მაინც ვერ მნახეს შე კაცო?..“ — ეს ისევ ათლეტი იყო. მზეკაბუკს ქალიშვილი უკვე დაავიწყდა, კვლავ გაუღიმა ათლეტს და უცებ უთხრა:

— მე კი მზეკაბუკი მქვია!

ათლეტი დაიბნა, ჩაახველა, ფეხი მოინაცვლა და ამ დროს დათვივით ბაჯბაჯებდა. მერე მხრები აიჩეჩა. ფანჯარაში ისე გაიხედა, თითქოს მას კი არა, სხვა ვიღაცას მიმართეს.

მატარებელი გვირაბიდან გავარდა

ეროვნული
ბიბლიოთეკა

თვალისმომჭრელ, გასხივოსნებულ მიწისპირზე, გაირბინა და გაჩერდა. მომდევნო გაჩერებაზე კი მზეკაბუკ ბედია ხალხის ტალღამ ვარეთ გაიტანა.

გზა გაიკითხა და პირველსავე ტრამვაის შეახტა.

●

ზღვის დასახლებას გვარიანად დაშორდა, სამანქანო გზა გადაკვეთა და ახლად აჯეკლილ მინდორზე გავიდა. უკაცურ ადგილს ეძებდა და მიაგნო კიდეც. სამგორის ვრცელი მინდვრები ოკეანის ტალღებივით ირწეოდნენ და დასახლების თეთრი კორპუსები შორიდან ოკეანეში მიმავალი ხომალდების ქარავანს ჰგავდა.

საიდანღაც ბეღურა მოფრინდა, შორიახლო დაჯდა, მერე შეფრთხიალდა და უფრო შორს გადაჯდა.

ალბათ შეეძლო დასწეოდა მეტიჩარა ჩიტს, მაგრამ ჯერ კიდევ არ იყო დარწმუნებული საკუთარ ძალაში. ამიტომ არ აჩქარებულა. ფრენასაც ხომ ვარჯიში ჭირდებოდა, როგორც ყველაფერ განსაკუთრებულს, გამორჩეულს.

ოდნავ მოიხარა, როგორც ხტომის დროს სჩვეოდა, და ისკუპა. ხომ მოელოდა, მაგრამ მაინც დაიბნა, როდესაც ოცოიდე მეტრის სიმაღლეზე ჰაერში დაეკიდა და ნელ-ნელა იწყო დაშვება. შიშნარევი სიხარულისაგან ხელ-ფეხი გაასავსავა, ხან ერთ მხარეს გაიჭრა, ხან მეორეს.

შიშისაგან გულგახეთქილი ჩიტუნა წრიპინ-წრიპინით წამოიჭრა, ბეკობს გაღმა გადაიკარგა.

მზეკაბუკს იქითკენ არც გაუხედია. გული აჩქარებით უცემდა და თავბრუდახვეული იმასღა ფიქრობდა, როგორმე ფეხი მყარად დაედგა დედამიწაზე.

მერე პირდაპირ მწვანე ჯეჯილზე ისე გაწვა ზურგით, შშვიდ ამინდში ბაბუაწვარა რომ შეუმჩნეველად დაეშვება და აქანავდება ბალახის ღეროზე.

ნერვიულობისაგან და აღგზნებისაგან დასცხა. თავს წარმოუდგენლად ბედნიერად გრძნობდა, ოღონდ არ ეცოდინებოდა რამდენ ხანს გასტანდა ეს ბედნიერება. ასე ნებიერად გაწოლილი იხეტებოდა ცის უსასრულოდ მაღალ გუმბათში, რომელიც გაუვეტარი მიზეზის მეოხებით მისთვის მისაწვდომი გახდა.

უცებ წამოიჭრა მზეკაბუკ ბედია, წამოიჭრა და მოსწყდა მიწას, დაუფიქრებლად, უანგარიშოდ.

ჰაერში ისე ასრიალდა, როგორც ოკეანის სიღრმეებიდან ზედაპირზე ამოტრიალი დელფინი.

დაპატარავდა ყოველი საგანი მიწაზე, თვით მიწა კი განერთხო, ამოიბურცა და ამობურცული მინდვრის კიდეებზე ხომალდებივით გადაიბარნენ დასახლების თეთრი კორპუსები. მეორე მხრივ მწვანე გორაკთა წყება მიერეკებოდა ერთიმეორეს, როგორც ტალღა მიერეკება მეორე ტალღას, სანამ არ მიემსხვრევა დიად კლდეებს, ან არ დაეშრიტება დაბალ, უღიმღამო ნაპირზე.

პირქვე დაეშვა მზეკაბუკ ბედია. ყურებში ჰაერი აუშხუილდა, გულიც ფართქალებდა შიშისა და ნეტარებისაგან.

მწვანე ჯეჯილი ქანაობდა ფერხთით, ხან ერთ მხარეს წამოიწევდა ველის კიდე, ხან მეორე მხარეს, თითქოს ტალღებზე გაწოლილი უზარმაზარი ტივი ყოფილიყოს. ჯეჯილის ხალასი სურნელება შემოეგება ცით დაშვებულს, ინსტინქტურად გაეჭია ხელები, რათა არ შესკდომოდა მიწას და გასრიალდა პირმიწაზე ველის კიდისაკენ. გარბოდა მის ფერხთით ჯეჯილი და ყველაფერი აითქვიფა მწვანე საღებავით, რომელიც ვიღაცას უდიერად დაეღვარა ამ მინდორზე.

გათავდა უცბად ფართო ველი, პიტალო კლდე წამოიმართა მოულოდნელად. იმ საომარი სპილოს უზარმაზარ შუბლსა ჰგავდა, რომელიც ციხის ზღუდეთა შესალეწად მოიწევდა.

აიწია მზეკაბუკ ბედია და გადაევლო პიტალო კლდეს.

ჯემალ ქირია
მარადი მხედარი

ეროვნული
ბიბლიოთეკა

მის წინარე **გადაიშალა საფირონით** სავსე ლანგარი, თბილისის ზღვა...

მზეს სხივები უხვად მოეფრქვია და ვერცხლისფერი ხიდი შუაში ისე ჭრიდა წყალსაცავს, თითქოს ვიღაცა ჩამჯდარა და ვერცხლის ხერხით ლუარი ზეთით სავსე ჯამს ხერხავსო... ცაზე მარაგი გადაშლილიყო, როგორც სირაქლემას უზარმაზარი ფუმფული ფრთა და მისი გამოსახულება ირეკლებოდა წყალში. ნაპირის გასწვრივ კი გადმოყირავებული სახლები, გორაკთა ამობრუნებული თხემები ტივტივებდა. თითქმის. ზედ შუა ზღვაში მიეყრავდა თეთრი კატარღა და მის კვალზე ჩქეფდა პერმოდებული გამდნარი თითბერი.

მზეჭაბუკ ბედიამ გაიცინა. ბედნიერებისაგან იცინოდა, მშვენიერებით მოხიბლული, ლაღი, ჯანმრთელი, ჰაერში მონავარდე... ირწმუნა თავისი ძალა და უკვე არ ეშინოდა სიმაღლისა.

მიფრინავდა მზეჭაბუკ ბედია, ცა კი ზევით იწევდა, ფართოვდებოდა. ის უფრო ვრცელი და ფრანდიოზული იყო, ვიდრე აქამდე ეგონა, უფრო წყურვენელი და სათუთი, თვალშეუწვდენი სიდიდის გუმბათი გადმომხობოდა დედამიწას.

ქართლის მიწა გაშლილიყო ამ ცისკენეშეთში, როგორც ქართული დედაენა ანიდან ჰაეროდე. ჩრდილო მხარე თანდათან მიიწევდა მაღლა, შეჰფენოდა გომბორისა და კახეთის მთებს, ისინი კი, თავის მხრივ, მთავარ ქედზე აბობღებულიყვნენ და ცის კიდესთან მზეზე ლაპლაპებდა ცივი და უკარება კავკასიონი. სამხრეთით დედა თბილისი გაწოლილიყო ხეობის გასწვრივ, ნისლი და კვამლი ედგა ქალაქს თავზე, მისი შორეული უბნები ჰორიზონტზე იკარგებოდა, სადაც სივრცის მკრთალ ფერებში ილანდებოდა რუსთავის საქარხნო მილები.

მზეჭაბუკ ბედია ბოინობდა ცის გუმბათზე, ქვეყნიერების თავზე და სანახობით თავბრუდახვეულს **სხვა** ყოველივე დავიწყებოდა.

დასავლეთით, ხეობის თავზე ღრუბ**ლის ფთილა გამოჩნდა და მზის სხივმა** იგი სისხლისფრად შეღება...

ღრუბლის თეთრი ფთილა თანდათან აბოლქვდა, მაღლა აიწია, ცის საწიერი მოათოვა. მზე ისე ჩაგორდა ფუმფულა ღრუბლებში, როგორც წითელი ბურთი, ბავშვს რომ ჩაუგორდება სანბის ქაფით სავსე აბაზანაში. ჩაკარდა და ცეცხლმა გაიელვა, ღრუბელთა კუნუბები აგიზგიზდა, ოღონდ მცირე ხნით. მერე შესუსტდა ხანძარი, შენელდა, სხივებმა ღრუბლებში გააღწია და ვერცხლის უზარმაზარ ფარდებად ჩამოეშვა მწვანე გორაკებზე.

●

დედამიწა იყო ურიცხვი საუნჯით სავსე სასახლე, ცა კი ამ სასახლის გუმბათი.

ცის თაღი აღმოსავლეთის მუქი ლურჯიდან დასავლეთით სისხლივით წითელ ფერში გადადიოდა და ფერთა ყოველ გამას შეიცავდა.

მზე ჩასვლას ეპირებოდა, ფერთა გამეკვირვალე ფრთას ჰფენდა ცის კაბადონზე; ოქროს ვეირგვინი ედგა თავზე და ჰაერის უზარმაზარ ოკეანეში ისე იყურებოდა, როგორც პრინცესა თავისი ბალის კამკამა ტბაში.

მზეჭაბუკ ბედია უძრავად ეკიდა ცის თაღზე და ქვეეიდან ძელზე გაკრულივით ჩანდა.

არმაზციხის ხელისდადება ეზოში კაცი ნახა.

ჯერ მძინარე ეგონა, რადგანაც კაცი არ ინძრეოდა. უცებ მიხვდა, რომ კაცი ბედნიერი **იყო**. იგი იწვა ხასხასა მდელოზე, ხელები ფართოდ გადაეგდო, ყვავილთა სურნელი თავბრუს ახვევდა. მისკენ კალთებიდან ამორბოდნენ ხუჭუჭა, ახლართული ტყე-ბუჩქნარი; მთელი ქვეყანა მის ქვეეით იყო, ზევით კი მხოლოდ ცის გუმბათი ეხურა.

კაცი ბედნიერი იყო, რადგან ეჩვენებოდა, რომ მიფრინავდა უსასრულო და თავისუფალ სივრცეში, **ცის გუმბათზე**

ბაკრული მზეკაბუკი ან მხოლოდ თავისი ანარეკლი ეგონა.

ღამე ეპარებოდა მწვანით მოსილ გორაკებს, სამხრეთის ვრცელ ველებს, ჩრდილოეთით დგრეანილ კავკასიონის თოვლ-ყინულოვან ზღუდეებს.

ეს იყო სამშობლო... ვრცელი, თბილი, საყვარელი...

და ამიერად მზეკაბუკ ბედია. არ იცოდა, რას მღერიდა, ხმა თავისთავად ამოსდიოდა ყელიდან.

ღრუბლები მოიზლაზნებოდა დასავლეთიდან. მზე ჩაკერო ღრუბლის ჩაშავებულმა ზონაროსანმა ქულამ და სადღაც მის სტომაქში აგუგუნდა, ახრიალდა ელვა და ჭექა-ქუხილი, თითქოს გავარვარებული რკინის ბურთი ჩაეგდოს ვინმეს წყალში...

მაშინ თბილისისაკენ შებრუნდა მზეკაბუკ ბედია...

ყაპყაპი გაიგონა, წყვილი წერო მიფრინავდა ცაში. კისერი წაეგრძელებინათ, ვარდისფერი ფეხები შესებივით აეკრიფათ, დიდრონ, ფათქუნა ფრთებს მოზომილად იქნევდნენ. ერთმა მოახედა, რაღაც დაკკივლა მეორეს. შეთანხმებულებივით გადაქანდნენ და პიკირებულ ბომბდამშენივით ძირს წავიდნენ, უძოს მთასთან სელით დაფარულ ტბაში გაუჩინარდნენ.

თრიალეთის ქედის თავზე აციმციმდა ასპიროზი, უმალვე ჩაყლაპა წამოსწრებულმა ღრუბელმა. მთაწმინდის ტელევანძაზე აინთო წითელი შუქურა. სამხრეთის ვრცელ ველებს თანდათან ეფინებოდა მქრქალი ბინდის პირბადე. მთაწმინდის გაღმა კი ფერად გირლიანდებად დაიტოტა ციმციმა მწკრივები ქუჩის ნათურებისა...

სულ ახლოს დაიქუხა. ქარმა დაპბერა და თან მოიტანა ტყეთა და ველთა სურნელი. მზეკაბუკს სახეზე მსხვილი წვეთი მოესხურა. შავი, ქუფრი ღრუბლები ძძიმედ მოიწევდა მისკენ, უკვე დაეფარა მთა და ბარი. ტყიან გორაკებზე ციდან შავი ფარდა ეშვებოდა, თითქოს ვიღაცა კუპრსა ღვრიდა.

მზეკაბუკ ბედია აჩქარდა, ისარივით ეშვებოდა ტელევანძის წითელი შუქურისაკენ.

ყრუ გუგუნი მოისმა, თანდათან გაძლიერდა. მილიონი ზონზრიოზა ბიზონი ერთად მოთქრიალებდა და დედამიწა ზანზარებდა. ბნელი ღრუბელი ჰგავდა აეწყრილი სიდიდის სპილოს, უფრო ვეშაპს, რომელიც ნთქავდა ყოველივეს თავის გზაზე... მის უძირო სტომაქში იკარგებოდა მთათა გრეხილები და სოფლთა ვრცელი სანახები, ცა და მიწა, წინ კი მოუდღოდა ცეცხლოვანი მახვილი, რომელსაც უხეშად და მოულოდნელად, შემაძრწუნებელი ზრიალ-გრიალით გაიწვდენდა ცაზე და მაშინ ცა ისე იფხრიწებოდა, როგორც გაზეთის უზარმაზარი ფურცელი...

დაფრთხა მზეკაბუკ ბედია, შეეშინდა ცეცხლოვანი მახვილისა. გრძნობდა, რომ იმუხტებოდა ელექტრონებით, ნაპრწყლები ცვიოდა ტანსაცმელზე, თმაზე, მოცისფრო ალში ეხვეოდა წამიერ.

მოფარდა გრიგალისებური ქარი, შეშოაფლითა ტანსაცმელი, გაიტაცა სამაერო ბურთივით... მზეკაბუკ ბედია ცდილობდა წონასწორობის შენარჩუნებას, მაგრამ გრიგალი თავის ნებაზე ათამაშებდა. აითქვიფა ერთმანეთში ცა, მიწა, ქარი, ღრუბელი. უკვე ვერ ერკვეოდა, რა ხდებოდა, ჯერაც სამშობლოს ცაზე მიფრინავდა თუ ბედისწერას უცხო და ველურ სამყაროში გადაეგდო.

მხოლოდ წითელი შუქურა არღვევდა ხანდახან სიბნელეს. ქრებოდა და კვლავ ინთებოდა, თავისკენ იხმობდა გზააბნეულს. მასში იყო რაღაც მშობლიური, თბილი, ის ჰგავდა მეგობრის გამოწვდილ ხელს, წყალწაღებული რომ დაინახავს მოულოდნელად თვალწინ.

მერე ღრუბლის ფთილა წამოეწია. გრიგალს მოეგლიჯა და მოაფრიალებდა თეთრი ქათიბივით. გადაასწრო მზეკაბუკ ბედიას, ნესტი და სიცივე შეატოვა... ახლა სხვა ფთილა წამოეწია. მალე კვამლივით შავი ღრუბლის ქულა შემო-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ადგა გარს, ჩაიხვია. უკვე ვერაფერს ხედავდა, გარდა ჯოჯოხეთური სიბნელისა, რომელსაც ხანდახან მრისხანე ელვა თუ გააპობდა სადღაც შორიახლო და მაშინ ათასი ქვეშეთის ერთდროული ქუხილი ახანზარებდა სამყაროს...

უცბად წითელ და თეთრ ზოლებად შეღებილ ფოლადის კედელს მიეკარცხა. რკინის კაუჭს ჩააფრინდა და ზედ აეკრა. იგი მთაწმინდის ტელეანძაზე აღმოჩნდა.

მოასკდა ღვარი და წამში თმის ძირებამდე გაილუმპა. ტელეანძის ფოლადის სხეულზე წყალი ისე მოთქრიალებდა, როგორც წისქვილის ღარზე მიშვებული ნაკადული... თანდათან ელეოდა ღონე მზეჭაბუკ ბედიას, ქარმა და თქეშმა ამოწოვა მისი ენერგია... წამიც და, ხელს უშვებდა რკინის კაუჭს...

მაგრამ ჯერაც უძალიანდებოდა ბორტ გრიგალს მზეჭაბუკ ბედიი და ტელეანძასთან ერთად უსხლტებოდა მის მომაკვდინებელ ხვევნას.

მოუღოდნელად ყველაფერი შეწყდა. ვიღაცამ ონკანი გადაკეტა, წყალი დაიშრიტა, ღრუბელი დაიფლითა, აქა-იქ აკიაფდნენ ვარსკვლავები.

ქვევით კი გადაშალა უზარმაზარი ქალაქი-ცა. ზედ უხვად მიმოიბნა აურაცხელი ვარსკვლავი, აციმციმდა ნეონი, დატრიალდა რეკლამა „სვით ქართული ჩაი!“ გამოიცოცხლდა ქალაქი, განბანილი, მბრწყინავი...

გრიგალი ჩადგა და მისი გაბმული გუგუნი შეიცვალა ქალაქის უწყვეტი ხმებით. მანქანები მოაწყდნენ ქუჩებს, აღრეკილდა ტრამვაის ბორბალი, ელმავალმა დაიწივლა რკინიგზაზე; ვიღაცა რიიალზე უკრავდა, ისევ და ისევ იღებდა ერთსა და იმავე ტაქტს. ცენტრალური პროსპექტებსა და მოედნებზე რეპროდუქტორები მთელი ქალაქისათვის გადასცემდნენ ფეხბურთის მატჩის რეპორტაჟს და, ჩანდა, „დინამო“ იგებდა.

მზეჭაბუკს ღონე მიელია და მოსწყდა რკინის კაუჭს. მაღლიდან გადმოგდებული ფოთოლივით, ნელ-ნელა, ფარფატით ეშვებოდა დაბლა... ხან რკინის საფეხურს გამოედებოდა, ანძაზე დაკიდებული დარბაზის სახურავს, განზე გაბარკღულ გიგანტურ ფეხს, და ბოლოს მწვანე, სველ ბალახზე დაეშვა, დაღლილობისაგან თვალი დახუჭა...

●

უეცრად გამოეღვიძა. თითქოს არც დაუძინია, არც გადაღლილი ყოფილა უზომოდ. საოცარმა მდუმარებამ გააკვირვა. არ ეგონა თუ თბილისში ასეთი სიჩუმე ჩამოვარდებოდა. არსაიდან არ მოდიოდა ჩვეულებრივი უწყვეტი, რიტმული გუგუნი სადღაც დასაკრავვში ჩავლილი მანქანისა, რომელსაც სმენა ისე ეჩვევა, ვერც კი აღქვამს. სიჩუმე ეუხერხულა კიდეც, მიაყურადა, არ ეცოდა, რას მალავდა ეს მდუმარება.

ჩუჩრული შემოესმა. თითქოს ჭიანჭველების ქალაქზე ედო ბალიში და ჭიანჭველები მის ყურთან მუსაიფობდნენ. ორი ხმა იყო და ჯერ ეგონა, პაექრობენო. სმენა დაძაბა და მიხვდა, ერთმანეთისა არა ესმოდათ რა, როგორც სხვადასხვა ენაზე მოუბართ, ან ყრუ-მუნჯთ, რომელნიც თავიანთი გზებით მიეშურებიან და ერთიმეორის არსებობაც კი არ უწყიათ.

„... სისხლი... წითელი სისხლი... არა, უფრო შავი... ლაქა დაეჩნდა თეთრ პერანგზე... იმდენად თეთრი, თითქოს არც იყო... გაქრა... წითელმა კი გამოეონა, როგორც პაწია ალამმა თეთრი ხომალდის ილუმინატორიდან... ვიღაცა მეძახის... მეძახის... მეძახის... მ კ ვ ლ ე ლ ი!..“

მზეჭაბუკ ბედიამ ყურება დაიცო. იქნებ საკუთრივ მისი გულისთქმა იყო? რას ნიშნავდა ეს უცნაური, შიშისმომგვრელი სიტყვები?.. ვერაფრით ჩაწყდენოდა და მეორე ხმას მიუგდო ყური.

„... შაურს მივუმატოთ შაური, იქნება ორი შაური... ესეც ორჯერ გადავამრავლოთ, იქნება ოთხი... ესეც ორჯერ გადავამრავლოთ, იქნება რვა... ესეც ორჯერ — იქნება თექვსმეტი...

ეროვნული ბიბლიოთეკა

ესეც ორჯერ — იქნება ოცდათორმეტი... მანეთი და სამოცი კაპიკი... ჰი-ჰი-ჰი... თურმე ერთმა ინდოელმა ჭადრაკი მოიგონა...“

სადღაც ჩვილი ასხრიალდა. ვინ იყო, საიდან მოდიოდა ეს ხმა? იქნებ ათი კვარტალის იქით ეძინა პატარას. მთელი ქალაქი მდუმარებას მოეცვა და ჩვილის ტირილი მოუხმობდა სიფხიზლისაკენ. ისევ სიჩუმე ჩამოვარდა. ალბათ დედამ მიუალერსა, ან სატყუარა მიაჩეჩა.

„... სისხლი... ქვიშაზე წოთელი სისხლის ნაკადული აწანწკარდა; კენჭს წაეწყდა, შეყოვნდა, გარს შემოვლო, ბაწია კუნძულივით ჩაიტოვა. წყარომდე მიაღწია, ძალა უკვე არ ეყო... წვრილი ძაფივით გადაეკიდა გრანიტის ბალუსტრადაზე... წოთელი ძაფივით... ქვიშამ კი შეიშრო და საღებავის ლაქაღა დარჩა... სისხლი...“

„... ინდოელმა თურმე ჭადრაკი მოიგონა... მეფეს უძღვნა, საჩუქრად კი ხორბლის მარცვალი სთხოვა... პირველ უჯრაში ორი მარცვალი, მეორეში იმის კვადრატი, მესამეში იმ კვადრატის კვადრატი... ჰი-ჰი-ჰი... იცოდა ანგარიში იმ ინდოელმა“.

ქუჩიდან სინათლე არ შემოდიოდა. არც ერთი ნათურა არ ენთო ქალაქში, არც ერთი ვარსკვლავი არ ციმციმებდა ცაზე. ისე ბნელოდა, თითქოს ზეთით სავსე კასრში ყოფილიყოს ჩამწყვდეული. ზეთის ჩუმი ტალღები ეღვრებოდა თვალებში და ამ აუტანელ სიჩუმეში, სადაც ბავშვის ტირილიც სანატრელი გამხდარიყო, მზეჭაბუკ ბედიას სული ეხუთებოდა. ხმები კი, სიჩუმის ის სუსტი, ფაჩუნა ხმები უცნაური რაღაცას ჩიჩინებდნენ, ვით გაფუჭებული ფირფიტა, რომელიც ყოველ შემატრიალებაზე უკვე ნათქვამს იმეორებს.

„... სისხლი... როცა სისხლი დაჩნდა თეთრ პერანგზე... მისი სახე... უსაზღვრო ტკივილი და გაოცება სახეზე... გახსნილი ბაგე, რაღაც უნდოდა ეთქვა... არ დასცალდა... ვერ შეეხმა, მაგრამ ხომ ვიცი რასაც მეტყოდა... მკვლელი... ტუჩის კუთხეში ქაფიანი სისხლი დაჩნდა, ნიკას ჩამოჰყვა...“

„... შაურს მივუმატოთ შაური, იქნება ორი შაური... არა!.. შაურს გამოვაკლოთ შაური, იქნება ორი შაური, გამოვაკლოთ ორი — მივიღებთ ოთხ შაურს... გადაბრუნებული არითმეტიკა, მრუდე სარკე, „სიცილის ოთახი“... შაურიანებით სავსე დიდი ზარდახშა... ბღუჯა-ბღუჯა ამოვიღებ და ჭერს მივაპენე... მზია დგას და ბედნიერად იღიმება... შაურიანებს თავზე ვაყრი და ისინი მხიარული წკრიალით ცვივა იატაკზე“.

მზეჭაბუკ ბედია წამოიწია, შუბლით შეეჯახა შედეგებულ სიბნელეს, გაარღვია, მაგრამ კვლავ სიბნელეში აღმოჩნდა. ხელი კედელზე მოაფათურა, რათა დარწმუნებულიყო, რომ დანამდვილებით თავის ლოგინში იწვა.

სიჩუმეში კოღოს შზამიანი წუილი შემოესმა:

„... სისხლი... სისხლის ლაქა თეთრ პერანგზე...“

„...შაურიანი, ვარკალა შაურიანი...“

— ჯუმა, — ჩმადაბლა დაუძახა მზეჭაბუკმა.

ხმა არავინ გასცა, მაგრამ მის ყურთან აწრიალდა, აფუთფუთდა ორი კოღო, მათი წვილი ისე შეერწყა ერთიმეორეს, რომ ვერ გაარჩია რომელი რას ლაპარაკობდა.

— ჯუმა, ვიცი, რომ არ გძინავს.

— რა ვინდა? — უკმეხად შეეპასუხა.

— ამიხსენი, რა ხდება ჩვენს თავს?

— რაზე ამბობ?

— ათას რაღაცაზე... შენ სულ გამოიცვალე, რაღაც სხვანაირი გახდი. მერე ეს სუნი... კახა ამბობს, ხანძარს აქრობდაო...

ჯემალ ქირია
მარადი მხედარი

ეროვნული
ბიბლიოთეკა

— მართალი უთქვამს!... შენ რა, ხომ არ გეშინია?

— რისი უნდა მეშინოდეს...

— თუ არ გეშინია, მშვიდად იყავი... — მცირე ხანს იყუჩა და ყოყმანით დაუმატა, — რამე გადაგხდებოდა ალბათ... ისეთი რამ ხომ არ გადაგხდა, რაც არ გინატრია?

— არა, უბრალოდ ვიფიქრე, რომ ყოველივე შენგნით მოდის... თუ ეს სიკეთეა, რატომ გახდი ასეთი გულჩათხრობილი?

ჯუმა ბედიიან არაფერი თქვა. მისი საწოლი ჭრაჭუნებდა. მზეჭაბუკს მოეჩვენა, რომ უფროსი ძმა დგებოდა, მაგრამ ეტყობა, მხოლოდ გვერდი იცვალა.

— ჯუმა!

— ერთი რამ კარგად დაიხსომე, ჯიმა, — ჩახლეჩილი ხმით გამოეპასუხა, — თუ რამე ჩავიდინე, მარტოოდენ ჩემთვის არ ჩამიდენია. მე თქვენი ბედნიერებაც მინდოდა...

— ჯუმა, ჯიმაია...

— ნუ მაწყვეტინებ! უთქვენოდ ჩემთვის სიცოცხლისაც არ ექნებოდა სიტკბობა, ამაში დარწმუნებული იყავი... ახლა ხმა არ ამოიღო, გაჩუმდი და დაიძინე!.. მე ძალა მოგეც, თუ ჭაუ გერჩის, გამოიყენე და არ მოგაკლდება სიმდიდრე, სახელი, აღიარება, სიყვარული... გაჩუმდი, დაიძინე!

— ოჰ, დაიძინეთ, რა!.. სადაცაა გათენდება უკვე! — ბრაზით წამოიძახა კაჭუჩიამ.

მზეჭაბუკ ბედია ბალიშში ჩაემხო, თავზე საბანი წამოიხურა. მიხვდა, რომ ძმების თავზეც საოცრება ხდებოდა და ამაზე ლაპარაკი არ შეიძლებოდა. სამივეს შესძენოდა რაღაც იდუმალი ძალა, სამივე უფრთხოდა ერთმანეთთან მის გამხელას.

წამწამებს უჩინარი, ფოფინა ფრთა შეეხო და ისევ ზეთით სავსე კასრში ჩაეფლო. ძილში გაბმული ყმეილი ესმოდა. ძილი მაჯლაჯუნასავით აწვა და თავი ვერ დააღწია. მერე უცბად, თითქოს ჭერი ჩამოინგრაო, სასიკვდილოდ დაჭრილი ადამიანის ხმით იკივლა ვიღაცამ და თავზარდაცემული ძმები ლოგინებიდან წამოცვივდნენ.

მზეჭაბუკ ბედია პირველი გავარდა დერეფანში. უსახლოო მწუხარებით სავსე კივილი სილასავით მიეწნა სახეზე.

მზია გადმომდგარიყო ზემო სართულის ფანჯრიდან, ხელები ზე აღეპყრო, ჩამოშლილი თმა მხრებზე ეყარა, თვალებში სიგიჟე ედგა. ფართოდ გაღებულ პირს ორად გაეხლიჩა მისი სახე, მწუხარებას წაეშალა მშვენიერება.

— ტატო, ტატო, ტატო!.. —კიოდა შეშლილს აჩემებულობით.

ᲓᲕᲠᲘᲜᲘ

არ სურდა უბედურება დაეჯერებინა. ფაქტი იცოდა, მაგრამ ეს ცოდნა გულამდე ჯერ კიდევ ვერ მისულიყო და უკვირდა, ნუთუ ასეთი გულკერპი ვარო. ფეხთრევით მიაბიჯებდა ვიწრო ტროტუარზე, ახსნდებოდა ტატოსთან გატარებული ის მცირედი დრო, ოღონდ ძველი ფილმის ფრაგმენტებივით, როცა ამბის დიდი ნაწილი გამოტოვებულია, ნაწყვეტების საშუალებით კი მთლიანობის აღდგენა ჭირს. ყოველი ნაბიჯის გადადგმით უფრო და უფრო აწვებოდა რაღაც სიმძიმე, თავდახრილი და მხრებჩამოცვენილი მიდიოდა. ახლა, რომც სდომებოდა, ვერ აფრინდებოდა ალბათ. თუმცა ამაზე არ ფიქრობდა, რადგან ამ წუთში ეგონა, რომ სამუდამოდ წარვიდა ის ძველი, მხიარული ბავშვობა. სოსლალამათი ტატო რომ შემოჰყოროდა ამ ვიწრო ტროტუარზე, მაინც შეუძლებელი იყო ბედნიერების დაბრუნება. გაახსენდა დიდი ხნის წინათ ვიღაცის მიერ ეგებ ხუმრობით, უბოროტოდ ნათქვამი სიტყვები: „შენ უნდა ეწამო“ და დაიჯერა.

ორჯერ ჩაუარა იმ სახლს და ისევ გამობრუნდა. უჭირდა სიარული, ეშხამებოდა სული და ეს ცხოველი დღე მოქუფრული ეჩვენებოდა. მოაგონდა სიყრმის წლებში ნანახი რომელიღაც

ეროვნული ბიბლიოთეკა

ფილმი. მთელი ცხოვრება გათავდა მას შემდეგ და ახლა არაფერი ახსოვდა, გარდა ერთი ეპიზოდისა. ობოლი ბავშვი პოულობდა მოსაყვარულე გულს და ბედნიერებისაგან ტიროდა. ნათლად წარმოუდგა ეს სცენა მზეკბაბუკ ბედიას, ბავშვის ბედნიერი სახე, მისი ცრემლები და თავისდაუნებურად გული ამოუჯდა. ღაბაღუტით გადმოსდიოდა თვალთაგან ცრემლი და ხეს მიეყრდნო. რცხვენოდა გამვლელებისა, ცდილობდა ცრემლის შეკავებას, მაგრამ სხეული უძაძაგებდა, თავს ვერ მოერია.

ტიროდა მზეკბაბუკ ბედია და არ იცოდა, რას დასტიროდა. უკვე არ ახსოვდა ტატო, ცხოვრების არც ერთი წუენა არ ახსოვდა, თვალწინ იმ ბედნიერი ბავშვის ნამტირალევი სახელი უტრიალებდა.

— არ იტირო, რა? გეხვეწები, არ იტირო! — წკვიტინა ხმა ბაიგონა და ვიოცავ პერანგის კალთაზე მოჰქაჩა. პატარა ბოგონის მკერდში ყუთმიტვრეული პური ჩაეხუტებინა, თვალზე ცრემლი მოსდგომოდა და ტუჩები ისე ემანჭებოდა, ცოტაღა აკლდა და აღრიალდებოდა.

მზეკბაბუკ ბედია უხმოდ გამორდა ბავშვს, სახლის სადარბაზოში შეავიდა.

კიბეზე არავინ შეხვედრია. მაინც იგრძნობოდა, რომ ამ სახლში უბედურებას დაედო სადგური.

ბინის კარი ფართოდ გახსნილი დახვდა. შუა ოთახში კუბო იდგა. ოთახში არავინ იყო. მზეკბაბუკმა ზეწრის კუთხე ასწია და დახედა. მძინარეს ჰგავდა ტატო, თითქოს მშვენიერ სიზმარს უღიმოდა ძილში.

უცნობი დედაბერი შემოფრატუნდა. ალბათ მამიდა იქნებოდა. უნდა მიესამძიმრა. ენა ვერ დასძრა. კუთხეში, სკამზე დაეშვა, ხელები მუხლებზე დაიწყო და გაიტრუნა...

სულში უთქმელი დვრინი დაიძრა და დროის სათვალავი აერია. არ იცოდა საათები გადიოდა, თუ ღამდებოდა და ისევ თენდებოდა, კვლავ ღამდებოდა და თენდებოდა. რამდენჯერმე მამიდა შემოფრატუნდა, შეხედა, ამოიოხრა, ჩაი შემოუტანა. ხელში ეჭირა სავსე ფინჯანი და ავიწყდებოდა. მამიდა მოვიდოდა ფინჯნის გამოსართმევად, მაშინღა გაახსენდებოდა, უკვე ცივ ჩაის დალევდა და წინანდებურად სულში ამოძრავდებოდა ჩუმი დვრინი.

კუბოს არ უყურებდა, არც ტატოზე ფიქრობდა. მისი გონება აღნუსხავდა ყოველივეს, რაც ირგვლივ ხდებოდა. ეს იყო ერთადერთი სამყარო, მაგრამ რთული და ძნელად აღსაქმელი. ამ სამყაროს რაღაც კაეშირი ჰქონდა სხვა, კედლებს მიღმა არსებულ სამყაროსთან, რომელიც ალბათ ბევრად უფრო რთული და გაუგებარი იქნებოდა...

ოთახი ხან ცარიელდებოდა, ხან ხალხით ივსებოდა. მოდიოდნენ ყოველნაირი ჯურის ადამიანები, თითო-თითოდ, ჯგუფ-ჯგუფად. სახეზე ყველას მწუხარება ეხატა. ერთი ტიროდა, მეორეს გული ამოუჯდებოდა და ისტერიულ ქვითინს მორთავდა, მესამე წვიალ-ტვივილს არ ჯერდებოდა და მომყოლი ხელვებით აკავებდნენ, არიქა, თავს რამე არ აუტეხოსო, მეოთხეს ბრიყვული ღიმილი უყრთოდა და ვერ წაეშალა... ფიქრი კი ბევრად უფრო ჭრელი იყო. მზეკბაბუკ ბედია იღლებოდა იმის გარკვევით, თუ რომელი იყო შინაგანი ხმა და რომელი ენით წარმოთქმული. განცვიფრებული იყო იმ კატასტროფული სხვაობითა და წინააღმდეგობით, რაც მათ შორის არსებობდა.

ხანდახან მამიდა შემოვიდოდა. დაჯდებოდა მოპირდაპირე კედელთან და კუბოს უცქეროდა. სახე მშვიდი ჰქონდა, მკაცრი ნაოქები და მოკუმული ტუჩები გულგრილობასაც გამოხატავდნენ. მხოლოდ თვალები ავსებოდა შიშით. იქ ათასი კითხვა ტრიალებდა, ეშვი, მუდარა, წუხილი... მზეკბაბუკი

ჯემალ ქირია
მარაფიდ მხეთარი

ეროვნული
ბიბლიოთეკა

მისკენ არ იხედებოდა, მაგრამ უწყვეტად ჩაესმოდა უიმედო დუდუნი და თვითონაც სულშეძრულს გული ეთანაღრებოდა.

„შვილო, ჩემო ბიჭო, ეს რა მიქნენი... ეს როგორ გამამწარე, ჩემო ბიჭო... ჩემო ლამაზო, ჭკვიანო ბიჭო... ჯერ მე მოგეკალი, შე უხანე, ერთ ტყვიას რავი ვერ იშოვიდი ჩემთვის... ტყვია და ცეცხლი, ვინც შენ გაგიმეტა... ნეტა ადრე მეფიქრა სიკვდილზე, არ მოვსწრებოდი ამ დღეს... ვაიმე, ვაიმე, შვილო... ეგებ ყველაფერი მეჩვენება, ბიჭო... ეგებ ცოცხლებში არცა ვარ და მესიზმრება, ბიჭო... ჩემო ბიჭო, ჩემო ბიჭო...“

აუტანელი იყო ამის მოსმენა. მზეჭაბუკი ყურებს თითებით იცობდა. მწუხარე დუდუნი მაინც პოულობდა ბზარს, მოძვრებოდა მის ისედაც ახურებულ ტვინში.

პირველ დღეს მზიაც მოვიდა. თვალებში ვერ იხედებოდა. მზეჭაბუკი არც შეუმჩნევია. კუბოსთან მიბარბაცდა, ზეწარი გადახადა და ზედ დაეშხო, ლოყით ლოყაზე აეკრა მიცვალებულს. ასე იყო გატრუნული და მზეჭაბუკმა მოსვენება დაკარგა.

„ტატო, ტატო, ტატო...“ — უწყვეტად მეორდებოდა გოგონას ფიქრში აჩემებული სიტყვა. მასში ისმოდა უსაზღვრო მწუხარება, გულგატეხილობა, ბრალდება ადამიანთა მიმართ, რომელნიც ისე გულგრილნი არიან, თითქოს ცისქვეშეთში ყველაფერი რიგზე იყოს.

მამიდის ფეხების ფრატუნი მოისმა და მზიამ თავი ასწია. ახლაღა შენიშნა მზეჭაბუკი. მამიდას მორიდებით შეაღლო თვალი. არაფერი უთქვამს. ცხედარს ზეწარი გადაფარა და კუთხეში სკამზე დაჯდა. მამიდაც სიტყვის უთქმელად ჩამოჯდა. მზეჭაბუკმა არ იცოდა, როგორ მოქცეულიყო. ძალაუნებურად უსმენდა დედაბრისა და ყმაწვილი ქალის გულისთქმას და არ იცოდა, ჰქონდა თუ არა უფლება გაგონებაჯა ისინი.

„ჩემო ბიჭო, როგორ ყვარებიხარ ამ გოგოს? — წრიალებდა მამიდის აზრი, — სხვისთვის არ მემეტები, ბიჭო, და, უნდა მპატიო... ახლაც ჩემი ხარ, მამიდა გენაცვალოს, ჩემო პატარა ბიჭო...“

„ტატო, ტატო, ტატო!..“ — რიტმულად ფეთქავდა შეძრწუნებული ძახილი.

მეზობლის ქალი შემოვიდა ჩუმად. მამიდასკენ დაიხარა, ღვინო ჩამოიტანესო, სამას ლიტრამდე კი იქნება და ალბათ გვეყოფაო...

გაწყდა მამიდას ფიქრის ძაფი.

— ჰო, უთხარი, დაგენაცვლე, კარგად დაბინინონ.

მზიამ შეშფოთებული თვალებით მოიხედა. მისი ფიქრიც გაწყდა, მინავლდა, სიცარიელე დარჩა და მზეჭაბუკს ამ სიცარიელისა უფრო ეშინოდა, ვიდრე სულის კვიცისა. მერე სადღაც ბნელეთიდან კვლავ დაიძრა რაღაც უფორმო, ეფემერული... ამოტივტივდა ცნობიერებაში, წინანდებურად რიტმულად ახმიანდა, თითქოს დასაღუბად განწირული გემის რადისტი გადასცემდა თავის „SOS“-ს ეფირში და მთელ ქვეყნირებას ეხვეწებოდა, იხსენითო ჩვენი სულები...

„ტატო, ტატო, ტატო!..“ — მორზეს ანბანის დაუსრულებელი რიგი იბადებოდა ტვინის ხვეულებში და ყველას გასაგონად გადასცემდა: SOS, SOS, SOS!..

უცებ შეკრთა მზეჭაბუკ ბედია. სიდამწვრის სუნი ეცა. თავი ასწია და კარში გაჯგიმული ჯუმა ბედია და, მის უკან, შემცბარი კაპუშია დაინახა.

ჯუმა ბედიას უკვე ახალი, ძვირად ღირებული შარვალ-კოსტიუმი და ფეხსაცმელი ეცვა. ყელსახვევზე ბრილიანტისთვლიანი საკინძე ეკეთა, პერანგის მანეტებიც ალბათ ოქროსი იყო. მთელი მისი გარეგნობა აშკარად გამოხატავდა რჩეულის თვითდაჯერებულობას. ოთახშიც იხე შემოვიდა. დარ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბაისლურად, ღირსეულად ეჭირა თავი. ეს კაცი ნამდვილად არ უნდა ყოფილიყო ცხოვრებისაგან დაჩაგრული.

კაშუეინა ბედიასაც რიგიანად ეცვა და მისი სახეც უკვე მაძღარი კაცის კეთილგანწყობასა და სათნოებას გამოხატავდა. მის გარეგნობაშიც იგრძნობოდა რაღაც ახალი ძალა, რაც მას ასხვავებდა გუშინდელი მშიერი კაშუეისაგან.

ჯუმა ბედია მიეახლა მამიდას, გალანტურად ჩამოართვა ხელი, მიესამძიმრა.

— ეს ამბავი რომ შევიტყვე, ქალბატონო, პირდაპირ თავზარი დამეცა, — მის ხმაში გულწრფელი მწუხარება მოისმოდა, — ვაშმე, ეს რა დაგვმართა, —აქ მჯიღი მკერდზე იკრა და გულის ჯიბიდან კოხტად დაკეცილი ცხვრისახოცი ამოაცოცა, თვალზე მიიდო, — როგორი მეგობარი დავკარგე, როგორი... პირუთვნელი, მოსიყვარულე, გულითადი... როგორი ნიჭიერი, რა იმედები გვქონდა...

მეუტბვინთ შეკრული მზეკაბუკი არ უსმენდა ძმის სიტყვებს. ეჭვი ეუფლებოდა, ოღონდ ჯერ თვითონაც არ იცოდა, რა ერქვა ამ ეჭვს.

კაშუეიამაც ხელი ჩამოართვა მამიდას. ორიოდე სამძიმრის სიტყვა ჩაილულღლუა და ისევ ძმის ზურგს ამოეფარა.

— დავიღუპე, დავიღუპე, შვილებო!.. — მოსთქვამდა მამიდა და მუხლზე ხელს ირტყამდა, — დავიღუპე, ცა თავზე დამექცა, შვილებო...

მზია კუთხეში მოიკუნტა, ბნელ სიცარიელეში ჩაფლულს კედლის რომელიღაც წერტილისათვის მიეყინა მზერა.

ძმები დასხდნენ და მხოლოდ ახლა მიიხედ-მოიხედეს.

— შენც აქ ყოფილხარ? — ფაქტი აღნიშნა ჯუმა ბედიამ.

— ეგეც აქ ყოფილა, —კვერი დაუკრა კაშუეიამ.

მზეკაბუკი მოიბუზა. ცდილობდა როგორმე გულიდან ამოეგდო ეჭვი. ჭია, მის სულს რომ ღრღნიდა.

ძმებმა შენიშნეს მეორე კუთხეში მიმჯდარი მზია. კაშუეია ვარდივით აღეკვედა, ჯუმა ბედია კი გაფითრდა და სიფითრესთან ერთად იმატა სიდამწვრის სუნმა, რამაც მამიდის შეშფოთება გამოიწვია. სადმე ხომ არ იწვისო, — ჩაიდუდუნა და გავიდა.

— აბა, ეს რა დაგვემართა, — გაიმეორე ჯუმა ბედიამ, თან მზიასკენ გაიპარა მზერა.

— საწყალი ტატო, — ჩაიბლუკუნა კაშუეიამაც.

მზიამ შიშით მოხედა ბიჭებს, ფერი დაკარგა. სახეზე ხელები აიფარა და ასე იჯდა თავდახრილი, რათა სიცარიელესთან დარჩენილიყო მარტო.

„რა უნდათ ჩემგან, რა უნდათ ჩემგან, — ესმოდა მისი ფიქრი მზეკაბუკს, — რას გადამეკიდნენ, რას გადამეკიდნენ... ტატო, ტატო, შენღა მიხსნიდი მათგან, შენღა მიხსნიდი... ტატო, ტატო, ტატო!..“

ეჭვი უფრო აწრიალდა მზეკაბუკის სულში. რაღაც მტრული დაიბადა მისი ზრის წიაღში.

— იმ დღეს უკანასკნელად ვიხილე უნივერსიტეტში, — ჩაახველა ჯუმა ბედიამ. ხმა ხრიწწიანი გამოუვიდა. შინაგანად შეწუხებულმა ხელახლა გაიმეორა, — იმ დღეს უკანასკნელად ვიხილე უნივერსიტეტში. თეთრი პერანგი ეცვა, ლურჯი ჯინსი, ალბათ პოლონური, ამერიკულს სად იშოვი...

„თეთრი პერანგი... თეთრი პერანგი... წითელი ლაქა... უზარმაზარი წითელი ლაქა. თეთრი პერანგი ზეცაა... წითელი ლაქა მზეა... ცა ამოუხვრეტია და მალე მთელი სამყარო უნდა გადაბუგოს...“

— რა ნიჭიერი იყო, ძალიან მომწონდა მისი ლექსები... — ჩაურთო კაშუეიამაც.

„ეჰ, აწი ქელეხი რად მინდა, ფული

ჯემალ ქირია
მარადი მეჯარი

ჩეჩქვადა მაქვს და... ნეტა რაფრა გადაიბდიან, აღმოსავლურად თუ დასავლურად?.. საკლავი ეყოლებათ?.. კაი მწნილი, კაი ღვინო... აუჰ, საწყალი ტატოია... ჩერჩეტი კი იყო, რა ელექსებოდა...“

— წადით! — აღმოხდა მოულოდნელად მზეკაბუკს.

ძმებმა განცვიფრებით შეხედეს. მოგვეჩვენაო, ყურებს არ დაუჯერეს და ჯუმა ბედიას ბაგეზე ცბიერი ღიმილი ამესახა.

— რამე გინდოდა გეთქვა, მზეკაბუკ?

— წადით! — გაიმეორა მზეკაბუკმა, თან მოელვარებისაგან კბილს კბილზე აცემინებდა და ცდილობდა თავი მოეთოკა.

— ხომ მოხვალ შინ? — მუქარით წარმოთქვა ჯუმა ბედიამ და ადგა. კაჭუჭია დაბაწრულივით მიეკრა სკამს, მერე წამოვარდა, სწრაფად მიმავალ უფროს ძმას მიჰყვა.

მზეკაბუკი სკამის ზურგს მიეყრდნო, თვალი დახუჭა. შუბლზე ოფლის წიწწკლები ეყარა. საფეთქელზე დგროვებული წვეთი ჩამოუგორდა ღაწვზე.

თრთოლვა დაიოკა, პირდაპირ გაიხედა და მზიას თვალებს შეეფეთა. გოგონას უპეებში ცრემლი უბრწყინავდა.

მზეკაბუკი წამოდგა, მივიდა, მის წინ დაიჩოქა.

შეშინებული წამოხტა გოგონა... „ტატო, ტატო, ტატო...“ — ჩაესმა მზეკაბუკს მისი სულის ძახილი და სამზი ჩირქვე დაემხო.

●

და გასერიდა მზეკაბუკ ბედია ყველას, უფროსე ძმებს, რადგან ცოდნა აწუხებდა, მიხვიდრა, რამაც ხელის ერთი მოსმით დაუმსხვრია რწმენა. ამ რწმენას აქამდე სიკეთე ერქვა. აწი კი არ უწყოდა, როგორ და რისთვის ეცხოვრა.

დაიჭირავა ის ოთახი, როდელიც მანამდე ტატოს ეკავა. ოთახი ბეტონის უზარმაზარ კუბოსა ჰგავდა და მზეკაბუკ ბედიამ თავი ცოცხლად დაიმარხა.

ღილიდან საღამომდე ბოლთასა სცემდა ამ სარკოფაგში, სადაც დღის სინათლე ვერც აღწევდა, ხოლო ამლაბუდებითა და მტვრით დაფარული ერთადერთი ნათურა ისე სუსტად ბუტუტავდა, მეწამული ფერი ედებოდა ყოველ საგანს, მოწყენისა და სიმარტოვის გრძნობას აძლიერებდა.

ხანდახან მობეზრდებოდა უმიზნო სიარული, გაუხდელად დავარდებოდა ლოგინზე, ტატოს ლოგინზე და ჭერს მიაშტერდებოდა. იკვლევდა ბათქაშზე დამჩნეულ ბზარს, რომელიც სისხლძარღვთა ერთ ფერში დახატულ სქემას ჰგავდა. ამ დროს ის ფერობდა რადაც შორეულ წარსულზე, როცა არ არსებობდა, მაგრამ ეგონა, რომ მეხსიერებამ მაინც შემონახა უცნაური ხილვები; თითქოს სუფთვდა წყვდიადი და ამ წყვდიადში იშვიათად აკიაფებული პაწია ციცინათელა გზას უკვალავდა ქვებში და ღორღში მოსიარულეს. ცდილობდა როგორმე მოეგონებინა, როდის გადახდა ეს და თვითონ რას წარმოადგენდა მაშინ. მეხსიერებას ბურუსი შემოეხვეოდა და საგნები მხოლოდ ანრდილს მიაგავდნენ, ან მოერიე წყალზე დამჩნეულ ლანდებს.

შიშილი რომ შეაწუხებდა, მაშინღა გრძნობდა, რომ მიწიერი არსება იყო. სიცოცხლე თავისას მოითხოვდა. დაუწყებდა პურის გამხმარ ქერქს ლოღნას და ამით კმაყოფილდებოდა. ფული მაინც არ ჰქონდა, რაც ჰქონდა, ისიც სახლის პატრონს მისცა და ახლა შიმშილით წამებისათვის განეწყო... დრო კი მიდიოდა...

ერთხელ მამიდა მოვიდა. შემოიპარა. შემდგომში მზეკაბუკი ყოველივეს სიზმარივით იხსენებდა. მშრალი თვალები ჰქონდა, ტუჩები მკაცრად მოეკუმა. თავი დაუქნია მზეკაბუკს, არაფერი უთქვამს. აუჩქარებლად, უხმაუროდ მიალაგა წიგნები და ქაღალდები. გარეცხა ჭიქაჯელი. ტატოს ძველი ტანსაც-

ეროვნული ბიბლიოთეკა

მელი და ფეხსაცმელი შეახვია, სადღაც გაიტანა. იატაკი დაგავა. მერე დაჯდა **და ხელები** მუხლებზე დაიწყო.

მზეჭაბუკი საწოლის კიდეზე იჯდა. იქიდან ადეგნებდა თვალს.

მამიდა ერთხანს ასე იყო გარინდებული. **ბოლოს წამოდგა.**

— **ყველაფერს აქ ვტოვებ,** შვილო, — ესღა თქვა, — შენ იცი, მიხედე აქაურობას...

უცებ აქვითინდა. მაგიდაზე ჩამოემხო. **მხრები უცახცახებდა.**

— **მამიდა, მამიდა, გენაცვალე, ნუ ტირი, ეი ნახავ, მკვლელს დიეჭერენ, აუცილებლად დიეჭერენ...** — მივარდა მზეჭაბუკი.

მამიდამ ცრემლი შეიმშრალა, თავზე ხელი გადაუსვა ყმაწვილს **და** წავიდა. ცოცხალს მას აწი ვერ იხილავს **მზეჭაბუკი. ერთი** წლის **შემდეგ** წავა სოფელში, **რათა მოინახულოს,** მაგრამ მამიდის **სიფლავეზე** დახვდება...

წუთიერმა ცრემლებმა **გაწმინდა** მზეჭაბუკ ბედიას სული, **განრიდებამ** მოჩვენებითი **მყუდროება** მოუპოვა **და კმაყოფილი იყო... მეტი** არაფერი **სჭირდებოდა და** ორ **რაიმეს** მოითხოვდა ვინმესგან...

მეექვსე ღღეს კი დაერღვია **მყუდროება...** სიდამწვრის **სუნმა** გონს მოიყვანა. **გაახსენდა, რომ ამ** ქალაქში **მარტო** არ **იყო. აქ** ცხოვრობდნენ **მისი** ძმები, **მას კი** უკვე **დავიწყებოდა,** თუ **რატომ** განერიდა **მათ.**

ჯუმა ბედიამ თავი დახარა **და** ისე **შემოვიდა:** ალბათ **იმიტომ,** რომ **კარი** დაბლა **იყო** გამოჭრილი **და** სხვანაირად **ვერ** შემოეტეოდა.

უხმოდ დაჯდა **და** მიაჩერდა ლოგინზე **გაუხდელად** წამოწოლილ **მზეჭაბუკს,** რომელიც **გაოცებული** უმზერდა, თითქოს იატაკიდან ეშმაკეული ამოძვრალიყოს.

— **ჯუმა,** — თქვა **და** წამოჯდა. სახეზე **ხელები** მოისვა, **რათა** გაეხსენებინა **ყოველივე. მეხსიერებაში** კვლავ **რაღაც ფრაგმენტები ტივტივებდა, რაც** ნინამდ**ვილის** მხოლოდ **ასი** იყო.

ჯუმა ბედიამ ოთახი მოათვალიერა. **კედელზე** მიმაგრებული ტატის **სურათის** დანახვისას ყბა **გაწმე** მოექცა, **თვალი** ვერ **გაუსწორა.** მზერა **მაგიდაზე** დალაგებულ **ქაღალდების** **გრივას** **მიაცივა.**

ამოოხრა, رადგან **არ** იცოდა, **საიდან** მოეკლო. ფიქრობდა, **ყოველივე** ნათელიაო, **მაგრამ** სინამდვილეში **მისთვისაც** გაურკვევლობის ბურუსი ეხვია **საგნებსა** და **მოვლენებს;** უნებურ **და** უმიზეზო **კრძალვას** გრძნობდა **უმცროსი** ძმის **წინაშე.**

— **რამდენი** გიძებეთ, **მთელი** ქალაქი **შემოვირბინეთ** მე **და** ეახაბერმა...— **საყვედურით** დაწყება **არჩია,** რათა **იმთავითვე** მოეთოკა. **აქამდე** ადვილად **მბრძანებლობდა,** ამიერიდან, **გრძნობდა, ყოველგვარი** უფლებები **აყრილი** ჰქონდა.

მზეჭაბუკ ბედიამ **მხრები** ა**ი**ჩეჩა **და** არაფერი თქვა. **უფროსი** ძმა **ტყუოდა.** ისედაც **უნდა** მიხვედრილიყო, **სად** ეძებნა **მზეჭაბუკი,** ოღონდ **აუხსნელი** მიზეზების **გამო** ამ **სახლს** ვერ **ეკარებოდა,** თუმცა **ბოლოს** და **ბოლოს** გაბედა **მოსვლა.** ახლაც **რაღაცნაირად** შეწუხებული **იყო,** შეიძლება **სინდისი** აბეზრებდა **თავს,** ან **გულისთქმა** უბრალოდ...

— **სოფლიდან** წერილი **მოგეწერეს,** — **არ მისმენსო,** გიფიქრა **ჯუმა** ბედიამ, **მაგრამ** მზეჭაბუკს ნათქვამზე **მეტიც ესმოდა,** — **დედა** გკითხულობს, **ხომ ჭკვიანად** ა**რ**ისო, ხომ **მეცადინეობსო, რა** ჯიდაწყვიტეო... **რა** უნდა **მივწერო?**

მზეჭაბუკმა ისევ **მხრები** შეარხია, ოთახში **ბოლთის** ცემას **მოპყვა.** ჯუმა ბედიი **ფარული** შიშით **ადევნებდა** თვალს.

— **გამომძიებელი** ხომ **არ** ყოფილა?

— **ფრთხილად** იკითხა, — ალბათ, **ყვე-**

ჯემალ ქიქია
მარადი მხიდარი

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლა ნაცნობს დაკითხავენ... მე რა ვიცი, ვინ მოკლა, მტერი ეყოლებოდა ალბათ... — მზეჭაბუკმა არაფერი თქვა და ჯუმა ბედიამ ენა მოიკვნიტა, საუბრის თემა უცებ შეცვალა, — მეზობლები მეკითხებიან, სად დაიკარგა შენი ოქროსთმიანი ძმაო... — ცდილობდა მშვიდი ყოფილიყო, ეძნელებოდა თავის დაჭერა და გულგრილობის ამ კედლის განგრევვა, — არც კი მეკითხები, რა ახალი ამბები გადაგვხდა, — თქვა გულწრფელად შეწუხებულმა,— ჩემს მოთხრობებს ბეჭდავენ. მალე მთელი ქვეყანა გიგიებს ჯუმა ბედიას სახელს... როგორ გაუხარდებათ სოფელში...

მზეჭაბუკი მაგიდასთან გაჩერდა, აუჩქარებლად მიაწყო-მოაწყო ქაღალდები.

— მგონი არც გიხარია, — წყენით განაგრძო ჯუმა ბედიამ, — რა დაგემართა, ერთი ამიხსენი, მარტო ჩემთვის ხომ არ ვიღაწი. ჩემი სახელი თქვენი სახელიც ხომ არის?

მზეჭაბუკი სწრაფად შემობრუნდა მისკენ და ნერვიულად ჰკითხა:

— რა გინდა?

— როგორი თუ რა მინდა? — ვერ გაიგო ჯუმა ბედიამ.

— ჩემგან რა გინდა?

ჯუმა ბედიამ ტუჩი მოიკვნიტა, ერთხანს თითს აკაკუნებდა მაგიდაზე და მერე საგანგებოდ მოთავფლული ხმით დაიწყო:

— მზეჭაბუკ, ძამიკო, მეხსიერებამ არ დაგაღალატოს. მე არაფერი მავიწყდება. რამდენადაც ვიცი, შენი ძმა ვარ, თანაც უფროსი. გახსოვს, ცურავს რომ გასწავლიდი? მერე ენგურმა წაგიღო, ძლივს გადაგარჩინე. უჩემოდ რად ჩახვედი-მეთქი, მიგტყეპე... მთელი დღე ვტიროდი შენთან ერთად, გახსოვს?

მზეჭაბუკი საწოლზე ჩამოჯდა, ნიკაპი ხელს ჩამოაყრდნო და თვალი კუთხეს გაუსწორა.

— სანამ სკოლაში წახვიდოდი, ჩემს ფერხთით გეძინა. რამდენჯერ დაგისვლებია ლოგინი. დილას რომ ეთქვათ, რად ქენინო, ტირილით გასკდებოდი. არ მინდოდა შენი ატირება და მე ვიბრალებდი. დღისით კი ენგურში გბანდი შენც და მეც ვბანაობდი, რათა სუნი არ შეგვრჩენოდა...

სუნზე გაახსენდა, ოთახში შეტრუსული ჭინჭის სუნი იდგა და სულს უგუბებდა მდუმარე მზეჭაბუკს.

— რა გინდა ჩემგან? — მესამედ იკითხა.

ჯუმა ბედია მოიღუშა.

— რა მინდა და თავი მიანებე მაგ ბალღობას! წამოდი შინ, იმეცადინე!.. გამოცდეს შენს მაგიერ მე კი არ ჩაგიბარებ!

— ჯუმა, — პირქუშად გაიწყვეტინა, — დამტოვე, ძალიან გთხოვ, დამტოვე!

— არ დაგტოვებ! — გადაჭრით თქვა ჯუმა ბედიამ, — ხომ იცი, რომ ამ ბეტონის ხვრელში ვერ ჩაგტოვებ. აქ შიშმილი და ნესტი მოგკლავს. ჩვენ კი ახლა ბინითაც გავფართოვდით, მეზობელმა ბებრუხანამ დაგვიტოვა ანდერძით...

— ჯუმა, — რაც შეიძლება მშვიდად თქვა თავდახრილმა მზეჭაბუკ ბედიამ, — ეს ერთი კვირაა, ვერავითარი კრიმინალისტი ვერ მაჯობებს... მე ბევრი ვიცი, მაგრამ ყველაფერი არა... თუ კიდევ ერთი საათი დარჩი, ყველაფერი მეცოდინება... მე კი პაწია იმედი შემრჩა... არ მინდა დაგკარგო, გესმის?.. სწორედ იმიტომ, რომ ყველაფერი მახსოვს... დამტოვე ჯუმა!

თავი ასწია და ძმას შეხედა. ჯუმა ბედიას ფერი არ ედო... ძლივს წამოდგა და უხმოდ გალასლასდა. გასასვლელში თავი დასწია, რადგან კარი დაბლა იყო გამოჭრილი, მაგრამ ქუჩაშიც ასევე თავდახრილი და ეხრგბჩამოყრილი მიდიოდა...

შაურიანი

კაჭუჭიაც შეესწრო ტრაგედიას ვაკის პარკში. შემთხვევით აღმოჩნდა იქ, ნაცნობ გოგონას ასეირნებდა. გამომძიე-

ბელს დიდხანს და დაწვრილებით უყვებოდა მერმე, მაგრამ მისი ჩვენება არაფრით განსხვავდებოდა პარკში მყოფ სხვა პირთა ჩვენებისაგან.

ათასი წვრილმანი დეტალი აღიბეჭდა კაპუჭიას მეხსიერებაში... ვიღაცის გალაქული ფეხსაცმელი მიიჩქაროდა წინ, ვიღაცის ბუკული, გადმოკარკალული თვალები, გახსნილი პირი, საადანაც ყვითელი ღოჯები მოჩანდა. მოხუცი დედაკაცის ქონინი, დაბნეული და ცნობისმოყვარე ბავშვების წრიალი, მილიციელის სამხრეები და გაფითრებული სახე... ჯინსიანი ჭაბუკი ვარდებოდა და ლამაზი გოგონას ჩამოშლილი თმა სახეზე ეფინებოდა... ეფინებოდა... გადაეფინა... მერე შაურიანი გადმოვარდა ჯინსის ჯიბიდან... სასაცილო იყო, შაურიანი რომ დაამახსოვრდა კაპუჭიას... გადმოვარდა შაურიანი და წყარუნით გაგორდა, კაპუჭიას ფეხებთან დაბზრიალდა... დაბზრიალდა, სხვითა უღონო ნაპერწკლები მიმოჰყარა და დაეცა, გაყუჩდა, მოკვდა...

კაპუჭია ანგარიშმიუცემლად დასწვდა, მერე იმ დღეს არც გახსენებია, გადაადგო თუ ჯიბეში ჩაიდო...

შაურიანზე სისხლის პაწია წვეთი ესხურა. კაპუჭიამ იგი მხოლოდ მეორე დღეს შეამჩნია, როცა ავტობუსში ავიდა და ჯიბეში ხურდა მოიძია. შიშიანად მიიხედ-მოიხედა, ხუმად თითი გადაუსვა. ლაქა არ სცილდებოდა. სასწრაფოდ ჩააგდო ავტომატურ სალაროში. ჩამოსწია სახელური, წკაპუნით ჩამოჭრა ბილეთი და თავისუფლად ამოისუნთქა, ვითომ პილატე ყოფილიყოს და ხელი დაებანოს. ჩამოსვლისას ჯიბე მოისინჯა, მეტი ხურდა არც ეგულებოდა. გულმა რეჩხი უყო. ვერ მიხვდა, საიდან გაჩნდა მის ჯიბეში სხვა მონეტა — ორშაურიანი. ხელში შეათამაშა, მასაც წითელი წინწკლი აჩნდა. უჩვეულო ფრთოლვამ დაუარა კაპუჭია ბედიას. თავი იმ ქურდად იგრძნო, რომელმაც სხვის ჯიბეში ხელი ჩაჰყო და ზუსტად ამ დროს დაიჭირეს. იქვე წყლის გამყიდველი ვაჭროდა და კაპუჭიამ სასწრაფოდ გადაუგდო ორშაურიანი. წყალს ნება-ნება სვამდა. გაზის ცივი ბუშტულაკები ცხვირზე წინწკლებს უტოვებდა. ეჩვენებოდა, რომ ეს წინწკლები წითელი ლაქებით ჭორფლავდა. წინათგრძნობამ შეაშფოთა. ჭიქა დადგა და ჯიბეში ხელი ჩაიყო. იქ კვლავ მონეტა იყო, ოღონდ უფრო დიდი, აბაზიანი, და მასაც წითელი ლაქა ეცხო. ერთხანს თავზარდაცემული იდგა. ვერაფერით მიმხვდარიყო, საიდან გაუჩნდა ჯიბეში წითელლაქებიანი ხურდა. ვინმე ამხანაგმა ხომ არ მიხიმანდრაო, გაიფიქრა. ეგებ მიხვდა, რომ უფულო იყო და ჯიბეში ხურდა ჩაუყარა. კაპუჭიამ ეს აზრი დამაჯერებლად მიიჩნია და ჯიბეები ამოიბრუნა. იმ აბაზიანის მეტი, კაპიკი ვერ იპოვა. კვლავ იმ წყლის გამყიდველს მიუგდო, ორი ორმაგი ჩამომისხო. გამყიდველმა გაკვირვებით ამოხედა, არაფერი თქვა და წყალი მიაწოდა.

კაპუჭიამ ნახევარ-ნახევარი ჭიქაღა მოსვა, მართლაც ხომ არ გაიჩყეიბოდა და იგრძნო, რომ ჯიბე ოდნავ დაუძძიდა. ორიოდე მონეტას რა ისეთი სიმძიმე უნდა ჰქონოდა, მაგრამ გაფაციცებით უგდებდა ყურს საკუთარი ჯიბის გაცოცხლებას. მიხედა, რაღაც მოხდა. ხელი ჩაიყო და წინასწარ იცოდა, ორი აბაზი ამოჰყვებოდა... ორივეს პატარა წინწკლები აჩნდა.

ყურადღებით დააკვირდა, თავი ეჭვით გააქნია და ხურდა ჯიბეში ჩაიბრუნა. მეორე წამს უკანვე ამოიღო, რათა შეემოწმებინა, ხომ არაფერი მომემატაო. ჯერჯერობით ჯიბეში ისევ ორი აბაზი იყო. ამან ცოტა დაამშვიდა. რა ჰქონდა გულგასახეთქი. ჯიბეში ფული უნ	ებოდა და, მართალია, ზედ სისხლის წვეთებიც აჩნდა, მაგრამ ფულს ხომ სუნი არ უდიოდა.

ჯემალ ძირია
მარადი ახალგაზრ

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბედისაყრელად ვერ გაიმეტა. როგორმე დავხარჯავ და თავიდან მოვიშორებო, გაიფიქრა. ორ აბაზად რა უნდა ეყოფა, დრო კი ბევრი ჰქონდა. დაფიქრდა, კინოში შესულიყო. ბილეთი **აიღო. ჯერ** კიდევ სალაროს არ მოშორებოდა, **როცა** მიხვდა, — ჯიბეში **ოთხი აბაზი ედო.**

შეშინდა კაპუჭინა ბედია. შეშინდა, თუმცა ამ შიშს სიხარულიც თან ახლდა, **იმ** ადამიანივით, **რომელმაც** ახლახან საკმაო თანხა ჩაიჯიბა **და ჯერ არ** იცის, **თემიდის** მსახვრალ ხელს **გაექცა** თუ **არა,** მაგრამ ცოტა **უკლია** და, **საშვიდობოს გავდა.**

ამ ორმაგი **გრძნობით** აფორიაქებული, გონებადაფანტული **უყურებდა** ეკრანს, თან ნაყინს მიირთმევდა. ოთხი ერთად იყიდა, ჭამაც უჭირდა და გადაგდებაც **ეზარებოდა.**

კინოდან გამოსულმა ხელი ჯიბეში ჩაიყო. გული ერეოდა, თითქოს სისხლით სავსე **გუბეში** აფათურებდა. **ეშინოდა** ნაცნობებთან **შეხვედრისა.** უფრთხოდა, **თავის** გაცვმას, **თუმცა, რა** ჰქონდა დასამალი. „ხომ არაფერი მომიპარია? — ფიქრში ყოყმანობდა, — **არავისთვის** არაფერი **წამირთმევია!"**

თანდათან მშვიდდებოდა **და** ეჩვეოდა. **უკვე** არ **აქცევდა** ყურადღებას ფულზე დამჩნეულ ლაქებს. ოღონდ სულში ჯერაც სუსტად ბოვინობდა სურვილი, თავიდან მოეშორებინა დანაღთა ეს საჩუქარი.

სასადილოში შევიდა. ზუსტად იმდენი საშმელი მოითხოვა, მანეთი და სამოცი კაპიკი დასჭირვებოდა. პირველი კერძიც არ მოეთავებინა, ჯიბეში კი, — **უკვე** დანამდვილებით იცოდა და არც **უცდია** შეემოწმებინა — სამი მანეთი და ბაზი ედო.

სიცოცხლეში პირველად გაუნათლდა გონება კაპუჭინა ბედიას. მიხვდა, რომ მიაგნო ულევ განძს და გასამდიდრებლად თითის გაქნევაც არ დასჭირდებოდა, რადგანაც ყოველი დახარჯული კაპიკი უორკეცდებოდა...

გაშიარულდა. ღიღინ-დიღინით მოსეირნობდა და **გზა-გზა** ფვრილ ხურდას ხარჯავდა, სანამ ჯიბიდან პირველი თუმნიანი არ ამოაცოცა...

იმ ღამეს გვიანობამდე ვერ დაიძინა. გაორკეცებულ **შაურიანებზე** ფიქრობდა. **მერე** ელიზბარა **მილიციელი ესახზმრა.** ვითომ **ოქროთი** და თვალ-მარგალიტით სავსე **ზანდუკზე** იჯდა. მილიციელი რეზინის ჯოხს თავში უტყაპუნებდა, ცდილობდა ჩამოეგდო. კაპუჭინა განძს გადაფოფრებოდა, მილიციელს გაოფთრებით იგერიებდა.

დილას მაინც ხალისით **წამოხტა.** ეაერელეს ყოველისა, ჯიბე **შეამოწმა. ხელში** რაღაც **წებოვანი** და **არასასიამოვნო** მოხვდა. ფული იყო. ორიოდე თუმნიანს და სხვა ფვრილ ფულს სისხლის მოზრდილი ლაქები ეცხო. წითელი მელნისაგან არაფრით განსხვავდებოდა **და** უნებური **შიში** განდევნა. **ბოლოს** და ბოლოს ღვთის **საჩუქარზე ეარა** რად იტყოდა (თუნდაც ეშმაკისაზე).

პირის დაბანაც არ გახსენებია, **ისე** გავარდა ქუჩაში. თავისთვის ცხვირში კრეტუნებდა **და** ფულს ათას ფვრილმანზე ხარჯავდა...

ᲙᲕᲘᲕᲠᲘ ᲣᲙᲘᲠᲝ

ერთ დღეს წიპუკას წაეწყდა. სანაპიროს გადაჰყუდებოდა და მტკვარში იყურებოდა. ფილთაქვას მსგავსი სახე ნაღვლით ავსებოდა.

წიპუკას მთელი ქვეყნიერებისათვის ზურგი შეექცია და ფვრილი ხმით გულის გამაწვრილებელ ბაიათებს მოსთქვამდა.

კაპუჭინამ ცოტა ხანს უსმინა, უნდოდა, გვერდი აექცია, ხათაბალას რაიმეს გადაგყრისო, მაგრამ ვერ მოითმინა და მხარზე ხელი ღონივრად დაჰკრა.

— აგრე რამ დაგაღონა, წიპუკ ბატონო?

წიპუკამ ბაიათი შეწყვიტა, მტკვრისათვის კი მზერა არ მოუშორებია.

— ეჰ, ნაღველი შემომაწვა, ჯიგარო.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ვადა გაუვიდა ალბათ წიპუკას ცხოვრების პასპორტს. ცხონებული პაპაჩემი მიხმობდა ამას წინობაზე. ხომ იცი, მტკვარში ჩაიხრჩო ამ ასიოდე წლის უკან... მერედა, რა ცურავ იცოდა!

— კაი, რა, წიპუკა, ნუ იწყებ ხოლმე ცრემლის ღვარღვალს. რა თავს იკლავ, შე კაცო. ალბათ საქეიფო ფული შემოგელია და მტკვარში გადახტომა იმიტომ დაუპირე.

— ეჰ, კეთილო კაცო, არ იცნობ შენ წიპუკასა... — ამოიხვნეშა. მხოლოდ ახლა შეხედა კაპუტიას, ეტყობა, ვეღარ იცნო, არ დაიმჩნია და გაღმა ნაპირას კლდეზე წამომართულ მეტეხს ისე მიაშტერდა, თითქოს ხსნასა და გადარჩენას მისგან ელისო. — ეჰე-ჰე, ჯიგარო, ძველებურად ვეღარ ვცხოვრობ, ახლებურად ვეღარ ავაწყვე. ცხოვრების სხვა საშუალება კი აღარ ვიცი და...

— გეტყობა, აბდალმა კიკამ ის ქვევრი დაგტყუა, — უცებ მიუხვდა კაპუტია.

წიპუკა გამოცოცხლდა, სახე მოატრიალა, ცოტა ნაძალადევად გადაიხარხარა.

— ვა, საიდან ასეთი რამ?

— იცის ბიბმა, — კაპუტია მიხვდა, რომ წიპუკამ ვერც ახლა იცნო.

— დამღუპა მაგ ოჯახქორმა, სიკვდილის კარამდე მიმიყვანა. გეცოდინება, რა ხოშიანად ვცხოვრობდი. ფულს ვაკეთებდი, ვქეიფობდი, სამჯერ მაინც გადავხტებოდი მტკვარში და ისევ ხალისიანი ქეიფი მელოდა. ვცხოვრობდი რა, გემოზე... შემომიჩნდა, გინდა თუ არა, ფეშქაშია. მეც გავბრაყვდი და თუ ფეშქაშია, აგრე იყოს-მეთქი, დავეპატრონე ქვევრს. წავხდი კაცი, ხელიდან წავედი, ყოველდღე ვსვამდი რა, ყელში ამომვიდა, ასანთი რომ გავკრა თავი ყუმბარასავით ამიფეთქდება...

— შენც ნუ დალევდი, ძალაა?

— ვაჰ, გადამრევს ეს კაცი, შენცა ხარ, რა, ღვინო ქვევრში მედგას და ვეღარ დავლიო?.. აბაა, მააშ!

— მერე?

— იმ აბდალ კიკას ლამის იმფარტი დაემართა. ხალიჩაზე გაიშოტა და მთელი დღე „ალაპო“ იძახა. გოგრა თავზე სულ კომპრესებს იდებდა. დავიტანჯენით ორთავენი; ვუთხარი, იმ ქვევრში დინამიტს ჩავდებ და შენც მოისვენებ, მეც მომასვენებ-მეთქი. გამოვიდა ეზოში, თუთის ტოტზე თოკი ჩამოჰკიდა, ყულფში თავი გაჰყო და საქვეყნოდ განაცხადა, თუ წიპუკამ ქვევრი არ დამიბრუნა, თავს ვიხრჩობ და ჩემი ცოდვა მაგის კისერზეო...

კაპუტიას გაეცინა.

— მერე შენ რა?

— რა და, შე აბდალო, შენ რა თოკი გაგიძლებს-მეთქი. ალაპს ვფიცავ, მართლა ვიზამო. რა მექნა, თოკი შემენანა, გაწყდებოდა. ავდექი და მარნის გასაღები მივუგდე...

კაპუტია ახლა გულიანად იცინოდა, წიპუკაც აჰყვა, ძველი ძმაკაცებივით ერთმანეთს მხრებზე ხელს დაკრავდნენ ხოლმე.

— წავიდეთ, ერთი ეს ამბავი აღვნიშნოთ! — კაპუტიას დროსტარება მოუნდა.

წიპუკა კომიკურად შეტრიალდა ტუსლებზე, ჯიბეები ამოიბრუნა, აქოდა, კაპიკი არ მიუყავისო.

— წავიდეთ, წავიდეთ, ფული აქამდეა! — ყელზე ხელი მოისვა კაპუტიამ.

„არაგვში“ წავიდნენ, თითო ბოთლი დალიეს. წიპუკას რატომღაც არ მოეწონა, ნამეტანი საპარადო სიტუაციაო. ისინი აქ შეყრილ საზოგადოებაში ყველაზე ცუდად ჩაცმულნი ჩანდნენ და ოფიციანტი ცოტა აგდებულად ემსახურებოდა. გაჯავრებულმა კაპუტიამ ანგარიში სამჯერ გადაათვლევინა, სამი თუმნიდან თუმანნახევარზე დააყვანინა, შემდეგ კი ექვსი თუმანი მიუგდო და პირდაღებული დატოვა.

მერე ტაქსი აიყვანეს, მოდი, ყოველ

ეროვნული
ბიბლიოთეკა

რესტორანში თითო ბოთლი დავლიოთო, — დაიქადა. იქვე სანაპიროზე მიგრიალდნენ. მძღოლს აცდევინეს. ოფიციანტს ეჩუბნენ, სწრაფად რატომ არ გვემსახურებიო. აქამდე „არაგვში“ დავლიეთ, ახლა მტკვარი ვადღეგრძელოთო და ის თითო ლიტრი ლუდის კათხებით შესვეს.

ადგნენ და „კრწანისისაკენ“ გაუტიეს. კუთხის სუფრას შეზარხოშებული გოგო-ბიჭები უსხდნენ. ლამაზმა გოგომ კაჭუჭიას მოხედა. ვაქმა ათი ბოთლი ღვინო გაუგზავნა მოქეიფეებს.

— რატომ წუხდებოდით, გენაცვალე, — წამოდგა თამადა, — დიდად გმაღლობთ, გთხოვთ, თუ გვიკადრებთ...

კაჭუჭიამ ღვინო ლიტრიან ყანწში ჩაისხა, კამპანია აღდეგრძელა და ამოწრუპა. ისე მტერი დაგეცალოთო, ნეკზე ჩამოიბერტყა, თან იმ გოგოს ჭამდა თვალებით.

სუფრაზე ჟრიამული ატყდა. მისწმოსწეიეს სკამები, მაგრამ გოგოს გვერდით მჯდარი ვაქაცი უკვე იბღვირებოდა. წიპუკა მიხვდა, მხიარულად დაწყებული საქმე ჩხუბით დამთავრდებოდა და სადაც არა სჯობს, გაცალ სჯობსო, ჭკუამ უკარნახა.

კაჭუჭია მთვრალი იყო, ოღონდ თავს არ უტყდებოდა. წიპუკამ უკვით იცოდა და დიდი ხვეწნა-ღრეჭის შემდეგ თავი დაიწეიეს მხიარულ საზოგადოებას.

ახლა „დარიალში“ ჩავიდნენ, სუფრა თავიდან გაამლეკვინეს. დარბაზი ბაპიროსის ბოლს ავევსო. იდგა გაუთავებელი ღრიანცელი და კაჭუჭიას არ ესმოდა წიპუკას მოქარგული სადღეგრძელობები.

არც სხვა რესტორნები გამოუტოვებიათ, თუმცა ოთითონაც აკიწყდებოდათ, სად იყვნენ. „თბილისშიც“ წაქეიფეს, „ინტურისტში“, „ევრეიაში“, „იმერეთში“...

ბოლოს ტაქსი ეაუშვეს და ღრიალ-ღრიალით დაუყვნენ სანაპიროს.

ბარათაშვილის ხიდთან წიპუკა შეჩერდა.

— გადავხტეთ, ჯიგარო?

— ვინც არ იკისროს? — ძლივს ამოღერეა კაჭუჭიამ. სიმთვრალისაგან ფეხზე ვერ იდგა და წიპუკას მკლავს ჩამოკონწიალებოდა.

— ჯერ ერთიც ვიმღეროთ!

— ვოისარაიდა, სივორაიდა, ვო რაიდა, სივორაიდა... — კინაღამ ყელის სიმები ჩაიწყვიტა კაჭუჭიამ.

— აიიაი, აიიაი... — ბაიათებს გაიძახოდა წიპუკა და მათი ხმები ღამეულ სანაპიროზე იშვიათ გამვლელს აფრთხობდა.

ხიდის მოაჯირიდან გადაიხედეს.

ვერცხლისფრად მოციმციმე მტკვარი მიედინებოდა ჩუმი დუდუნით, ხიდის ჩრდილში იკარგებოდა და ის ადგილი ბნელ უფსკრულს მიაგავდა.

— გადავხტეთ? — კვლავ იკითხა წიპუკამ.

— მააშ! — უმალვე დაეთანხმა კაჭუჭია.

წიპუკა ჩვეული სიდინჯით გადაძვრა მოაჯირზე, წამით შეყოვნდა და ხელი უშვა.

— წავედიით! — დაიძახა და ბნელ უფსკრულში გაუჩინარდა, წყლის ტყლაშუნი მოისმა მხოლოდ.

— მო-ოდდივარ, — ჩაილუღლუღა კაჭუჭიამაც. ძლივს მოახერხა მოაჯირზე გადაფოფხება, ახლა ხელის შეშვებაღა კმაროდა...

უცებ მთვრალ ტვინში ერთმა სიტყვამ გაუელვა. ღონე ელეოდა, თავბრუ ეხვეოდა, იქნებ ცივ წყალს გამოეფხიზლებინა კიდეც, მაგრამ იმ სიტყვამ შეაჩერა.

„ფული!“ — გაიფიქრა კაჭუჭიამ და ისევ უკან გადმოფოფხდა. ერთხანს ადგილზე ბანცალებდა, მოაჯირს ეყრდნობოდა. ბოლოს მოახერხა და ჯიბეები გაისინჯა. წინანდებურად გამოტენილი ჭქონდა დასტა-დასტა თუმნიანებით.

— ვოისარაიდა... — სიმღერა წამოიწყო. უმალვე ხმა ჩაიწყვიტა. წიპუკა გაახსენდა. დაიხრჩოო, — წაიზლუქუნა. სანაპიროს დაჰყვა რიყის ყოფილ უბანში. აქ შენობები ახლახან აეღოთ. კაჭუ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჭია ხან მავთულს გორგალს აწყდებოდა, ხან რკინა-ბეტონს, ფეხი ხან გამსკდარ ასფალტში ჩაუვარდებოდა, ხან თხრილში... ერთი ორჯერ ბეწვზე გადარჩა, ვისერი კინაღამ მოიტეხა. მაინც ჯიუტად დგებოდა და მიტუსტუსებდა. თანაც უაზროდ ზლუქუნებდა: „დაიხრჩო, დაიხრჩო, დაიხრჩო...“

ასე მიაღწია მეტეხის ხიდამდე და წიპუკას იქ წაადწყდა. წყლიდან ამოსულიყო და ტანსაცმელს იწურავდა.

— ეოცხალი ხარ, ჯიგარო, მეგონა, მტკვარმა წაგიღო! — ხალისიანად შეადგება.

— წიპუკა, შე ძველო! — გაიხარა კაჭუჭიამ, — ძლიან არ გიპოვე? რაფრა შემამშინე, შე უსინდისო! — გული აუჩვილდა.

— კარგი ერთი, ნუ ამიქვითინდი. წიპუკას, ძალითაც რომ გინდოდეს, ვერ მოკლავ! ნახეგარი საუკუნე კიდევ მიწარია ბედის დავთარში... ჰო, მართლა, ახლა სადღა მიგდივართ? შემოგგეღია რესტორნები, შუაღამეა...

— სადგურის რესტორანში!

— არა ღირს, რა! წამო ჩემთან, ცოლს ეძნება რამე გადანახული. თუ არადა, იმ ადგილ კიკას შევეწეროთ. მთელი ქვეყრი ვუფიშქაშე და ორ-სამ ჭიქს რავა დავეამადლის?

— შევეწეროთ! უარი თუ გვითხრა, იმ ქვეყრიანა ვიყიდი, ოჯახს ავეწყოკვებ, იმ ყურუმსაღს! — იმუქრებოდა კაჭუჭია, თან ცდილობდა მრისხანე პოზა მიეღო, ოღონდ სიმთვრალისაგან ისე იყო მორღეეული, წიპუკა რომ არა, ასფალტზე გაწვებოდა ლამაზად...

მთელი გზა ეძინებდა, მაინც ცდილობდა, ხმა აეყოლებინა წიპუკას ბაიათებისათვის...

ეზოში ისე შევიდნენ, როგორც ბნელ გვრაბში. არც ერთი ნათურა არ ენთო. მხოლოდ მოშვებული ონკანი ჩხრიალებდა კუთხეში. კაჭუჭიას თვალის გახელა ეზარებოდა და ეგრე **ამიტომ ბნელოდა ისე ძლიერ.** ზურგით ალაყაფს **კარს მიეყრდნო.** გადაწყვეტა, ბნელში **ნაბიჯიც არ გადაედგა. „უნდა გამძარცვოს!“**

— გაიფიქრა. ტკინში აზრი ძლიეს ზოზინებდა. ნაფიქრალს საგნობრივი ფორმა რომ მიეღო, მრავალგზის უნდა გაეგორებინა. — „უნდა გამძარცვოს!“ — ისევ გაიფიქრა და ახლა სხვანაირად შეაბრუნა: „უნდა მომკლას! ამ სიბნელეში ყელს გამომჭრის და ფულს წამართმევს!“ ორივე ხელით ჯიბეებს ჩაეჭიდა, რათა დაეცვა თავისი ულეკი სიმდიდრე ხელყოფისაგან და წაიბურტყუნა:

— არა ხარ შენ კაი კაცი.

— არა ვარ, მაშ ვარ? — თითქმის ყვირილით შეეპასუხა წიპუკა, — ახლა ვინაა კაი კაცი, ყველა ჩათლახია! მაშს! კიკაა კაი კაცი?! გამოვდეს ერთი, გვე: ჩვენოს! კიკა, შე ძველო ყაჩაღო, გამოეთრიე გარეთ!

ეზომ დუმილით უპასუხა.

— სძინავს, — ჩაიფშუტუნა კაჭუჭიამ.

— სძინავს კი არა, დედას ვუტირებ! ბაღლინჯოსავით სისხლსა მწოვს. ფუ, მაგისი, დინამიტს ავუფეთქებ ფანჯარასთან! კიკა, შე ტყის ყაჩაღო, მე ვარ აბდალი, შენ კი არა, გამოეთრიე გარეთ!

უცებ ზედ ყურის ძირთან კიკას ჩაგუდული ხმა გაისმა:

— ხოშაანი ბიჭი ხარ წიპუკ, გეტყობა, ფული გიმოვნია, მხიარულად ხარ... რა დაგიშავა კიკამ, ავრე ლანძღავ?.. მაგრამ კიკა მილიციაში არ ჩივის, რადგან წიპუკა ჯიგარი ბიჭია, სმა და ქეიფი უყვარს...

— შენ მე ლათაიებს ნუ მეუბნები, გამო-მეთქი გარეთ!

— გამოვა, გენაცვალე, მაშ კიკა არ გამოვა?

კაჭუჭიამ თვალი ფართოდ გაახილა, ეგებ რამე დავინახოო. სიბნელეში რაღაც ზვავივით დაიძრა, ქშენითა და ფათხაფუთხით მოიწევდა, როგორც ძველი გამოშვების ორთქლმავალი.

კაჭუჭიამ ადგილი მოინაცვლა, კარზე არ მიმაკუსლიტოსო.

— მოიწი აქეთ და გაგვიღე მარანი!

— რა მარანი, შენი ჭირიმე, შიგ ღვი-

ზურგალ ქირია
მარადი მიხეიანი

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნოს რა უნდა? — ბნელში ბრაგუნი გაისმა, კიკა მჯილს იცემდა მთისავით მკერდზე.

— მაგ საკენკი სხვა ქალმებს დაუყარე! ჩქარა, თორემ, ხომ იცი, ჯიბეში დინამიტი მაქვს და...

— კაი რა, წიპუკა, ნუ ახირდები ხოლმე... რაც არ არი, არ არი! მართალი გითხარი! გინდა ყურანზე დაგიფიცო?

— შენ ყურანზეც დაიფიცავ და რაზეც გინდა. გიცობრ, ვინცა ბრძანდები. გასალები! გასალები!.. — ბოლო სიტყვები აღმოსავლურ ყაიდაზე წაუმღერა წიპუკამ.

მოულოდნელად კაუშვილის ქვითინი მოესმა. ჯერ წიპუკას ბაიათი ეგონა, მაგრამ ქვითინი აშკარად გაიგონა. ხმა იმ მხრიდან მოდიოდა, სადაც ზღვის სილრმეში ჩამალული მეჩიჩიკი კიკა წამოყუდებულიყო.

— ტირის, — უსაზღვრო გაოცება დაეუფლა კაუშვილს.

— ტირის? — წამოიძახა წიპუკამ, — აფერისტია, მაგისი ცრემლი რა დასაჯერებელია! გული უნდა აგვიჩვილოს!

ფხიზელ კაუშვილს ცრემლი რას დააკლებდა, ოღონდ ღვინო ყელში ჰქონდა მოხვენილი და ერთი წვეთი სითხე რომ წამატებოდა, მეტი არც სჭირდებოდა. თვითონაც გული აუჩვილდა, ესაა, ცრემლის ღვარღვალი არ დაუწყია.

— რა ატირებს, ჰკითხე რა, წიპუკ, რა ატირებს?

— ფული უნდა დაგვანყლოს, გულის ამარუყებელ ამბებს მოჰყვება, შვილები შიმშილით მეხოცებაო, ჰურის ნატეხი აღარა გვაქვსო, ზანდუკები კი გამოტეხილი აქვს. წყალწყალა ღვინითა ვაჭრობს და... სმით ხომ მუდამ სხვის ხარჯზე სვამს!

— აჰა, შე კაცო, ფული! დაგვალეგინე ცოტა, სახა გამოგვეხრუკა! ვის რად უნდა შენი ნაჩუქარი ღვინო!

ქვითინი უცებ შეწყდა. ჩამრთველმა გაიჩხაკუნა და პირდაპირ კაუშვილის თავზეკენ ნათურა აინთო.

ტაშტებითა და ვედროებით ჩახერგილ ეზოს ყოველი მხრიდან ბრმა ფანჯრები დაჰყურებდა და კაუშვილის მოეწვენა, რომ აქ კიკას გარდა, ძეხოროელი არ ცხოვრობდა.

კიკას, ერთი ჰექტარი იქნებოდა, ისეთი ცხვრისახოცი ამოეღო და ცრემლს იწმენდდა.

— შენს მარანს სულ ვიყიდი თუ გინდა, — დაიტრაბახა კაუშვილმა, — შენც გიყიდი ცოლშვილიანს!.. — თავში ეშმაკუნები უტტოდნენ. ბნელი ფანჯრები, ნათურა, კიკას დასიებული ცხვირ-პირი ისე ქანაობდნენ, როგორც წყალში ლანდები, — დადექით ერთ ადგილას, თავი ნუ მომაბეზრეთ, — თქვა უკვე დაღლილმა, — თუ დამალევინებთ, დამალევინეთ, თუ არა და, თქვენს მკვდარსა და ცოცხალს...

— განა კიკა უარზეა? თქვენისთანა კაი ბიჭებისათვის!.. განა კიკამ არ იცის, რომ არ დაჩაგრავთ?.. ეგეთი პატარა კაცია კიკა...

— პატარა კი არა, ნეხვის გორა ხარ, გააღე ჩქარა! — შეუფუტხუნა წიპუკამ.

კაუშვილმა თუმნიანების დასტა ამოაცოცა, გადაუგდო. კიკამ ჰაერშივე დაიჭირა, მშიერი ძაღლი ძვალს რომ დაიჭერს, იმგვარად და მთელი სახე, გვარვარებულ ტაფაზე ზეთი რომ დაასხათ, ისე გაუმბიარულდა.

— ახლავე, ბიჭებო, ახლავე! ისეთი ღვინო დაგალეგინოთ, უკეთესს სულთანიც ვერა სვამს!..

გასალებმა გაიჩხაკუნა და კაუშვილამ მარანში შეაბიჯა.

რაღაც განსაკუთრებულმა გრძნობამ შეიპყრო. ეს იყო ალბათ ის ექსტაზი, ფანატიკოს წარმართს რომ დაეუფლება, კერპის წინაშე გართხმულს. კაუშვილს უნდოდა დავარდნილიყო და შუბლი მიწაზე ეხალა, ოღონდ ალკოჰოლისაგან თავი დაუმძიმდა, ეშინოდა, ვერ წამოდგებიო და მუხლებზე დაცემა იკმარა.

— დაჯექით, ჯიგრებო, ქეიფი ახლა იწყება! კიკა, მწნილი გააჩინე!

— ახლავე, გენაცვალე, ახლავე, — კიკამ კუთხიდან ხონჩა მოათრია, ზედ რამდენიმე დაბერებული კიტრი ეგდო. საკმაოდ ჭუჭყიანი ჭიქებიც მოაყოლა

ეროვნული
ბიბლიოთეკა

და სამივენი დასხდნენ კერპის წინაშე, რაღაც რელიგიურ ტრანსში გადავარდნილნი.

ეს იყო თავმოხდილი ქვევრი, რომლის როგორ კიკამ ძლივს გადააგორა. იმდენად ფართო პირი ჰქონდა, სატვირთო მანქანის საბურავი ჩავარდებოდა. შიგ გამდნარი ოქრო ლივლივებდა. ფრთხილად უნდა ჩაგეყო ორშიმო, გაგენძინა და ოქროს ნაპირწყლები ისე იწყებდა ცვენას, გეგონებოდა, მზის სხივებში საცრიდან ოქროს ქვიშა იცრებაო.

— შენი სულისა, ერთი გამასინჯე! — მოზღვავებული გრძნობისაგან წიპუკას ყელში წუეპირა და მოწიწებით ასწია სავსე ორშიმო, ღვინო ჭიქაში ჩაასხა, გამოავლო, უნდოდა გადაესხა, მაგრამ ვერ გაიმეტა, პირში ჩაისხა და ისევ შეგესხო, — უჰ, ჩემი სულისა, ღვინო არ იყოს, ეს ცხოვრება გრომად არ ეღირებოდა! ამას მე ვამბობ, წიპუკა! მე კი იმდენი ღვინო დამილევია, ერთი ქარხნის გეგმა იქნებოდა!

კაჭუპიამ დაასლოკინა, ალბათ ვიღაცამ ახსენა ამწუთას და სიტყვა შეაშველა:

— ეგრე, წიპუკ, დალიე და შეგერგება!

კიკას ფულის დასტა ამოეღო და დანერწყვილი თითით ხარბად თვლიდა.

წიპუკამ ნებართვა შესცა, შეავსო და კაჭუპიას მიაწოდა.

— ხოში მაქვს, „დო კანცა“ უნდა დავლიოთ, — გაიჯიგიმა კაჭუპია, — ამ ქვევრს ფსკერი უნდა ვუნახოთ!.. ეს რა ღვინოა?

— კახური მასალაა, რა! ძვირი ჯდება ეს ოხერი. ახლა ვეღარც იშოვი. რაღაც კონტროლიაო, მაგის გულისთვის სიცოცხლე საციხოდ გადამიგია, შვილები კი შიმშილით მიკვდება... — კიკას ფული ეცოტავა და კაჭუპიას სკელ ჯიბეებს თვალებით ბურღავდა.

— ნუ აწუწუნდი, აწი! — დაუტაცნა წიპუკამ.

— ფეხებზე მკიდია, რამდენი დახარჯე! — კაჭუპიამ ჭიქა გამოსცალა და გადაუგდო, — დალიე, თორემ ტყვიას დაგახლი მაგ ათფუთიან გოგრაში!

— მე რათა, რას ვაშავებ?.. კიკას კუშმაჭი ტკივა, ექიმმა თქვა, არ დალიოსო...

— ენანება, საკუთარი ღვინო ენანება! — დაიღრიჯა წიპუკა, — დაჰკარა უნდა ეს ორშიმო თავში და ჩაავდო ქვევრში... ჩემთან რომ სვამ, მაშინ რატომ არ გახსენდება ექიმი?

კიკამ დაიხია, მართლაცდა, ამ გატრეტილებმა ქვევრში არ ჩამაგდონო.

— ენანება? — გაჯავრდა კაჭუპია, — იმიტომაც მოიტანა ასეთი ჭიქა, ცოტას დამილევენო... ქეიფი მწადია-მეთქი, არ გითხარი? სულ უნდა ამოვწრუპო!.. კათხა!.. მონახე ლუდის კათხა!

წიპუკამ საიდანღაც მართლაც გამოათრია მტვრითა და აბლაბუდით დაფარული კათხა, არც გაუწმენდია, ღვინო ამოიღო და კიკას მიაჩეჩა.

— გადაყლურწე, თორემ ქვევრში ჩაგაყუდე თავით.

— არ შემიძლია, წიპუკჯან, არ შემიძლია, ჯიგრებო! კუშმაჭი მაქვს გამსკდარი, უსინთლო ნაწლავის წყლული მჭირს და ისა... ტრიპტიხი...

— ტრიპტიხი ხარ შენ, ერთ ტილოზე ვერც დაეტევი, — იოხუნჯა კაჭუპიამ, — დალიე, დალიე!.. ყოველ დაცლილ კათხაში თუმანს ჩამოვდივარ!

კიკას სახე გაუნათდა, დაუმრგვალდა, სიხარულისაგან ცხიმი შემოადნა და წინწკლებად დაიჩნდა.

— გაგიმარჯოთ, ბიუბო! თქვენი კიკა მოგიკვდეთ, ისე უყვარხართ რომა, მეტი ალარ შეუძლია!

— მოგვიკვდეს, მოგვიკვდეს! — კვერი დაუკრა წიპუკამ. კათხაში ჩარჩენილი ღვინო გადაღვარა, ხელახლა აივსო და სადღეგრძელოს სთქმელად მოემზადა...

●

დიდხანს არ ეყოთ ღონე. ღვინო თავში აუვარდათ, ენა დაებათ და უკვე

ზაზიკო ქირია
მარადი ხალვადი

ეროვნული
ბიბლიოთეკა

იმდენიც არ შეეძლოთ, რომ სავსე კათხა ამოეღოთ და ერთმანეთისათვის მიეწოდებინათ.

კიკა ყვინთავდა. სადღეგრძელოებს არ ამბობდა. ყოველ მოწოდებულ კათხას, სანამ შეეძლო, უსიტყვოდ სვამდა. როცა დალევის თავი უკვე არ ჰქონდა, ჩუმჩუმად კუთხეში ღვრიდა. ცდილობდა დაეთვალა, რამდენი კათხა გამოსცალა, სათვალავი აერია და ანგარიშში თავის სასარგებლოდ ტყუვდებოდა.

არც კაპუშას შეეძლო მეტი. მაინც ატანდა თავს ძალას. ღვინის სუნისაგან გულზე ეზიდებოდა. ამას გულმოდგინედ მალავდა, თუმცა თანამეინახეებს ვერც ამჩნევდა. ღვინოს მისთვის სმენა დაეხშო, თვალზე ბინდი ჩამოეფინა. ამ ბინდში ფეიერვერკებად გაიქროლებდნენ ჯამბაზები, გაკრთებოდა წიპუკასა და კიკას უსიცოცხლო ნიღბები. ხანდახან აპირქვავდებოდა ქვეური, რომელშიც ოქრო დუღდა და კაპუშიას პანიკური შიში ეუფლებოდა, ვაითუ ფეხი დამიცდეს და ამ ადუღებულ ოქროში გადავვარდეო. ზოგჯერ მოაგონდებოდა „ჯიბეები“, დაფრთხებოდა, ყველაფერი ერთბაშად ხომ არ გაქრაო, ხელებით მოკმუნჭნიდა შარვალს, დარწმუნდებოდა ფულის დასტების სიმკვრივეში და უდარდელი, ბედნიერი, ჩახლეჩილი ხმით ცდილობდა ემღერა რამე „ჩვენებური“, „ლოთიანი“, „ყინიანი“...

წიპუკას სხვაზე ნაკლებ ემჩნეოდა სიმთვრალე. გარეგნულად სრულიად მშვიდი ჩანდა, წელგამართული იჯდა. არც თავი უვარდებოდა კაპუშიასავით, არც ენა ებმებოდა. სადღეგრძელოებს წესების პუნქტუალური დაცვით ამბობდა და ერთხელაც არ შემცდარა. ის კი არა და, ერთი-ორი ორიგინალური სადღეგრძელო მოაქჩამჩაჩა. მისი თვალები მაინც ვერ მალავდნენ პატრონის სულს, ქუთუთოებს შორის ალკოჰოლის წვა იგრძნობოდა.

კაპუშიას სიმღერის ნაცვლად გაბმული ზმეილი გამოსდიოდა.

კიკა ხანდახან გამოფხიზლდებოდა. გაფაციცებით ითვლიდა, სიმთვრალეს არ დამღუპოს და წაგებული არ დავრჩეო.

წიპუკას სნეული აზრი კი სიცარიელეში ფოფინებდა, ბნელსა და გიჟურ ზრახვებს ბადებდა.

— წიპუკაც დათვრა! — განაცხადა მოულოდნელად.

— შე-უ-ძლე-ბე-ლია, — კაპუშია წიპუკას ისე ხედავდა, როგორც საკუთარ თავს სიცილის ოთახში.

— ხუმრობს, — დიაცივით ჩაიკისკისა კიკამ.

— წიპუკა დათვრა და ახლა ბანაობა უნდა! — რაღაც გიჟური გადაწყვეტილებით აღსავსე დაბორიალებდა ჩაბნელებულ მარანში.

კაპუშიამ თავს ძალა დაატანა, რათა გაეგო, რა ხდებოდა.

— წავიდეთ, მტკვარში გადავხტეთ, — ვითომ წაუმღერა, — ვიბანაოთ და ამ ქვევრს წირვა გამოვუყვანოთ...

— ჩემი გასამრჯელო არ დავავიწყოდეთ, ჯიგრებო, — დაიღრიჯა კიკა.

— რაღა მტკვარში, — ცივად გაიცინა წიპუკამ და მისმა სიცილმა კაპუშიას მთვრალ ტვინში რიყრია გამოიწვია.

„უნდა გამძარცვოს“, — გაიფიქრა საშუალმა ბედიამ და ჯიბეებზე ხელი იტაცა.

— არა ხარ შენ კაი კაცი, — ჩაიდუდუნა. წიპუკას მისი ნათქვამი არ გაუგონია.

— ვინც მამაცია, ამ ქვევრს ძირს უნახავს!

— მაშ, ვინც მამაცია, — დაეთანხმა კაპუშია, რადგან საქმე მის ჯიბეებს არ ეხებოდა.

— ჯერ შენ გადახტი! — კიკას დაადო ხელი წიპუკამ.

— ვა, გიჟია, ტო, მე რათა?.. რომ ვერ ამოვიდე, ამდენი ღვინო გავაფუჭო?

— ეჰ, შე მართლაცდა კიკა... — დანანებით გააქნია თავი წიპუკამ, — აბა, კახაბერ, ვუჩვენოთ, რომ კიდევაც დაიზრდებიან...

— მე?.. — გაოცდა კაპუშია, — გა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

დავხტე?.. კი, კაცო, გადავხტები, მარა ტანსაცმელი?

— გიახდე!

— იჰ, მერე ფული?

წიპუკამ ბრაზით გადააფურთხა, ხელები ისევე ასწია, როგორც მტკვარში გადახტომის დროს იცოდა, ერთი შეჰკივლა „წავედიით!“ და ქვევრში გადაეშვა...

●

მანქანაში ჩაჯდა და სიმთვრალე კვლავ მოერია. მთელი დღის ნასვამ-ნჭამი ყელზე ადგებოდა. ეჩვენებოდა, რომ მუცელი რუმბივით გაუხდა და მანქანაში ვეღარ ეტეოდა. ორივე ხელით ეჭირა. ცდილობდა ნაკლებ ეყანყალა. დამძიმებული თავი გამუდმებით უვარდებოდა. ძალაუნებურად შუბლს წინა სავარძლის ზურგს ახლიდა, ანდა გვერდზე გადავარდებოდა და აფოფხებას უნდებოდა.

კიბეზე კინაღამ წაეძინა. გაახსენდა, როგორ მღეროდა წიპუკასთან ერთად. ადრე სუფრაზე ხმას ვერ იღებდა, არ მეხერხებაო და ამიტომ ერიდებოდა, თორემ გულში ბანს აძლევდა. ახლა თავი შეიმაგრა და მძინარე ეზოს ისეთი ხმით შეჰღაღადა, თითქოს ვიღაცა ქვაბს ხეხავსო: „შუმილ ვორექ ღვინითია, ჭიჭე ქუმომთვინითია!..“[1]

ეზომ დუმილით უპასუხა.

კაუჭეია გათამამდა და კვლავ შემოსძახა. ისე ჭექდა, ფანჯრის მინებს წკარუნი გაჰქონდა.

სადღაც ბავშვს გამოეღვიძა, აღნავლდა.

„შუმილ ვორექ ღვინითია, ჭიჭე ქუმომთვინითია...“ — მღეროდა კაუჭეია ბედია და მოაჯირს იშველიებდა, რადგან მთელი აივანი ხომალდივით ტორტმანებდა.

ზემო სართულზე ნათურა აინთო. ვიღაცამ გადმოიხედა. ფარდას იყო ამოფარებული და კაუჭეიამ თვალი ვერ შეასწრო. მის მთვრალ ტვინშიც ბევრი ქიმერები დაძრწოდნენ და იმ სიშავეში ერთადერთი ნათელი ლაქა ფარფატებდა, სულს უბორგავდა კაუჭეია ბედიას, ახსენებდა რაღაც უჩვეულოს, ძველთაძველს, ბავშვობისდროინდელს. მერე თეთრ ლაქას კონკრეტული აზრი მიეცა. ის იყო თეთრფრთებიანი პეპელა, როგორიც მან ნახა პირველად, ისი წლით ადრე ტატოს გარდაცვალებამდე.

ეზო კი დუმდა. მეზობლები გასუსულიყვნენ თავიანთ ცხელ ლოგინებში, მოთმინებით ელოდნენ, როდის ჩამოვარდებოდა სიმშვიდე.

საკუთარ კარს აუარა. ალბათ ჯუმა შინ არ იყო, თორემ გამოეგებებოდა, თუმცა ჯუმას არსებობაც არ გახსენებია.

მესამე სართულის კიბეს შეუყვა. ნაცნობ კარს მიადგა. სიფხიზლეში დაკაკუნებასაც ვერ გაბედავდა, ახლა კი მუშტები დაუბრაგუნა და მთელი ქვეყნის გასაგონად აღრიალდა:

— მზია, მზია!

კარი უცბად გაიღო, თითქოს ელოდნენო.

— მზია... — ხმა ჩაუწყდა კაუჭეიას.

ზღურბლზე პერანგისამარა ბუბა იდგა, მზიას ბიძაშვილი. მის უკან კი მზიას მამის ამირანის გაფითრებული სახე მოჩანდა.

— რა დაგემართა, კახაბერ, რამ გადაგრია? — პირქუშად შეეკითხა ბუბა.

— შემიშვი, მზია უნდა ვნახო, — თხოვნა გაურია კაუჭეიამ, თავი ვერ შეიკავა და დაასლოკინა.

— წადი ახლა, გამოიძინე, ხომ ხედავ, მთვრალი ხარ.

— მზია უნდა ვნახო! — ჯიუტად აიჩემა კაუჭეიამ.

— ხვალ გვეწვიე, შე კაცო, გამოფხიზლდი და მაშინ...

— მიწუნებ, ხომ? ვითომ დასაწუნი ვარ, არა? — გულზე შემოენთო კაუჭეიას, — რატომაო?.. შესახედაობა მაკ-

[1] დამთვრალი ვარ ღვინითა, ცოტა მომითმინეთო.

ჯემალ ქირია
მარადი მხედარი

ლა ჭეშ ოიკოლის თუ ფელ?.. — თქმინანებს მთელი ბღუჯა ამოიღო, ბუბას ცხენრწინ დაუტრიალა, — ფულ ჩეჩქადა მაქვს, მთლად ვიყიდი ამ სახლს... **ამაველა ჯოგი** ვინდა, არ წამოგიხსნა... — ხელი უშვა და დაჭმუჭნილა თქმინანები კიბესა და დერეფანში მამოიფანტა.

— გაეთრიე აქედან! — შეჭიკილა **ამირანმა** და გამოიწია, მაგრამ ბუბა **ვერ** წინ და **არ** გამოატარა.

— კიხაბერ, მისამართი აგრეევა და **შენ** წადი, სანამ ლიმაზი ხარ!

— **არ კმარა?** ამდენი **არ კმარა?..** — გაეიეთი ეძახდა კაუჭია ბედაა. ისევ და ისევ ამოჭქონდა ბღუჯა-ბღუჯა თუმნიანები, ისროდა ჰაერში, ფეხით თელავდა, — აი, კიდევ, აი, კიდევ!..

მერე მეხსიერების ძაფი უეცრად გაწყდა. შუბლში რაღაც დაეტაკა და თვალთაგან ნაპერწკლები გადმოსყარა. ბრაგბრუგით ჩაგორდა კიბეზე და ჯუმა ბედიას მკლავებში აღმოჩნდა...

●

უფროსი ძმის ალიფუტრები დილას არ მოჭგონებია. გვიან გადაუარა კოშმარულმა შიშმა, იმ ღამეს რომ ჭამეს მან, კოკამ და კიკას ჯალაბობამ, როცა ქვევრიდან ძღიეს ამოათრიეს ცოცხალ-მკვდარი წიპუკა. გადაწყვეტა, დადინჯებულიყო. ასეთი მდიდარი კაცისათვის სასმელს გადაყოლა არ ივარგებდა. ჯობდა, საქმისათვის მოება თავი, თორემ არამი ფული ვის არ გააფუჭებდა.

ქალაქში ცხელოდა და ბოტანიკურ ბაღში გაისეირნა. იქიდან ბილიკს ნარიყალაზე აპყვა.

მთელი საათი იჯდა ნარიყალის მაღალ კოშკზე. რამდენი წელია თბილისში ცხოვრობს და აქ პირველად ამოვიდა. რატომღაც ვერ მოიცალა, უფრო სწორად, არც მოუნდომებია, ფიქრადაც არ მოსვლია ცხხის კედლებზე ღოღიალი.

ახლა კი თვითონაც არ იცოდა, რა უნდოდა აქ, რამ ამოიყვანა ამ სიმაღლეზე, რატომ აღელვებდა მის ირგვლივ გადაშლილი ხედი.

ზრის მწვანე სხივები ტყის ეროვნული ბიბლიოთეკა **უბრალ**

ღიავდა. მთაწმინდის მხრიდან სუსტი ნიავი ქროდა, ხვატს ოდნავ ანელებდა. კაუჭია ბედია იჯდა ციხის თავზე, რომელიც ქალიშვილის შუბლზე აგრავნილ მსხვილ ნაწნავებს მოაგონებდა. მის ფერხთით ამოდენა სამყარო გადაშლილიყო, დავთრებში ჩამხმარ ჩინოვნიკსაც გული აუთრთოლდებოდა, წამით მოეჩვენებოდა, მიწას მოვწყდი და სივრცეში მივფრინავო. კაუჭუიას ფანტაზია ასე შორს ვერ წავიდოდა. უბრალოდ, გაოგნებული იყო სიმაღლის მშვენიერებით.

თაბორის ხერს უზარმაზარი ცის კიდე ეჭირა მხრებით. წვაკისის ხევიდან გადმოღიერილი ბოტანიკური ბაღის ლორთქო სიმწვანე მის კალთებს ეხეთქებოდა და უკუიქცეოდა. თვითონ ქედი ხამი ფერებით ნაქსოვ სადა ფარდაცსა ჰგავდა, რომელიც ძველი ქალაქის კედელზე მიეეკედათ.

ქალაქი ვიწრო ხეობებიდან გორაკთა კალთებზე გამოედინებოდა. იგი ფართოდ გადაშლილიყო მტკვრის ორთავე ნაპირზე, შორს, კვლავ უფერულ გორაკთა წყებამდე, რომელთა მიღმა, ცხელ ჰორიზონტზე მოლიელივე ცისფერი ნაკადის სახით, ზღვა იგრძნობოდა.

აქა-იქ ასვეტილი სახლები ისე გამოირჩეოდნენ წითელი სახურავების უთვალავი ჯარიდან, როგორც მიტინგზე შეურილი ბრბოის შუაგულში ჩამდგარი ორატორები, მთებსა და ველებს შეფენილ ათასნაირ სახლთა ყრილობას რომ მოეწოდებდნენ, წინ გავსწორით ირგვლივ შემოჯარულ მთათა გადასალახავადო. ბრბო კი ღელავდა, გუგუნებდა, ხმიანებდა... ნარიყალას კალთებზე ერთმანეთს ჩახლართულ სახურავებქვეშ უხილავი დუღილი ისმოდა და კაუჭუია ბედიას სმენამდეც აღწევდა... ყეფდა ძაღლი, ყიოდა მამალი, შენდებოდა ქალაქი... მუექინი გაჭკიოდა მინარეთიდან, გრეგორიანელთა ეკლესიის ცისფერი გუმბათიდან საამო გალობა იღვრებოდა, იუდაელთა სინაგოგასთან თავშეყრილი ქუდიანი მლოცველები ისე შედიოდნენ

ეროვნული
ბიბლიოთეკა

წითელ სახლში, როგორც ლეგიათანის ხახაში; სიონის თავზე საკმეველის მოცისფრო ბოლი იდგა და სიონის სპრეკლო აუჩქარებლად ითვლიდა დროს...

ამოიოხრა კაჭუჭია ბედიამ. გაუგებარი იყო სამყარო, გაუგებარი იყო სიცოცხლე. გვერდებამობერილ შარავლზე დაიხედა. ლაქები აჩნდა. თითო შეახო და რადაც წებოვანი მოეცხო. შეუძლებელი იყო სიწმინდესთან ზიარება, რადგან თავისი ჭუჭყი თან დაჰქონდა და ისე ადვილად თავიდან ვერ მოიშორებდა.

●

სევდას მოუკვდა პატრონი, კაჭუჭია ბედია სევდისათვის არ იყო გაჩენილი... რაფიკ მაკლერს დაუმხანაგდა და საქმეების გაჩარხვას შეუდგა...

ლექციებზე სიარულით არც წინათ იკლავდა თავს, ახლა კი სულ აიღო ხელი. თუმცა სწავლა რად სჭირდებოდა ამდენი ფულის პატრონს. მისი მთავარი საზრუნავი ფული გახდა, ის იყო მისი ავადყოფობის მიზეზი. ფული შეეყარა როგორც სახადი, ტიფი, შავი ჭირი. ფული აღელვებდა, როგორც პირველი სიყვარული. ჯიბეების სიმძიმეს ისე განიცდიდა, როგორც ნაყოფს ფეხმძიმე ქალი. ფულის ტკივილნი ისე ჩაესმოდა, როგორც ტკბილი მუსიკა.

ახლა უკვე თავისი ოთახები ჰქონდა. გარდაცვლილი მეზობლის ბინას დაეპატრონა. შიგ ჩაიკეტებოდა, ამოაწყობდა ჯიბიდან თუმნიანებს გაქონილ დასტებს. მიეჩვია და ყურადღებას არ აქცევდა სისხლს ლაქებს. თითს დაინერწყვავდა და თვლიდა. იმდენი ჰქონდა, დათვლას ვერ აუდიოდა და მეორე კვირის თავზე ჯიბეს ჯიბე მიაკერა.

ერთხელ ჯუმა ბედიამ სთხოვა, ფული მასესხეო. უარი სტკიცა, საიდან ფულიო, თუმცა შარვლის ჯიბეები სიმძიმისგან ასკდებოდა და უფროსმა ბედიამ მრავლისმეტყველი მზერა ესროლა. კაჭუჭიამ ხელები აიფარა ჯიბეებს, ამით თუ ცდილობდა ხელყოფისაგან დაეცვა თავისი სიმდიდრე, სწრაფად შევარდა ოთახში და ჯუმა ბედიას კაკუნს ყური მოუყრუა.

ერთ საღამოს რაფიკ მაკლერი აიყოლია და ქველი ქალაქის უბნებს მიაშურა. საქმიანად იძუნძულეს აღმა-დაღმა. რაფიკას ყნოსვა უჭრიდა, მუდამ იცოდა, სად რა იშოვებოდა. დოლარების მსგავი დასტა შეიძინა. ცნობისმოყვარეობამ უბიძგა, თორემ რაში უნდა დასჭირვებოდა. მერმე გაუტკბა. მიჰყო ხელი და მალე კარადის უკრაში ჩალაგდა ლირები და იენები, ფრანკები და გერვანქა სტერლინგები, დრახმები და მარკები... თავს კოლექციონერს ეძახდა, ცხადია, ფიქრში. თუმცა, ვინ იცის, მომავალი რას უქადდა. მომავალზე ფიქრმა ოქრო შეაყვარა. ყოველთვის ხომ არ იქნებოდა შოვნის დრო. ბედსაც შეეძლო ეღალატნა. ოქროს კი ფასი მარად ექნებაო, მიდგა და ბღუჯა-ბღუჯა ყიდულობდა ბეჭედებსა და საყურეებს, სამკერდეებსა და მანეკეტებს, სათეებსა და სამაჯურებს... არც ნაირ-ნაირი ჭურჭლეულობა დავიწყნია, უმთავრესად ოქრო-ვერცხლისა, არც ძვირფასი და პატიოსანი ქვები... ბინაში აქა-იქ ჩუმად მოაყუჩა განსაცავები. შუაღამით, როცა ყველას ეძინა და დაგვიანებული მანქანის თუხთუხიღა მოისმოდა შორიდან, ბნელ ოთახში ზღაპრულ ფერებად ციმციმებდა მძივებად ასხმული ლალი და ფირუზი, მარგალიტი და ბრილიანტი... საიდანღაც გამოჩნდა ბატარა, მძიმე ზოდები — ოქროს ზოდები, კარადის ორმაგი ფსკერის ქვეშ უჩუმრად რომ ელოდნენ თავიანთ დროს.

ქვეყნიერება დაავიწყდა კაჭუჭია ბედიას. თავის სიმდიდრეში ბანაობდა და სხვა არავინ და არაფერი უნდოდა...

გვიან მიხვდა, რომ შეიცვალა. ყველაფერი ძველებურად იყო მის ირგვლივ, თვითონ კი გარდაისახა. აქამდე ღარიბი გახლდათ, ხელგაშლილი, გულღია, კეთილი... ყოველ შემთხვევაში, ასე ეგონა. ახლა, ფულის ყოველი დასტის შეძენ-

ჯემალ ქირია
მარადი მხიბლავი

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ით, უფრო და უფრო ხელმოჭერილი ხდებოდა და კაპიტალს დაჰკანკალებდა. წინათ უთვალავი ძმაკაცი, მეგობარი, თანამეინახე ან, უბრალოდ, კაი ნაცნობი ჰყავდა, ახლა ყველა მტრად ეჩვენებოდა, ყველას ფულს წაგლეჯა სურდა, მძარცველი და ბოროტმოქმედი ეხვევნენ გარს... ფანჯრებზე რკინის გისოსები აასხა თავის ხელით, მუშას ვერ ენდო, კარებს ცხრაკლიტული გაუკეთა; არავის შინ არ იღებდა. იშვიათ სტუმარს აივანზე ხვდებოდა, მარტოხელა კაცის ცხოვრება ხომ იცით, ბინა არეულ-დარეული მაქვს და შინ იმიტომ ვერ გეპატიჟებთო.

საშოვარზე თუ არ დადიოდა, საქმე მეტი არა ჰქონდა რა და, მთელი დღე ლოგინზე ეგდო, ჭუკყიან ლოგინზე (გასარეცხად სად მოიცლიდა, სამრეცხაოც ეძვირებოდა); იწვა ტანსაცმლიანი, რათა შემთხვევით ჯადო-შარვალი არ გამქრალიყო. სარკის წინ თუ ჩაივლიდა, თავს ვეღარა ცნობდა. ტანზე ხომ დაჭმუჭნილი ეცვა, თვითონაც დაჭმუჭნილსა ჰგავდა. სახეზე ბღუჯა წვერი წამოეზარდა და ადრე ბუნჭულა ლოყები გაუფერმკრთალდა. არ მოსწონდა თავისი გარეგნობა, მაგრამ ყველაზე მდდარი რომ გავხდები, მაშინ მივხედავ თავსო, ფიქრობდა.

ფიქრით კი თავი მართლაც უსაქმეოდა. მთლად ეგეთი გაფუჭებული არა ვარო, საკუთარ სინდისს არწმუნებდა. წამდაუწუმ იხსენიებდა რა გულუხვად გავუმაპინძლდი წიპუკასო. მეორე წუთს გული მოსდიოდა, ენანებოდა ის თუმნიანები. უბრალო ახირება იყო და მეტი არაფერი.

შემდეგ და შემდეგ საშოვარზე საღამოობით გადიოდა. ეშინოდა, ამხანაგები გადამეყრებიან, ასე ამოჩაჩული ვის ვენახვებიო. უფრო კი იმიტომ, ეგებ ვინმემ ფულის სესხება მთხოვოსო...

ასე და ამგვარად ცხოვრობდა...

ალზეიმება

პირველ დღეებში არაფერი შეცვლილა. ჯუმა ბედია მზეჭაბუკის დაკარგვამ შეაწუხა და საკუთარ თავზე არ ფიქრობდა. მთელი კვირა ელოდა, მაგრამ მზეჭაბუკი არ გამოჩენილა. სოფლიდან ბოლო დროს წერილი წერილს მოსდევდა, როგორა ხართ, რატომ არაფერს იწერებითო. ჯუმა ბედია მოშხამული და გაღიმარი დადიოდა. თავს მოტყუებულად გრძნობდა. ღამე კოშმარული სიზმრებით დაქანცულს, დღე შაკიკი და გულისრევა აწამებდა. ამხანაგ-მეგობრებს ჩამოსცილდა, თუმცა ჰყავდა კი ამხანაგ-მეგობრები? აქამდე ეგონა, რომ ჰყავდა. როცა გაუჭირდა, მოიხედა, გვერდით მეგობრის იდაყვი ვერ იგრძნო... მოგვიანებით დედისაგან დეპეშა მიიღო. მზეჭაბუკი ჩამოვიდა, მთელი დღე გაბუსულია და ხმას არ იღებს, ყველას მუნჯი ჰგონია, ეგეთი რა დამართეთო. მადლობა ღმერთს, ცოცხალი მაინც ყოფილაო, გაიფიქრა ჯუმა ბედიამ. ამ აზრმა მცირედი შვება მოჰგვარა.

მეორე ძმამ, კაჭუჭიამ თავი მოაბეზრა. დღენიადაგ გალეწილი დაეთრეოდა. არყის სუნით აყროთებდა ოთახს. უფროს ძმას ვეღარ ცნობდა, ისე მიეგდებოდა და მისი ხვრინვისაგან სარკმელში მინას წკრიალი გაჰქონდა. ძილში წამდაუწუმ მზიას წმიდათაწმიდა სახელს ბურტყუნებდა. ჯუმა ბედია ცოფდებოდა, მზად იყო, ბალიშით გაეგუდა საშუალო ძმა; ისე იყო შეურაცხყოფილი, თითქოს კაჭუჭიას სარძლოსათვის ეკადრებინოს აუგი. ეშინოდა გულში დავანებული სიძულვილისა და თავქუდმოგლეჯილი გარბოდა ქალაქში, რათა მიყოუებულ. უცნობ კვარტალებში ხეტიალით ოდნავ მაინც დამშვიდებულიყო.

სამსახური შესჯავრდა, თუმცა როდის უყვარდა? თანამშრომლები დასანახავადაც ეზარებოდა. რამდენიმე დღე ზედიზედ გააცდინა, ჯანდაბას, თუ გამგდეს, გამაგდონო. გუნებაში აგინებდა დირექტორს, გამგეს, ჭორიკანა ქა-

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ლებს. დილიდან საღამომდე კარის ჭუჭრუტანასთან იყო დაჩოქილი, ზემო სართულიდან იქნებ მზიმ ჩამოიაროს. ბედი ამაშიც არ წყალობდა.

ყველაფერში მაინც გუჯმახანს ადანაშაულებდა. ფიქრშიც ვერ ბედავდა მის ლანძღვას. ცხადად და სიზმრად ელანდებოდა მგელზე ამხედრებული ეშმაკეული...

გუჯმახანს კი ეტყობა, ბედიები არ ავიწყდებოდა.

ამას მაშინ მიხვდა, როცა სახლმართველობიდან მოვიდნენ და გარდაცვლილი მეზობლის ბინის გასაღები კაჭუჭიას ჩაბარეს. ოღნავ ამოისუნთქა. მარტო დარჩენა გაუხარდა. არავინ შეუშლიდა ხელს. იჯდა თავისთვის, არც კითხულობდა, არც წერდა, არც რადიოს უსმენდა. ტელევიზორი შეიძინა, მარტო ერთ გადაცემას თუ ათხოვებდა ყურს ავადმყოფური ცნობისწადილით, — „კანონიერების სადარაჯოზე“, თორემ სხვა დროს არც ჩართავდა... იჯდა და უსმენდა ქუჩის დაუსრულებელ ხმაურს...

ორშაბათ დილას კარზე ფრთხილად მოუკაკუნეს. დირექტორის მძღოლი აღმოჩნდა. აქამდე შელაზღანდარებულნი იყვნენ. მძღოლი კორექტორებს არაფრად დაგიდევდათ, რაც ენის წვერზე მოადგებოდა, ყველაფერს ლაქლაქებდა. ახლა კი ჯუმა ბედიას კართან კრძალვით იწმაწნებოდა, უხერხულობისაგან არ იცოდა ხელები სად წაეღო.

— ბატონო ჯუმა, დირექტორმა სამსახურში თუ ინებებთო მობრძანებას.

ჯუმა ბედია გაშრა, ეგონა დამცინინსო, კინაღამ ყანყრატოში ეცა. მძღოლის თვალში მორჩილება ჩანდა და ამან შეაჩერა.

— ქვევით დამელოდე, ახლავე ჩავიცვამ! — უხეშად მიუგდო.

განგებ იცვამდა ნელა, მართლა დამელოდება თუ არაო. გრძნობდა, მის ცხოვრებაში ამ წუთიდან იწყებოდა ახალი ერა. შინაგანი პროტესტის სუსტი ხმები ჩაახშო და იწამა თავისი გამორჩეულობა.

ახალ კოსტიუმში გამოწყობა, ფეხსაცმელები დაიპრიალა. ყელსახვევის განასკვა ცუდად ეხერხებოდა და სარკის წინ კაი ათი წუთი იჯახირა.

ტროტუარის პირას დირექტორის ახალი, გაკრიალებული „ვოლგა“ იდგა. მძღოლმა კარი მოწიწებით გაუღო. ჯუმა ბედია მხრებგაშლილი გამოიქცა წინა სავარძელში და ხელი აიქნია. ნება დართო, დაძრულიყვნენ. მძღოლმა გვერდზე გაიწია, შეუმჩნეველად ცდილობდა ცხვირი ღია სარკმელში გაეყო. „რას მიამეუნობს?“ — მიზეზს მიუხვდა ჯუმა ბედია და გულში კვლავ შხამი ჩაეღვარა.

მას კვლავინდებურად სიდამწვრის სუნი სდიოდა.

„დედას გიტირებთ ყველას, — იქადნებოდა, — ამ სუნსაც ისე მიგაჩვევთ, ვარდის სუნამო გეგონოთ“.

ამას ფიქრობდა მთელი გზა და თვალებში ვერ იხედებოდა.

დირექტორის კაბინეტთან რომ გაიარა, მისაღებიდან მდივანმა გამოიხედა. ქეკლუცად გაუღიმა და უმალვე ცხვირზე აბრეშუმის ქაღალთა ცხვირსახოცი აიფარა.

— ბატონო ჯუმა, დირექტორი გელოდებათ!

„ტყავს გამაძრობს, — დაფრთხა ჯუმა ბედია, — ეგებ გაცდენებიც ხელზე დაიხვიოს და სულაც გამავდოს!...“

დირექტორი კართან შეეგება.

— გელოდი, ბატონო ჯუმა, შეუძლოდ ხომ არ ბრძანდებოდი?

ჯუმა ბედიამ რაღაც ჩაიბურტყუნა, თვითონაც არ იცოდა, რა.

— დაბრძანდი, გეთაყვა! — სავარძელზე მიუთითა დირექტორმა. მრცხვენების კვალიც არ ეტყობოდა. ჭაბუკმა შიშით ჩახედა სავარძელს, ხომ არაფერს მიხმანდრებსო. დირექტორი თავაზიანად იცდიდა და ჯუმა ბედია მოხერხებულად მოკალთდა.

— ეწევი? — პაპიროსის კოლოფი

ეროვნული
ბიბლიოთეკა

გაშოუწოდა დირექტორშა. ჯუმა ბედიას უნდოდა უარი ეთქვა. გაახსენდა, სიდამწვრის სუნი რომ სდიოდა და იფიქრა, თამბაქოს სუნად გავასაღებო. ერთი პაპიროსი ამოიღო, მოუკიდა და ფეხები ნებიერად გაჭიმა.

— რაზე დამიბარეთ? — აგდებულად ეკითხა, გული კი შიშით ეწურებოდა.

— აქამდეც მინდოდა შენთან საუბარი, მაგრამ სამსახურში არ დადიოდი და... მესმის, მესმის, შეუძლოდ ბრძანდებოდი... საყვედური არც მიფიქრია, სიტყვამ მოიტანა. იმ დღეს კი...

— მეც უტაქტოდ მოვიქეცი, — კომპრომისი არჩია ჯუმა ბედიამ, თან მოწინააღმდეგის სუსტი ადგილი მოსინჯა.

— ეგ არაფერი. მე მაინც მომწონხარ, — გაიღიმა დირექტორს, — კარგი ბიჭი ჩანხარ. ხმები მომდის, ნიჭიერებას გიქებენ, შრომის უნარს. შენისთანა ახალგაზრდები უნდა წავახალისოთ. სულ ჩვენ ხომ არ ვიქნებით, ახალგაზრდებიც უნდა მივაჩვიოთ მმართველობის ურთულეს საქმეს. ხვალ შეიძლება შენც ჩაგაბარონ დიდი საქე, ასეა, ჩემო კარგო...

ჯუმა ბედიას ბედნიერებისაგან თავბრუ დაეხსა. დირექტორი სავარძელში გადაწვა, ცხვირსახოცი პირზე აიფარა და ისე ლაპარაკობდა. ეს პაწია დეტალი ჭაბუკს არ შეუნიშნავს.

— საკორექტოროს გამგე რომ პენსიაზე გადის, გაიგებდი ალბათ, — პირდაპირ საქმეზე გადავიდა დირექტორი.

— დიახ! — შეეცადა უდარდელად ეპასუხნა.

— რას იტყოდი, მის ადგილას რომ დაგნიშნო?

იწყებოდა, დიახაც იწყებოდა მზის ამოსვლა ჯუმა ბედიას ცხოვრების თვალსაწიერზე. ახლა გადადგამდა პირველ ნაბიჯს... მართალია, არცთუ ისე მაღალ საფეხურზე, მაგრამ დასაწყისიც არ იყო.

უცბად მაინც არ დათანხმებულა. თვალები მილულა და ღრმად ჩაფიქრებულ კაცს დაემსგავსა.

დირექტორმა დრო იხილა, ღია ფანჯარაში გაყო თავი, ცოტა ხნით სული მოითქვა.

— არა! — კატეგორიულად წამოიძახა ჯუმა ბედიამ.

— რა არა? — ვერ მიუხვდა დირექტორი, — ამ საქმეს ვერ მოუვლი?

— მე ჩემი უნარისა მჯერა, — თავხედურად შეჰყურებდა სახეში ჯუმა ბედიას, — უფრო მეტსაც მოვერევი. სულაც არ ვაპირებ ჩემი ნიჭიერება ანაბეჭდების კითხვასა და მტერიანი გვერდების თვლაში ჩავახრჩო.

— აბა რა გინდა? — მკვახედ შეეპასუხა დირექტორი, — ჩემი სავარძელი ხომ არ მოგწონს?

„იმასაც მოვესწრები“, — გაიფიქრა ჯუმა ბედიამ, თქმით კი სხვანაირად უპასუხა.

— თქვენთვისაც უმჯობესია, — და ამ „თქვენთვისას“ ხაზი გაუსვა, — რომ სხვა რამე შემომთავაზოთ.

— მაგალითად? — მტრულად შეეკითხა დირექტორი.

— ჩამაბარეთ პოეზიის განყოფილება!

— მერედა, შენ რა გესმის პოეზიისა?! — იქუხა დირექტორმა და მუშტი მაგიდაზე დაახეთქა. სახე ჭარხალივით გაუხდა. „ახლა გული წაუვა“, — მშვიდად გაიფიქრა ჯუმა ბედიამ. მართლაც დირექტორი სავარძელში მიესვენა და ჩურჩულით, უღონოდ უჩვენა კარისაკენ, — გაეთრიე აქედან, აყროლებული ვირთხავ!..

— ერთ საათში თვითონვე დამიბარებთ! — ბეჯითად თქვა ჯუმა ბედიამ, კარი გაიჯახუნა და მდივანს დაუგდო,— მიდი, შეფს წვეთები დაალევინე!

დამფრთხალი მდივანი კაბინეტში შევარდა. ჭაბუკმა კი ჯიბეში ხელები ჩაიწყო და ტაკვგადაკრული კარებს უდარდელი გამომეტყველებით ჩაეყარა. გულში შიში ჩარჩენოდა, სულით შფოთავდა. უკიდურესად შეურაცხყო დირექტორის ბოლო სიტყვებმა, ფიქრში ათასნაირი სისაძაგლით პასუხობდა. უფრო „აყროლებულად“ შეაწუხა, ვიდრე „ვირთხამ“. გულში მოხვდა, რა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

დგან თავის ამ ნაკლს ვერაფრით მალავდა და ყველა მტერი იყო, ვინც ეს შეამჩნია.

სართულის ვესტიბიულში პინგ-პონგს თამაშობდნენ. შესვენებამდე საათნახევრით ადრე იწყებოდა თამაში და თუ დირექტორი ახლოს არ ეგულებოდათ, სამსახურის ბოლომდე აგრძელებდნენ. მაგიდის ირგვლივ რამდენიმე რედაქტორი და ბუხალტერიის თანამშრომელი შეკრებილიყო. პოეზიის განყოფილების გამგე — ოციოდე თითოფორმიანი წიგნის ავტორი, როგორც ეს ბოლოს ... ...

ეროვნული
ბიბლიოთეკა

თანამშრომლები და ადვილად ვერ-
ფერს უბედავდნენ.

ჯუმა ბედია ამაყად თავაწეული გა-
შორდა მოთამამეებს.

— პოზიორი! — მიადევნა ვიღაცამ.
ჯიქურ შემოტრიალდა. თამაში განახ-
ლებულიყო და მას არავინ უყურებდა.
ჯუმა ბედიამ კბილები გაიღრჭიალა.
საჩხუბრად მომართული შევიდა კაბი-
ნეტში, უსიტყვოდ ჩაეშვა სავარძელში
და დირექტორს მიაჩერდა.

დირექტორი ფანქარს აწკაპუნებდა.

— იმ კაცს რა ვუყოთ? — ყრუდ
ჰკითხა.

— კორექტურა ჩააბარეთ. ნერვები
მშვიდი აქვს. ამდენი შინაბერადან ეგებ
ერთმა მაინც შეასაღოს თავი.

უკბილო ხუმრობაზე დირექტორმა
ცალი ყბით გაიღიმა.

— მერე და, მოერევი საქმეს?

— ვინც უნდა შევცვალო, პინგ-პონ-
გის თამაშის მეტს არაფერს აკეთებდა,
პინგ-პონგს კი მასზე უკეთ ვთამაშობ.

— ძაან კი ხარ ხუმრობის გუნებაზე.
მიყურე მე შენ, კისერს რომ წაიტეხ...

— ვიცი, ეს გინდათ და ესაა, — მო-
ხმბვლელი ღიმილით პასუხობდა ჯუმა
ბედია, — მაგრამ ეგეთი თამაში არ გა-
მოგვივა. აქედან თუ წავედი... ჟურნა-
ლის რედაქტორად მაინც წავალ. ასე
რომ, თუ გინდათ თავიდან მომიშოროთ,
ხელი შემიწყეთ!

— შენ ნორმალური ხარ?

— აბსოლუტურად!

— ღმერთმა ქნას, ღმერთმა ქნას!...
სიმართლე გითხრა, ასეთი წარმოუდგე-
ნელი თავხედობა!...

— გაჭირვება მიჩვენეო, ბატონო...

— კარგი, კარგი... შენ ისეთი ვინმე
ჩანხარ, შორს წახვალ!

— მეც ამისი იმედი მაქვს, თქვენი
შემწეობით!

— ვნახოთ, ვნახოთ!

ჯუმა ბედია მეგობრული ღიმილით
გამოეშვიდობა, ხელიც კი გაუწოდა,
მაგრამ დირექტორმა ვითომ ვერ შე-
ამჩნია.

კარს რომ იხურავდა, დირექტორის
ხმა მიდწეოდა:

— აბანოში მაინც წადი, შე კაი კა-
ცო, ხალხში ხარ!

ჯუმა ბედიამ კარი სასწრაფოდ მიხუ-
რა. მდივანმა, ეტყობა, მაინც გაიგონა
დირექტორის ნათქვამი, რადგან გაწით-
ლდა. ჯუმა ბედიას ერჩივნა, მიწა გახე-
თქოდა. გულში ბოღმა ჩაეხშო და მდი-
ვანს გაუღიმა, აქაოდა, მე და შეფი ძმა-
კაცებივითა ვართ შეხუმრებულნი.

პინგ-პონგის თამაში მოეთავებინათ
და ბრძოლაგადახდილი გამგეები დე-
რეფანში მოხეირნობდნენ.

ჯუმა ბედიამ პოეზიის განყოფილების
გამგეს ხელი მკლავზე წაატანა.

— მომილოცავს!

— რა?

დანარჩენებიც შედგნენ.

— ახალი დანიშვნა... შეფი გიბარუ-
და!

— რა დანიშვნა, შენ რა, აფრაკად
ხომ არა ხარ?

— შებრძანდი და ნახავ!

პოეზიის განყოფილების გამგე დი-
რექტორის კართან იატუზა. ერთხანს
იფოყმანა, კარი ოდნავ შეაღო.

— შეიძლება, ბატონო?

კაბინეტში ვიღაცას ლომივით ჩაიბუ-
ხუნა. მხრებაწურული გამგე კარს მიღმა
გაქრა. სულ რაღაც ხუთიოდე წუთი
უცადეს მისაღებში. მერე კარი გაიღო,
ჯერ უკანალი გაჩოჩნდა, შერე მოხრი-
ლი ზურგი.

— კი ბატონო, როგორ არა ბატო-
ნო... — უპასუხებდა უჩინარ მბრძანე-
ბელს.

როცა შემოტრიალდა, კაცის ფერი არ
ედო. ერთხანს უყურებდა ჯუმა ბედიას,
რაღაცის თქმას აპირებდა, პირს აცმა-
ცუნებდა მხოლოდ. ბოლოს ძლივს
ამოშაქრა:

— ბატონო ჯუმა...

— თვითონ ბატონო, — ალერსით
შეეპასუხა ჯუმა ბედია, შეეცადა თანა-
გრძნობა გამოეხატა.

— რა მოხდა, რა იყო? — შიცვივდ-
ნენ კოლეგები. კარებიდან სხვა თანამ-

ეროვნული
ბიბლიოთეკა

შრომლებმაც გამოჰყვეს თავები, **ყურ-**
დაცქვეტილნი ელოდნენ ცხელ-ცხელ
ამბებს.

— გადამიყვანეს, — ხმა უკანკალებ-
და პოეზიის ექს-გამგეს, — კორეტტურა
ჩამოგვირჩაო, შენ კი ყველაზე გა-
მოცდილი, ძოწინავე მყავხარო. პატი-
ვი გვეცი და ჩამორჩენილი უბანი ამოო-
ქაჩეო, ასეო, ისეო, ფარი ვერ ვკადრე...

— ფიე, — დაუსტვინა კრიტიკოსმა,
— უნდა იჩივლო!

— რას იჩივლებ, თავს ზევით ძალა
არაა, — ხელი ჩაიქნია ექს-გამგემ, —
რომ იცოდეთ მაინც, ვინ შემცვალა!

— ა? უკვე დანიშნეს? ვინაა?..

ჯუმა ბედიამაც კისერი წაიგრძელა,
ვითომ წარმოდგენა არაფერზე ჰქონდა.

— აჰა, გაიცანით, ბატონი ჯუმა ბე-
დია, ოღონდ არ ვიცი, როდის აქეთ გა-
პოეტდა...

გაკვირვებული მოძრაობა, მზერა, სა-
მარისებელი სიჩუმე... ჯუმა ბედია იდ-
გა და ელოდა მოლოცვებს, პირფერთა
აღტაცებულ ტიტინს, ტაშს. დუმილი კი
გაგრძელდა.

— ბატონებო! —თვითონ დაარღვია
სიჩუმე.

ვიღაცამ ჩაიხითხითა, შეურაცხმყოფა-
ლად, ადგებულად. ჯუმა ბედიას თითქ-
ოს გააწნესო, რისხვა შემოენთო, თავი
მოითოკა.

ყველა თავის საქმეს მიუბრუნდა.
დერეფანი დაცარიელდა. ჯუმა ბედიამ
არ იცოდა, საით წასულიყო. ძველ მა-
გიდას არ სურდა დაბრუნებოდა, ახლი-
საკენ კი ეუხერხულებოდა.

— როგორ ჩაიწყო ეგეთი საქმე? —
მოესმა კარის ღრიჭოდან.

— ეყოლება ვინმე!... ეჰ, ეგეთები
ხდება? — ამოიხეკნა სხვა ხმამ.

ჯუმა ბედია შებრუნდა და ქუჩაში
გავარდა. არავის, არავის არ უყვარდა
იგი, არავინ თანაუგრძნობდა. „მე გიჩ-
ვენებთ სეირს, დედას ვუტირებ ყვე-
ლას!“ — გუნებაში ჭირსა და ქოლერას
უგზავნიდა მტერ-მოყვარეს და ვერაფ-
რით დამშვიდებულიყო.

●

მაცაცუნა, როგორც ყოველთვის, ჭა-
დრის ძირას იდგა, მას ელოდა. „ალბათ
წინასწარ გრძნობს, როცა მაპამპულე-
ბენ“, — გაიფიქრა ჯუმა ბედიამ. მთე-
ლი ის ჯავრი, რითაც სული აევსო, ახ-
ლა მაცაცუნას უნდა დასტეხოდა თავს.

— რა გინდა?! — უკმეხად შეეკითხა.

— არაფერი... ისე ვიდექ... — შეეცა
მაცაცუნა.

— ვითომ მე არ მიცდიდი! — ბორო-
ტად გაიღიმა ჯუმა ბედიამ. ვერაფრით
აეხსნა ეს სიძულვილი ქალიშვილის მი-
მართ, მაგრამ მზად იყო რამე სისაძაგ-
ლე ჩაედინა.

— მე, არა... — თვალზე ცრემლი მო-
ადგა მაცაცუნას. ისე დაბნია ჭაბუკის
სიუხეშემ, ტირილსაც ვერ ბედავდა.

— წამოდი! — უბრძანა უცებ ჯუმა
ბედიამ.

— საად?

— წამოდი! მესამეჯერ კი არ გაგიმე-
ორებ!

ჯუმა ბედია შებრუნდა და ტაქსის გა-
ჩერებისაკენ გაემართა. არც მოუხედია,
დარწმუნებული იყო, რომ მაცაცუნა
მოსდევდა.

მანქანას დროზე მიუსწრეს.

— ჩაჯექი!

გოგოს ფეხი აერია. ჯუმა ბედიამ მა-
ნქანის კარი გამოაღო, მკლავზე მტკი-
ცედ სტაცა ხელი და ჩასვა.

— ესმა, პრივეტ! — გაპრანჭულმა
გოგოებმა ჩამოიარეს, ხელი დაუქნიეს.

მაცაცუნამ საწყლად გაიღიმა, თვი-
თონაც ხელი დაუქნია პასუხად.

ჩუმად ისხდნენ. ჯუმა ბედია განზე
იყურებოდა. არც არაფერს ფიქრობდა,
ვერც ვერაფერს ხედავდა. ფანჯარაში
გაელვებული სხვა მანქანები, გამვლე-
ლები, სახლები, ტროტუარები, ხეები
ფერადი ფორგალივით იხვეოდა და მეხ-
სიერებაში კვალს არ ტოვებდა. მანქანა-
თა შეწყობილი გუგული რაღაც ჰარმო-
ნიულ რიტმს ქმნიდა და ჯუმა ბედია

ჯემალ ქარია
მარადი ახალგაზრდა

ეროვნული ბიბლიოთეკა

თანდათან მშვიდდებოდა. უკვე არ ჰქონდა გული სასვე ბორბოტებით, უკვე შეეძლო შეწყნარება, უკვე არ სურდა მაცაცუნას მოსპობა, ოღონდ მის პირქუშ სახეს ეს ცვლილება არ შეტყობია. ჩვეულებრივ მოტიტიეე და მხიარული მაცაცუნა ახლა დაზაფრული იჯდა და კაბის კალთას აწვალებდა. ბოლოს ვეღარ მოითმინა.

— რა იყო, რა, ჯუმა, ისე შემაშინე, ფუხლები მიცახცახებს... — ძლივსა თქვა. ჭაბუკმა ხმა არ ამოიღო. მაცაცუნამ ხმასაც მოუმატა და ტირადის სიგრძესაც, — რა დავშავე? ანასდრის ცუდი არ მიფიქრია, ისე ახლობლად გთვლიდი... მერე, ტატო რომ დაიღუპა, იმის შემდეგ...

— ამორატრტდი ახლა! — თვალები გააკვესა ჯუმა ბედიამ და ისევ ფანჯარას მიუბრუნდა.

მაცაცუნას ენა ჩაუვარდა. ერთხანს ჩუმად იყო. მოთმინება დაელია და კვლავ ალაპარაკდა.

— ძალიან ცუდად მექცევი. ყველას კი არ მოვუთმენ ამდენს. შენი საკუთრება კი არა ვარ, დედაცა მყავს და მამაც...

— მდიდრებია? — ჯუმა ბედიას კილოში დაცინვა ივრძნობოდა, რამაც გოგო უფრო დააბნია.

— კი.

— ეგეგ სასიძოს მანქანა უყიდონ, პა, რას იტყვი?

— შეიძლება...

— ეჰ, შე მართლა მაცაცუნა!

ეს უკვე მეტისმეტი იყო.

— ახლავე გააჩერეთ!.. შენ აუტანელი ხარ!.. არაფერი არ მინდა შენგან!.. — თვალცრემლიანი მანქანის კარს ეჯაჯგურებოდა, ხელები უცახცახებდა და ამიტომ გაღებას ვერ ახერხებდა.

— გავაჩერო? — გულგრილად იკითხა მძღოლმა, ახალგაზრდების კინკლაობას ყურსაც არ ათხოვებდა.

— მიდი, კაცო, მე გეტყვი, სადაც უნდა გააჩერო!

— არა, მე ახლავე ჩამოვდივარ! — ჭირვეულობდა მაცაცუნა.

— წყნარად იჯექი! — ჯუმა ბედიამ სახე ფანჯრისაკენ მიაბრუნა, მაცაცუნა კი სავარძლის კუთხეში მოიკუნტა, თანდათან დამშვიდდა, წყენამ გადაუარა. ცდილობდა სარკეში ჩაეხედა, წამწამებზე საღებავი ხომ არ ჩამომრეცხოო.

კიბესა და აივანზე არავინ შეხვედრიათ. დერეფანი ფეხაჩქარებით გაიარეს და ოთახში შევიდნენ.

— აქ ცხოვრობ? — ერთგვარი გაკვირვებით იკითხა მაცაცუნამ.

— აბა, სრა-სასახლეები ჯერჯერობით არ აგვიშენებია, — მოუჭრა ჯუმა ბედიამ.

— არა, მაგრამ...

— შენ როგორ ბინაში ცხოვრობ?

— რა ვიცი, გვექნება ალბათ ხუთიექვსი ოთახი...

— ჰმ, ხუთი-ექვსი... — აბორგდა ისევ ჯუმა ბედიას სული, ისევ ვიღაცა იყო დამხაშავე მის წინაშე, ისევ ებადებოდა სურვილი შურისძიებისა, ოღონდ მთელ ქვეყნიერებას ვერ მოერეოდა და ეს გონებით უმწეო გოგოღა შურჩენოდა ბორბოტ ვნებათა დასაოკებლად. ტრაგედიის გმირის დიდებული პოზით გაჩერდა სარკმელთან და მოულოდნელად ბრძანების კილოთი მიუგდო.

— გაიხადე!

მაცაცუნამ უცებ ვერ გაიგო, თვალები აეპარპალა, პირისპირ აღმოჩნდა ჯუმა ბედიასთან და თუმცა სიტყვის აზრს ჯერაც ვერ ჩასწვდა, უცნაური ვნებიანი ტალღა უვლიდა, გრძნობდა, რომ არ ძალუძდა წინააღმდეგობა.

— რა?

— გაიხადე! — პირქუშად გაუმეორა ჯუმა ბედიამ და მაცაცუნა მიხვდა, სხვა სიტყვები ზედმეტი იყო.

— ვინა გგონივარ... — ხმაში სულაც არ ისმოდა პროტესტი. მეტი არც უთქვამს რამე. ჯუმა ბედიას თვალებიდან იღვრებოდა უმრეტი, დაუოკებელი, ჯოჯოხეთური ვნება და მაცაცუნა თავით ფეხამდე გაეხვია უხილავ ტალღებში.

ხელები უცახცახებდა, ღილებს ვერ პოულობდა. კიდევ ცოტა და, მუხლი

ეროვნული
ბიბლიოთეკა

მოეჭრებოდა. ნელ-ნელა იხდიდა უჩვეულო ძალით დათრგუნვილი; ელოდა იმ წამს, როცა მოუახლოვდებოდა ჭაბუკი, ერთი ხელის მოსმით შემოაძარცვავდა ყოველივეს და ჩაეშვებოდნენ თავბრუდამხვევ მორევში, რომელსაც მაცაცუნა უნდა დაეღუპა...

ჯუმა ბედია კი შორს იდგა, გულზე ხელები დაეკრიფა, ადგილიდან არ იძიროდა. თვალებში უცნაური, შემზარავი სინათლე უკიაფებდა, ვინძლო მოერღვია ყოველი ზღუდე საწადელ გზაზე. ღელავდა ჯუმა ბედია, ყურში განუწყვეტლივ გუგუნებდა დისჰარმონული მუსიკა, სხეული ეწვოდა შინაგანი მხურვალებისაგან, გული იხრჩობდა მოძალებულ სისხლში, ისევ და ისევ უბრუნდებოდა უჩვეულო ტალღა, მთლიანად რომ იპყრობდა, თავბრუს ახვევდა... იმატა სიდამწვრის სუნმა, თითქოს ნახანძრალზე ვგდო, ფერფლში ჩაფლულ ნაკვერცხლებზე იხრუკებოდა უხმოდ...

გოგონა კი შიშვლდებოდა და მისი თვთრი, თითქოს მხატვრის ტილოდან ჩამოსული სხეული სიგიჟისაკენ ერეკებოდა ჯუმა ბედიას... ჭაბუკს დაავიწყდა ქედმაღლობა, სიამაყე, მზად იყო მუხლებზე დაცემულიყო, ებობლა ამ სხეულის წინაშე, დორბლით წაებილწა იატაკი, მოეშთო იგი, მისი მტერი, რათა გამქრალიყო ღვთაებრივი ძალა, რომელიც გრძნობათა უკეთილშობილესი მწვერვალიდან ასე ადვილად ჩაადგებს ადამიანს საკუთარ სიბილწეში...

ჯუმა ბედია გიჟი იყო და დედიშობილა ქალიშვილი მორთოლვარე მოელოდა მის ველურ თავდასხმას...

ელვასავით გაჭკრა ჯუმა ბედიას... გახსენდა სანაპირო, დღე, როცა მარცხი მარცხზე წაემატა, როცა ყველამ ხელი ჰკრა და ბოროტებას გაუხსნა გზა მის გულში; გახსენდა მაცაცუნას ბოლო სიტყვები, მისი შეურაცხმყოფელი სიცელი და შურისძიების სიტკბოებით შეპყრობილმა გულგრილად, უფრო ზიზღით მიუგდო:

— წადი!

მაცაცუნამ ვერ გაიგო. მის თვალებში იგრძნობოდა მოწყდება, ხვეწნა, მუდარა. მისი ყოველი ნაკვთი, ყოველი იოგი ელოდა მორჩილად, ფატალურად, როცა ყველაფერი უკვე განსაზღვრული იყო, რადგან საკუთარ თავთან დამარცხებულზე გამარჯვებას ზეიმობდა მტერი — ვნება... მაგრამ ჰაერში ჩამოკიდებული სიტყვის მნიშვნელობა თანდათან მისწვდა მის გონებას და ჯუმა ბედიამ ბოროტი სიხარულით შენიშნა, სირცხვილისაგან როგორ წითლდებოდა გოგონა, წითლდებოდა მთლიანად, რბილი, ვარდისფერი ტალღა ედებოდა სახეზე, მკერდზე, მუცელზე...

იწვოდა ჯუმა ბედიაც, ოღონდ შურისძიების სურვილი უფრო ძლიერი იყო და სისინით გამოსცარა:

—ჯუმა ბედიას შეურაცხმყოფელი სამაგიეროს მიიზღავს, დაიმახსოვრე!.. ახლა კი აჩქარდი, არ მცალია!

მაცაცუნა უცებ მოიკაკვა, ტანსაცმელი მოხვეტა და საწოლის ზურგს უკან მიმალულს, ისტერიული ტირილი აუტყდა.

ჯუმა ბედიამ ზურგი შეაქცია. სარკმელში უყურებდა გამვლელებს, რათა დამშვიდებულიყო, მაგრამ ვნება ისევ და ისევ ცოცხლდებოდა, მოძალებული სისხლი ვერ პოულობდა გამოსავალს...

კარის ჯახური რომ გაიგონა, მაშინღა მობრუნდა. ოთახში მარტო დარჩენილიყო. იზმუვლა მაშინ ჯუმა ბედიამ, ღონეგამოცლილი დაეცა ლოგინზე, ბალიშს კბილებით ჩააფრინდა...

❀

მთელი ღამე ბორგვასა და ძილ-ღვიძილში გაატარა. ლოგინში ისე ტრიალებდა, თითქოს მინის ნამსხვრევებზე იწვა. თეთრეული, ბალიში, საბანი მიეყარ-მოეყარა და სიბნელეში ყველაფერი არეოდა. ეჩვენებოდა, რომ ველური ვნებითა და აღტაცებით პერანგს აგლეჯდა

ეროვნული ბიბლიოთეკა

მაცაცუნას თეთრ სხეულზე და რაც უფრო აშიშვლებდა, მით უფრო მიუწვდომელი ხდებოდა იგი. მერე მაცაცუნა კი არა, მზია ჩამეწყვედია მკლავებში, შავ ძაძას ახევდა. შავი ძაძა ისევ და ისევ მთელდებოდა და ვერა და ვერ მიაღწია საწადელს... ხანდახან გონს მოდიოდა. აუტანელი სიდამწვრის სუნი იდგა, თავი უხურდა. მცირე ხანს დადგებოდა ღია სარკმელთან, რათა სუსტ ნიავს გაეგრილებინა ცოტათი, დაეცხრო...

ქალაქს კი ეძინა. ღამე წვიმა მოსულიყო. ლაპლაპა ასფალტზე ნათურები ბრწყინავდა. უჩვეულო და შიშისმომგვრელი იყო ქუჩა. ვიღაცა სარკმელქვეშ ატუზულიყო და მას დარაჯობდა... ჯუმა ბედია კვლავ წვებოდა, თავზე საბანს წამოიხურავდა და იძირებოდა ზმანებათა ბნელ უფსკრულში. მის გვერდით ისევ ჩნდებოდა მაცაცუნას თეთრი და ლბილი სხეული, რომელიც მერე წუთს მზიას სხეულად იქცეოდა... საყვარელი და მიუწვდომელი იყო შიშველი ქალწული და ჯუმა ბედიას ახრჩობდა მოძალებული და დაუოკებელი ვნება...

დაღლილს გამოეღვიძა. თავი სტკიოდა. ანალგინის ორი ტაბლეტი გადაყლაპა. შეეძლო შინ დარჩენა, მაგრამ დღეს ელოდა რბილი სავარძელი და ცალკე მაგიდა საკუთარ კაბინეტში. ასეთი ზეიმის სხვა დროისათვის გადადება კი მის ძალას აღემატებოდა.

დირექტორის „ვოლგა“ კვლავ ჭიშკართან დახვდა... კიბეზე მძიმედ ადიოდა. ნაცნობებს არ უჩერდებოდა. სალამზე თავის ქნევით პასუხობდა, როგორც საზოგადო საქმეებით მძიმედ დატვირთულ ადამიანს ჩვევია.

პირდაპირ იმ ოთახს მიაშურა, რომელიც ამიერიდან მისი კაბინეტი გახდა.

ერთი ციდა იყო. საწერი მაგიდის გარდა, ორიოდე სკამი თუ მოთავსდებოდა. ცალკე კაბინეტები დირექტორსა და მის მოადგილეს ჰქონდათ და პოეზიის განყოფილების ახალ გამგეს პატივმოყვარეობის დასაკმაყოფილებლად შეურჩიეს. მანამდე ამ ოთახში დამლაგებელი ჩვრებსა და ცოცხებს ინახავდა, რის გამოც ჩვრების სუნი ჯერაც იგრძნობოდა.

ჯუმა ბედიამ კარი ჩაიკეტა, ბედნიერებისაგან თვალები აუუუუნდა. მოყურადე არავინა ჰყავდა, არც მოშურნე, არც ტაშის დამკვრელი; ცნობიმოყვარეთა მზერა ვერ შეაღწევდა ტყავგადაკრულ კარში. ათრთოლებული ჯუმა ბედია, რომელსაც სულ სხვა ვნება ეწვია, ვიდრე ვნება ქალისადმი, ცერზე მიეპარა საწერ მაგიდას. პრიალა ზედაპირს ალერსით გადაუსვა ხელი. მერე ნებიერად ჩაეშვა სავარძელში, რბილ საზურგეს მიეყრდნო, ხელები სუფთა ქაღალდის დასტაზე დააწყო და მზეს მიფიცხებულ კატასავით აკრუტუნდა.

უცბად ანგლობამ მოუარა, თავისთვის ჩაიხითხითა, ტელეფონის ყურმილს მისწვდა.

— ალო, ჟურნალ „ეგგასის“ რედაქტორი მინდოდა! — შეცვლილი ხმით იკითხა.

— დიახ, ვინ ბრძანდებით? — უპასუხა ანეკდოტების ოსტატურად მოყოლას დაჩვეულმა ხმამ.

—ღმერთი გირეკავს, ჯიგარო!

— რა ზნეებავთ, ბატონო ღმერთო?

—კი მარა, სანამ უნდა იჯდე მაგ თბილ სავარძელში?.. მოიცა, შეგიყვანებ მალე წყალს!

ესა თქვა და ყურმილი დაადგა. ერთხანს ჩუმად, შეშფოთებული უყურებდა ტელეფონს. ახლავე გაიგებენ ვინც დარეკა და შავ დღეს დამაყრიანო. ტელეფონი დუმდა და ჯუმა ბედიამ გადაიხარხარა.

ისევ საზურგეს მიაწვა, აკრუტუნდა. ამ დროს დარეკა ტელეფონმა. ჯუმა ბედია კიბაღამ სავარძლიდან ჩამოვარდა. ფერი ეცვალა. უაზროდ შეჰყურებდა და ყურმილის აღებას ვერ ბედავდა. „ჩემი ოინი გაიგო, მიხვდა, როგ მე და-

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ვრეკე, მიხვდა...“ თავბედს იწყევლიდა, ეს რა ბავშვური სიანცე გამომივიდაო. „ბავშვურ სიანცეს“ ჩაეჭიდა. გადაწყვეტა, თავი მოეკატუნებინა.

ყურმილს მისწვდა და ალერსიანად, რბილად თქვა:

— გისმენთ! ჯუმა ბედია გახლავართ!

— აა, ჯუმა ბატონო! გილოცავთ წარმატებას, ჯუმა ბატონო!

— თქვენ ბრძანდებით, ბატონო ბესო? — უცად დამშვიდდა ჯუმა ბედია და ახლა ცივად პასუხობდა.

— ჰო, ბანძელაძე ვარ, ბესო!.. ჰაიტ, შე ეშმაკო, რა ღობემძვრალასავით გამძვრალ-გამომძვრალხარ, ბიჭო!

— მე არსად არ გავმძვრალ-გამომძვრალვარ, ბესო ბატონო, — იწყინა ჯუმა ბედიამ.

— ვიცი, ძამიკო, ვიცი, ვიღაცა გყავს ზევით, — ჩაიცინა ბესო ბანძელაძემ, — კაი ახლა, ამაზე ხომ არ დავწყვეტთ ერთმანეთს. სათხოვარი მაქვს შენთან..

— თუნდაც ათასი, ბესო ბატონო, რაც შეიძლება... —უმალვე დაეთანხმა ჯუმა ბედია და იქვე გადაწყვეტა, თითიც არ გაეხარია.

— იქ, თქვენთან რაღაც საცოდავი ბროშურა მიგდია, სული ამომხადეს წინ და უკან სირბილით. თუ ძმა ხარ, მიმიხედე ამ საქმეს. მგონი კრიტიკოსებთანაა...

— ვეცდები, ბესო ბატონო, რაც შეიძლება...

— ჰო, მართლა, რატომ არ გამოიარე, სტატია რომ გაქვს ჩვენთან, არ უნდა მიხედვა?

— რომელი სტატია? — თავი მოისაყლა ჯუმა ბედიამ.

— არ გახსოვს თუ?.. რიცხვნიშნიანობას რომ ეხება, იყიდიან, გაყიდიან...

— აკი დამიწუნეთ!

— შე კი კაცო, ყოველ სიტყვაზე რომ გამომეკიდები, რა მოგვიდა? როდის დავიწუნე? დაწუნება კი არა, კათედრაზე წავაკითხე ამხანაგებს და ჩემი აზრი ვუთხარი. ეს-მეთქი მნიშვნელოვანი შენაძენია-მეთქი მეცნიერებისათვის. ცოტას თუ დაუმატებს, გაშლის, გააფართოებს, საკანდიდატოსაც ეყოფა-მეთქი...

— გმადლობთ, ბესო ბატონო!

— ითი წუთიც არაა, ასაწყობად ჩავუშვი. ხვალ ალბათ, ხომ იცი, კორექტურა მზად იქნება და...

ჯუმა ბედიამ ყურმილი დადო. ოთახში გაიარა-გამოიარა. საერთოდ ჭიდებოდა თუ არა იმ სტატიის დაბეჭდვა? „იმაზე უარესებიც იბეჭდება“, — გადაწყვიტა. მაინც სასარგებლოა, ჭეთხველი მიეჩვევა ავტორის სახელსა და გვარს.

მდივანმა შემოიხედა. დაბნეული ჩანდა. სახეზე მოეთმენლობა ეტყობოდა, როგორც რაღაც დიდი და მოულოდნელი ამბის გაგების დროს ემართებოდა ხოლმე.

— გაიგეთ?

— რა მოხდა?

— არ გაგიგიათ? „პეგასის“ რედაქციიდან დარეკეს!

— მერე, რაო?

— ინფარქტი!.. რედაქტორს ინფარქტმა დაარტყა!..

— მოკვდა? — ჩუმად იკითხა ჯუმა ბედიამ და სახე ცვილისფერი გაუხდა.

მდივანს ღაწვზე ცრემლი ჩამოუგორდა.

— არა, მადლობა ღმერთს, სასწრაფოს მოუსწრია. გადარჩებაო, ამბობენ...

ჯუმა ბედია სავარძელში მოიკუნტა. ტანში სტეხდა, სასტიკი დაღლილობა იგრძნო. თვალი მილულა და მისი მზერის თვალსაწიერზე ამოტივტივდა ჩვენება: შიშველი ასულის სხეული, ორსახოვანი და ვერ გაერკვია, მზია ენატრებოდა თუ მაცაცუნა...

●

მაცაცუნას ცახცახი ვერ ჩაეხშო, ტანში აზრიალებდა, ბნელ დერეფანში მიმავალს ფეხები ვერ იჭერდა. არ ახსოვდა სად იყო, საით მიდიოდა, რას აკეთებ-

ეროვნული
ბიბლიოთეკა

და. კედელს მიყრდნობილი მიიწევდა ნათელი ლაქისაკენ — აივნისაკენ. ჯერ კიდევ ვნება ღელავდა მის ძარღვებში, ვნების დაბინდდა და მოესპო აზროვნების უნარი.

არ ფიქრობდა შეურაცხყოფაზე, ღირსების შელახვაზე, მზად იყო მუხლებზე ეხოხა ჯუმა ბედიას წინაშე, რათა გაელხვო მისი მკაცრი გული, მოეფრიკა კერპი, რომელიც ახლა კიდეც უყვარდა და კიდეც სძულდა. ყველაფერი აერია თავში მაცაცუნას და ჯოჯოხეთი ტრიალებდა მის ტვინში, მის გულში, მის სულში... თვალში სიბნელე ედგა, სხეულში კი ჯუმა ბედია შემოდიოდა შანთით. მის ყოველ ოფს ცეცხლი ეკიდებოდა, სისხლს კი არა, გამდნარ მაგმას ერეკებოდა გული ძარღვებისაკენ.

უცებ მის წინ კარი გაიღო როგორც შავი ხახა შემზარავი ურჩხულისა და იმ ურჩხულის ღრჯუ კბილივით კაჭუჭია ბედია აიტუნა.

მაცაცუნამ თვალი დახუჭა, ყველაფერი მოჩვენებას ჰგავდა, ყველაფერი სიზმარი იყო. ეგებ კაჭუჭია კი არა, თვით ჯუმა იდგა მის წინაშე, პატიებას ითხოვდა და კვლავ თავისაკენ იხმობდა...

მცირედ ნაბახუსევ კაჭუჭის სითამამე შეჰმატებოდა და ეგრე დარეტიანებული გოგო რომ ნახა, უფრო მეტი იფიქრა, ვიდრე ამის საფუძველი არსებობდა.

— ესმა, ისე გამოგვივიდა, თითქოს პაემანი დაგვენიშნოს, — ჩაიქირქილა და მუხლებგამობერილი შარვალი აიწია, არ ჩამძარესო.

მაცაცუნა ვერაფერს მიხვდა, სიტყვათა აზრი არ ესმოდა.

კაჭუჭიამ ხელი ფრთხილად ჩაავლო, არ ავჩქარდე და ნანატრი მწყური არ გამიფრინდესო. გოგო მორჩილად დაჰყვა. მაშინაც არ გასძალიანებია, როცა კაჭუჭიამ დივანზე დასვა, მხარზე ხელი გადახვია.

მერე კი, წინააღმდეგობას რომ ვერ წააწყდა, თამამად დაადო ხელი მკერდზე, მოუჭირა.

მაცაცუნას დენმა დაუარა თავიდან ტერფამდე, კბილს კბილზე აცემინებდა ციებიანივით. ელვის უსწრაფესად გაუელვა აზრმა, რომ ასე უსახელოდ. უსახურულად იღუპებოდა.

ხელი ხელზე უხეშად აუკრა კაჭუჭიას და წამოიწია.

— გამიშვი!

კაჭუჭია ბედია მისმა ხმამ უფრო წაახალისა. ღონივრად ჩაბღუჯა გოგო და შეეცადა დივანზე მიეწვინა.

მაცაცუნას, თითქოს წყალი გადასხესო, ვნებიანი ლტოლვა, წვა და დაგვა ერთბაშად ბორტი სიჩიუტით შეეცალა და შემოტტეს მძულვარე გახელებით შეხვდა. ხმას არ იღებდა, პირი მოეკუმა, მაგრამ მუხლებითა და ფრჩხილებით იგერიებდა მოძალადეს.

კაჭუჭიამაც დაკარგა გონიერება, დაუნდობლად ეგრძოდა მის მკლავებში გამოწყვეტილ მსხვერპლს.

არც ერთს არ ახსოვდა როდის შემოელიათ ღონე, რამდენი დრო გავიდა ამ ჭიდილში.

გოგო უცბად მოითენთა, უღონოდ მიესვენა...

დაღლილი კაჭუჭიაც გაიშოტა მის გვერდით.

მაცაცუნამ ძლივს წამოიწია. გათავდა მისი ცხოვრების ერთი ნაწილი. დაკარგულს უკვე ვერ დაიბრუნებდა. სული ჩაფერფლა, არ იყო არც ვნება, არც სიყვარული, არც სითბო... მაცაცუნას მხოლოდ შურისძიების წყურვილი შერჩა.

წამოდგა და ტანსაცმელი გაისწორა. ზემოდან დასდგა გაშოტილ კაჭუჭიას, რომელიც ბრიყვული ღიმილით შესციცინებდა.

— განანებთ ორივე ძმას, თუ ქალი ვარ! — ესღა თქვა და შებრუნდა.

კაჭუჭია შეშფოთდა, კარისაკენ მიმავალ გოგოს შესაბრალისი წუწუნი აადევნა...

●

დერეფნის სულისშემხუთავი სიბნელიდან მზით გასხივოსნებულ აივანზე გამოსული მაცაცუნა შეჩქვიფდა. მოუ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჩვენა, რომ სახალხოდ გააშიშვლეს და ყველა მას ათვალიერებდა. მსუქანმა დედაკაცმა ჩაურა დუდღუნით, დაეთრევიანო აქ ნაირ-ნაირები, არც სინდისი, არც ნამუსი, ბავშვები მაინც არ ხედავდნენო.

ამის ატანა ვერ შეძლო. მუხლები მოეკვეთა, მოაჯირთან პირდაპირ იატაკზე დაეშვა და აქვითინდა.

შეწყვა ეზოში ბავშვების აურზაური, დედაკაცთა გადაძახილი, დომინოს ხათქახუთქი თუთის ძირას, მანქანათა შორეული გუგუნი... მაცაცუნამ ცრემლებს მისცა გზა. ახლა იგრძნო, რაოდენ იყო მოტყუებული, ბოროტად გათელილი, შეურაცხყოფილი... შესძულდა სიცოცხლე, შესძულდა ადამიანი, მამაკაცი, ბედიების მთელი საგვარეული, შესძულდა თვით სიყვარული —მატყუარა და დაუნდობელი გრძნობა, განადგურება რომ უფრო ხელწიფება, ვიდრე გაცოცხლება...

— ადექი, ესმა, — უთხრა უცებ ნაცნობმა ხმამ.

თავი უფრო დახარა, სახე ხელებში ჩამალა. ერჩივნა, ეს სახლი თავზე წამომხობოდა, ოღონდ ახლა არ შეეხედ: მზიასათვის, არ ენახა მისი დარდიანი თვალები.

— ადექი, ესმა, წამო ჩემთან! — გაუმეორა მზიამ, მხრებში ხელი ჩაავლო, წამოსწია.

მაცაცუნა ნებას დაჰყვა, წამოდგა. სახიდან ხელები არ მოუცილებია, ასე ბაღლალით მიჰყვებოდა უნებლიე ქოშაგს. „ვინ ეკითხება, რა მისი საქმეა? — ფიქრობდა მაინც, ჩახშობოდა მადლიერების სუსტი გრძნობაც, — ვითომ თვითონაა კარგი, კეთილი...“

— კარგი აწი, ნუ ტირი, ყველაფერი გამოსწორდება, — ამშვიდებდა მზია და მხარზე რბილად ხვევდა ხელს.

— არაფერი აღარ მინდა, სიცოცხლეც არ მინდა... — ისტერიული თავშეუკავებლობით აჩურჩულდა მაცაცუნა, — არაფერი არ მინდა, არავისგან არაფერი... ყველანი საძაგლები ხართ, ყველანი, ყველანი...

— კარგი, კარგი, ამდენი ტირილი როგორ შეიძლება, ბავშვი ხომ არა ხარ?..

შინ არავინ დახვედრიათ. ამირანი და ბუბა გვიან მოდიოდნენ. სტუმარი თავის ოთახში შეიყვანა. სავარძელში ჩასვა. მაცივრიდან ცივი ბორჯომი გამოუტანა.

მაცაცუნას ხელი უკანკალებდა, შუშუნა ბორჯომი ეღვრებოდა. ცოტა მოსვა. გული გადაეწმინდა. ცოტ-ცოტობით მშვიდდებოდა. ხმას არ იღებდა, ნანახან გულს ამოაყოლებდა დარდიან ამოოხვრას.

— ერთი წუთით დაგტოვებ, ყავას მოგიდუღებ, — მზია სამზარეულოში გავიდა.

მაცაცუნა სავარძელში ჩაჯუჯკული იჯდა. ცხობისმოყვარეობით თვალიერებდა დაბინდულ ოთახს. განსაკუთრებული ვერაფერი შეამჩნია. პირიქით, ტუალეტის მაგიდა თითქმის ცარიელი იყო. „სოფლუშაა, —დაასკვნა, — წესიერი „ტენიც“ კი არ ექნება... რატომ მოსწონთ ბიჭებს? შუერები, რას გაუგებ ადამიანი!..“

კედელზე შავი ფანქრით დახატული სურათი იყო მიკრული. მხატვარი დიდად ნიჭიერი არ უნდა ყოფილიყო. მაცაცუნა მაინც მიხვდა, ვინც იყო გამოსახული. „ნუთუ ტატოსაც უყვარდა? — შური ეწვია, — ჰმ, სახალხოდ არ გაიტრიზავა თავი? ძაძა ჩაიცვა, კუბოს მიუჯდა ცოლივით... საყვარელი იქნებოდა... დიდი ამმავი... ბიჭი ბიჭად არაფერი იყო, ლექსებს კი ვინ არ წერს ახლა...“ სხვაზე ფიქრმა სადარდებელი შეუმსუბუქა. ახლა უკვე საღი თვალით უყურებდა მომხდარს. კვლავინდებურად ლანძღავდა ბედიებს, უფრო ჯუმას, რადგან თავმოყვარეობა შეელახა. „შენს სისხლს დავლევ, ჯუმა ბედია, დამაცადე, შენი სისხლი თუ არ დავლიო!“ — იქადნებოდა.

სარკეში ჩაიხედა. ცრემლებს საღებავ-

ჯუმალ ქირია
მარაჯი მეშაური

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვი ჩამოერეცხა და სახე ერთიანად მოიხუპნოდა. ცხვარსახოცით ჩამოიწმინდა, ქუთუთოებზე კელავ სქლად წაისვა შავი ფანქარი, თმა აიჩეჩა, ერთი ორჯერ გადაივარცხნა, ხელით დაიყენა. „ვითომ რა მიშავს? ჯუმა ბედია ჩემზე უკეთესს მონახავს ვინმეს?“

სარკესთან ფოტოსურათი იდო. მზია იყო გამოსახული საზაფხულო ტანსაცმელში. იცინოდა და ამ დროს გადაეღოთ. თვალები გასხივოსნებოდა, კბილები უკრიალებდა, მთელი სახე სინათლით ავსებოდა. მკერდზე გადმოფენილ თმას ნიავი უწეწავდა.

მაცაცუნა საკუთარ სახეს მიაჩერდა სარკეში, მერე ფოტოსურათს დახედა. შურმა, მწველმა შურმა გულ-ღვიძლი აუმღვრია. თავი ისევ შეურაცხყოფილად და დამცირებულად იგრძნო. ჯუმა ბედიას ეს სხივოსანი გოგო ეყვარებოდა. ამტომ უარყო ასეთი ზიზღით მაცაცუნას სიყვარული, შეურაცხყო, გათელა იგი.

მტრობა შეიჭრა მაცაცუნას სულში და იქ დაიბუდა...

მზიამ შემოიხედა, გაუღიმა:

— ხომ არ მოიწყინე?

— არა, ყველაფერმა გამიარა, — ნაძალადევი ღიმილით პასუხობდა მაცაცუნა, თან შიშობდა, რა ვუთხრა, გამოკითხვა თუ დამიწყოო.

მზიას არაფერი უკითხია. მაგიდაზე ნამცხვარი, შოკოლადი და ორი ფინჯანი ყავა დადგა.

— მიირთვი, გაგახალისებს... — ხმა სუსტი და ნაზი ჰქონდა, თვითონაც გაფერმკრთალებულიყო, მძიმე ავადმყოფობაგადატანილს ჰგავდა.

„მალე ყველაფერი გაუვლის, ისევ პირველი მეტოქე გახდება“, — მაცაცუნამ ყავა მოსვა, — გმადლობ, დღეს დიდად შეგაწუხე. — ზრდილობიანად შეეპასუხა, — „იმან ათრია, ახლა ვითომ პატიოსანი გოგოა...“ — ყავა სიამოვნებდა.

ჩუმად ისხდნენ. მზიამაც არ იცოდა, რაზე წამოეწყო ლაპარაკი. ეშინოდა, რამე ისეთი არ წამომცდეს, სტუმარი გამინაწყენდესო. გაოცდა კი, ბედიას აივანზე აქვითინებული გოგო რომ დაინახა.

— შენ ისეთი კეთილი ხარ, მზია, — გულგარეთ ამბობდა მაცაცუნა, — იმ ამბის შემდეგ, რაც გადაგხდა, საიდან შეგრჩა იმდენი ძალა, სხვათა ჭირიც გაიზიარო...

მზია უფრო გაფერმკრთალდა. „უფრო მშვენიერი გახდა“, — შური ბოგინობდა მაცაცუნას სულში. იცოდა, ტატოზე არ უნდა ელაპარაკა. ენამ წასძლია, მაინც თქვა, თან თვალს ადევნებდა, თუ როგორ იხატებოდა მზიას სახეზე შინაგანი ტკივილები, რაც ბოლომდე შეუხორცებელ ჭრილობად ანია მის სულს.

— დრო ყველაფრის მკურნალია, გენაცვალე, ადამიანს რა არ დაავიწყდება...

— არ ვიცი, არ ვიცი! — სწრაფად გააწყვეტინა აღელვებულმა მზიამ... თავი შეიკავა. სტუმარს საკმაოდ მშვიდად უთხრა, — არ ვიცი, რა გითხრა. ვარ და არცა ვარ, გავითიშე. რაღაც ჩატყდა სულში. ძნელია ასე ცხოვრება. მამა მეღოდება, დავტანჯე, თორემ...

— სისულელეა, გენაცვალე, ყოველივე, — მაცაცუნამ ხელი ჩაიქნია. უნდოდა ეთქვა, ადერ მე რა დამემართოთ. ენას დროზე დაეჭირა კბილი, — შენისთანა ლამაზ გოგოს ვინ დატოვებს ყურადღების გარეშე. უქმროდ შენ არ დარჩები...

— მე სხვა მაქვს მხედველობაში, — უმალვე ჩაიკეტა მზია. სიტყვა „ქმარი“ ახლა შეურაცხყოფდა მის სმენას.

— ეგეთი ლამაზი რომ ვიყო... — მაცაცუნას უჭირდა ამის აღიარება.

— შენც იტყვი რა,—შეწუხდა მზია, — ჩემს ბეჩავ შესახედაობას თუ სილამაზე ჰქვია, უშნო რაღაა?.. ან რად მინდა ეს სილამაზე? ვისთვის?.. მე ვცხოვრობ მამისათვის, მამას კი ისედაც ვუყვარვარ, ლამაზიც და ულამაზოც...

— როგორ თუ ვისთვის? ძაან კი ნუ აჩქარდები, გენაცვალე. ქალისათვის მთავარია სილამაზე, — საკუთარმა აზ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

რმა გაიტაცა მაცაცუნა, — სილამაზეზე დიდი ბედნიერება წარმოუდგენელია. საყოველთაო აღტაცება, ყურადღება, განგმირული გულები. მაშ, ამ ცხოვრებიდან მეტს რას წაიღებ?

— არც არაფრის წაღებას ვაპირებ! ყავას დალევ კიდევ? — საუბარმა არასასიამოვნო მიმართულება მიიღო.

— გმადლობ, საკმარისია... ისე კი, სილამაზე თუ არ გჯერდება... — შეყოვნდა, — იცი თუ არა, როგორ მიწლი ხელს? — სიბრაზე მოაწვა.

— მე? ხელს გიწლი? — ვერ გაიგო მზიამ.

— უცოდველი ბატკანივით კი ნუ მომაჩვენებ თავს. ეს ბედიები რომ გადამირიე, ვითომ არაფერი?

მზიას პირატა ეცა, ცვილისფერი გახდა. ხმა ვერ ამოიღო, თვალებგაფართოებული შეჰყურებდა მაცაცუნას.

— ჰო, ჰო, რას მიყურებ? პირში სიმართლე არავის უყვარს... აქეთ ტატის კუბოს უზიხარ, იქით კი... საბრალო ტატო...

— სტუმარი რომ არ იყოთ, — მზია ძლივს წამოდგა. ფანჯარასთან მილასლასდა, თავი არ მოუბრუნებია, ისე უბრძანა ჩურჩულით, — ახლავე დამტოვეთ.

— მაგდებ, არა? — მუქარით დამარცხდა მაცაცუნამ.

— წადით და თქვენს სინდისს მოკითხეთ, — გახურებული შუბლი ცივ მინას მიადო, გაირინდა.

მაცაცუნა მიხვდა, რომ გადააჭარბა. არ უნდა აჰყოლოდა წუთიერ უგუნებობას. „რა ცუდი ვარ, ცუდი, ცუდი!“ — იმეორებდა თავისთვის და კარისკენ ფეხთარეევით მიდიოდა.

ზღურბლზე შედგა და მოიხედა. მზიას მხრები უცახცახებდა. ალბათ უზომოდ ტიროდა. გული დაეთუთქა მაცაცუნას, უცბად მივარდა ფანჯარასთან ატუზულ გოგოს, მუხლებზე დაეცა მის წინაშე, ფეხებზე მოეხვია.

— მაპატიე, დაიკო, მაპატიე! ისეთი ცუდი ვარ, ისეთი ბოროტი — და ცრემლი მერამდენედ წასკდა.

მზიას თითქოს მუხლის ძარღვები დაეჭრესო, იქვე დაეშვა და ასე ჩახვეულნი ტიროდნენ დიდხანს.

მერე, როცა ორივეს ცრემლმა გული გადაეწმინდა, შერცხვათ. მაცაცუნა პირველი ვერ ბედავდა ხმის ამოღებახ და სლუკუნებდა.

— ეჰ, რა სულელები ვართ ეს გოგოები, — გაეღიმა მზიას. მის სველ, დაბინდულ თვალებში იმ სხივმა ციაფა, ფოტოსურათზე რომ შენიშნა მაცაცუნამ.

— ქალის ბედს რა ვუთხარი მე, — ამოიოხრა მაცაცუნამ, — ღირდნენ მაინც ეს მამაკაცები ამდენ ცრემლად.

მზია წამოდგა და მაცაცუნა წამოაყენა. ხელიხელგადაჭდობილნი მივიდნენ სარკესთან.

მაცაცუნას საღებავი ისევ ჩამოერეცხა. გაიწმინდა. აშკარად იცრიცებოდა მზიას გვერდით.

— ჩემს ქორწილში არ დაგპატიჟებ, — ნაძალადევი ხუმრობით წარმოთქვა, — ჩემმა საქმრომ რომ განახოს, პირველსავე ღამეს შევეძულდები...

— ღმერთია მოწმე, რომ შემეძლოს, ოღონდ ბედნიერი იყავი და წაიღე ჩემი სილამაზე!

უსიამოვნო ხითხითი გაისმა კედლის მიღმა. ოთახში გოგირდის სუნი დატრიალდა. წამით გუჯმახნმა შემოიჭყიტა, თუმცა გოგონებს ეს არ შეუმჩნევიათ.

მზიამ უცნაური თავბრუსხვევა იგრძნო, თითქოს იცლებოდა სასიცოცხლო ძალებისაგან. გონს რომ მოეგო, სარკეში თავი ძლივს იცნო. მისი მშვენიერი სახე უბრალო გოგოს სახედ გადაქცეულიყო, მაცაცუნა კი სადღიფფლოდ გამზადებულსა ჰგავდა. მხოლოდ თვალები შერჩენოდა მზიას წინანდელი, მათი შეცვლაც ხომ არ შეიძლებოდა, რადგან თვალები სულის კარია...

გაგრძელება იქნება

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ლევან მაღაზონია

წყაროსკენ მიმავალ ბილიკზე შავებიანი დედაბერი მფრატუნებდა კოკით ხელში. კუდში ფინია ძაღლი მისდევდა ცუნცულით და ნაკვალევს ალაგ-ალაგ ყნოსავდა. ბილიკის გადაღმა ათი-თორმეტი წლის ბიჭი მიწაზე პირჩაღმა იწვა და ფეხებს აპანტურებდა. წყაროს თავზე ადგა შიშველი მთა. იქ ვიღაც იჯდა უზარმაზარ ლოდზე, წელზევით შიშველი, ხელში წკიპლა ეჭირა და ქვევით, ჭალებისკენ იცქირებოდა. გრილი და წყნარი საღამო იყო. წყაროსთან აქა-იქ დოქის ნამსხვრევები ეყარა; ატალახებულ მისასვლელთან დიდი ფიცარი ეგდო. ბიჭმა შავებიანის დანახვაზე ქვას დაავლო ხელი, კოკას დაუმიზნა, ესროლა, მუცლით მიწას გაეკრა და გაიტრუნა. დედაბერმა საშინელი წყევლა-კრულვა მორთო: კოკა ნამსხვრევებად იქცა. ფინია ძაღლმა ყეფა ატეხა და ბზრიალი იწყო. ბიჭს სიცილი აუტყდა და კოტრიალს მოჰყვა. დედაბერი ისევ იწყევლებოდა, ადგილზე იდგა, ხელებს ასავსავებდა და აქეთ-იქით იყურებოდა. თითქოს მიწიდან ამოძვრაო, ბიჭს ვიღაც ახმახი დაადგა თავზე, ქეჩოში ხელი დაავლო, წამოაყენა და ჭიტლაყი ამოჰკრა. დედაბერმა ამის დანახვაზე წყევლას უმატა. ძაღლიც გათამამებული აყეფდა. ბიჭმა იწყინა ჭიტლაყი, გაწიწმატდა, უნდოდა ხელიდან დასხლტომოდა ახმახს, მაგრამ ვერ შეძლო და ხვანცალი დაიწყო. ფინია ძაღლი ირგვლივ დარბოდა ყეფით, ვითომცდა, გაგულისებული. ბიჭი ატირდა, რადგან ახმახმა ახლა სილაც გააწნა და პანღურიც მეორეჯერ უთავაზა. დედაბერი გულში მჯიღებს იბაგუნებდა. გამწარებულმა ბიჭმა მკლავზე უკბინა ახმახს და ისევ ჭიტლაყი მიიღო. ფინია ძაღლი სულ გადაირია, გაკაპასდა და უკანა ფეხებით მიწა რამდენჯერმე მოფხოჭნა. ბიჭმა ერთხელ კიდევ სცადა გაქცევა, მთელი ძალით გაიბრძოლა, მაგ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

რამ ახმახმა ახლა თავში ჩაარტყა მუშტი. შავოსანი დედაბერი წელში ოდნავ მოიხარა, ხელებით მუხლებს დაეყრდნო და კოკის ნამტვრევებს დააცქერდა. ლოდზე მჯდომი წამოდგა, რომ უკეთ დაენახა, რაც ხდებოდა ქვევით (ახალგაზრდა კაცი იყო, ტანთხელი და საშუალოზე ოდნავ მაღალი). ბიჭი ახლა ზლუქუნებდა და ბედს დამორჩილებული, აღარ ცდილობდა გაქცეოდა ახმახს. ფინია ძაღლმა ყეფა შეწყვიტა. მერე ახლოახლო ქვები დაყნოსა და დედაბრისკენ წაცუნცულდა საკუთარი ნაჯაფით ამაყოფილი. ამ დროს ბიჭს წყაროდან მომავალი ვიღაც ჩაფსკენილი, ჯმუხა კაცი გამოექომაგა, ახმახს მიუახლოვდა და ბავშვი ხელიდან გამოგლიჯა. დედაბერმა მუხლებზე ხელების ტყაუნით გატეხილი კოკა დაიტირა და უკან წაფრატუნდა წყევლა-წყეველით. ფინია ძაღლი ნაკვალევზე დაედევნა კუდაბრეხილი. მთაზე მდგომმა წკეპლა გადაგდო, ხელი მოიჩრდილა და ამ ჩაფსკენილს დააკვირდა, ბიჭს რომ გამოექომაგა. ახმახი უშიშრად დაუხვდა ახალმოსულს, წაუჯიკავა კიდეც და ლანძღვა დაუწყო. ბიჭი ჩაფსკენილის ზურგს უკან იდგა, იდაყვით ცრემლებს იწმენდდა და ჩუმად ტიროდა. ახმახი გათამამდა, ცალ ხელს დედაბრისკენ იშვერდა და მეორეთი ბიჭის გამოქქომაგებელს უჯიკავებდა. მთაზე მდგომმა მოჩხუბართ გადმოსძახა, მაგრამ მისი ხმა არავის გაუგია. მოთმინებიდან გამოსულმა ჩაფსკენილმა ახმახს გაწლილი ხელი სთხლიშა ყბაში და ძირს დასცა. მთაზე მდგომმა თეთრი პერანგი მხრებზე მოიგდო და სირბილით დაბლა დაეშვა. ჩაფსკენილმა კაცმა ბიჭი დატუქსა, უკანალზე ხელი შემოჰკრა და წყაროსკენ მიმავალ ბილიკზე გაიგდო წინ. მთიდან დაშვებულმა მიწაზე გაშხლართულ ახმახთან მიირბინა, წამოაყენა და იმ მხარეს წაიყვანა, საითაც დედაბერი მიფრატუნებდა. ნამტირალევმა ბიჭმა უკან მოიხედა, მერე აქეთ-იქით დაიწყო ყურება. მოკაუჭებული ორი თითი პირში ჩაიწყო და წყვეტილად რამდენჯერმე დაუსტვინა. სადაღაც ოთხი უსულო არი ბომბორა ძაღლი გამოვარდა და დედაბრისკენ მიმავალ ახმახსა და მთიდან დაშვებულს გამოუდგნენ ყეფით. ჩაფსკენილმა კაცმა ბიჭს ისევ შემოჰკრა ხელი უკანალზე. ახმახი და მასთან მყოფი შეშინდნენ და თითქოს დათქმული ჰქონდათ, ერთდროულად მორჩილებივით ჩაცუცქნდნენ. ფინიამ, კუდაბრეხილი ცუნცულით რომ მისდევდა დედაბერს, მიატოვა პატრონი და რაც ძალი და ღონე ჰქონდა მოკურცხლა. ბომბორა ძაღლები ჩაფსკენილი კაცის დახეხებისთანავე კუდამოძოუბულები გაბრუნდნენ უკან. ახმახი და მისი თანმხლები წამოდგნენ, ბილიკიდან შორაზე გავიდნენ და სოფლის კლუბისკენ მიმავალ გზას დაადგნენ.

ეს ერთ მივარდნილ დაბაში მოხდა. იმ დღეს იქ საგასტროლოდ ჩასული იყო არცთუ მაინცდამაინც სახელმოხვეჭილი პროვინციული თეატრი მცირე დასით. სპექტაკლი კლუბში უნდა შემდგარიყო, მოგრძო ერთსართულიანი აგურის შენობაში, სადაც უმეტესად კინოფილმებს უჩვენებდნენ კვირაობით.

ოცდაათს გადაცილებული ახმახი ბუტაფორიისა და რეკვიზიტის უბადლო ოსტატად ითვლებოდა თეატრში. მის ნახელავ მუყაოს ყურძენს, ვაშლს, შამფურზე წამოგებულ შემწვარ გოჭსა თუ ნაზუქებს მაყურებელი ნამდვილისკან ვერ ასხვავებდა. განსაკუთრებით ემარჯვებოდა ნიღბების კეთება; მელის, მგლის, ყეენისა თუ დევის თავებს ისეთის გულისხმიერებით ქმნიდა, თითქოს სულს უდგამდა. მაგრამ მაინც ყველაზე მეტად აქქეყნად უყვარდა მანდილოსნების თვალში თავის გამოჩენა და მათი ხოტბა-დიდების მოსმენა. ერთხელ, მეზობლის ულამაზეს ქალს ივლისის თვეში ბუტაფორული მანდარინით სავსე ლანგარი მიართვა დაბადების დღეზე და ამ სასწაულმა ისე გამოაცა-

---

ლევან მალაზონია
თუთიყუშუბი გრიგით

ოცხლა მოწყენილი სუფრა, რომ სტუმრები გათენებამდის მის გასაოცარ ოსტატობაზე ლაპარაკობდნენ. არ ერიდებოდა არავის და არაფერს, ოღონდ სახელი გაეთქვა და მზად იყო, დეკანოზ შებმოდა. როცა დედაბერს გამოექომაგა და ჩაფსკვნილს წაუჯიკავა, ძალრბილში გამჯდარმა ჩვეცამ გააბედვინა მოქცეულიყო ასე, თუმცა, დარწმუნებული იყო, რომ იმ წუთს თვალს არავინ ადევნებდა. ის კი, ვინც ლოდზე იჯდა წყვალით ხელში და მოწმე გახდა მისი მარცხისა, იმავე თეატრის მსახიობი იყო, სადაც ახმახი მოღვაწეობდა. მთ უყვარდათ უცხო სოფელში ხეტიალი და დილიდან მოყოლებული ხან ერთად დადიოდნენ, ხან — ცალ-ცალკე. ფარდის გახსნის წინ ახმახი კლუბის ადმინისტრატორის კაბინეტში სახელახელოდ მოწყობილ საგრიმიოროში იდგა უზარმაზარ ოვალისებურ სარკესთან და დასის წევრებს ღიმილნარევი სახით იმდღეკანდელ ამბავს უყვებოდა. გვერდით ოთახში აბჯარს იცვამდა და გამოსასვლელად ემზადებოდა ის მსახიობი, რომელმაც საკუთარი თვალით იხილა ყოველივე და უნებურად ყურს უგდებდა განუმეორებელი ნიჭის მქონე ხელოსნის ნაამბობს (სხვათა შორის, ისინი მაშინ ისე დაბრუნდნენ კლუბში, რომ გზაზე არც ერთს მომხდარი ჩხუბის თაობაზე ხმა არ ამოუღია).

— ყველა ჩემსავით მოიქცეოდა, ვინც არ უნდა შესწრებოდა ამ ამბავს, — ამბობდა ახმახი, — აბა როგორ მოითმენ, როცა ხედავ, რომ ვიღაც ოცი-ოცდაორი წლის მუტრუკი საწყალ დედაბერს კეტით ჯერ დოქს გაუტეხს და მერე სიცილს დააყრის; დაღლილი ვიყავი მთელი დღე ნახეტიალები, მაგრამ თვალს ხომ არ დავხუჭავდი. მუტრუკმა კეტი მომიღერა, როცა იგრძნო, სასაკეთოდ რომ არ ვუთანხმდებოდი. დედაბერმა ამის დანახვაზე მომაკვლა — ახლოს არ მიეკარო, ბანდიტია და ხულიგანია. მუტრუკი გათამამდა და შემომაგინა, დაღლილი კი ვიყავი, მაგრამ ის მამხნევებდა, რომ ხულიგანს არავინ ახლდა. დავასწარი და ჯერ კეტი დავაგდებინე, მერე ერთი დარტყმით ჩავკეცეს დედაბერი მაინც კიოდა. უცებ, ღმერთმა იცის, საიდან, ოთხი მომვარდა ერთდროულად. მე კი მეგონა, რომ მუტრუკი მარტო იყო. თუმცა სადა ხარ!.. სხვა რა გზა მქონდა, უნდა მეჩხუბა, ჰოდა, ერთი სიტკვით, ორ-სამ წუთში ყველა მიწაზე ეყარა ბევრი რომ არ გავგრძელო. ცოტა ტრაბახსაკი გამომდის, მაგრამ ასე იყო და, რა ვქნა. არ მოგატყუებთ და, ნეც მაგრად მომხვდა, მემჩნევა ალბათ ლოყაზე. დედაბერი კიოდა და კიოდა. ყველაფერ ამას დაემატა ის, რომ მოსულიერებულმა მუტრუკმა და მისმა ამფსონებმა ჯოგის ძაღლები მომისიეს. დამშეამდნენ, დედაბერს რომ საშინელი კივილი არ მოერთო. ისეთი ხმით კიოდა საწყალი, რომ ჯოგის ძაღლებიც კი დაშინდნენ და აღარ მომკარებიან, შორიდან მივლდნენ მხოლოდ. მერე დედაბერი მუტრუკს და მის ამფსონებს მოსდგა წყევლით და ისინიც წყაროსკენ წალასლასდნენ ბუზღუნ-ბუზღუნით. რას წარმოვიდგენდი, რომ დღეს აქ, ამ წყნარ და მშვიდ სოფელში ჩხუბს გადავეურბოდი. საბოლოოდ, მოხდა ისე, რომ მე კი არ გამოვქმაგებივარ დედაბერს, არამედ, თვითონ დედაბერი გამომქმობა აქეთ.

თავშეუკავებელი სიცილი ატყდა.

ის მსახიობი, გვერდით ოთახში რომ აბჯარს იცმევდა, ახლა გაუნძრევლად იდგა და გაოგნებული საგრიმიოროსკენ იცქირებოდა.

— დედაბერი რომ არა, — ისმოდა სიცილსა და ზღრიალში ახმახის ხმა, — მე ახლა ალბათ საიქიოს ვიქნებოდი გასტუმრებული.

აბჯარასხმული მსახიობი საგრიმიოროში შევიდა და ახმახს თვალებში ჩააცქერდა.

გაისმა მესამე ზარი.

ხითხითი და ღლაბუცი მაინც არ წყდებოდა საგრიმიოროში.

რამდენიმე წუთის შემდეგ აბჯარასხმული მსახიობი სცენისკენ თავდახრი-

ლი მიაბიჯებდა და წამდაუწუმ მხრებს იჩეჩავდა.

სპექტაკლმა ჩვეულებრივად ჩაიარა, გადატვირთული დარბაზი თვალის ფახამამებაში დაცარიელდა, მსახიობმა პარიკები მოიხსნეს, გრიმები მოიშორეს და წყნარ, მთვარიან ღამეში ჯგუფ-ჯგუფად თუ ცალ-ცალკე სასტუმროსკენ გასწიეს. ბუტაფორიაში სახელმოხვეჭილი ახმახი, ყველა რომ გორას ეძახდა და არავინ იცოდა, ეს მისი ნამდვილი სახელი იყო თუ ალნაგობის გამო შერქმეული, ხელკავით მოაცილებდა უადრესად მომხიბლავი გარეგნობის მსახიობ ქალს, ბოხი ხმით რაღაცას ხმამაღლა უყვებოდა და თვითონვე სიცილისაგან ვითომცდა იკაშქებოდა. მათ უკან შორიახლო ჯიბეებში ხელებჩაწყობილი მთაბიჯებდა ის მსახიობი, ახმახის გაშხლართვას რომ შეესწრო წყაროსთან. იგი ოთხი თუ ხუთი თვის წინ გამოგზავნეს პროვინციულ თეატრში თავდაპირველად გრიმიორად, მაგრამ ერთ-ერთმა მოწვეულმა რეჟისორმა მასში რატომღაც არტისტის ტალანტი აღმოაჩინა და მას შემდეგ ყოველ სპექტაკლში ეპიზოდურ როლებს თავაზობდნენ. ამ მოკლე ხანში მან მიიკიწყა კიდეც თავისი ძველი პროფესია და სწყინდა, ვინმე მსახიობად თუ არ მოიხსენიებდა. ასე შერჩა გრიმიორი სცენას. ოცდაოთხი თუ ოცდახუთი წლის იყო; ტანთხელი და ქერათმიანი მუდამ გამოწკეპილი დაიარებოდა შოლტით ხელში, მაგრამ თავდაპირველად თეატრის მთელი დასი აალაპარაკა მისი ასაკისთვის და გარეგნობისთვის შეუფერებელმა სახელმა. თუმცა იგი უკიდურესი თავაზიანობითაც და სიტყვაძუნწობითაც იქცევდა ყურადღებას. ასე იყო თუ ისე, ყოფილ გრიმიორს და ახლანდელ მსახიობს ზოსიმე ერქვა. ზოგს ეჩოთირებოდა ამ სახელის წარმოთქმა, დასცინოდნენ კიდეც ზურგს უკან, მაგრამ მერე და ბერე ყველას მისწონდა, როგორც ხდება ხოლმე. ვინც აუხირდებოდა და საშველს არ აძლევდა — მსგავსი სახელი მხოლოდ „ძველებს“ ერქვათო, ასეთთან საქართველოს ეკლესიის კალენდარის მოიშველიებდა, სადაც თეთრზე შავით ეწერა, რომ ზოსიმე ცხოვრების უნარის მქონეს ნიშნავდა და ასეთი უნარი, მისი აზრით, არა მარტო „ძველებს“ უნდა ჰქონოდათ, არამედ „ახლებსაც“ და, საერთოდ, ადამიანთა მოდგმას დედამიწაზე სიცოცხლის მოსპობამდე. ამ ამომწურავი განმარტების შემდეგ აღარავინ ედავებოდა; მხოლოდ ახალგაცნობილთან თუ მოიშველიებდა ეკლესიის კალენდარს ძალზე იშვიათად. თეატრში მისვლის დღიდანვე დაუახლოვდა თავის თავდაპირველი პროფესიისგან არცთუ შორს მდგომ ადამიანს, იოლად გამონახა მასთან საერთო ენა და დაუმეგობრდა კიდეც. ეს იყო სწორედ ის სასწაულთმოქმედი ბუტაფორიაში, მზეთუნახავად აღიარებულ მსახიობ ქალს რომ მიაცილებდა ნაძალადევი სიცილითა და თავდაჯერებული ყოყლოჩინობით. გორა დროდადრო რაღაცას წასჩურჩულებდა თაყვანისმცემლებისგან განებივრებულ არსებას და მერე ისევ იწყებდა როხროხს. ორსართულიან მბეჟეთავ სასტუმროს გვერდი აუარეს და სეირნობა განაგრძეს. ზოსიმემ თვალი გააყოლა მათ და შენობაში შევიდა ჯიბეებში ხელებჩაწყობილი. პირველ სართულზე, ჩაბნელებული დერეფნის ბოლოში მკრთალი სინათლე თავისი პალატის ღრიჭოდ დარჩენილი კარიდან გამოდიოდა. ოთახში, სადაც ოთხი საწოლი იდგა, არავინ დახვდა. იქ მასთან ერთად იძინებდა გორა და ორი მოხუცი მსახიობი. გათლილი ჭიქიდან მაწონი მოსვრია, ტანთ გაიხადა და ლოგინში ისე ჩაწვა, რომ კარი არ მიუხურავს. „რა უნდა გიკვირდეს ამის შემდეგ, — ფიქრობდა ყოფილი გრიმიორი, — ჩემი თვალით მაინც არ მენახა ყველაფერი! ეჭვიც არავის შეპარვია მის მონაყოლში. თურმე სიცრუეთაც შეიძლება მოაწონო თავი

ლევან მალაზონია
თუთიყუშები გრიმით

ხალხს! რა ბოლად მოატყუა ყველა. სიცრუით თავსაც გამოიჩენ თურმე და სახელსაც გაიძვან! მორიდებითა და მორცხვობით ვის რა გაუკეთებია! ახალმოსულად ალარ ვითკლები რა ხანია, მაგრამ არაფრად მაგდებენ. გორასაც ვინ სცემდა დღემდე პატივს! მთელი სპექტაკლის განმავლობაში კულისებში სულ მასზე ლაპარაკობდნენ. სიცრუითაც შეიძლება თურმე თავის გამოჩენა, ჩვეულებრივი სიცრუით“.

გორა ყველაზე გვიან დაბრუნდა პალატაში იმ ღამით და ზოსიმე დარწმუნდა, რომ თამაში მხოლოდ სცენაზე არ იყო საკმარისი ამქვეყნად. ეს ახრამა ისე აიფორიაქა, თითქოს, უდიდეს ლმობრნას მიაგნო და გადაწყვიტა მეორე დღიდანვე შესდგომოდა სახელის მოხვეჭას სიცრუის გზით. „ყველგან ნიღბანი სჯობო, — ფიქრობდა ყოფილი გრიმიორი, — შიხაურებთანაც კი. მორცხეს და მომჩვარულს ვინ სცემს პატივს!“ გულღმა იწვა ლოგინზე, ხელები თავქვე ამიდწყო და ჩაძინებამდე ნიღბებზე ფიქრობდა.

თავის გამოჩენის პატივმოყვარულმა სურვილმა ისე იმძლავრა მასში, რომ მეორე დღეს ყოველგვარ უმნიშვნელო ყოფით წვრილმანს მუშტრის თვალით უმზერდა და ეძებდა სახელის მოხვეჭისთვის გამოსადეგ ფაქტს ამბის შესთხზავად. იმდენად გაიტაცა ამ მომქანცავმა თუ უაღრესად საქმიანმა ფიქრმა, რომ როცა სასტუმროს დამლაგებელს გასაღებების ასხმა დაუვარდა დერეფნის ბოლოში წითელ ნოხზე, ინანა, რატომ რაინდივით არ მიირბინა ქალთან ვესტიბიულში მყოფი ხალხის ყურადღების მისაპყრობად. მთელი კვირა ისე გავიდა, სახელის მოხვეჭისთვის შესაფერისი შემთხვევა არა და არ მიეცა. თავგადასავლის ზეპირად შეთხზვის სურვილიც წამოუვლიდა დროდადრო, მაგრამ იმის შიშით, სიყალბე არ შეეჭრნიაო, სინამდვილეში მომხდარი ამბის შერჩევა.ამჯობინა მეტი დამაჯერებლობისთვის. როგორც იქნა, ბედმა გაუღიმა ორშაბათ დღეს, სწორედ მაშინ, როცა თეატრის დასი ისვენებდა. ღილერ, ბაზრისკენ ჩამავალ დიდ დერეფანს, რომ დაუყვა მოხუცი მსახიობის თხოვნით „ნორმალური ღვინის“ საშოვნელად, ნელა მიმავალი ახალთახალი უნმარო სატვირთო ავტომანქანა წამოეწია. ზოსიმე დაუფიქრებლად კაბინის კიბეს შეახტა შოფრის მხრიდან და კარს ორივე ხელი მაგრად ჩასჭიდა. უცნაური ის იყო, რომ ამ საქციელმა თვითონვე გააკვირვა, მაგრამ ესიამოვნა ეიღაც კიტელიანმა გამკლელმა რომ თვალი დაადევნა მანქანის საფეხურზე მდგარს. თავგადაპარსულ შოფერს ხმა არ ამოუღია, მხოლოდ მკლავზე ხელი მოუჭირა და ანიშნა, არ ჩავარდნილიყო. უცებ მანქანამ სვლას მკვეთრად უმატა და დაღმართზე დიდი სისწრაფით დაეშვა. ზოსიმეს შიშმა გაპკრა, მაგრამ ახლა ადვილს არჩევდა, ოღონდ გამკვლელს სიმხდალე არ შეემჩნიათ მისთვის. მანქანა ყოველ წამს მეტი სიჩქარით მიექანებოდა დაღმართზე და სულიერი თუ უსულო გზიდან ეცლებოდა. სადღაც კიდელი გაისმა, ზოსიმემ უფრო მაგრად ჩასჭიდა ხელები კაბინის კარს და მუხლებში ოდნავ მოიხარა. თავგადაპარსულმა შოფერმა რაღაც დაიძახა მთელი ხმით, მაგრამ ყოფილმა გრიმიორმა სიტყვები ვერ გაარჩია. ერთ-ერთმა შემხვედრმა მსუბუქმა მანქანამ ძლივს მოასწრო გზიდან გვერდზე გადასვლა. ხალხის სასოწარკვეთილი ყვირილი და შეძახილები მტუტლობდა. შოფერმა ისევ დაიღრიალა მთელი ხმით და ზოსიმე მიხვდა, რომ უნდა ჩამხტარიყო. დაღმართის ბოლოს, სადაც დუქნები იდგა, დაცემული მინდორი იწყებოდა და იქ ხალხი ჯგროდ ირეოდა. გზიდან მარჯვნივ, ბაზრართან, მოაჯირიანი ხის ხიდი მოჩანდა. მანქანის საფეხურზე მდგომ ზოსიმეს ეჩვენებოდა, რომ იმ წამებში მთელი ქვეყანა მას უყურებდა. ერთხელ კიდევ დაიღრიალა შოფერმა და ყოფილი გრიმიორი გზის გაყოლებაზე დაყრილ ხრეშზე დახტა ჩამუხლული. მანქანამ ელვის სისწრაფით ჩაუქროლა დუქნებთან ატუ-

ზულ გაოგნებულ ხალხს, გადაიგრიალა ხიდზე, გავიდა ჭალაში, გრუხუნ-გრუხუნით გადაეკლო მოზრდილ ქვებს, შეკარდა ძეძვნარში და მორჩილად დადგა. ზოსიმე მარჯვედ დახტა ხრეშზე, მაგრამ თავი მაინც ვერ შეიმაგრა, მიწას მუხლები დაჭკრა და პირქვე დაეცა; მაშინვე წამოდგა, შარვალი ჩაიფერთხა და ხიდისკენ გაიქცა ოდნავი კოჭლობით. ტკივილი მაშინ არ უგრძენია, ჩქარობდა შეეტყო, რა ბოხდა მანქანიდან მისი გადმოხტომის შემდეგ და როგორ შეაფასებდა ხალხი, როგორაც თვითონ ფიქრობდა, მის „ზღაპრულ სიმამაცეს“. ყურებს არ უჯერებდა, როცა შეიტყო, რომ არავინ დაშავებულა და არაფერი დაზიანებულა. დღენებთან მდგომი მოყაყანე ბრბო ერთმანეთს არ აცლიდა ლაპარაკს. თურმე მანქანას მუხრუჭებმა უმტყუნეს და ამიტომ იყო დაღმართზე რომ მოულოდნელად დიდის სისწრაფით დაქანდა. თითიც არ გაუკაწრავს შოფერს! ყველაზე მეტად ეს უკვირდა ხალხს; ზოსიმეს „ზღაპრულ სიმამაცეზე“ კი კრინტიც არავის დაუძრავს! მაშინ, როცა დარწმუნებული იყო, გარს შემოეხვეოდნენ და კითხვებს დააყრიდნენ. ზედაც არავის შეუხედავს! ისევ და ისევ შოფრის სიმარჯვეზე ქაქანებდნენ განუწყვეტლივ. ჰო, მაგრამ, ხომ შეიძლებოდა ზოსიმე გადმოხტომისას დაღუპულიყო! შოფერსაც დაიჭერდნენ მაშინ და კიდევ ბევრ სხვას. ამაზე არავინ ფიქრობდა.

გულმოკლული დაბრუნდა ყოფილი გრიმიორი სასტუმროში ხელცარიელი (რადგან „ნორმალურ ღვინოს“ ვერსად მიაგნო) და მომხდარი შემთხვევის შესახებ ხმაც არ ამოუღია. მთელი დღე უგუნებოდ იყო. საღამოს, ქუჩებში ხეტიალისას სრულიად მოულოდნელად გონება გაუნათდა და სიხარულისგან შეპყვირა კიდეც: აზრად მოუვიდა, რომ შეიძლებდა მომხდარი ამბის გადაკეთება ისე და იმდაგვარად, როგორც ამას მისი სახელის მოხვეჭა მოითხოვდა. ამ აღმოჩენით გახარებულმა მისდაუნებურად ნაბიჯს აუჩქარა. მხოლოდ ის უკვირდა, აქამდე რატომ არ მოუვიდა ეს აზრი თავში. ამბავი სასტუმროში მისვლამდე შეთხზა დიდი ჯაფის გარეშე, კიბე ხტუნვა-ხტუნვით აირბინა და ტკივილი ახლოდა იგრძნო მარცხენა მუხლისთავზე. თავის პალატაში მოხუცი მსახიობი მძინარე დახვდა, მაშინვე მეორე სართულზე აირბინა. ფაშფაშა ქალის დანახვებისთანავე, რომელიც გარდერობის გამგედ მუშაობდა თეატრში, დერეფანი ნაძალადევი თუ გადამეტებული კოჭლობით გაიარა და ერთ-ერთ კარზე დააკაკუნა. არავინ გაუღო, ყველა სადღაც გაკრეფილიყო. ისევ დაბლა ჩავიდა და ჰოლში გამოსულ მსახიობებს, თითქოსდა ვერ ხედავდა, კოჭლობით ჩაუარა. „რომელიმემ თვითონ მკითხოს, ასე აჯობებს; არ ივარგებს, მე რომ სპეციალურად მოვყვე, ეჭვი შეეპარებათ“, — ფიქრობდა ყოფილი გრიმიორი და ყოველ წამს ელოდა, რომ ვინმე დაუძახებდა. მაგრამ კორიდორი ისე ჩათავა, რომ არავის უკითხავს, რატომ კოჭლობდა. ამან გააღიზიანა და თავის პალატაში შეეიდა. მოხუც მსახიობს ისევ ეძინა, ახლა უფრო აეშალა ნერვები, გაბრაზებულმა კარი გამოიჯახუნა და ეზოსკენ გასწია. სასტუმროს წინ, პატარა აუზის ირგვლივ, მსახიობები იდგნენ და რაღაცაზე გაცხარებით კამათობდნენ. წამდაუწუმ ისმოდა გორას როხროხი. იქვე იდგა მთელ დასში მზეთუნახავად აღიარებული მსახიობი ქალი და სულმოუთქმელად კისკისებდა. ყოფილმა გრიმიორმა აუზს კოჭლობით ჩაუარა და რამდენჯერმე ხმამაღლა ჩაახველა. მაინც არავინ მიაქცია ყურადღება! მაგრამ, სწორედ მაშინ, როცა ყოველგვარი იმედი გადაეწურა, მოესმა გორას ხმა:

— რა მოგვიდა, ზოსიმე?

ყოფილი გრიმიორი შეჩერდა და აუზისკენ შეტრიალდა.

ლევან მალაზონია
თუთიყუშები გრიმიით

— რა დაგემართა, რატომ კოჭლობ? — ჰკითხა ისევ გორამ.

ყოფილმა გრიმიორმა ხელი ჩაიქნია და წასვლა დააპირა, მაგრამ ახლა სხვების ძახილიც მოესმა:

— მოდი აქ, მოდი, რა მოგივიდა, რამ დაგაკოჭლა!

ზოსიმე ათრეული ნაბიჯით მსახიობებისკენ გაემართა, აუზზე ჩამოჯდა და ორივე ხელი მარცხენა მუხლისთავზე დაიწყო. ისევ დააყარეს კითხვები (მხოლოდ მზეთუნახავი დასცქეროდა უბმოდ) და მანაც, თითქოსდა ხთრის გატეხვა ალარ შეეძლო, ცოტაოდენი ყოყმანის შემდეგ, ლუღლუღით თქვა:

— მანქანა დაუგორდა ამ დილით ბაზრის დაღმართზე ერთ დოყლაპია შოფერს და წავეშველე ცოტა...

— როგორ? რა? რა მანქანა! — დაეკითხნენ აქეთ-იქიდან.

ზოსიმემ ხელი ჩაიქნია და აგდებულად თქვა:

— არაფერი, არაფერი, მოსაყოლადაც არ ღირს.

— მსუბუქი მანქანა დაგორდა? — იკითხა ახლა მზეთუნახავმა.

ზოსიმემ თავზე დამდგარ მსახიობებს ახედა და თითქოსდა გულმოსულმა ჩაილაპარაკა:

— დიდი სატვირთო მანქანა, სხვათა შორის ახალთახალი.

— რას ამბობ, მართლა? — წამოიძახა გორამ, — მოყევი, რა მოხდა და როგორ მოხდა!

ზოსიმემ მტკივან მუხლისთავზე ხელი მოისვა, წარბები შეკუმუხნა და ვითომდა სასხვათაშორისოდ დაიწყო:

— ამ დილით დიდი მანქანა წამომეწია ბაზრის დაღმართზე; თითქმის მობობღავდა, ისე ნელა მოდიოდა, უნომრო; ავდექი და შევთანხმდი საფეხურს შოფრის მხრიდან. ბაზარში მივდიოდი და დროს მოვიგებ-მეთქი, ვიფიქრე. გვიან შეკნეშნე ძარაზე მდგომი ათი-თორმეტი წლის ბიჭი. გახარებული აქეთ-იქით იყურებოდა და კაბინის სახურავს მუშტებს ურაზუნებდა. შუა დაღმართზე მანქანა თითქოს ადგილიდან მოწყდა და მერე თვითმფრინავივითა [illegible] ბაზრისკენ. მაშინვე მივხვდი, რაშიაც იყო საქმე: სიჩქარეების გადასაყვანი კოლოფი მოიშალა, ამაში ამსოლუტურად დარწმუნებული ვარ. აქეთ შოფერმა მორთო ღრიალი, იქით ძარაზე მდგომი ბიჭი აყვირდა. ხალხით სავსე ქუჩაში წეიღლ-კეივლი ატყდა. რაღას ვიზამდი, ავდვერი ძარაზე, აკანკალებული ბავშვი ავიყვანე და ის იყო მასთან ერთად მანქანიდან გადმოხტომას ვაპირებდი, რომ ვხედავ, შოფერმა გამოაღო კარი, ისკუპა და არ მიგვატოვა?! მაგრამ, ჯერ თურმე სადა ხარ! ის იყო, მეც უნდა გადმოვმხტარიყავი ბავშვთან ერთად მანქანიდან, რომ მეორე ბიჭმა გამოყო თავი კაბინიდან! თურმე ორი ბავშვი ყოფილა მანქანაზე! მაშინ კი შეეშინდი, მართალი გითხრათ. არადა, მანქანა მეტი და მეტი სისწრაფით მიექანებოდა დაღმართზე. დუქნებთან ხალხი ირეოდა, ხიდამდე რამდენიმე მეტრი რჩებოდა. სხვა გამოსავალი არ იყო, ჯერ ერთი ბავშვი უნდა გადმომეგდო მანქანიდან და მერე მეორესთვის მიმეხედა. ასეც მოვიქეცი. ხელში აყვანილი ბიჭი, ბედად, ქუჩაში დაყრილ ხრეშისკენ ეისროლე და მაშინვე კაბინაში გადავქვერი. ამასობაში ხიდს მივუახლოვდით გრიალით. მეორე ბიჭის მანქანიდან გადმოგდება არ ივარგებდა, რადგან ახლომახლო ხრეშს ვერ ვხედავდი. ამიტომ საჭეს ვეცი, ხიდი გადავიარე, მერე ბავშვი გულზე მივიხუტე, კარი გამოვაღე და მასთან ერთად გადმოვხტი. იმდენი მოვახერხე, რომ ცუდად არ დავცემულვარ, ოდნავ მუხლი დავიზიანე, ბავშვს კი ნაიგიც არ მიჰკარებია. მანქანამ ოცი-ოცდაათი მეტრი გაიარა, ქვძვნარში გაეჩხირა და გაჩერდა! მეორე ბავშვს, ხრეშზე რომ მოვისროლე, მხოლოდ მარჯვენა გვერდი დაეეკვოდა, სხვა არაფერი. თუმცა, ზოგიერთი ამბობდა, ხელი მოიტეხაო, კარგად არ ვიცი. მაგრამ ამას ვინ ჩიგის, მთავარი ისაა, რომ გადარჩა. ბედი მქონიაო, რომ იტყვიან, მე უნდა ვთქვა. ეს იყო და ეს. ჰოდა, აი,

მარცხენა ფეხი ოდნავ მტკივა და ცოტა სიარულსაც მიშლის.

წამიერი სიჩუმის შემდეგ გაოცების შეძახილები გაისმა. მხოლოდ გორა იდგა უხმოდ და ზოსიმეს ეჭვის თვალით დასცქეროდა.

— ეს ხომ ნამდვილი გმირობაა, — წამოძახა ალტაცებულმა მზეთუნახავმა.

—ორი ანგელოზის სიცოცხლე გადაგიჩენია, — თავზე დასძახა ზოსიმეს ერთ-ერთმა იქ მყოფთაგანმა.

— როგორ არ დაიბნა!

— რა მანქანა იყო ასეთი!

— როგორ მოასწრო! — ისმოდა აქეთ-იქიდან.

ბოლოს ზრიალი რომ დაცხრა, გორამ ჰკითხა ზოსიმეს:

— ინსპექციამ აქეთ შეადგინა?

ყოფილი გრიმიორი წამოდგა, შუბლი შეიჭეხნა და უკმაყოფილოდ ამოოლაპარაკა:

— რა ვიცი მე, იქ ხომ არ დავუცდიდი.

მერე ნატანჯი სახით მიმოიხედა და სასტუმროსკენ გაემართა ძლივს შესამჩნევი კოჭლობით.

ზოსიმეს მონაყოლი უმალ მთელ დასს მოედო. რამდენიმე სკეპტიკოსის გარდა ყველამ დაიჯერა მისი ვმირობა, მის უმეტეს მას შემდეგ, როცა მოლარემაც დაადასტურა ბაზრის ხიდთან მანქანის დაგორების ამბავი და ისიც, რომ ამ მოსალოდნელი უბედურების დროს არავინ დაშავებულა. დასში წამდაუწუმ ახსენებდნენ ზოსიმეს და მის თავგანწირულ საქციელს ხოტბას ასხამდნენ. ყოფილი გრიმიორი დამორცხვებული ისმენდა ქება-დიდებას და თან გაკვირვებული ამბობდა, რომ „მსგავს სიტუაციაში“ ყველა მსაჯით მოიქცეოდა. ერთი კვირაც არ იყო გასული და ზოსიმეს სახელი ყველას პირზე ეკერა. ყოფილი გრიმიორი არჩეული პრინციპის სისწორეში დარწმუნდა, ეს კი იმას ნიშნავდა, რომ მსგავსი „თავგანწირული საქციელი“ ბევრჯერ უნდა ჩაედინა, მისი სახელი რომ საქვეყნო გამხდარიყო.

ერთხელ ავტობუსების სადგურში, დღისით-მზისით, დედაბერს ჩემოდანი მოპარეს, უფრო სწორად, ხელიდან გამოგლიჯეს. ამ დროს, სრულიად შემთხვევით. თეატრიდან სასტუმროსკენ მიმავალმა ზოსიმემ ჩაიარა მოედანზე. ყოფილმა გრიმიორმა დაინახა, როგორ მისდევდა საწყალი დედაბერი ქურდებს კივილით და იმავე წამს გამოუდგა მძარცველებს. რა თქმა უნდა, იმდენი ურტყეს, რომ ცხვირ-პირი დაუსიეს, მაგრამ, სასტუმროში მაინც ხალისიან გუნებაზე დაბრუნდა, რადგან თავის გამოსაჩენად ვარგისი ფოთრაკი უკვე შეთხზული ჰქონდა. ამჯერად დასის წევრებმა მისგან შეიტყვეს, რომ ქურდებს სცემა, ჩემოდანი პატრონს დაუბრუნა, თავადაც გვარიანად მოხვდა და მონაყოლის დასადასტურებლად ჩალურჯებულ სახეს უჩვენებდა ყველას. მერე და მერე ზოსიმე ისე გაიწაფა მომხდარი ამბების გადაკეთება-შელამაზებაში, რომ მალე ზეპირადაც შეეძლო შეეთხზა სახელის მოხვეჭისთვის გამოსადეგი თავგადასავალი. ჰოდა, აი, დასში ცნობილი გახდა ისიც, რომ მან ვიღაცა დახრჩობას გადაარჩინა მდინარეზე ბანაობისას. იმავე საღამოს ქუჩაში მიმავალმა ბავშვმა მიწაზე დაგდებულ მავთულს წამოსცდო ფეხი, დენმა დაარტყა და ზოსიმემ კიდევ ერთი სიცოცხლე იხსნა...

მაგრამ ყოფილი გრიმიორის აღზევებას მალე მოეღო ბოლო: მოკლე დროის მანძილზე მომხდარმა საკმირო თავგადასავალთა სიმრავლემ ყველა დაიეჭვა და დაარწმუნა მის ცრუპენტელობაში. ამას ისიც დაერთო, რომ ერთ მშვენიერ დღეს, თეატრში შემთხვევით მყოფმა ავტონსპექტორმა კონტროლიორთან საუბარში, ბაზრის ხიდთან დაგორებული მანქანის თაობაზე, ზოსიმეს ტყუილს ფარდა ახადა. ეს ამ-

ლევან მალაზონია
თუთიყუშები გრიჩით

ბავი ელვის უსწრაფესად მოედო მთელ დასს. ინსპექტორი სიცილისგან იკუბეტბოდა და დაჯინებით თავისას ამტკიცებდა. ბოლოს, მამხილებელი ფაქტების მოშველიებით ყველა დაარწმუნა იმაში, რომ ავარიის დროს მანქანაზე ბაშვები არ იყვნენ!

ეს იყო მომაკვდინებელი მარცხი ზოსიმესთვის: სახელის მოხვეჭის ნაცვლად ცრუსა და მატყუარას დამღით უნდა ეკლო აქეკეყნად. აღარავინ აღარაფერს უჯერებდა, მის ნათქვამს თუ ნამოქმედარს იოტისოდენა ყურადღებასაც არ აქცევდნენ.

ზოსიმეს იმ დღიდან, რა დღიდანაც გრიმიორობის გამოეთხოვა და მსახობად მონათლეს, დაუახლოვდა თეატრზე ფანატიკურად შეყვარებული ერთი შუახნის ხელოსანი, რომელსაც დულა ერქვა. ამ კაცმა მთელ პროვინციაში იმით გაითქვა სახელი, რომ უკლებლივ ყველა სპექტაკლს ესწრებოდა და, რაც მთავარია, სათუთად ინახავდა თითოეული წარმოდგენის კონტროლმონახეგი ბილეთს. მუშაობდა ვულკანიზაციის სახელოსნოში, სადაც მანქანების სატრავების დაფლეთილ კამერებს უიშვიათესი ოსტატობით ამთელებდა წარმოუდგენელი სიმაგრის წებოთი. დულას განსაკუთრებით პრემიერის შემდეგ უყვარდა მსახიობებთან გამოლაპარაკება და მათთან ერთად — მაყურებლის მიერ გულთბილად მიღებული სპექტაკლის დალოცვა შუაღამისას რკინიგზის სადგურის ბუფეტში. ზოსიმეთი მისი სცენაზე გამოჩენისთანავე მოიხიბლა, როცა ყოფილმა გრიმიორმა, ხელოსნის აზრით, „განუმეორებელი სახე შექმნა“ შაპ აბასის მცველის როლში და ყოველნაირად ცდილობდა მასთან დაახლოებას. დამთავრდებოდა თუ არა სპექტაკლი, დულა თეატრის უკანა კართან აიტუზებოდა და გაღიმებული ელოდა მსახიობების გამოჩენას. თავის კერპს სულ მოკლე ხანში დაუმეგობრდა, რადგან ზოსიმეს მისი ხელოვნებით მოჯადოებულ, როგორც თვითონ ამბობდა, უბრალო ადამიანთან, თავმდაბლობის გამოჩენა სიამოვნებდა. ვულკანიზაციის ოსტატს ყველა ბილეთი ფულზე დასწრებისა და მოხეული ბილეთების შენახვის გარდა, ის უცნაურობაც სჭირდა, რომ უზომოდ უყვარდა მაღალ მატერიებზე სჯა-ბაასი. საუბრისას, საჭირო იყო თუ არა, უცხო ტერმინებს ხმარობდა ხშირად, რომ ამით თავისი განსწავლულობა გამოემზეურებინა. იცვამდა სუფთად, კოპწ�, დადიოდა მუდამ წვერგაპარსული ილიაში ამოჩრილი ჟურნალ-გაზეთებით და ყოველ ნაცნობს უკიდურესი მოკრძალებით ესალმებოდა. თვალშისაცემი იყო მისი ჩაშავებული, უზარმაზარი კოტიტა თითები და საუბრის დროს ხელების წამდაუწუმ სრესა.

დაბრუნდა თუ არა გულმოკლული ზოსიმე თეატრის გასტროლების დამთავრების შემდეგ პროვინციაში, იმ დღესვე დულას მიადგა ვულკანიზაციის სახელოსნოში, რადგან მხოლოდ იგი შემორჩა მალმერთებელ კაცად. ეს იყო პირველი შემხვედეა, რომ ცა კერპი თავისი ფეხით მივიდა „უბრალო ადამიანთან“. ამ უიშვიათესმა სასწაულმა დულა ისე გააოგნა, რომ რამდენიმე წამს დამბლადაცემულივით საბურავზე იჯდა და ზოსიმეს დამფრთხალი მისჩერებოდა. ბოლოს, როგორც იქნა, ამოიდგა ენა, სიხარულისგან რადაც ამოიხრიალა და მაშინვე კომბინეზონის გახდას შეუდგა. მერე ხელები ნავთით გადაიბანა, კოტიტა თითები სათითოოდ გაზეთით გაიმშრალა და სურნელოვანი საპნითა და ობიელი წყლით გაიკეთქათა. დულას ფაციფუცს რომ უყურებდა, ზოსიმე ოდნავ შესაბრნევი ღიმილით თავს აქეთ-იქით აქნევდა და ამით თითქოს ამბობდა, რომ სახელოსნოში მისვლით გამოუსწორებელი შეცდომა დაუშვა, რადგან ასე შეაწუხა თავისი ხელოვნებით მოხიბლული „უბრალო ადამიანი“. როცა სახელოსნოს წინ გაშენებულ სკვერში შევიდნენ და ლურჯად შეღებილ გრძელ სკამზე ჩამოსხდნენ, დულას პირველი კითხვა, რა თქმა უნდა, თეატრის ახლახან ჩა-

ტარებულ გასტროლებს ეხებოდა. ინტერესებდა, ჭეშნდა თუ არა „ჩავარდნა რომელიმე სპექტაკლს“. დამამშვიდებელი პასუხი რომ მიიღო, კიდევ უფრო გაოცდა, რადგან ვერაფრით აეხსნა ზოსიმეს გამოცხადება. ყოფილმა გრიმიორმა რამდენიმე უკბილო ანეკდოტი უამბო, ღობე-ყორეს მოედო, მოპაკა ცისას და მიწისას და მერე თითქოსდა სასხვათაშორისოდ, მოქნარებით თქვა:

— დამეკვება ალბათ და ყოველ გასტროლებზე უსიამოვნება უნდა შემემთხვეს.

— რა მოხდა?! — შიშით იკითხა დულამ და სკამიდან წამოხტა.

— მაინცდამაინც არფერი, — მკლავზე ხელი წაავლო ყოფილმა გრიმიორმა, გვერდით მოისვა და მშვიდი ხმით გაანგარძო, — ერთხელ იქ სასტუმროში ნამთვრალევზე წამომცდა, ამა და ამ რეჟისორმა თავის თეატრში მიმიწვია მაკბეტის როლზე-მეთქი და სიცილი დამაყარეს. ყველას ეგონა, რომ ვცრუობდი. ველარ მოვითმინე და რამდენიმე იქ მყოფი შემომელანძღა, მათ შორის ჩვენი რეჟისორიც. შენ-მეთქი, ვუთხარი, მაკბეტის დასადგმელად კი არა, წასაკითხავადაც არ ხარ მზად და სხვისი რა გიკვირს-მეთქი. გადაირია ამ სიტყვებზე და მორთო ღრიალი—ჩემს წასვლას ითხოვდა თეატრიდან, ცრუ და მატყუარა მეძახა ზოგიერთ უნიჭოსთან და შეურაცხყოფა ერთად. რაღა დაგიმალო და, გაქცევაზე მეჭირა თვალი. მოდი და ამის შემდეგ სიმართლე უთხარი კაცს. — ვის რას ვუშავებ იმით, რომ მაკბეტის თამაშის სურვილი გამიჩნდა. ეჰ, საკუთარ თავზე ბუშაობის ხალისიც დამაკარგვინეს... აი, რა მოაქვს გულახდილობას და სიმართლეს.

დულა გატრუნული უსმენდა, მერე, როგორც კი მისმა კერპმა თხრობა დაამთავრა, მუხლზე ხელი დაირტყა და წამოიძახა:

— რა უფლება გაქვს, თეატრი დატოვო! რას ეტყვი საზოგადოებას! საკუთარ თავს ეკუთვნი თუ მელპომენას, ანუ, როგორც თავად მოგეხსენება, სასცენო ხელოვნებას! გარდა ამისა, ვერ ავიტანო არგუმენტაციით ჩემს [illegible] ში სიმართლეს ვერ დაამტკიცებ!

— ერთი შენც, — დაუყვავა ზოსიმემ და მხარზე ხელი მოუთათუნა, — მეტი დარდი ნუ მოგიცეს ღმერთმა. თეატრს ჩემზე უკეთ იცნობ და, რა გიკვირს. მე გული იმან მატკინა, რომ ცრუ და მატყუარა შემარქვეს. აი, მიდი თეატრში და ნახავ თუ მართალს არ გეუბნები, შენი ყურით მოისმენ ყველაფერს.

— მით უმეტეს — თვითონ არ იცოდა, რატომ წამოიძახა დულამ, — სიცრუეც რომ გეთქვა, შენი სცენური სიმართლისთვის უნდა ეცა პატივი ყველას. აი, ესაა ობიექტური. ლაფში ამოსვრილ კაცსაც აპატიებენ ყველაფერს, სიმართლე თუ ერთხელ დასცდა, დიახ! ამის ფიქრირება არცაა საჭირო. სიმართლეს უზარმაზარი ძალა აქვს, ხომ იცი ეს შენ.

ამ სიტყვებმა ყოფილ გრიმიორზე თითქოსდა მომაჯადოებლად იმოქმედეს, გუნება გამოუკეთეს, ცხოვრებაში სათამაშო ახალი როლი შთააგონეს და სახეგაბადრული ხელოსანს მიაჩერდა.

— ასე ფიქრობდა ყველა დიდი მოაზროვნე საუკუნეების მანძილზე, — გაგრძელა დულამ თავისი მსჯელობა ახლა უკვე მშვიდი ხმით და ხელები მოისრესა, — შენ კი ნანობ, სიმართლე რამ მათქმევინაო; მიკვირს, ღმერთმანი, ძალიან მიკვირს.

მერე ფეხით ისეირნეს სკვერის ირგვლივ. დულას მოეჩვენა, რომ რეჟისორზე ნაწყენი ზოსიმე გულის მოსაფხანად მივიდა მასთან და ცას ეწია სიხარულით, რადგან ეს იმას ნიშნავდა, რომ სათაყვანებელ კერპს უახლოესი მეგობარი სხვა არავინ გააჩნდა ამქვეყნად. თავის მხრივ, დასში შელახული რეპუტაცია და შერცხვენილი სახელი მოსვენებას არ აძლევდა ზოსიმეს, მაგრამ უბადლო ხელოსანთან საუბარმა მისი ბედი, როგორც თვითონ თვლიდა, წაიმა შემო-

ლეონან ბალაზონია
თუთიყუშები ბრიჰეთ

ატრიალა. „ლაფში ამოსერილ კაცსაც აპატიებენ ყველაფერს სიმართლე თუ ერთხელ დასცდა“, — იმეორებდა გულში დულას მაგიურ სიტყვებს და სულწასულივით ხელსაყრელ შემთხვევას ელოდა, რომ სიმართლისმოყვარე კაცად ქცეულიყო ყველას თვალში. ამით დასის მიერ ბოძებული მატყუარას სამარცხვინო ტიტული სურდა მოეცილებია რადაც უნდა დაჯდომოდა, და ისევ ძველი დიდება მოეპოვებინა.

დულას გახალისებული დაშორდა სკვერთან, თეატრში მისვლა მოიმიზეზა და თითქოს აგვიანდებოდა, სირბილით გაქანდა ყაზარმისმაგვარი მოყვითალო შენობისკენ.

მან უკვე იცოდა, როგორ უნდა ეცხოვრა იმ წუთიდან და ვისთან რა ეთქვა...

„საოცარია პირდაპირ, — გაიფიქრა ზოსიმემ, როცა თეატრის ფოიეში შეაბიჯა, — ზოგჯერ უბრალო ადამიანისგანაც შეიძლება ისწავლო ჭკუა. თუმცა, ტყუილად არ უთქვამთ, სიბრძნე ხალხშიაო და, რას იზამ“...

ასე იმართლებდა თავს უნებურად ყოფილი გრინმორი: იგი მსახიობის დაჩემების დღიდან პატივმოყვარეობით ისე იყლინთებოდა, რომ ალალი ხელოსნისგან უბრალო რჩევაც კი ითაკილა. და მაინც დიდი მადლიერი იყო მისი, ამას თვითონვე გრძნობდა და იმ დღეს თითქმის შეუყვარდა კიდეც გულწრფელად.

მთელ შენობაში, დარაჯის გარდა, არავინ დახვდა; არც იყო გასაკვირი, რადგან სეზონი დახურული იყო და შემთხვევით თუ შევლილნენ თეატრში დროდადრო დასის წევრები. მაშინ ზოსიმე იმ პარკისკენ გაემართა, სადაც ხშირად იკრიბებოდნენ მსახიობები. ისე მიაბიჯებდა, თითქოს მისვლისთანავე იპოვიდა რასაც ეძებდა. იქ, გრძელ სკამზე, ჭადრების ჩრდილში, ისხდნენ იმ წელს თეატრში სამუშაოდ მიწვეული ხანდაზმული რეჟისორი და რამდენიმე მსახიობი. მათ შორის იყო გორაც. ზოსიმე ყველას თავაზიანად მიესალმა და მოკრძალებით დადგა მათგან შორიახლო. თოვლისფერთმეპიან რეჟისორს თეთრი კიტელი და თეთრი ტანსაცმელი ეცვა და ჭილის ქუდს წამდაუწუმ მარაოსავით სახეზე იბორიალებდა. აღელვებული იყო, ვიღაცას გაგულისებით ლანძღავდა და მასთან მყოფი მსახიობები მენტორისადმი დასტურის გამოსახატავად ნაძალადევად იცინოდნენ. ზოსიმესთვის არავის მიუქცევია ყურადღება და ამან ყოფილი გრინმორი ისე გააღიზიანა, რომ გადაწყვიტა, იქაურობას გაცლოდა.

— ასეკი ვუთხარი, — წამოიძახა რეჟისორმა — დრამატურგიას თავისი კანონები აქვს-მეთქი, მაგრამ ვერ შეეგებინენ, მაინც თავისას გაიძახის. ახლა სასტუმროშიც აღარ მასვენებს. ნატამალი რომ ჰქონდეს ნიჭის, არ დავე ხმარებოდი? თუმცა მისი მაინც მადლიერი ვარ. ამ ბოლო დროს უძილობა დამჩემდა, როგორც იცით, და ავიღებ თუ არა ხელში მის პიესას, — ორსამ წუთში თვალები მელულება.

ისევ არაგულწრფელი და ნაძალადევი სიცილი გაისმა. ყველაზე მეტად თავგამოდებით ხარხარებდა გორა.

— გუშინ, შუადღეზე, — წამოიწყო ისევ რეჟისორმა, მაგრამ ერთ-ერთმა ახალგაზრდა ტანმსხვილმა მსახიობმა არ დაიცალა და თითქოსდა დამფრთხალმა სხაპასხუპით მიაყარა:

— მოდის, ბატონო გრიგოლ, ჩვენკენ მოდის! დაგინახათ მგონი!

პარკში მართლაც შემოვიდა შავხალათიანი დაბალ-დაბალი კაცი.

— ამას ჰქვია, ძაღლი ახსენე და ჯოხი ხელში დაიჭირეო, — ჩაიოხრეხა გორამ.

უყურადღებობით განაწყენებულმა ზოსიმემ პარკში შემოსულის დანახვაზე წასვლა გადაიფიქრა, რადგან მოეჩვენა, რომ დადგა შესაფერი დრო სიმართლისმოყვარე კაცის სახელის მოსახვეჭად. შავხალათიანი, პირტიტველი, ქერათმიანი კაცი უკიდურესი თავაზიანობის გამოსახატავად დასის წევრებისგან შორიახლო სმენაზე დადგა, თავი უსიტყვოდ მძიმედ დახარა და რეჟისორს

წარბებქვეშიდან ახედა. მისალმებაზე არავინ უპასუხა, თითქოსდა არც შეუმჩნევიათ მისი გამოცხადება. შავხალათიანმა ოლიმპიური სიმშვიდით მეორეჯერ დაუკრა თავი უსიტყვოდ ყველას ისე, რომ პოზა არ შეუცვლია.

— კი მაგრამ, დილით ხომ გნახეთ თეატრის წინ, — უპასუხა ცოტა ხნის სიჩუმის შემდეგ გორამ.

— აპაააა! — მუქარით თქვა შავხალათიანმა და მკლავები დაიღლიავა, — ახლა სალამსაც მამადლით, არა?

— როგორ გეკადრებათ, — ღიმილით უთხრა ტანმსხვილმა ახალგაზრდა მსახიობმა, — ალბათ ადარ გახსოვთ, რომ დილით უკვე მოვესიყვარულეთ ერთმანეთს.

— მერე! — წამოიყვირა თვალების ბრიალით შავხალათიანმა და რეჟისორისკენ რამდენიმე გრძელი ნაბიჯი გადადგა, — სალამის ლიმიტი ვის გაუგია!

— არა, უბრალოდ... — თავის მართლება დააპირა გორამ, მაგრამ შავხალათიანმა არ დაიცალა:

— თუ სალამიც ისტორიული პიესაა, ლიმიტით რომ შეგაქვთ რეპერტუარში!

ხმას არავინ იღებდა.

რეჟისორი ანერვიულდა და თითებით გაჩაჩილი თმის ვარცხნას შეუდგა.

ზოსიმე სულწასულივით ელოდა ნანატრ წამს და ისიც ბოლოს და ბოლოს დადგა.

სკამიდან უცებ ხანში შესული მელოტი მსახიობი წამოიჭრა და შავხალათიანს თავაზიანად ხელით ანიშნა დამჯდარიყო, მაგრამ განაწყენებული ღრამატურგი ადგილიდან არ იძვროდა და რეჟისორს კუშტად მისჩერებოდა.

— დღესაც ცხელა, დასწყევლოს ღმერთმა, — თქვა გორამ და იმის დასამტკიცებლად, რომ არავითარი დაძაბულობა არ არსებობდა, ნაძალადევად დაამთქნარა.

რეჟისორმა ყველასთვის მოულოდნელად გადაწყვეტა მოფერებოდა მომაბეზრებელ ავტორს, რომ იქნებ ამ გზით გული მოელბო მისთვის და დასწყევლილი ღიმილით უთხრა:

— რა ენა გაქვს, რა ენა! შემოქმედებაშიც და ცხოვრებაშიც. ისე გველაპარაკები, თითქოს ჩვენ შენი მტრები ვყოთ. საკუთარ პერსონაჟებს როგორ ემსგავსები ბრძოლის ჟინით, მიკვირს! მაგრამ ჩვენთან საომარი რა გაქვს! მართალია, შენი პიესა ისტორიულია. მერე ეს იმას ნიშნავს, რომ იოლად შეველევი? მსგავს ნაწარმოებს მე ათ წელიწადში ერთხელ ვხედავ. და თუ მომავალ სეზონში არ მოხერხდა მისი დადგმა, მხოლოდ და მხოლოდ ტექნიკური მიზეზების გამო.

ზოსიმე ამ სიტყვების გაგონებისთანავე შავხალათიანს მხარში ამოუდგა და მშვიდად და მოკრძალებულად რეჟისორს ასე მიმართა:

— ორიოდე წუთის წინ თქვენ, ბატონო ვრიგოლ, სულ სხვა აზრი გამოთქვით ამ ადამიანის ნაწარმოებზე, უფრო მეტიც, დასცინოდით მას ზურგს უკან, ახლა კი აქებთ. რატომ ცრუობთ, რატომ ატყუებთ ავტორს; რა უნდა ვისწავლოთ ამის შემდეგ თქვენგან ჩვენ, მსახიობებმა? სცენაზეც და ცხოვრებაშიც ხომ ერთი ეთიკური ნორმა არსებობს; ამას გვიჩიჩინებთ მუდამ, როგორც მახსოვს. ხომ შეგეძლოთ გეთქვათ დაუფარავად ამ ადამიანისთვის ის, რასაც მის ნაწარმოებზე ფიქრობთ. ასეთ ფარისეელობას თქვენგან არ მოველოდი.

ამ სიტყვების დამთავრებისთანავე ზოსიმე შებრუნდა და ნელი, გამოზომიერი ნაბიჯით სკვერის გასასვლელისკენ წავიდა.

ყველა სახტად დარჩა.

სიტყვა არავის დაუძრავს.

ყველაზე მეტად გაოგნებული გამოიყურებოდა შავხალათიანი. რეჟისორს პირი ოდნავ დაეღო და მიმავალ ზოსიმეს თვალს არ აშორებდა.

ამ შემთხვევის შემდეგ, მეორე თუ

ლევან გალაჯონია
თუთიყუშები გრიგით

მესამე დღეს, ადმინისტრატორის ოთახში, როცა ერთი საკმაო სტაჟის მქონე სუსტი მსახიობი საქვეყნოდ ცნობილ დიდ არტისტს ამაგებდა, ყოფილმა გრიმიორმა ვერ მოითმინა და გამკილავს შეეკამათა. ატყდა დავა. იქვე მყოფი ადმინისტრატორი ნეიტრალიტეტს იცავდა, რადგან ზოსიმესთან კამათი სისულელედ მიაჩნდა. დისპუტი ისე გაიწელა, რომ ყოფილმა გრიმიორმა საკმაო სტაჟის მქონე სუსტ მსახიობს, რომელსაც სცენიდან მხოლოდ იმიტომ არ ითხოვდნენ, რომ გიტარაზე კარგად უკრავდა, უნიჭო უწოდა. ზოსიმეს იმაზე წყდებოდა გული, რომ მის მორიგ პირდაპირობას ბევრი ხალხი არ ესწრებოდა. ადმინისტრატორი მაინც აპყვა ცდუნებას და გიტარაზე დამკვრელ მსახიობს გამოიქომაგა. მაშინ მასაც მიუზღო ზოსიმემ საკადრისი, სულ კომბინატორი და ქურდი უძახა და არცთუ უსაფუძვლოდ, რადგან ადმინისტრატორის ბნელ მაქინაციებზე ქვეყანა ლაპარაკობდა.

ერთხელ, გვიან ღამით, ყოფილმა გრიმიორმა შექეფიანებული გორა და მზეთუნახავი დაინახა ჩაბნელებულ ქუჩაში საღგურთან ახლოს. ზოსიმესთვის მოულოდნელი არ ყოფილა უდროო დროს მათი ერთად ყოფნა, მაგრამ უნებურად ბოძს ამოეფარა, რომ შეეტყო, საით გასწევდნენ. სულ მალე დიდ ქუჩაზე ჩაუხვიეს, გზა გადაჭრეს და სახელოსნოების ვეერდით მდგომ ერთსართულიანი, აგურით ნაგები სახლის ეზოში შევიდნენ. იქ მზეთუნახავი ცხოვრობდა ნაქირავებ ოთახში. ზოსიმეს თუ აქამდე საეჭვოდ მიაჩნდა მათი ურთიერთობა, ახლა მისთვის ყველაფერი ნათელი გახდა. დილით მსახიობები, ჩვეულებისამებრ, ამოჩემებულ ადგილს შეხვდნენ ერთმანეთს სკვერში, ყვითლად შეღებილ ძელსკამთან. ზოსიმეც მათ შორის იყო. გორა ყველაზე გვიან გამოცხადდა ამჯერად. ხან რას ჰყვებოდნენ და ხან რას, უმეტესად სასაცილო ამბების თხრობით იყვნენ გართულნი. ზოსიმე გორას დაკვირდა. იგი ჩუმად იყო, მოღიმარი სუფთით ერთ წერტილს მისჩერებოდა და ეტყობოდა, არავის უსმენდა.

— რას მიედ-მოედებით, — ჩაიროიტრეხა მოულოდნელად მან და იქ მყოფთ აგდებულად გადახედა.

— უფრო საინტერესო რამე მაშინ შენ თქვი, — უთხრა ტანმსხვილმა მსახიობმა.

— გეტყვით, — უპასუხა მოქნარეებით გორამ და მთელი ტანით გაიზმორა.

— ოღონდ რაღაც ახალი გვითხარი, — გააფრთხილა ფრჩხილების წმენდით გართულმა მელოტმა.

ზოსიმე მიხედა, რის მოყოლასაც აპირებდა გორა, მაგრამ საქვეყნოდ თუ გაამხელდა წუხანდელ ამბავს, მაინც არ სჯეროდა.

— დაწყეს, ჰო, — მოუთმენლად წამოიძახა ტანმსხვილმა.

— ნუ ნერვიულობთ, — უპასუხა ღმეტით გორამ, აქეთ-იქით მიმოიხედა, პირზე ხელი მიიფარა და ხმადაბლა გაგრძელა, — წუხელ საღგურის ახლოს ვასეირნე.

— ერთი შენც! — შეაწყვეტინა მელოტმა, — როდემდე უნდა იპროწიალოთ ქუჩაში აღმა-დაღმა.

— გეუბნებით, ნუ ნერვიულობთ-მეთქი, — ხმას აუწია გორამ და მერე თითქმის ჩურჩულით თქვა, — ბოლოს სახლში შემიპატიჟა თვითონ შუადამისას. მანამდე ერთი-ორი ჭიქა რესტორანში დავალევინე.

— თორმეტის ნახევარი რა შუადამეა, — თქვა უცებ ზოსიმემ.

თითქოს ახლა შეამჩნიეს მისი იქ ყოფნა და ყველამ გაოცებით შეხედა. სიჩუმე ჩამოვარდა.

ტანმსხვილი ახალგაზრდა მსახიობი ზოსიმეს თვალებმოჭუტული დააკვირდა და მერე მუქარით უთხრა:

— შენს საქმეს მიხედე, თუ ჩემი ქაბარ.

— ასე აჯობებს, კი — დაუდასტურა როხროხით გორამ, ოდნავ მოიხარა, მსახიობებს ხელები მოხვია, კრუხივით

ეროვნული ბიბლიოთეკა

გადაეფოფრა და ამბის თხრობა ჩურჩულით გააგრძელა.

ზოსიმეს ისღა დარჩენოდა, რომ იქაურობას გასცლოდა. თორმე მასთან საიდუმლოს გამხელის ეშინოდათ! გაიგდეს, მოიცილეს, რომ ვინიცობაა ვინმე არ გაეთქვა! ასე ხომ ჯაშუშებს ექცევიან! ზოსიმე კი სიმართლისმოყვარე, პირში მოქმელი კაცია! ეჰ, აღარავის ესმის მისი! გაიგდეს, მოიცილეს, რომ საიდუმლო არ გაეთქვა! სასაცილო არაა ეს? ერთხელ და სამუდამოდ ყველა უნდა დარწმუნდეს, რომ ზოსიმე სიმართლისთვის არც სხვას და არც საკუთარ თავს დაინდობს! ჭორები და ენის მიტან-მოტანა კაცუნების საქმეა. ზოსიმე კი სიმართლეს პირში ახლის ყველას, თუ საჭიროდ ჩათვალა! ჰო, ესაა მთავარი, თუ თვითონ საჭიროდ ჩათვლის! ამ ფიქრებით აწრიალებული მთელი დღე უმიზნოდ დაიარებოდა აღმა-დაღმა. გული იმანაც ატკინა, რომ დღეს სახელოსნოში არ დახედა. „როგორ თუ გამომაგდეს“, — ვერ ისვენებდა ზოსიმე და თავს იმით ინუგეშებდა, რომ ადრე თუ გვიან, ბოლოს და ბოლოს, ყველას დაანახებდა, ვინ იყო და რას წარმოადგენდა. იმავე საღამოს, ბაზრის შესასვლელთან, მზეთუნახავს, გორას და ღილით სკვერში მყოფ მსახიობებს გადაეყარა. ზოსიმეს ჯავრის ამოსაყრელად შეუფერებელ გარემოს ანგარიში არ გაუწია და დასის წევრებს გამომწვევად ჰკითხა:

— ასე ჯგუფ-ჯგუფად რასთან დაკავშირებით დადიხართ?

— ბებიაჩემის დღეობას ვიხდით, — უპასუხა მელოტმა, — სხვა რა გაინტერესებს!

— არაფერი. ოღონდ მინდა ვუთხრა ჩვენს მშვენიერ მანდილოსანს, რომ ქეიფის შემდეგ შუაღამისას თავის ოთახში ყველა არ უნდა შეიპატიჟოს. განსაკუთრებით ისეთი კაცი, ამ ამბავს რომ მეორე დღეს ქვეყანას მოსდებს.

ზოსიმე ბედად გადაურჩა ცემას მზეთუნახავის წყალობით და უფრო ალ ბათ იმის გამო, რომ ზოგი უკვე ჭაუნაღრძობად თვლიდა. ხან რას მიაწერდნენ მის უტიფარ საქციელს ხან რას. მაგრამ დასიდან გასაგდებად მაინც ვერ იმეტებდნენ. ისე კი ყველასთან უაღრესად თავაზიანად და მოკრძალებულად ეპერა თავი. ალბათ ამის გამოც იყო, რომ თეატრიდან არ ათავისუფლებდნენ. და მაინც, ერთ მშვენიერ დღეს, მთელი დასი გააოგნა მისმა უგულობამ. — მოხდა ისე, რომ ზოსიმემ სიგარეტის ნამწვი დააგდო დაუდევრად შუა სცენაზე. ეს დაინახა თეატრის კუზიანმა მეხანძრემ და ყოფილ გრიმიორს მკვახე სიტყვით მიმართა. ამ ამბავს შეესწრო მელოტი მსახიობი და დამლაგებელი დედაბერი. ზოსიმემ იუკადრისა შეურაცხყოფა და კუზიანს კუზიანი ეძახა. ასეთმა გულქვაობამ დედაბერიც კი გააცეცხლა და ყოფილ გრიმიორს წყევლა-კრულვით გამოუდგა.

გადიოდა დრო და ზოსიმე თვალნათლივ ხედავდა, რომ მას ყველა გაურბოდა. აფორიაქებულმა დიდი ხნის ფიქრის შემდეგ დაასკვნა, რომ ყოველივე ამის მიზეზი იყო ის, რომ სიმართლე საკუთარ თავზედაც უნდა ეთქვა ყველგან. სხვების მიმართ დაუნდობლობა, როგორც ჩანდა, საკმარისი არ აღმოჩნდა. ალბათ ეს აბორტებდა ხალხს; ამის გამო გაურბის ყველა. ახლა გაუგებარი აღარაფერია: სიმართლისმოყვარე მაშინ გახდები, თუ არც სხვას დაინდობ და არც საკუთარ თავს. აქამდე როგორ გამორჩა ეს! რა არ გაითვალისწინა, მაგრამ უმთავრესი გადავიწყებია... ასე ფიქრობდა ზოსიმე და ამ აღმოჩენის შემდეგ მუდამ იმის ცდაში იყო, რომ სახალხოდ საკუთარ თავზედაც ეთქვა სიმართლე. და რა მძიმე ყოფილა ეს! საკუთარი თავის დაუნდობლობა, საკუთარი ფიქრების საჯაროდ გათქმა! ამისი გაკეთება აუცილებელია და რაც შეიძლება მალე, ოორმე, ვინ იცის, იქნებ მისი გაბედულობა ინტრიგანობად მონათლონ... ზოსიმეს სადარდებელი ახლა

ლევან მალაჯიანი
თეთრიაუზები გრიმით

ის იყო, თუ რა ეთქვა საკუთარ თავზე სახალხოდ ისეთი, რითაც ყველას თვალში ამაღლდებოდა და დაუნდობელი, სამართლისმოყვარული ადამიანის სახელს სამუდამოდ დაიმკვიდრებდა. თითქოს გამოსავალს მიაგნო, გახალისდა და ყველას მიმართ ერთთირად თავაზიანი გახდა. ოღონდ სახალხოდ საკუთარ თავზე შესაფერის სათქმელს წამდაუწუმ დაეძებდა. და, როგორც იქნა, ბოლოს ამასაც მიაგნო.

მოახლოვდა სეზონის გახსნის დრო. მზიანი დღე იდგა და თეატრის დასი, სანამ მაყურებელთა დარბაზში შეიკრიბებოდა, მოყვითალო პატარა შენობის ფასადის წინ გამოფენილიყო. საღამოდაც ბოშა ქალი გამოჩნდა, რომელსაც გამურული ფეხშიშველა ბიჭი მოსდევდა თუთიყუშით ხელში. სწორედ ამ დროს ზოსიმეც გამოცხადდა და დასის თითოეულ წევრს მოკრძალებით ჩამოართვა ხელი. რომელიღაც მსახიობმა ბოშა ქალს სიცილით თხოვა მზეთუნახავისთვის ემარჩიელა. გორაც იქვე იდგა, თმაგაჩეჩილ რეჟისორს ესაუბრებოდა და წამდაუწუმ ხარხარებდა. ბოშა ქალი მზეთუნახავის ხელისგულს დააცქერდა და ბუტბუტი დაიწყო. ბიჭი მის ზურგს უკან დადგა, თუთიყუში მხარზე შეისვა და თავზე დამდგარ მსახიობებს გულგრილად ახედა. მზეთუნახავი მარჩიელის ყოველ სიტყვაზე კისკისებდა. ყველასთვის მოულოდნელად ბოშა ქალს ზოსიმე მიუახლოვდა, ხელისგული გაუშვირა და თხოვა გამოეცნო, რაზე ფიქრობდა იმ წუთს. გამურულმა ბიჭმა თუთიყუში ახლა თავზე შეისვა. ბოშა ქალმა ზოსიმეს თხოვნა დაცინვად მიიღო, ხელი ჩაიქნია, უკმაყოფილოდ რაღაც ჩაიბუზღუნა და იქაურობას გაეცალა. ბიჭი თავზე დასკუპული თუთიყუშით უკან დაედევნა.

— მე თვითონ შემიძლია ხმამაღლა ვთქვა, რაზედაც ვფიქრობ, გულთმისნებისა და კეთილინების დაუხმარებლად, — წამოიძახა უცებ ზოსიმემ და ირგვლივ მყოფთ თვალი მოავლო.

გამურულმა ბიჭმა უკან მოიხედა, თავზე შესკუპებულ თუთიყუშს ხელი დაავლო, რაღაც ჩასჩურჩულა და წამით შედგა.

— სულელი, სულელი, სულელი, — დაიწრიპინა თუთიყუშმა.

მთელ დასში უთავბოლო სიცილ-ხარხარი ატყდა.

ზოსიმემ იხტიბარი არ გაიტეხა და ნთქვამს ყალბი ღიმილით ნაუცბათევად მოფიქრებული სიტყვები დაურთო:

— ჩვენ რომ ერთმანეთს წვრილმან და დამამცირებელ ფიქრებს ვუმალავთ, ვინ არ იცის. მე კი არ მეშინია ამის გამხელა, და ეს რომ ასეა, ახლავე დაგიმტკიცებთ. დილიდან მოყოლებული იმას ვნატრობ, რომ ამ სეზონში დიდი როლი ვითამაშო, ქვეყანა ავალაპარაკო და პირველ მსახიობად მაღიარონ. აი, როგორი პატივმოყვარე ვარ მე. ხშირად ისიც მაღიზიანებს, ვინმე რომ დასამახსოვრებელ სახეს შექმნის სცენაზე. შურიანიც ვარ. მაგრამ არ მესირცხვილება ეს, რადგან ვიცი, რომ ყველა ადამიანი, ყველა და არა ზოგიერთი, სუსტი ბუნებისაა. ისე კი, რომ იცოდეთ, ეს ჩემი აღსარება იმ მარჩიელის დანახვამ მთქმევინა. მეც ისეთივე ძათხოვრული ფიქრები მიტრიალებს თავში, როგორიც თქვენ, ყველას. ოღონდ, ჩვენ შორის ის განსხვავებაა, რომ მე ამას ხმამაღლა ვამბობ.

რეჟისორმა მის წინ მდგომ მსახიობს თვალი ჩაუკრა; ხმა არავის ამოუღია. ზოსიმემ ირგვლივ ჩამოვარდნილი სიჩუმე თავის გამოსვლით გამოწვეულ გაგამაოგნებელ ეფექტად მიიჩნია და კმაყოფილი ბოლთას სცემდა დიდხანს.

ამის შემდეგ დღე არ გავიდოდა ისე, რომ საჯარიდ საკუთარი თავისთვის წუწკი, ხარბი, უვიცი ან უნებისყოფო არ ეწოდებინა. რა თქმა უნდა, დროდადრო, არც სხვების დახასიათება ავიწყდებოდა. ერთი სტყვით, იმდენი იწვალა, რომ საბოლოოდ ყველას თვალში რეგვენის სახელი დაიმკვიდრა. მხოლოდ მზეთუნახავი ეძახდა დაურიდებლად, სხვებისგან განსხვავებით, ხან ხეპრეს, ხან — უტვინოს. თავგზა აებ-

ნა ზოსიმეს, — აირ-დაირია, აიმღერა, მოსვენება დაკარგა და აღარ იცოდა, როგორ მოქცეულიყო, რა გზით ეკლო. დულასთან საუბრით გული მოოხებაც აღარ შეელიდა, მაგრამ როცა მარტოობა დაჯაბნიდა, ისევ ბასთან გარბოდა სახელოსნოში. ერთხელაც, როცა ყოფილა გრიმიორმა თავისი სადარდებელი გაანდო, ხელოსანმა ცოტა ხნის ფიქრის შემდეგ დამრიგებლური ტონით ასე უთხრა:

— კაცი საკუთარ თავსაც არ უტყდება, არ უყვარს ეს და სხვისგან ნათქვამ სიმართლეს, მით უფრო, ვერ ინატანს. ნიღაბია საჭირო, ყველგან და ყველასთან. ხელოვანი ხარ და ჩემგან არ გესწავლება ეს, მაგრამ, რახან ცხოვრების გამოცდილება შენზე მეტი მაქვს, გაცილებით მეტი, ჩემს თავს უფლებას ვაძლევ რაღაც-რაღაცები გირჩიო. სხვა მხრივ, ღმერთმა დამიფაროს ჭკუა გასწავლო. ჰოდა, ნიღაბი ყველგან უნდა ატარო, შინ თუ გარეთ, სცენაზე თუ ქუჩაში. რას იზამ, ცხოვრება გვასწავლის ამას. ლათინურად ნიღაბი ანუ „მასკა“ პირისახეს ნიშნავს, იცი ეს შენ. ჰოდა, ვის რას ეტყვი, ის კი არაა მთავარი, არამედ ვის როგორ, ანუ ვთქვათ, უკაცრავად პასუხია, ცხვირს უჩვენებ. მოკრძალებითა და თავმდაბლობით ნაკლებ მტერს გაიჩენ. ყველასთან ყველგან სიმთლის თქმა ღმერთმა დაგვიფაროს. ამ აზრის კონსოლიდაციაა აუცილებელი, ესე იგი, განმტკიცება. სხვა გზას ვერ ვხედავ. ამას გირჩევ მე ჩემი მოკლე ჭკუით.

საუბარი სახელოსნოს წინ ტაბურეტებზე ჩამომსხდარმა მეგობრებმა ღვინის სარდაფში გაგრძელეს და ერთმანეთს გვიან საღამოს შეზარხოშებულები გამოეთხოვნენ.

დულას დარიგება ჭკუაში დაუჯდა ზოსიმეს, ღამე თეთრად გათენა და ალიონზე ხელი ხელს შემოჰკრა, რაც ალბათ იმას მოასწავებდა, რომ რაღაც მტკიცედ გადაწყვიტა. „მართლაცდა, წარამარა რომ ყველას პირში ვახლი სიმართლეს, რეგვენი ვარ, აბა, რა ვარ. საკუთარი თავის საჯაროდ გაშიშვლებაც სიბრიყვეა ნამდვილად. ერთი ბრძენია არ იყოს, ენა იმტიმ აქეს კაცს, რომ თავისი ნაფიქრალი დამალოს. მართალია დულა: მთავარი ისაა, ვის როგორ სიფათს უჩვენებდა არა ის, ვის რას ეტყვი. სცენაზე რომ გულუბრყვილო კაცის როლი ვითამაშო, ცხოვრებაშიც გულუბრყვილო კაცის როლის თამაში არ გამომადგება მე. მაგრამ ერთი მაინც ვერ გამიგია: გათახსირებულის და გაფუჭებულის როლის თამაში, ლიტერატორები რომ უარყოფით გმირს უწოდებენ, ყველასათვის იოლია და მათ შორის ჩემთვისაც; ხოლო კარგი ადამიანის როლის თამაში, ესე იგი, დადებითი გმირის, სცენაზედაც ძნელი ყოფილა და ქუჩაშიც, ცხოვრებაშიც. ამას წყალი არ გაუვა, ასე ყოფილა ეს“, — ფიქრობდა ზოსიმე ლოგინზე გულაღმა გაშტერილი და ამ აღმოჩენით ალტაცებულმა ერთხელ კიდევ შემოჰკრა ტაში. ოურმე რა უზრამაზარი საიდუმლოება იმალებდა აქამდე დედამიწაზე! სხვებისგან განსხვავებით, მას უნარი შესწევს ითამაშოს კარგი კაცის როლი სცენის გარეთაც! და ამას მიაღწევს ღმობიერი გამომეტყველებით! იგი დღეიდან ახალ გზას უნდა დაადგეს... ნიღაბი წუვეტს ყველაფერს! გაუმარჯოს გამოხედვას! ძირს სიტყვები! თავმდაბალი კაცის სახელს ზოსიმე ნიღბებით მოიხვეჭს!.. ამ აბურდულმა ფიქრებმა თავი გაუსიეს და ლოგინიდან დარეტიანებული წამოდგა სწორ გზაზე დადგომით დაიმედებული.

და მოხდა სასწაული: სწორედ იმ დღეებში, სეზონის გახსნისთანავე, ზოსიმეს თანამედროვე პროვინციელი პედაგოგის როლის განსახიერება მიანდეს. ამ პერსონაჟის კრედო საზოგადოებრივი ინტერესების პირადულზე გამარჯვებას გულისხმობდა. პედაგოგი თავმდაბალი, კეთილი და ამავე დროს პრინციპული ბუნების იყო ავტორის ჩანაფიქრით. გმირის სახე ყოფილ გრიმიორს უნდა

ლევან ბალაჯონია
თუთიყუშები ბრძენთ

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ტაეწნა ისე, რომ მისი საქციელისთვის ყველას მიებაძა (ამ შემთხვევაში, პიესის მიხედვით, საკუთარი ბოსტანი გადაეხნათ და საზოგადოებრივი აეყვავებინათ). პედაგოგის ხასიათის ერთ-ერთი შტრიხი ისიც იყო, რომ მას მწარე სიტყვა პირიდან არ ამოსდიოდა, პირიქით, ცდილობდა, მუდამ კარგის დანახვას ყველაში. ზოსიმე განგებას მიაწერდა ამ როლის მიღებას და ღამეებს ათენებდა მასზე ფიქრით. პრემიერამ ნორმალურად ჩაიარა და სხვებთან ერთად მასაც მიუღოლიეს გამარჯვება, მაგრამ, მთელი დასის გასაოცრად, ზოსიმე სულ სხვა ბუნების გახდა ყოველდღიურობაში: თავმდაბალი, კეთილი, გულისხმიერი. ყველას უკვირდა, რომ იგი აღარავის ანლიდა სიმთლეს პირში. პირიქით, დიდსა თუ პატარას უღიმოდა, ეფერებოდა, ეალერსებოდა და ჰქუხდა კიდეც. ერთი სიტყვით სამართლისმოყვარე ზოსიმე ცრუ, მატყუარა და ფარისეველი გახდა. მალე მისთვის რამპასთან თუ ქუჩაში დგომა სულ ერთი გახდა, იგი უკვე განსხვავებასაც ვერ ხედავდა ამ ორ სარბიელს შორის და თავის პრინციპში დარწმუნებული, დღენიადაგ ცდილობდა თამაშის საიდუმლოებას დაუფლებოდა.

— ვინაა ეს კაცი ბოლოს და ბოლოს, — თქვა ერთხელ დასში ზოსიმეს ქცევით გაოცებულმა გორამ, — ხან ილუშება, ხან იკრიჭება, ხან თავზე გაჯდება და ხან ფეხქვეშ გეგება. ამ ბოლო დროს ძალიან დაგვიტკბა ყველს. რამ შეცვალა ასე, გამაგებინეთ. თუ დამიჯერეთ, სურამშია წასაყვანი სასწრაფოდ. მერე გვინანი არ იყოს, იცოდეთ.

მალე ზოსიმეს ხელგაშლილი, გულუხვი კაცის როლი შესთავაზეს ახალ პიესაში. სპექტაკლი, როგორც რეცენზენტები პროფესიონალურად წერდნენ „მაყურებელმა გულთბილად მიიღო“. ყოფილი გრიმიორი ისე ღრმად შეიჭრა გულუხვი კაცის ფსიქიკაში, რომ მის ბუნებას სცენის გარდა, ყოველდღიურობაშიც ავლენდა. ოღონდ, ერთხელ ასეთი თამაში ზოსიმეს ძვირად დაუჯდა: თეატრის მოღალატე დედა გარდაეცვალა და დასის წევრებმა, ვისაც რამდენი შეეძლო, ფული შეაგროვეს მგლოვიარე ოჯახის დასახმარებლად. ყოფილმა გრიმიორმა კი ადმინისტრატორის კაბინეტში წითელი მაუდით გადაფარებულ მაგიდაზე ნახევარი თვის ხელფასი დადო ყველას დასანახად და ორ-სამ კვირაში შიმშილით სული კინაღამ ამოძვრა. ამის შემდეგ მეთვეზის ეპიზოდურ როლში მოვევლინა მაყურებელს. დუელა ისე მოიხიბლა მისი ტალანტით, რომ „ჯადოქარი“ უწოდა. ზოსიმე იმ ხანებში, ალბათ მეთვეზის ბუნების ღრმად შესაცნობად, ნათხოვარი ბადით დადიოდა მდინარეზე და ამ თამაშშა კინაღამ იმსხვერპლა: მორეკვნი ჩავარდა და იქვე ბედად მყოფმა ბავშვებმა ყვირილი მორთეს. საიდანღაც მშველელი გამოჩნდა და ყოფილი გრიმიორი ცოცხალ-მკვდარი ამოიყვანეს მდინარიდან. ასე ღრმად შესტოპა ზოსიმემ, მაგრამ თამაშს ყოველდღიურობაში მაინც არ ეშვებოდა, ყველგან და ყველასთან გულისხმიერი ადამიანის ნიღაბს დაატარებდა. ის კი არადა, დუელასთანაც საგრძნობლად შეიცვალა და მასაც ამა თუ იმ როლში მოევლინებოდა ხოლმე.

ზოსიმეს ღიმილიანი გამოხედვა, იმისდა მიუხედავად, რომ ბევრს ეშვი ეპარებოდა ყოფილი გრიმიორის გულწრფელობაში, მაინც სიამოვნებდა ყველას, განსაკუთრებით იმათ, ვინც ამისი ღიმისი არ იყო.

ზამთარში, დიდთოვლობისას, თეატრს შებერებულმა სამოცდათვრამეტი წლის ალფაშების გამკვრელმა კუზო ბაბილოძემ დილაადრიან მოყინულ კიბეზე ასვლისას ფეხი მოიტეხა და საავადმყოფოში მოათავსეს. მთელ დასს უყვარდა ტანმორჩილი ბერიკაცი და ყოველნაირად ცდილობდნენ მის გამხნევებასა თუ გამხიარულებას როცა ნახულობდნენ. ზოსიმე, რა თქმა უნდა, ყოველდღე კუზო ბაბილოძის სასთუმალთან იჯდა თავისი განუშორებელი ლმობიერი ღიმილით. ოპერაციის გაკეთებიდან ერთი თვის შემდეგ დასის წევრებმა ექიმები-

ეროვნული
ბიბლიოთეკა

სგან შეიტყვეს, რომ მოხუცს ჭრილობა არ უხორცდებოდა. ამ ამბავმა ყველას გული ატკინა.

მზიანი კვირა დღე იყო. პალატა, სადაც კუხო ბაბილოძის გარდა, ექვსი ავადმყოფი იწვა, მსახიობებით აივსო. მოხუცის პატარა კარადა, სასთუმალთან რომ ედგა, მანდარინებს, ვაშლებსა და ტკბილეულობას ვერ იტევდა. პალატის კედლები როგორც ეტყობოდა, ადრე თეთრი ფერის უნდა ყოფილიყო. იდგა ძმიმე ჰაერი, ციოდა. ერთადერთ ფანჯარაზე დიდი თეთრფოჩებიანი ღაზი აეფარებინათ. უზარმაზარ ქურქში გახვეული რეჟისორს დაჭმუჭნილი თეთრი ხალათი მხრებზე მოეგდო, ყურებიანი ქუდი იღლიაში ამოეჩარა და გატრუნულ მსმენელებს ენერგიული ესესტებით ანეკტოდს მოეთხრობდა. ახალთახალ პიეკმაში გამოწყობილი ბაბილოძე გულაღმა იწვა ლოგინზე, ორი ჭრელი სპანები, ალბათ სახლიდან მოტანილი, მუცლამდე ეხურა და მონაყოლით მოხიბლული, ხელებს ასავსავებდა. დასის დანარჩენ წევრებს პალტოები ეცვათ და ჯუჯუანი ხალათები მხოლოდ მზეთუნახავს, გორას, ტანმსხვილ მსახიობსა და ადმინისტრატორს ჰქონდათ მოგდებული მხრებზე. პალატის კედლებს ამშვენებდა ხანძარსაწინააღმდეგო პლაკატები. მოულოდნელად კარებში შემოიჭრა აქოშინებული ზოსიმე, აგურისფერი პლაშჩი ელვის სისწრაფით გაიხადა, გადმოკარკლული თვალებით ბაბილოძეს დახედა, თითის დაქნევით დაემუქრა და ცახცახით უთხრა:

— ცუდი არაფერი გამაგონო, იცოდე, ცუდის მსგავსიც კი.

რეჟისორს უნებურად სახე დაეძაბა ყოფილი გრიმიორის ყალბად გათამაშებულ შიშზე, ზურგი შეაქცია მას და მზეთუნახავს თვალი ჩაუკრა.

— მე რა მიშავს, — ამოიკვნესა კუხო ბაბილოძემ და საბანი მკერდამდე წაიფარა, — ჯერ ღმერთი არ გამწყრარეს, მგონი.

ზოსიმემ პლაშჩი ისე მიაგდო რომელიღაც ავადმყოფის ლოგინზე, თითქოს იქ მყოფთ ვერც ამჩნევდა, ორივე ხელი თავზე წაიკრა და ჩურჩულით თქვა:

— მე ვერ ავიტან ამას, ვერ ავიტან...

ყოფილ გრიმიორს დასის წევრებმა ზიზღით შეხედეს.

— თავს ნუ მოიკლავ ჩემთვის, — სიცილით უთხრა ზოსიმეს ბაბილოძემ, — ჯერ ერთი, საამისო არაფერი მჭირს და, ამას გარდა, ცას ხომ არ შევაბერდები ბერიკაცი.

— ალბათ რაღაცას მიმალავ, კუხო ბატონო! — დაიღრიალა უცებ ყოფილმა გრიმიორმა და მუხლებზე დაეცა.

იმავე წუთს მთელმა დასმა დატოვა პალატა.

კუხო ბაბილოძე და მის გვერდით მწოლი ავადმყოფები დამფრთხალნი მისჩერებოდნენ მუხლებზე დავარდნილ ზოსიმეს, რომელიც ახლა სახეს ხელებით იფარავდა. ღრიალზე პალატაში ახალგაზრდა, მიმზიდველი გარეგნობის ექთანი გოგონა შემოვარდა, იქაურობას თვალი მოაყარა და გაოცებულმა იკითხა:

— რა მოხდა, ცუდადაა ვინმე?

ავადმყოფებმა, და მათ შორის ბაბილოძემაც, ხელი უხმოდ გაიქნიეს.

— ოღონდ არაფერი დამიმალოთ, არაფერი, — თქვა ახლა თითქოს ოდნავ დამშვიდებულმა ზოსიმემ და ნელა, ზანტად წამოდგა.

— თქვენ ვინ ბრძანდებით, ბატონო? — ჰკითხა ექთანმა ყოფილ გრიმიორს და ყურადღებით აათვალ-ჩაათვალიერა.

ზოსიმე ხმაამოუღებლივ ისე ჩამოჯდა კუხოს საწოლზე, თითქოს არაფერი გაუგია.

— ამ კაცს რა სჭირს სატირალი? — თავისთვის ჩაილაპარაკა ექთანმა გოგონამ, ბაბილოძეს საბანი შეუსწორა და პალატიდან გავიდა.

ზოსიმე ყოველდღე დაიარებოდა კუხოსთან, ოხრავდა, გმინავდა, თავში ხელს იცემდა და ზოგჯერ, მთავარი ექიმის დასანახავად, პირჯვარსაც იწერდა. საქმე იქამდე მივიდა, რომ საავადმყოფოს შესასვლელთან მდგომი ჟამის ფერი

ლევან ბალანგინია
თუთიყუშები გრძელთა

ეროვნული
ბიბლიოთეკა

დარაჯი და სანიტრები საგანგებოდ გა-აფრთხილეს, ყოფილი გრიმორი პალატაში არ შეეშვათ, მაგრამ ვერაფერს გახდნენ: ზოსიმე სახელდახელოდ თავზარდაცემული კაცის გამომტყუვებას მიიღებდა და ასეთი ნიღბის დანახვაზე უარს ვეღარავინ უბედავდა.

მეორე კვირას პალატა ისევ აივსო მნახველებით. ზოსიმე ყველას იქ დახვდა, ოღონდ ამჯერად დასის წევრებს შორის რეჟისორი არ იყო. კუზო ბაბილოძეს ცალი ხელი გულზე ედო, მეორეს ზედ იტყაპუნებდა და წარამარა სულმოუთქმელად იმეორებდა:

— მადლობა, დიდი მადლობა, რატომ წუხდებით, რატომ ირჯებით, ნამდვილად არ ვარ ამდენი პატივისცემის ღირსი, ნამდვილად...

პალატაში ძალზე გამხდარი, მაღალი, სათვალიანი ახალგაზრდა მორიგე ექიმი ქალი შემოვიდა, უსიამოდ მოავლო თვალი იქაურობას და უკმაყოფილოდ ჩაილაპარაკა:

— რიგრიგობით მაინც მოდით, ბოლოს და ბოლოს, ხომ ხედავთ, ფეხზე დასადგომი ადგილიც აღარაა.

ზოსიმე ფანჯარასთან იდგა თავჩაქინდრული, მოჰკრა თუ არა ამ სიტყვებს ყური, მკლავები დაიღლიავა, თვალები დაყვლიპა და გაბრაზებულმა წამოიძახა:

— აქ ადამიანის ბედი წყდება, ქალბატონო, ადამიანის! და გთხოვთ გამოიჩინოთ ელემენტარული გულისხმიერება!

მორიგე ექიმი აიბნა და აქეთ-იქით მიმოიხედა.

მოთმინებიდან გამოსულმა გორაშ ყოფილ გრიმორს მაჯაზე ხელი მაგრად მოუჭირა და კბილების ღრჭენით უთხრა:

— კარგი რა, გეყოფა!..

მორიგე ექიმი გამოერკვა, ბრაზი მოერია და ზოსიმეს მოურიდებლად დაუყვირა:

— ვის ელაპარაკებით, თუ იცით! ვის ასწავლით ჭკუას! წარამარა აქ სიარულით ჩვენც ხელს გვიშლით და ავადმყოფებსაც აწუხებთ! **პალატაში პალ**ტოებით შემოსვლაა გულისხმიერება? თავხედი ყოფილხართ, მეტი არაფერი!

ზოსიმემ პასუხის გაცემა დააპირა, მაგრამ გორამ ახლა პირზე მიაფარა ხელი.

კუზო ბაბილოძე აწრიალდა, აფორიაქდა და ყოფილ გრიმორს მუდარით მიმართა:

— ნუ აყენებ, შვილო, ამ ხალხს შეურაცხყოფას, გადამკვდარი არიან ჩემზე. ესენი რომ არ ყოფილიყვნენ, დღეს ჩემი სახსენებელიც არ იქნებოდა. შენც რატომ იწუხებ თავს ასე, მე შვილებიც მყავს, შვილიშვილებიც და რძლებიც და ისინი მომხედავენ როგორმე. დღემდე რაც პატივი მეცი, მადლობელი ვარ და აწი ნუღარ ივლი ჩემს სანახავად, გეხვეწები მამაშვილურად.

მზეთუნახავს ფხუკუნი წასკდა და გვერდით მდგომ მელოტს რაღაც წასჩურჩულა.

ზოსიმემ ძლივძლივობით მოიცილა ტუჩებზე აფარებული გორას ხელი, ნაბიჯი წადგა, ბაბილოძისკენ თითი გაიშვირა, მორიგე ექიმს შეხედა და დაქანდნებით უთხრა:

— ამ ადამიანს რომ რამე მოუვიდეს, ცოცხალი ვერ გადამირჩებიან, იცოდეთ!

— გაეთრიე გარეთ! — იკივლა ისტერიული ხმით მორიგე ექიმმა, კარს მივარდა და ხელი ჭკრა.

— როგორ?! — თვალები გადმოკარკლა ზოსიმემ და ხელები ისევ დაიღლიავა.

— წადი შენი!.. — დაიროხროხა გორაშ, ყოფილ გრიმორს ქეჩოში სტაცა ხელი და გარეთ მოისროლა.

— ახლავე დატოვეთ პალატა, ახლავე! — კიოდა მორიგე ექიმი და დასის წევრებს კარისკენ უთითებდა.

კუზო ბაბილოძემ საბანი თავზე წაიფარა და ზღუქუნი მორთო.

პალატა წამსვე დაცარიელდა.

ორი დღე ზოსიმე თეატრის შენობას ახლოსაც არ გაჰკარებია, იწვა შინ, თავის პატარა, რომბისებური, ლუჩი შვალერით გამოკრული ოთახში ძველებურ,

ეროვნული ბიბლიოთეკა

სპილენძის საწოლზე და ფიქრობდა, რა გზას დადგომოდა. მან ისიც არ იცოდა კარგად, ვისზე უნდა ყოფილიყო ნაწყენი — გორაზე, მორიგე ექიმზე თუ კუჭო ბაბილოძეზე. იქნებ, ყველაზე ერთად! თითქოს პირი შეკრეს და დიდი და ჰატარა მას გადაეტეტა. გორასთან ყოველგვარი ურთიერთობა უნდა გაწყვიტოს. მაგრამ მანამდე საჯაროდ ბოდიშს მოახდევინებს და კუდით ქვას ასროლინებს. ოღონდ, ესაა, რომ იმ გაბერილს ღონიერი მკლავები აქვს... მერე რა! სიმართლეს ძალა ყოველთვის ხომ ვერ მოერევა... მაინც როგორ მამტყუნებდა ყველა! არც ერთმა მხარი არ დამიჭირა! რა გავაკეთე ასეთი... თითქოს მარტო მე დავატარებდე ნიღაბს ამქვეყნად და თვითონ ანგელოზები იყვნენ... ალბათ გადავამტე ცოტა. რა მოხდა მერე! ყველა თამაშობს ამ დედამიწაზე, კარგად თუ ცუდად, და, რაღა მაინც-დამაინც მე ამითვალწუნეს... მიზეზი იქნებ სულ სხვაა, ვინ იცის, მაგრამ დასანახავადაც რომ ვერ მიტანენ, ამას კარგად ვხედავ. ჰოდა, სცენაზე ფეხს ხომ დამდგმელი არ ვარ, სადაც უნდათ იქ მდგომნ... მეყოფა მე თამაში და მაიმუნობა... მეძებონ ახლა რამდენიც მოეხასიათებათ. ჩემი ფეხი არ იქნება დღეიდან სცენაზე!.. ასე ფიქრობდა ზოსიმე და დროს ძველი ჟურნალების თვალიერებით კლავდა.

მაგრამ მთელი კვირა ისე გავიდა, რომ დასიდან არავინ მოაკითხა. ყოფილ გრიმიორს კი სჯეროდა, რომ ადრე თუ გვიან შეეხვეწებოდნენ დაბრუნებულიყო სცენაზე. გორას გუნებაში აპატია კიდეც დანაშაული... თეატრიდან კი ჩამოჩუმიც არ ისმოდა. და გადიოდა უფერული დღეები გულისგამაწვრილებელ ლოდინში. ისე მოდუნდა და მოეშვა, რომ დულასთან გულის მოოხებაც აღარ სურდა. ერთხელ ესიზმრა, რომ თუთიყუშებს გრიმი ეკეთა და ამ აღმოჩენას ჰამაკში მწოლ მომღიმარ მზეთუნახავს უყვებოდა აღელვებული. მერე უძილობაც დასჩემდა და მოთვენთილი, საათობით ბოლთას ცემდა ოთახში. ერთხელ, შუაღამისას, **ლოგინზე გაუბ-**ედელი წამოწვა და ეკლესიის **კალენდრის** ფურცელა დაიწყო. მოულოდნელად დულას სახელს წაეწყდა შიგ. ისე გაუკვირდა, თითქოს ფიდღესი აღმოჩენისთვის მიეგნო. ტკიცანა გვერდზე გარკვევით ეწერა, რომ „დულა“ „მონას“ ნიშნავდა. ზოსიმეს კი შინაურების მიერ შერქმეული ზედმეტი სახელი ეგონა აქამდე. „მიმალავდა ალბათ, ან არ იცოდა, — გაიფიქრა ყოფილმა გრიმიორმა და სახეზე ღიმილი შეეპარა, — ყველაფერს მიხსნის თავისი ჭკუით, საკუთარი სახელის მნიშვნელობა კი არ სცოდნია. ვინ იცის, იქნებ აქაა ძალლის თავი დამარხული. ერთი ბრძენის არ იყოს, ვისაც ყველაზე მეტად უყვარს ჭკუის სწავლება, მან ყველაზე ნაკლები იცის. ამას წყალი არ გაუვა, მაგრამ ბევრს არ სჯერა ეს. სანამ სხვას ჭკუას ასწავლი, მანამ საკუთარ თავს უნდა იცნობდე კარგად... ასეა ნამდვილად. ყველაფერს მაინც როგორ ვუჯერებდი წამდაუწუმ. რა უნდა მასწავლოს დულამ თუ მონამ. გულკეთილი კია, მაგრამ, ჩემზე მეტი რა იცის მან. ხელოსანია, ბოლოს და ბოლოს, სხვა ხომ არაფერი. ყველამ საკუთარი თავის ავი და კარგი უნდა იცოდეს, ესაა ალბათ თავიდათავი ამქვეყნად. მონას თუ დულას რომ აყვები, რა სიკეთესაც ნახავ, ჩემს ტყავზე გამოვცადე ეს. ჩემი მაიმუნობით, სცენაზე თუ ქუჩაში, თავი შეეჯაჯარე ხალხს. ახლა უნდა ვეგდო ასე უსაქმური და თეატრის კედლები მენატრებოდეს“.

ერთადერთი ადამიანი, ვისაც ზოსიმე თვალში დააყლდა და არ დაივიწყა, ისევ და ისევ დულა იყო. იგი არ ღალატობდა თავის ჩვევას და ყოველ სპექტაკლს ესწრებოდა დიდი ხალისით. იმ საღამოსაც ასე მოხდა, მაგრამ ზოსიმეს ნაცვლად მაყურებელს სხვა მსახიობი მოეკლინა პროვინციელი პედაგოგის როლში! დულა თვალებს არ უჯერებდა! მაშინვე დარბაზი დატოვა, რაც მისგან

ეროვნული ბიბლიოთეკა

სიცოცლის დათმობას ნიშნავდა და ზოსიმეს სახლისკენ გაქანდა. ფიქრებში გახვეული ყოფილი გრიმიორი, ჩვეულებისამებრ, გაუხდელი, ლოგინზე იყო წამოწოლილი კარზე რომ ბრაგაბრუგი ატყდა. „იკადრეს მოსვლა ბოლოს და ბოლოს“, — გაიფიქრა მოულოდნელი სიხარულისგან აბნეულმა ზოსიმემ, საწოლიდან წამოვარდა, ლოგინი მიასწორა-მოასწორა, მაგიდაზე დაყრილი პერის ნამცეცები ხელით გადმოწმინდა, თავღია საშაქრეს გაზეთი წაეფარა, კედელზე ჩამოკიდებული პატარა, მრგვალ სარკეში მოშვებულ წვერს თვალი შეავლო, კართან დინჯი ნაბიჯით მივიდა და გასაღები აუჩქარებლად გადაატრიალა. დულას დანახვაზე ყოფილ გრიმიორს გულმა რეჩხი უყო. ხელოსანი ზღურბლთან იდგა გაშეშებული რამდენიმე წამს და ზოსიმეს თვალებში მისჩერებოდა. ყოფილმა გრიმიორმა ზურგი შეაქცია. საწოლს მიუახლოდგა და ლოგინზე უხმოდ წამოწვა.

დულას მომაბეზრებელ კითხვებს ზოსიმე პასუხს არ სცემდა, ხელები თავქვე ამოეყო და ჯიუტად დუმდა. ასეთმა უგულო შეხვედრამ ხელოსანსაც ხმა ჩაუწყვიტა და დაამუნჯა. ბოლოს, ზოსიმეს შეებრალა დული და მოატყუა, თითქოს მაკბეტის როლს ამზადებდა შინ, რის გამოც რეჟისორმა ვითომცდა გაათავისუფლა რამდენიმე სპექტაკლიდან, უკეთ რომ ემუშავა საკუთარ თავზე ურთულესი სახის შესაქმნელად. ამ სიტყვების გაგონებაზე ხელოსანი ცას ეწია სიხარულით, ჩვეულებისამებრ, ხელები მოისრისა, ყოფილ გრიმიორს შუბლზე აკოცა, ათასგზის ბოდიში მოუხადა და ოთახიდან ფეხაკრეფით გავიდა. კარის მოხურვისას წამით შედგა, ზოსიმეს აღფრთოვანებული მზერა მიაპყრო და დამარცვლიდ ხმადაბალი თქვა:

— საქმეა მთავარი ამქვეყნად, საქ-მე.

ყოფილ გრიმიორს იმ ღამით უნებურად დულას ნათქვამი სიტყვები აეკვიატა და ბუტაფშიც წარამარა იმეორებდა: „საქმე, საქმე...“

გავიდა კიდევ მთელი კვირა, მაგრამ ზოსიმე არავის აგონდებოდა. ერთ მზიან დღეს დილით ადრე ადგა, წვერი გაიპარსა, დაშმუჭნილი პლაშჩი დაეუთოვა, რაც საუკეთესო ტანსაცმელი ჰქონდა, ჩაიცვა და სასეირნოდ გასწია. დიდხანს იარა ქუჩებში აღმა-დაღმა და როცა თერთმეტი საათი მოახლოვდა, თავისდაუნებურად, თეატრში მივიდა. სარეპეტიციო დარბაზში თავი რომ ამოყო, უკვირდა, რამ მიიყვანა იქ. დასის წევრები ყოფილ გრიმიორს ისე შეხვდნენ, თითქოს ვერც ამჩნევდნენ. გორასაც არ შეუხედავს მისთვის, იგი მაგიდასთან იდგა და გადაშლილ რვეულს დაჟინებით დასცქეროდა. კრინტი არავის დაუძრავს ყოფილი გრიმიორის დანახვაზე, მხოლოდ რამდენიმემ დაუკრა თავი მძიმედ. ასეთ უსულგულობას მაინც არ ელოდა ზოსიმე, მხრებში მოიხარა და დარბაზი უხმოდ დატოვა.

მალე ახალი სპექტაკლით წარუდგა დასი მაყურებელს, მაგრამ მასში ყოფილ გრიმიორს მონაწილეობა არ მიუღია. ასე მოხდა მომდევნო დადგმაზეც...

ზოსიმეს როლებს ალარ აძლევდნენ. მხოლოდ მასიურ სცენებში თუ გამოჩნდებოდა წამით სპექტაკლში. დულას უხაროდა ეს, რადგან დარწმუნებული იყო, რომ მისი კერპი მაკბეტისთვის ემზადებოდა. იმის შიშით, ზოსიმესთვის ყურადღება არ გაეფანტა, სპექტაკლის დამთავრების შემდეგ მსახიობთა შესასვლელ კართანაც ალარ დგებოდა, როგორც ადრე სჩვეოდა. მთელი სეზონი ისე გავიდა, რომ ყოფილ გრიმიორს როლი არ აღირსეს...

გულჩათხრობილი გახდა. ქუჩებში ხეტიალსაც გადაეჩვია, იწვა გულაღმა შინ თავქვეშ ხელებამოდებული და ფიქრობდა, დღედაღამ ფიქრობდა... მგრამ თეატრს მაინც ვერ ელოდა, თავის დროზე გამოცხადდებოდა სარეპეტიციო დარბაზში, აქერცლილ ჟურნალში ხელს მოაწერდა, განმარტოებით ჯდებოდა და ელოდა გამოძახებას მასიურ სცენებში გამოსასვლელად.

„ დავანებო უნდა თამაშს თავი და საქმეს ვეწიო“, — ფიქრობდა ზოსიმე და თავისივე განზრახვის ეშინოდა. უნებურად მაინც წამოსცდა ერთხელ დასის წევრებში, რომ აპირებს ხელი მოჰკიდოს სხვა პროფესიას, მაგრამ ნათქვამი არავინ დაუჯერა, მის ყოველ სიტყვას იქვით უსმენდნენ. „დავანებო უნდა თამაშს თავი“, — ინიორრებდა გულში და იხსენებდა იმ წლებს, როცა გრიმიორი იყო. მაშინ მის მიმართ უნდობლობას არავინ იჩენდა. ახლა კი...

— რა მრგვალია მზე, — თქვა ერთხელ ზოსიმემ მთელი დასის გასაგონად და ცას ახედა, მაგრამ არავინ დაუჯერა.

ყოფილი გრიმიორი თანდათან გადაეჩვია თამაშს...

გულდაწყვეტილს აგონდებოდა ის დრო, როცა იგი, უბრალო ხელოსანი, არავის ეჯავრებოდა...

იმ ქუჩაზე, სადაც დულას სახელოსნო იყო, ერთი წითური კაცი აშენებდა სახლს ტრიფოლიატით შემოღობილ ეზოში მარტოდმარტო. ზოსიმე ხშირად ხედავდა მას სქმეში თავჩარგულს, უხმოდ და უენოდ რომ აწყობდა აგურს აგურზე. ერთხელ გამოლაპარაკებაც სცადა მასთან, მაგრამ წითური ისე იყო გართული საქმით, რომ ყოფილი გრიმიორის მისალმება არც გაუგია. „მუნჯია იქნებ“ ,— გაიფიქრებდა ხოლმე ზოსიმე, რამდენჯერაც ჩაუვლიდა ხოლმთარ-ზაფხულ მუშაობაში თავჩარგულ კაცს.

ერთხელაც, მას შემდეგ, რაც დულასთან სიარულს მოუკლო და მაინც იმ ქუჩაზე გავლა მოენატრა, დაინახა, რომ ტრიფოლიატით შემოღობილ ეზოში მშვენიერი ორსართულიანი აგურის სახლი იდგა. მერე ფართო, ლამაზ ქვის კიბეზე ჩამომჯდარი წითური კაცი შეამჩნია, ყალიონს რომ ახრჩოლებდა მხრებში თავჩარგული. „ახლაც არ იღებს ხმას, — ფიქრობდა ზოსიმე, — ამოდენა საქმე კი გაუკეთებია. სულ მარტოს ვხედავდი, არავინ ეხმარებოდა. სახლის აშენებაზე უფრო დიდი საქმე რა უნდა იყოს. ჰოდა, როგორ უხმოდ და უენოდ გაუკეთებია ეს!.. იქნებ ეს იყოს ამქვეყნად მთავარი. ყველამ უხმოდ და უენოდ რომ აკეთოს ამ კაცივით თავისი საქმე, უხმოდ და უენოდ!.. ვინ იცის, იქნებ მართლაც ესაა ყველაფერი... ჰო, საქმე, საქმე უხმაუროდ, საქმე და არა ტატყანი“...

ზოსიმე ხშირად დაიარებოდა იმ ქუჩაზე, სადაც, ტრიფოლიატით შემოღობილ ეზოში ლამაზი აგურის სახლი იდგა.

წითური კაცისთვის თვალიც აღარ მოუკრავს შემდეგ.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

მიკა აღექსიძე

ლრი მლთარლბა

ჩემს სიფერმკრთალეში...

„...და ყოველივე როგორ ნაზდება.
როცა ახლოა მზე შემოდგომის“.
ბალაპტიონი.

გზისგზე დაცვენილი, ჩამომჭკნარი ყვითელი ფოთლები და სიჩუმე. როგორღაც მახალისებს, ფიქრიანს მხდის და მინდება, რაღაც ლამაზად ვთქვა... ძალიან ლამაზად... ამ დროს უფრო მეტი სინაზეც.

ეს დამჭკნარი ფოთლები, პატარა ვიწრო ნაკადული და ბილიკები ყვითელი, ჩუმი, ტყიანი... სწორი, თეთრი მაღალი ჭადრები და ჩემი გოგონა ძეწნებს შორის. „ო, როგორ ჰგავს ეს სიჩუმე ჩემს ჯვარისწერას...“ ოღონდაც მაშინ წვიმა იყო, წვიმა... გამჭვირვალე ზხეფები და ქალი. ეს უკვე ძალიან ბევრია ერთი კაცისთვის.

ახლა კი, გამთენიისას თეთრ, ლამაზ ყვავილებს ვუსხამ წყალს, ჩემს პატარა გოგონას დავისვამ დაბალ, სამფეხა სკამზე და თმას ვვარცხნი, სქელ წაბლისფერ თმას და, ღმერთმა უწყის, როგორ ემსგავსა ეს პატარა ჩემს მოგონებებს... ვფიქრობ და მიხარია, ვფიქრობ და დარდი ახლავს ჩემ სიხარულს. ირგვლივ ხის სახლებია და დამჭკნარი სველი ფოთლების სუნი... ირგვლივ ტყეა ხშირი, ისეთივე, როგორც ჩემი გოგონას თმა, ტყე და ჩემი შვილი.

ბოლო დროს მთლიანად მავსებს ეს პატარა ქალი, ყველაფერს საშინელი სიჩქარით მახსენებს და მართმევს. ჭოვა დილაობით ჩემ სასთუმალთან, ფრთხილად მაკოცებს ლოყაზე და მეტყვის: მამა, იცი, დღეს ძალიან, ძალიან ბევრი მზეა. მეღიმება. იმას, ეტყობა, მოსწყინდა მარტო... ჯერ ხომ სულ ერთი ციდაა და ვგრძნობ, რომ ის არასოდეს არ უნდა დარჩეს მარტო...

მაინც წლები უფრო ჩქარა შემოდიან ჩვენ სისხლში, უფრო იხვეწება ჩემი გოგონას ნაკვთები, უფრო წარმტაცი ხდება და რატომღაც ფიქრსაც უფრო მეტი შიში ახლავს. გაცილებით მეტი შიში...

ის ხელს მკიდებს, თითქოს მასზე უწლოვანი ვიყო, საშინლად გრძნობს ჩემს გაჭაღარავებულ, გატეხილ სახეს...

— წამოდი, ვისაუზმოთ, — მეუბნე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბა და მოკცნის ისე, როგორც მე ვკოცნიდი ოდესღაც.

ადამიანი გამჭვირვალე ჭურჭელს ემსგავსება დროთა მდინარებაში... ჭურჭელს, რომელმაც უამრავი შემთხვევა, უამრავი ადამიანის სუნთქვა დაილეკა და ახლა ელის თავის ქვას ან ვიღაცას მოუქნელ ხელებს...

ჩვენ კი ვზიხართ სასტუმრო ოთახში მარტო, რატომღაც ვერიდებით ერთმანეთს. იმას უნდა დედაზე მკითხოს რაღაც, მაგრამ გრძნობს, შეიძლება გული მატკინოს და მეც საშინელი სიმძიმილით განვიცდი, რომ უკვე მიფრთხილდებიან ან ვებრალები, რომ უკვე ვიღაცას ერიდება, რაიმე ძალიან გულახდილად ძითხრას...

ესე იგი, ვერ გამიგია, ისე ავსებულა ჩემი ჭურჭელი. ის ხვდება, ის ამჩნევს იმ სიგამჭვირვალეს, რომელსაც შეგნებულად თუ საკუთარი თავისაგან გაქცევის სურვილით ვივიწყებთ...

— მეტი აღარ დალიო, კარგი? — გაბეტეული სახით შემთხოვს იგი.

— რატომ? — ვეკითხები ღიმილით.

— არ ვიცი... — თავს ხრის, წითლდება და თავის თეფშს ჩასცქერის.

— მერე ხომ უნდა ვისეირნოთ. — მეუბნება...

და ჩვენ ისევ მივყვებით გაყვითლებული შემოდგომის დაუსრულებელ აღლუმს, ჩვენ ვსეირნობთ, და ის ისევ აგროვებს დამჭკნარ, სისხლისფერ ფოთლებს... ისეთივე თეთრი წვრილი თითებით, როგორიც ბავშვობაში ჰქონდა, ოღონდაც მე ვგრძნობ მის მოძრაობას, წინათ არასოდეს იხრებოდა ასეთი რიდით, ასე ქალურად, არასოდეს მოძრაობდა ასე ჩუმად. ის კი უკვე უამრავ ლექსს იმეორებს აბურცული ტუჩებით. ჩემში კი ახლოლდ ერთადერთი ლექსი არსებობს.

და სიბერეს ყველაფერი ერთადერთამდე დაპყავს თურმე, ვფიქრობ ჩემთვის, მაგრამ იმან ხომ არასოდეს არ უნდა გიგოს ეს...

— რატომ არასოდეს ლაპარაკობ შენს მეგობრებზე? — ეკითხება და ხელით მეხება ამ ფოთლებივით დამჭკნარ ხელის ზურგზე...

— იცი, მეგობრებზე საერთოდ ძალიან ცოტა უნდა ილაპარაკო და, საერთოდ თუ რაიმე უკვე გაგაჩნია, უკვე შენია, იმაზე ნურასოდეს ილაპარაკებ ბევრს.

თუმცა ჩემი მეგობრები მხოლოდ მოგონილი სიამოვნება იყო, რატომდაც ყოველთვის ვუმალავდი ჩემ შვილს, რომ მთელი ჩემი მეგობრობა, მთელი ჩემი განცდები მასში მოქცეულიყო... და ახლა აღარც მაგონდება, მქონდა კი ოდესმე ამაზე დიდი გატაცება...

მერე სახლში ვბრუნდებით მდუმარენი, დაღლილნი და ის ჩურჩულით მეუბნება, რომ თურმე სილამაზითაც ილლებიან ადამიანები. მე ხელს ვხვევ და მის ოთახამდე მივაცილებ.

დილაობით საოცად მწყინს, რომ ისე თავისუფლად ვეღარ შემოდის ჩემს ოთახში, ისე თავისუფლად აღარ მკოცნის ლოყაზე და აღარ მეუბნება: იცი, მამა, დღეს ძალიან, ძალიან ბევრი მზეა. ის წევს ყავისფერ დივანზე და თავის საყვარელ წიგნებს კითხულობს, თურმე მას უკვე საყვარელი წიგნებიც ჰქონია. თურმე მას უკვე შეუძლია რაიმე აირჩიოს. იმაზე მეტი დაინახოს, ვიდრე მე ვხედავი. მისთვის ეს შემოდგომა უფრო ვრცელია, უფრო მეტყველი, ვიდრე ყვითელი ფოთლები, ვიდრე მამამისის კარნიდგა...

მთელი ჩვენი სიბრძნე აქამდე დადის თურმე. მერე მე დავინახე როგორი სინაზით, როგორი სიფრთხილით ეღიმოდნენ მეგობრები, მერე შევამჩნიე, რომ ჩემ სიყვარულს სხვათა თვალები ეალერსებიან შეფარვით... მერე ეჭვი შემეპარა, ეჭვი, რომელიც დიდი ხნიდან ჩემ სხეულში ბუღობდა ალბათ და უფრო ახლობელი შეიქნა დედამისი ჩემთვის... ცალკე დავიწყე სიარული, ძველი დუქნები მოვნახე, დამრეც კიბე-

მიკა ალფასიძე
მოთხრობები

ებს ჩავუყევი. ღვინის სუნი აუვიდათ ჩემს ყვავილებს, გაორებული, უძარავ-ჯერ გადიდებული, დაუსრულებელი სიფერმკრთალის სუნი...

— რატომ ბრუნდები, მამა, ასე გვიან?! — მსაყვედურობს ის და მე ვგრძნობ, ამას მხოლოდ ჩემთვის ამბობს, რადგანაც უჩემოდ აღარ სწყინდება. დილით ისევ ძირკვავენ ჩემი მეგობრები, რომლებიც უეცრად გამახსენდნენ, უეცრად გამიხსენეს... უეცრად მოგვიწია ერთად ყოფნა. ვზიგართ ჭაღებით გაჩახჩახებულ ფართო ოთახში... ქაღალდს ვთამაშობთ, გვიინობამდე ვსვამთ...

ვბერდებითო, არავის წამოსცდება ჰქ, არც არავინ შეიბრალებს ერთმანეთს. ჯორაობენ წარსულზე, ლამაზ ქალებზე, უწინდელ საყვარლებს გულგრილი, უკნები ღიმილით იგონებენ, უკვე მეათასედ ერთი და იგივეს ყვებიან...

— შენ მგონი არავინ გყვარებია? — შემეკითხება ერთი...

მეცინება...

— ისეთი სათნო ცოლი გყავდა, გასაკვირიც იქნებოდა, ვინმე გყვარებოდა მას შემდეგ.

არაფერს ვამბობ და ისევ ვიცინი.

— გვიან არის, ჩაის ხომ არ დალევ? — მეკითხებიან. თავს ვაქნევ... ახლა ჩემი შინ წასვლის დროათქო, ვფიქრობ და უცბად მახსენდება, რომ იქნებ სულაც არ მიმელიან სახლში,.. იქნებ ჩემს რწმენას ვებრძვი, ჩემს სურვილებთან ვარ სრბოლაში.

— შენ მაინც ძალიან ჩამოგვცილდი ბოლო წლებში, ჩვენ კი საოცრად კარგ დროს ვატარებდით. — მე აღარ ვუსმენ... ერთი სული მაქვს, როდის დავბრუნდები სახლში, როდის ვიგრძნობ წაბლისფერი თმის სიამეს. როდის შევეკითხები, რას აკეთებდა მთელი დღე უჩემოდ... დაურიდებლად ვტოვებ ყველაფერს, ქუჩაში გამოვდივარ... ახლა ძალიან მინდა, მალე მივიდე სახლში. ან როგორ შემეძლო, ამდენი ხნით გამეტრთო თავი. და უეცრად საშინელმა შიშმა დამდაღა, იქნებ აღარც დამიხვდეს სახლში, იქნებ აღარც ახსოვს, ... ეგროვებდა ყვითელ ფოთლებს, როგორ დარბოდა ძეწნებში და კისკისებდა. როგორ უსველებდა ნამიანი ბალახი ჯერ დაუსრულებელ წვრილ კანქებს...

„იქნებ აღარც დამიხვდეს სახლში“... ეს ერთი ეზრი მწამებლურად ეხეთქ ჩემს სულს და თითქმის გავრბივარ... ვეღარაფერს ვამჩნევ... ვეღარც ხალს, ვეღარც ძაღალ, მოთეთრო ჭადრებს, ვეღარც ქველისძველ, მომლოდნე ხეივნებს და აღარ არსებობს ჩემთვის შემოდგომა ასეთი უებრო, ქარვისფერი და ჩუმი...

დახვეწილი სახეებიდან გამოდის ბინდი, დახვეწილი ფიქრები აღარ არსებობენ... და ვხედავ ჩემს რიკულებიან ფანჯრებში შუქია და ვხედავ, ვიღაცის ჩრდილია კედელზე და უეზროდ მგონია, იქნებ ეს არ არის ჩემი სახლი, იქნებ სულ სხვაგან მივდივარ ახლა და იქნებ აღარც ის დამიხვდეს თავის ოთახში ჩალისფერი წიგნით ხელში. ოთახში სიმშვიდეა, ისეთივე გარინდებაა, როგორც საყდარში. ის მკიდებს თმიერ, პატარა, ჩემთვის ჯერ კიდევ უმწეო თითებს, შეშინებულ თვალებში მიყურებს, ალბათ არც არასოდეს განუცდია ამდენი შიში, მაგრამ ის ხომ არასოდეს არ გამიმხელს ამას და მწყინს, რომ ყველაფერს არ მეუბნება, ყველაფერს, რაც დაინახა, რაც შეიგრძნო, რაც აღიქვა...

— როგორ დაღლილხარო, — მეუბნება, ოფლიან შუბლზე ხელს მისვამს. ახლა იმას მივყავარ ჩემი ოთახისაკენ და მე მივყვები მორჩილი, აღელვებული.

აი ჩემი ხის მაღალი, თეთრი კარი, აი, ჩემი სასთუმალი... აი, ყველაფერი ის, რაც დილით დავტოვე... არაფერი შეცვლილა თითქოს...

— ჩაი დავლიოთთქო, — ვეუბნები ჩუმად უფრო იმიტომ, რომ დაძინებამდე ცოტა ხანს კიდევ ვიყოთ ერთად და მის შეფაკლულ სახეს ვუყურო, მის ფართოდ გახელილ ნაცრისფერ თვა-

ლებს და პატარა ვიწრო ჩემეულ ნიკაპს...

უკვე ყველაფერი მოვამზადეო, — მითხრა, ჩვენ ვზივართ ერთმანეთის პირისპირ გრძელ ყავისფერ მაგიდასთან, ერთმანეთს ვათვალიერებთ, მან არ იცის, როგორ ნელ-ნელა ვუბრუნდები ჩემს გარინდებას, მას ლომონისფერი კაბა აცვია, ახალი, ძალზე მხიარული კაბა. ნუთუ დღეს რაიმე დღესასწაულია, ვფიქრობ და ჩაფიქრებულ სახეს შევაცქერი ნეტარებით. ხელებს უაზროდ ვამოძრავებ მაგიდაზე და, ვფიქრობ, რამ დასვედიანა ჩემი პატარა ქალი ასე უცბად, ასე მოულოდნელად ჩემთვის... არაფერი არ უნდა ჰკითხო, ვუმეორებ ჩემ თავს, არაფერი არ უნდა ვკითხო...

მადლობათქო, ვეუბნები ჩუმად და დასაძინებელად მივდივარ...

მერე ის შემოდის ჩემს ოთახში, აწოლებული ჩემს საწოლთან ჯდება. ცოტა ხანს მიყურებს და ვგრძნობ, ახლა ცრემლი წამოუვა, ახლა ისიც გრძნობს რაღაც სიშორეს, ახლა იმასაც უნდა ის შემოდგომის აღლუმი დაუბრუნდეს ისევ...

— შენ მოლალატობ, საშინლად მოლალატობ... — ჩურჩულებს თავისთვის, ძე ხელს ვკიდებ მხარზე... საოცრად ქალურია მისი ხმა, საოცრად სევდიანი და და მოწყენილი, მინდა რაღაც ვუთხრა, მაგრამ ვიცი, უნდა ვავიღიმო მხოლოდ.

ფანჯრიდან მაღალი, თეთრი, ძალიან თეთრი ჭადრები მოჩანს. გადაყვითლებული ვიწრო, დამრეცი ბილიკები და ტყე... ტყე, ისეთივე ხშირი, როგორც ჩემი გოგონას წაბლისფერი თმა, მახსენდება გზებზე დაცვენილი ყვითელი ფოთლები. ჩემი გოგონა ძეწნებს შორის დარბის კისკისით, დამჭკნარ ფოთლებს მიყრის უბეში...

და მტოვებს ისევ. ჩემს ბუფუსში გათენებამდე..

ირგვლივ სიჩუმეა... თითქოს ნათელი დაიძრა ჩემი გარინდებული სულისკენ... სადღაც სულ ახლოს სისველეში ჩურჩული მესმა, სადღაც ფანჯრებთან უხმაუროდ ცვივა ფოთლები... თვლემს შემოდგომა და, ღმერთმა უწყის, როგორ შევნდნენ ეს ფოთლები ჩემს წარსულსა და ჯვარისწერას.

მწუხრი...

ჯაბა უკვე კარგა ხანია გადაჩვეული იყო ღამისთვალს, როცა პირველად იგრძნო, რომ ვიღაცას ეარდება, დილით ვიღაცას უნდა შეხვდეს, ვიღაცას გამოძინებული, დასვენებული თვალებით უნდა შეხედოს და მხიარული, უდარდელი ხმით უთხრას „დილა მშვიდობისა, ჩემო კარგო", უთხრას და ხელი შეახოს, უთხრას და გაუღიმოს. მის ნაცნობებს ეს არაფრად მიაჩნიათ. ზოგს სულელური გატაცება ჰგონია, ზოგს სიმარტოვისგან გონებადაჩაგებული კაცის უაზრო სურვილი...

ჯაბას კედელთან მიდგმულ ერთადერთ რკინის საწოლში კარგა ხანია მშვიდად ეძინა.

ძალიან მიეჭვია იქვე, ტყის განაპირას, თავის პატარა ხის სახლს... იქ სადაც სოფელი თავდებოდა... იქ, სადაც მხოლოდ უმატარებლო სადგური იყო, მოუვლელი დუქანი და, რაც მთავარია, ტყე იყო ხშირი. დაბურული, შებინდების სურნელით განაბული, ზამთრობით ნაკრისფერ სივრცეში ჩაძირული...

იჯდა სახლის წინ შეღამებისას, გასცქეროდა ტოტებში გახლართულ, გადაყვითლებულ მთვარეს და თითქოს ნელ-ნელა თავისი უძილო ღამეები ახსენდებოდა. წამით ეკარგებოდა მოსვენება. რამდენჯერმე შემოუვლიდა თავის ფიცრულს, აქა-იქ მეზობლებს შეათვალიერებდა და დაფიქრებული მიდიოდა დასაძინებლად. ფიქრობდა, რომ უაზროდ იცხოვრა ამდენ ხანს, ტყუილში იცხოვრა... ეგონა, ბევრი დრო დაკარ-

---

მიია ალექსიძე
მოთხრობები

ეროვნული ბიბლიოთეკა

გეო, ეგონა, ძალზედ ჩამოვრჩიო ყველაფერს...

იმ დილით მეზობლის ბიჭი შემოვიდა... ჯაბა ისევ ლოგინში იწვა, სიგარეტს ეწეოდა და არც ფიქრობდა ადგომას, რადგანაც იცოდა, არავინ მოაკითხავდა იმ დღეს და მთელი დღე მწუხრივით სევდიანი იქნებოდა მისთვის. მაინც გასძახა — შემოდიო, მაინც ესიამოვნა, ვიდაცამ რომ დაუკაკუნა კარზე. ბიჭი შემოვიდა და კართან შეჩერდა რატომღაც, ხელში რაღაც ეჭირა — ქაღალდში გახვეული...

— შემოდი! — გაუმეორა ჯაბამ და ლოგინში წამოიწია.

— თევზი მოგიტანე, — უთხრა ბიჭმა, იქვე მაგიდასთან ხის სკამზე ჩამოჯდა.

— თევზი? — გაეღიმა ჯაბას.

ნეტა რაში გაახსენდათ ჩემთვის თევზის მოტანა, გაიფიქრა თავისთვის.

— ალბათ ძალიან ციოდა ღამით.

ბიჭს სახე გამოუცოცხლდა, ესიამოვნა მისი სიტყვები, ესიამოვნა, ჯაბამაც რომ იგრძნო, წუხელ დიდხანს რომ ელოდა მუხლამდე ცივ წყალში ჩამდგარი ამ კალთის ავსებას და მაინც გაუძლო.

— კი მაგრამ, რატომ არ ყიდი თევზს, ხომ ხედავ, სხვები როგორ შოულობენ ფულს, — ჩაილაპარაკა ჯაბამ. — თევზობა არც ისე ცუდი ხელობაა ფულის მოგნისთვის.

ბიჭს უნდოდ ჩაეცინა... ჯაბას შეხედა რაღაცნაირი გულდაწყვეტილი, ცარიელი თვალებით და თავი ჩაქინდრა. ამანაც ვერ გიგოო, — გაიფიქრა. ამასაც არ ესმის, რომ ამას სულ არ ჭირდება მთელი ღამე წვალობდეს ფულისთვის და რატომ იწვალებდა, თუ ეს ყველაზე დიდი ნეტარება არ იქნებოდა მისთვის...

ბიჭი ჯერ არც ისე დიდი იყო, რომ ჯაბას ნათქვამი უფრო სხვანაირად გაეგო, ისე, როგორც ჯაბა ფიქრობდა ამას. ჯაბა ხომ ბოლო დროს ძალიან ბევრს ფიქრობდა ფულზე. ჯაბაც ძალიან გვიან მიხვდა, რომ ფული საჭიროა, რომ ფული შენივე სურვილების მაგნეჯი ნაჩრდილებია, მახინჯი, [illegible] თუმცა აუცილებელი... ყველაზე დიდი ტყვილი ყველაზე უცილო, ყველაზე დიდი სიმართლისათვის... ალბათ ვცდებიო, გაიფიქრა, როცა ისევ შეხედა ბიჭის მორიდებულ, დარდიან სახეს... მართლაც ახლა რა უცნობი იყო მისთვის ეს გაცდა, ისიც უძილო ღამეებს წაჰყვა, ალბათ...

— იქნებ არ გინდა? — გულუბრყვილოდ შეეკითხა ბიჭი. ის ეხლა ქვევიდან უყურებდა ჩაცვენილი, უძილო თვალებით და ისეთი სიღრმე იგრძნო მათში ჯაბამ, რომ მოულოდნელად გაიფიქრა, — ამ ბიჭის გრძნობა ძალიან ჰგავს სიყვარულს, ყველაზე სუფთა, დაუეჭვებელ სიყვარულს. ბიჭი კი ისევ განაგრძობდა კაცის თვალთვალს. თითქოს უსაზღვროდ შორიდან უყურებდა, ახლა სალოცრად უცხო ეჩვენა ეს კაცი და მაინც მასთან მოვიდა პირველად. მისთვის უნდოდა ეწილადებინა მთელი ღამის სიამოვნება და წვალება... ერთად სურდა შეეგროვებინათ ფიჩხი, ერთად ჩამსხდარიყვნენ ამ პატარა ტყის განაპირას აბალახებულ მოლზე. იქნებ ცოტა დაელიათ კიდეც, თუ ჯაბა ისურვებდა ამას... ბიჭს უამრავი სალაპარაკო ჰქონდა, უამრავი სარჩევი. ბიჭმა იცოდა, რომ ჯაბას შეეძლო სიყვარული, უსასრულოდ შეეძლო. ჯაბას შეეძლო ღამეები ულევად ემსხვრია, ღამის ბინდისთვის ეწამებინა თავი და ერთი ბეწო სიამოვნებისთვის სამსხვერპლოზე გადაეცა თავისი სხეული... რამდენი ხანია ცდილობდა, რომ ჭიიმე ამ სასაცილო, გულუბრყვილო კაცის ყურადღება მიეპყრო, რითიმე ეცა მისთვის პატივი. ჯაბაზე ყველა ამბობდა, ჭკვიანიაო, უცნაურად ჭკვიანი, იღიმდაც ამას ვერავინ ხედავდა. ეხლა კი სულმთლად გამოსულელდაო, იძახდნენ, ამ ხნის კაცს ქალი რამ შეაყვარაო... სინამდვილეში, ღმერთმა უწყოდა, რა უფრო უყვარდა ჯაბას — უძილო ღამეები, დაკარგული დრო თუ ქალი... ქალი,

ეროვნული ბიბლიოთეკა

რომელიც მთელი ცხოვრება მის გვერდით ცხოვრობდა, რომელზეც არასოდეს უფიქრია, და უეცრად სიმხცოვანეში იგრძნო, რომ თურმე იმაზე მეტად უყვარდა, ვიდრე ეს ვინმეს შეეძლო წარმოედგინა...

— იმდენი მაინც ვერ დავიჭირე, რამდენიც მინდოდა, — ჩუმად თქვა ბიჭმა და თვეზის ამოლაგება დაიწყო.

ჯაბას ხმა არ გაუცია, არაფერი არ შეეძლო ეთქვა, თითქოს წინა ღამის სიზმარს იხსენებდა და ბოლომდე ვერ მიმხვდარიყო, საიდან იწყებოდა წინადამის ზმანება და საერთოდ, სიზმარიც ტყუილისთვის არის მოგონილიო, — ნურრულებდა თავისთვის...

— რატომ, მე მიყვარს კარგი სიზმარი, — ღიმილით თქვა ბიჭმა.

ჯაბას არც ახლა ამოუღია ხმა, ბალაშზე იდაყვით დაყრდნობილი, ისევ ოატაკს ჩასაქერობდა, უფერულ, ჭუჭყიან ოატაკს...

მაინც საიდან გაახსენდა ამ ბიჭს, რომ მეც მიყვარდა ოდესღაც თვეზობა, მეც ვიდექი მუხლამდე გაყინულ, მოკისფრო წყალში ალიონამდე და მეც არასოდეს გამიყიდია თვეზი. ალბათ მეც მსაყვედურობდნენ ამას და ალბათ მეც მწყინდა... ეხლა კი ივივე ვუთხარი და ვერც მივხვდი, რაში დასჭირდა ამ ბიჭს ჩემთან სტუმრობა, იქნებ იმან გაცილებით მეტი იფიქრა ამაზე, ვიდრე მე შემიძლია წარმოვიდგინო...

— ცოტა ფიჩხს მოვაგროვებ და უცბად მოვამზადებ ყველაფერს, მგონი ძალიან გემრიელი უნდა გამოვიდეს, ადრე ყოველთვის კარგად ვაკეთებდი ამას...

ჯაბამ ახალ სიგარეტს მოუკიდა და მორცხვად ბაღიღმა, ისე, როგორც დაუმსახურებელი შექებისას მოსდიოდა წინათ... დაუმსახურებელი პატივისცემისას, ან მაშინ, როცა იძულებული იყო ეტრაბახა და ნეტა იყო კი იძულებული ოდესმე?.. ვის რაში სჭირდებოდა მისი ტრაბახი და სიამაყე.

მაგიდაზე ცოტა არაყი დარჩენილიყო.

— მაგას ძალიან დიდი დრო დაჭირდება, — გადაულაპარაკა ბიჭს, უბრალოდ, შეეცოდა, მთელი ღამის უძინარი გათახგული იქნებაო, იფიქრა... — ჩემთვის წვალებად არა ღირსო...

ხელი გაიშვირა თითქმის დაცლილი ბოთლისკენ... ორი ჭიქა შეავსო და ბიჭს ანიშნა. გამომართვეო:

ბიჭი წამოწოლილა, მერე საჩქაროდ წამოდგა, შორიდან გაიშვირა ხელი... ჯაბამ იგრძნო მისი თვალები აღარ იყო ისე ღრმა, უფრო მუქიც მოეჩვენა. ბიჭი შორახლოს იდგა და წამითჯდარ კაცს შესცქეროდა. როგორც კერპს, ისე უყურებდა მის გამხდარ ხელებს, ჩავარდნილ მკერდს, გაჩეჩილ უხეშ თმას...

— მაშ მოდი, შენს უძილო ღამეს გაუმარჯოსო, — მოდიმარი სახით უთხრა ჯაბამ.

ახლა ეს ბიჭი ყველაზე ახლობელიც იყო მისთვის, მის წარსულად ქცეულიყო თითქოს და მის უძილო ღამეს არაფრით განასხვავებდა თავისი დაუსრულებელი ძილ-ღვიძილისაგან, ოღონდ ის უფრო მეტი იყო, ვიდრე დაკარგული დრო, რომელიც ასე უმოწყალოდ სდევნიდა ჯაბას...

ბიჭმა სულმოუთქმელად დალია არაყი და ხელი აუტყდა.

— თვეზს დასუნე, — მოსიყვარულე ხმით უთხრა ჯაბამ და იგრძნო, ბიჭს არასოდეს დაელია არაყი, ისე უცბად დაუწყითლდა თვალები. იგრძნო და მაინც — ჯერ არასოდეს დაგილევიო? — ჰკითხა...

ბიჭი თხელ, ვერცხლისფრად აქერცლილ თვეზს ატრიალებდა ხელში და არ იცოდა, უნდა მოეტყუებინა თუ სიმართლე ეთქვა.

ბოლოს, როგორ არაო, ჩაილაპარაკა, თვეზი თავის ადგილას დადო და დანაშავესავით ცარიელი კედლისკენ გაიხედა. ბიჭს ძალიან უნდოდა სიმარ-

---

ვიკა ალექსიძე
პროზრიბეები

ეროვნული ბიბლიოთეკა

თლე ეთქვა, მაგრამ იქნებ უხერხულად იგრძნოს თავი, — გაიფიქრა და სწორედ მოვიქეცი, — თავის თავს უთხრა, ჩემი სიმართლით იქნებ გული სტკენოდაო...

ჯაბა ხვდებოდა, რომ ძალათი დალია ბიჭმა მისგან მიწედილი სასმელი... სადღაც გაუხარდა კიდეც, რომ პირველად მასთან დალია ბიჭმა, ყოველთვის ემახსოვრებაო, — ფიქრობდა... მერე უეცრად მოიღუშა, მოაგონდა, რომ ხსოვნასაც დაკარგულ დროდ თვლიდა...

ლოგინში აწრიალდა, ჩაქრაღ სიგარეტს მოუკიდა და იმასაც ფანჯრისკენ გაიხედა... მზე უკვე სულ ახლოს იყო, თითქმის მის სარკმელთან. ტყის გადაღმა ცა დაწმენდილიყო და სილურჯედ ეფინა შორიდან მზის სხივზე დაუფარავად ჩამოქნილ ხეთა წვეროებს...

ბიჭი ისევ კართან იდგა, ხელით დაყრდნობოდა დაკაანგულ სახელურს. იმეორებდა — ჩქარა დავანთებო კოცონს...

ჯაბას არაფერი ესმოდა, კარის ჭრიალზე გამოერკვა... მაინც ეს კარი რა საშინლად ჭრიალებსო, — გაიფიქრა... მერე ბიჭს შეხედა, მოიცადეო! — დაბალი, ჩახლეჩილი ხმით უთხრა.

— ნუ იწვალებ, რამდენიმე თვეზი დამიტოვე, მერე თვითონ შევწვავ... დანარჩენი სახლში წაიღე!

ბიჭი მონუსხულივით შემოტრიალდა... თვალები უფრო მრისხანე გაუხდა, ზუსტად ისეთი, მთელი ღამე რომ ელი თვეზის დაჭერას, ანკეხებს ამოყრი და ზედ არაფერი იქნებაა...

ჯაბა მიხვდა, რომ ეს არ უნდა ეთქვა. მაგრამ ადგომა არ უნდოდა, რადგანაც იცოდა, ის დღე მწუხრივით სევდიანი იქნებოდა მისთვის. მაგრამ ამას ხომ ვერ ეტყოდა ბიჭს... ბიჭი აღარ უყურებდა, თითქოს მთელი ღამის უძილობამ უწია, ლასლასით მივიდა მაგიდასთან, მთელი კალათი გადმოაპირქვავა ქაღალდზე... მოუქნელად შეტრიალდა, ისე, როგორც სასაფლაოზე მოსდიოდა, უეცრად რომ დაუბმებოდა ფეხი...

ჯაბა კი — მადლობთო, — ეუბნებოდა, როდ იმეორებდა და იღიმებოდა მოგონებებიდან გადმოცვლილი მღერიე თვალებით. ბიჭმა კარებიდან გამოხედა, მხრებში მოხრილმა. ჯაბამ თვალებით კიდევ ერთხელ უთხრა მადლობა და გაადიმა ბიჭის დაღვრემილი სახე. მერე ფანჯრიდან გააყოლა მზერა მის ზურგს.

ჯაბა იწვა ოთახში თავის სარეცელზე. მაგიდაზე გორად ეყარა თვეზი. მზე გადასულიყო და ხეთა წვეროები ეხლა მწუხრის მორუხო ანაფორაში შემოსილ მლოცველებს ჰგავდნენ... აღარც ზეცა მოჩანდა ისე ახლოს... ჩუმად ღამდებოდა. ჯაბა მთელი დღე მაღლა აწეულ ბალიშზე იწვა და სიგარეტს სიგარეტზე ეწეოდა. ისევ ახსენდებოდა ბიჭი, ისევ ახსენდებოდა, რომ რაღაც ისე არ გააკეთა, რაღაც ისე არ გამოუვიდა, როგორც უნდოდა. იცოდა, ეხლა ადრე უნდა დაეძინა, რადგანაც ხვალ ვიღაცას ჭირდებოდა, ვიღაცისთვის მხიარული, უდარდელი ხმით უნდა ეთქვა — „დილა მშვიდობისა, ჩემო კარგო!“ მაგრამ ის დილანდელი მწამებლურად შერჩენილი განცდა არ ასვენებდა... ბიჭის სიბრალულით ჩამოცვენილი მხრები მიჰქონდა ღამეს მისი სარკმლის მიღმა... უკვე მეათასედ მიჰქონდა, უცად შეირხა, მძიმედ გადმოვიდა ლოგინიდან, თავის შიშველ, უშნო ფეხებს დააქერდა, დაღამებამდე აუცილებლად უნდა მოვძებნოო, — გაიფიქრა...

გზა ვიწრო იყო, ბნელი და დამრეცი. აცი ნაცნობ ადგილებს მიუყვებოდა შენაპირისკენ. შორს ჩაბნელებული სადგური მოჩანდა და სადღაც ახლოს ეშვებოდნენ ტყესთან ღრუბლები.

ბიჭი კი იჯდა შენაპირზე მარტო, სიშავეში ჩაკარგული მდინარის პატარა, უმწეო ტალღებს ჩასცქეროდა... ჩასცქეროდა, როგორ აწევდა ანკეხებს წყალი... წელში მოხრილი იჯდა ქვიშაში. მთვარე ზურგიდან ეხებოდა მის გამხდარ კისერს და ანკეხზე ნეტარებით ჩაფლეული პატარა ხელი სიცივისაგან უკანკალებდა...

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ლევან სანიკიძე

„დიაცები“ აკეთებენ „მამაცთა“ საქმეს

„ბედისწერა ძლიერი, მბრძანებლური ბუნების ადამიანებს ეტანება... მაგრამ ზოგჯერ, იშვიათად, მთელი ეპოქების სიგრძეზე ერთხელ, ბედისწერა უცნაური ახირებულობით ჩაეკონება საშუალო კაცს. ზოგჯერ მსოფლიო ისტორიის ყველაზე განსაცვიფრებელი გველებანი, — ძაფი ბედისწერისა — მხოლოდ წეთით ხელთ უვარდება არარაობას. და მაშინ ამნაირი („საშუალო“ და „არარაობა“) ადამიანება განიცდიან არა აღფრთოვანებას, არამედ შიშს პასუხისმგებლობის წინაშე, ისინი ვერ ჭვრეტენ, რომ ამ საბედისწერო პასუხისმგებლობის გადალახვა მათ შეიყვანდა მსოფლიო თამაშის ჰეროიკაში; და თითქმის ყოველთვის. აცახცახებული ხელიდან უვარდებათ უცაბედად მათთან მისული ბედ-იღბალი. იშვიათად აღმოჩნდება მათ შორის ვინმე, რომელსაც ენარი ექნებოდა — ხელი ჩასჭიდოს ბედნიერ შემთხვევას და მასთან ერთად აიჭრას ზეცადარარაობას დიადი ბედი მხოლოდ წამით ეწვევა და ვინც ამ წამს ხელს შეუშვებს, მისთვის „ის წამი“ აღარასოდეს არ მობრუნდება“.

ალბერ კამიუ

ბულნაბადთან განცდილმა მარცხმა ერანს საშინელი შინაარსილოობა და შინაგარღვეულობა დაატეხა თავს. „შემახსდან ბაღდადამდე, დარუბანდიდან გალფამდე ძალაუფლება აღმოჩნდა ყოვლად უხეშთა და თავხედთა ხელში. ავღანელები, ჭურთები, თურქმანები, ლეკები და არაბები ელეტდნენ წარჩინებულებს და ბანალეულებულებს, ეუპატიურებდნენ ჰარამხანებს, ძარცვავდნენ ქარავნებს, წვავდნენ და აუბამენდნენ ეკეკლებს, ხოცავდნენ და ნაკუწებად სჩეხავდნენ სომხებს. და უფრო ძლიერნი, ამ განადგურებულ მიწაზე, ცდილობდნენ მაღლა, ხელისუფლებაში გაძარომას. ავღანელი ბელ-

---

გაგრძელება. დასაწყისი იხ. „ცისკარი“ № 1, 2, 3.

დები, სპარსელი სიმოლიანტები (მათი თავმოკვეთილი ძმისწულების ბორცვებზე გადავლით), ხორასნის მფარველები, დალეხანელი ავაზაკი ხანები — ყველანი ნიკერებოდნენ ტახტისაკენ".

გულნაბადის ბრძოლით და გამარჯვებით გალაღებულმა ავღანებმა ისფაჰანს მიაშურეს.

ჯერ დაიჭირეს სომხეთით დახანძრებული ჯულფა, რომელიც ერანის სატახტოდან მდინარით იყო გამოყოფილი. მირ-მაჰმუდმა სომხეთს ერთი მილიონ ოთხასი ათასი ეკიუ შეაწერა გადასახადად ნაწილის გადახდა შაშინვე მოიტოვხეს ჯულფელებმა, მეორე ნაწილის გადასახდაზე პირობა დადეს და მცევლიტე გახცეს. მძევალთა გარდა, მირ-მაჰმუდმა ორმოცი მშვენიერი სომეხი ქალი ნოიაკვანა ტყვედ.

ამის შემდგომ მირ-მაჰმუდმა ისფაჰანი რკინა-ალყაში მოიქცია.

ფრთხილად, შაშნეულად იდგნენ ერანის სატახტოს გარშემო გამარჯვებულნი.

შაშნეულად?! რახა ეშინოდათ ავღანელებს, აკი ხუთკერ უმეტესი მტრის ლაშქარი გაანადგურეს, მეტი ჯარი აღარც ჰყავს სპარსეთს, დღეს თუ ხვალ იარაღს დაჰრის შიში და შიშილით ბანაწყმენი ისფაჰანი და ამით ყველაფერი გათავდება.

— არა, ჩვენ მხოლოდ ქართველებისა გვშინია!

— ქართველების?! აკი გავანადგურეთ ქართველები და მათი სარდალი ახლა არც ერთი ქართველი მეომარი აღარა ჰყავს სპარსეთს დამცველად და ქომაგად.

— მაგრამ მაინც რომ გამოჩნდნენ ქართველები?!

— გაძლევთ ამის პირობას, — თუ ქართველები გამოჩნდებიან, ისფაჰანს ალყას მოვხსნი და შაშნივე ავღანისტანს გიგეკუოსავთ! — გამოაცხადა მირ-მაჰმუდმა. მან ერთხელ კიდევ გაამხნევა და განაბეკაცა მოალეები და თავითონ ფერაბადში — ჰუსეინ ყაენის ბრწყინვალე სახახლეში და ბალიში დაიდო ბინა.

ქართველები კი არსად ჩანდნენ.

ვახტანგ მეფე რუსეთის ხელმწიფეს უცადდა. — მე და პეტრე პირველმა ერანი ერთად უნდა გავიყოთო, — და ვერა გრძნობდა, რომ სანამ პეტრე დიდი რუსეთის თვალუწვდენელ საზღვრის გადმოლაზავდა (საერთოდ თუ გადმოლაზავდა!), მანამ სპარსეთში, ნურას უკაცრავად და, კახაოფლი ალარაფერი დარჩებოდა.

„ლომების" დახაპერობს „ცხვრები" ეპერობდნენ.

შაჰ სულთან ჰუსეინი კი მაინც არ ჩაკარგულა იმედს — ხადაცა, მოიშველებიან „ჩემი ქართველებიო"!

მან, ბულნაბადის ბრძოლის წაგებისა და როსტომის ლაღუჯვინთანავე, ერანის ყოლარაღად გამოაცხადა ვახტანგ მეფის ძე — ბაკარი. შაშნივე ბაკარს ჭვირფახი სანიჭერებიც გამოუგზავნა და სასწრაფოდ ქართული ჯარით მოსვლისა სთხოვა.

მართლაც ვიეშურა ბაკარი ჯარით სპარსეთისაკენ, მაინის თვეში.

ივნისის დამდეგს ხასხარულო ხმა დაირხა ისფაჰანის ციხესიმაგრეში: ვახტანგ მეფის მამაცი ვეზი მოეშურება ქართველთა მხედრობით სპარსეთის დასახსნელადო.

იმედმა ათორთოლა ზაფაცემული ქალაქი.

იმ დღესვე ჩაუწერია ხაფრანეთის კონსულს — ანუ დე გარდენს: „ამბობენ, რომ საქართველოს მეფეს დაამარცხა ლეკეები, წაართვა შემახის პროვინცია და აქეთ გზაკვნის თავის ვაეს, თორმეტი ათასი ქართველის თანხლებით. ეს გახლავთ ჩემი ბატონო, საუკეთესო ხაშუალება ამისათვის, რომ ერანის მფარველობა გამოეეთდეს. მაჰმუდი იძულებული გახდება, უკუთქცეს, არადა, ქართველთა ჯართან შებრძოლებით დღეი რისკის გაწევა მოუხდებაო".

ავღანელებიც წეიაზე იყენენ შემდეგანი — ქართველთა გამოჩენა და, მაშინვე ალყას ამურიდნენ და ისევ ავღანისტანს გაკუსლავდნენ „ქართული ხიკვილისგან" თავდასახსნელად.

ერთი სიტყვით, ისევ ქართველთა ხელშეწყობა იყო სპარსეთის ბედიც და უბედნიკა.

ეს მეორეჯ მოაკუთვნა ჭირვეულმა ბედისწერამ ვახტანგ მეფეს გადამწყვეტი მოქნევის ნება.

და ისევ შეცდომით „მოიქნია" მაღალგონებიერმა ხელმწიფემ.

ზვილს ჩაფრები გაადევნა და გზიდან უკანვე შემოაბრუნა. — ნება არ მისცა სპარსეთს წასვლისა. ამით ფიცი აღარ გასტეხა, აი ის ფიცი — შაჰისა და მისი სპარსეთის დასაცავად ხმალს ქარქაშიდან აღარასოდეს ამოვიღებო.

სწორედ ეს იყო ახალი შეცდომა: სპარსეთის დასაცავად დიახაც არა, მაგრამ სპარსეთის დასაპყრობად სწორედ უნდა ეშოვლინა ხმალი ქართველ ხელმწიფეს.

ქართველთა მეფემ სპარსეთი გასწორა, მაგრამ გასწორა სხვის სამხსვერპლოდ. მაშინ, როდესაც ვარდუკვალად შეიქნო თავის საკუთარ მსხვერპლად ამოეკო ქართველთა მარადიული სამტრო-საბუდარი.

კიდევ ვერ იგრძნო ვახტანგ მეფემ: საქართველოს არასოდეს არა ჰქონია ასეთი შესაძლებლობა. მისი მარადიული მოსიხლეის დამბობისა და დაპყრობისა!

* * * * *

მაშ, ქართველები ისფაჰანის ციხელებთან ალარც მტრებად გამოჩნდნენ და ალარც მოყვრებად.

ხაკმარისი იყო ისიც, რომ სპარსელები ავღანელებს ქართული ტანსაცმლით მოიჩენებიდნენ და ავღანელები მაშინვე მოჰკურცხლავდნენ (აკი ასე ხდებოდა მაშინდელ წინა აზიაში: ბევრი არაქართველი ცოტაზური ქართული ტან-

ეროვნული ბიბლიოთეკა

საცმელს იცვამდა და თავს ქართველად ასაღებდა, რადგან ქართველს უბატონოდ ხმას ვერავინ შეუბედავდა).

მაგრამ სპარსელებს ადარც ამის მოგონების თავი ჰქონდათ.

ექვსასი ათასი მეკიდრი მცხოვრები ჰყავდა მაშინ ისფაჰანს. ასი ათასიც ლტოლვილი შეხიზნულიყო.

და საშინელი შიმშილი დასცხრომოდა თავზე ალყაში ჩაქედილ და ხალხით გაჭედილ ქალაქს.

ჭამდნენ ყველაფერს, რისი დაღეჭვაც და გადაყლაპვაც შეიძლებოდა.

ფუფუნებად იქცა ვირი, ძაღლი, კატა, თაგვი, ვირთხა და მწერი ყოველი. ხრავდნენ ხის ქერქს, ლოლოდნენ ტყავსა და ლანჩას, გახელებით ნოქავდნენ წყლით დახვეულებულ პერგამენტებს. ხაჭოლის ნაკელსაც ადარ სწუნობდნენ შიმშილით გონწართმეული ადამიანები.

მხოლოდ ყაენს ჯერ კიდევ უზოგავდნენ აქლემისა და ცხენის ხორცს.

დუქნებში უკვე ადამიანის ხორცსაც ჰყიდნენ. პირუტყვის ხორცის სახელით!

ექვსი თვე მძვინვარებდა ალყა, შიმშილი, ეპიდემია.

ასი ათასი ადამიანი დაიღუპა.

ქალაქიდან გამოცვენილი ორმოცდაათი ათასი ყიზილბაში ამკუნეს მოალყეებმა.

. . . . . .

20 ოქტომბერს საფრანგეთის კონსულმა ანჟე და გარდანმა ყაენისაგან ახლოებული კაცი გამოიძახა — ი ო ს ე ბ ქ ა რ თ ვ ე ლ ი, საკონსულოს მდივანი და თარჯიმანი.

გამოიძახა და უთხრა: აშკარად ჩანს, სპარსეთის მბრძანებელი დღეს თუ ხვალ აჯალათა ბელადი შეიჭრება; თქვენ უნდა წახვიდეთ და, რადაც უნდა დგიჭდეთ, მირ-მაჰმუდთან შეალწიოთ და სთხოვოთ მფარველობა ჩვენთვის, საფრანგეთის ქვეშევრდომებისთვის.

წავიდა იოსები, როგორც იქნა, გაალწია სპარსთა და ავღანთა სასახლეთ ბაზზე. ფერაბადში ეწვია მირ-მაჰმუდს და გადასცა თავისი შეფის თხოვნა.

ალტაკეებული დარჩა მირ-მაჰმუდი. აკი საფრანგეთის კონსულის თხოვნა იმას ნიშნავდა, რომ საფრანგეთმა ხელო ერანის ახალი ხელისუფლება — ხელისუფლება „ავღანური დინასტიისა"!

ყველაფერი ალუქვა ფოფინებულმა მირ-მაჰმუდმა „ფრანგის ქართველს": ოვიე სასახლეში ბრძანებებიდეი, რომელშიც ახლა ბრძანდებიხონ, შვილიდან იყავიო, ხელახა ვერაიენ გაბოქანო, არე კალოლიკე მასიონერებს შევაწუხებთო.

გაოცებული იყო მირ-მაჰმუდი ქართველი ელჩის განათლებულობით, ადზრდილობით, „ახოვანობით". გულმხურვალედ სთხოვა, დარჩენილიყო კიდევ რამდენიმე დღე სტუმრად ეს „მომაჯადოებელი ქართველი".

იოსები დარჩა.

მეორე დღეს შაჰ სულთან ჰუსეინის ელჩი გამოცხადდა მირ-მაჰმუდთან.

შეხვედრას ეესწრებოდა იოსეს ქართველი.

შერიგებას ითხოვდა ერანის ყაენი.

მილოინ მანეთის გადაგიხდიო, ქალაქ მეშედეს მოგცემო თავისი მი-და-მო-ენით, ჩემს ახალს კიდევ ცოლად შეგრთავო და ისფაჰანს ალყა მოხსენი და უკან გაბრუნდიო, — უთვლიდა ჰუსეინი მირ-მაჰმუდს.

გიეცინა ავღანთა ბელადს. ის რას მაძლევს, როცა მე თვითონ ჩავიგდებ ხელში მის სატახტოსაც, მის შეილებსაც და ცოლებსაც; მაგას თუ სიცოცხლე უნდა, ვარუკეტ, ოღონდ თვითონ უნდა მოვიდეს ჩემთან და ერანის გვირგვინიც თავის ხელით მომიტანოსო; ასე არ აქნება და, ისფაჰანსაც ლედაბუდიანად ამოვწეკეტ და შაჰსაც სიცოცხლეს გამოვასალმებო.

. . . . . .

შაჰმა ს

ეროვნული ბიბლიოთეკა

მოცდაოთხმეტი წლის კაცი, რომელიც უფრო ჭარში ახალის ნირით გაეტეხა თავს დატეხილ უბედურებას.

თავზე ამ კაცს უპრწყინვალესი გვირგვინი ეხურა, მსოფლიოს ხელმწიფეთა გვირგვინებს შორის ერთ-ერთი უსაჩინოესი. ახი წლის წინათ ეს გვირგვინი ერანის ლომის — დიდი შაჰ აბასის თავს ამშვენებდა!

მოწყენილნი, ლმობა ქვედავრდომით მიესალმა ყაენი მირ-მაჰმუდს:

„ხალამ ალეიკუმ"!

მირ-მაჰმუდმა არც საპასუხო ხალამი აღირხა, არც შეხედვა. იჯდა დფუმარედ გაქვავებული და მზერაგაქცეული.

სამარისებური სიჩუმე ჩამოწვა.

რაკი არავინ შეეპატიჟა, შაჰმა გაბედა და „თავისით" ჩაჰოკა „დაბალ ადგილზე".

ყურანის დიდი მცოდნე და დიდი ისლამატი იყო შაჰ ბუსეინი. ამისთვის „მოლას" ეძახდნენ ქვეშევრდომები. „მოლა"-ხელმწიფემ ანლაც ყურანის ამნარიდით დაარღვია ხიჩუმით დაყრუებული სიტყვა:

„ალამ, ხელმწიფეს შენს ხელთ არი! მიანიჭო, ვინაც ინებო და წაართვა, ვინაც ინებო. ამამალო, ვინაც ინებო და დამამაბლო, ვინაც ინებო. კეთილი შენ ხელთ არი, ვინაიდან ყოველად ძლიერ ხარ!"

მაინც არავინ უპასუხა.

მაშინ მოიხადა შაჰის გვირგვინი თავიდან ბუსეინმა, იქვე მდგარ ამანლოა-ხანს გაუწოდა, ანიშნა — შენს მეუფეს მიართვი და თვითონ ეს შესძახა მირ-მაჰმუდს:

„გემორჩილება, შვილო ჩემო, კეთილი იყოს მეფობა შენი!"

(რად არ ეხმოდა დიდ შაჰ აბასს მისი ულირსი ნაშიერის უკვემოსად მდელრი სიტყვანი?!).

ამანლოამ, ვითარცა მირ-მაჰმუდს „პირველმა მინისტრმა", ბუსეინს გვირგვინი ჩამოართვა და თავის მეუფეს მიართვა.

ხელი აუკრა გამოწყდილ გვირგვინზე მირ-მაჰმუდმა ამანლოა-ხანს.

მიხვდა ბუსეინი, როგორაც უნდა მოქცეულიყო.

წამოდგა და თავისი ხელით დადგა თავზე სეფიანთა ბრწყინვალე გვირგვინი ავღანელ მომთაბარეს.

დაადგა და დააკურთხა:

„შენ ღმერთმა გიბრძანა, ფლობდე ჩემს გვირგვინს!"

გამოიდარა სახეზე მირ-მაჰმუდმა.

სტერფებს ყაენ და ყალიონის მოართვეს.

ერანის „ახალმა შაჰმა" ახე ანუგეშა „ძველი შაჰი":

„ნუ დაისდგურებს მწუხარება შენს გულში, რამეთუ ხელმწიფეცა ხელოდან ხელში გადადის, ეველფერი ნებაა ალაჰისა!"

იმავე დღეს ამანლოა-ხანი ორი ათასი მეომრით გაგზავნა მირ-მაჰმუდმა ისფაჰანში, მაგრამ სახასლოს მისაღებად და საყარაულოდ.

ხაშინელი ბალავლოთ და ზვივლ-ქეიფლით ჩაბარდა სეფიანების განთქმული სასახლე ავღანებს.

მეორე დღეს მირ-მაჰმუდი თვითონ გაეშურა ფერაბადიდან ისფაჰანს და „ყოფილი შაჰიც" თან იახლა.

ქალაქში რომ შეეფინენ, მირ-მაჰმუდმა ბუსეინს „ურჩია", — შენ ბაღში მიბრძანდი და ისეირნე, — ხოლო თვითონ მარტო, ამალის თანხლებითი დაადგა სახასლისაკენ მიმავალ მთავარ ქუჩას, რომელიც თავიდან ბოლომდე სულ ფარჩა-ალალით მოეგოთ ავლანელებმა.

ამასაბადის ხიდზე რომ შეიდგა, უეცრად ათოოდე კაცი გამოუტაცა ავღანთა ბელადს და მის ჯარს, ხმალთა ბრკიალითა.

ქართველები ყოფილან!

ისევ ქართველები... უსაზზნოდ რომ შეაწყენენ უცხოთათვის უცხოთა ლაშქარს...

მიაბიჯებდა „უარრის გზაზე" მირ-მაჰმუდი, წინ თოთმეტი ავღანი სუნიები მოლა მიუძღოდა და სწუეელიდა ყიზილბაშურ შიიტთა სჯულსა და ჯ�.

სახასლეში შეეფიდა და პირველად ხაზინას დაეტაკა მირ-მაჰმუდი. 40000 ოქროს ფული დაბეგდა, აუოსცხელი ძვირფასი ქვა, ძვირფასი ნივთი, ძვირფასი ქსოვილი.

ბუსეინ შაჰ-ყოფილი სასახლის ერთ მოყრუებულ კუთხეში დადგინავა და ყარაულები მიეჩინა მირ-მაჰმუდმა. მკაცრი ყარაულის ქვეშ დაატყვინეს ბატონეუ ბუსეინის ძმა და ოცდათხუთმეტი შვილი. ჩამოგდებული შაჰის ცოლები — მოელი ჰარამხანა — თვითონ აიყვანა ახალმა ხელმწიფემ. მხოლოდ ხუთი ცოლი აარჩეენა და დაახარეებინა თავისთვის ბუსეინს მირ-მაჰმუდმა.

ბუსეინის შვილთაგან გაქცევა მოახერხა ტახტის მემკვიდრემ—თურმაქრი წლის თ ა ბ ა ზ ა ა. იგი გაიქცა ჯერ ყაზვინში, ყაზვინიდან თავრიზში და აქ თავი ერანის ხელმწიფედ გამოაცხადა, აქ — საქართველოსთან ახლოს, ქართველების „დიდი იმედით"!

რამდენიმე თვის შემდგომ მირ-მაჰმუდმა ბუსეინი ყანდაჰის გაგზავნა, ალეერი ყარაულის თანხლებით. მაგრამ ისფაჰანიდან ოც ვერსზე ბუსეინი ავად გახდა და ითხოვა — უკანვე დამბარონეთ და ხაშუალება მომეცით ჩემს სახლში მოვკვდეო.

თხოვნა შეუხრულეს და დაბრუნეს.

დაბრუნებამ სიკვდილი „გადასდო".

. . . . . .

მაშ, 1722 წელი.

დასაპყრობად „გამშადებული" ერანი ქართველების ნაცვლად დაიპყრეს ავღანელებმა („მამაცების" ნაცვლად „ფიაცებმა").

ერან-საქართველოს ორასწლოვანი ხიხლიანი ისტორიის მანძილზე საქართველოს პირველ-

ლად მიემთხვია სანიშნესეტტო ბედისწერა, როცა მას გარდუვალად შეეძლო ერთხელ მაინც დაეპყრო თავისი „მარადიული დამპყრობელი". ერთხელ მაინც დაუფფეთხოდნენ ქართველები ტფილისის მარად მაოხარ სპარსელთა სატახტო ქალაქს, ვითარცა „თავის ქალაქს".

გერშნით დაბერა და მაშინვე ხმლით გადალახვა სჭირდებოდა ამ „საბედისწერო გამოცხადებას".

მაგრამ ვაი, რომ ერის და ქვეყნის ყოველ მეთაურს არ მოსდევს ასეთი სანატრელი „ბერშიანობისა" და „გადალახვის" უნარი.

ვახტანგ მეექვსე არ იყო არც ვახტანგ გორგასალი, არც დავით აღმაშენებელი, არც გიორგი ბრწყინვალე და არც სვიმონ პირველი.

იგი „საშუალო" იყო.

სწერილ „საშუალოებს" არ გააჩნიათ საბედისწერო ზღვართა გადალახვის უნარი.

საკმარისი გახდა, უმწეო შაჰს ებრძანებინა და, სამოცი ათასი „ლომის" პატრონი მორჩილად გაბრძენდა... მთავარი მისთვის თურმე საამბრეთელი მბრძანებლების უკიდურესი სისუფტე და თავისი სიმძლავრე კი არა ყოფილა, არამედ ის, რომ იმ მბრძანებელს „ერანის შაჰი" ერქვა!

* * * * * *

ახე მოხდა.

ვახტანგ მეფემ დიდი სამომავლო წუთი შიშრეულად გაიგდო ხელიდან და სანამ იგი ჩრდილოეთიდან ხსნას ეიეტაგდა ელოდებოდა, მანამ სამხრეთში მისი „კუთვნილი დასაპყრობელი" სხეებს დაეპყრო და დაეხაკუთრებინათ.

მაგრამ, წარმოიდგინეთ, ჭერ კიდევ არ არის გვიან: ის „საბედისწერო წუთი", ვახტანგ მეფემ რომ ხელიდან გაიგდო, ჭერ კიდევ არ გადაკარგულა მოუხავლოთში. იგი იქვეა, ისევ სულ ახლოს, და ეერაკერ კიდევ ელის ქართული ხმლის გადამწყვეტ (მხლოოდ გადამწყვეტტ) მოქნევას!

ამას ჰქვია დაუყოვნებლივი გალაშქრება ერანის მფლობელ ავღანთა წინაღმდეგ. ავღანთა ბელადი მარ-მამმოდი ჩამთავრდნაზეა ერანის ტახტიდან. ავღანეტს ისევ ბზარავს პირუტყვული შიში ქართველების გამორეწინა. საკმარისია ქართული მხედრობის ჩრდილი დაეცეს ერანელთ მიწას, ავღანელნი მეისვე გადაიხვეწებიან და... ერანი ქართველებს დარჩებათ!

შესანიშნავად წერს გამორჩენილი სომეხი ისტორიკოსი პატკანოვი:

„ვახტანგ მეფეს რომ მარჯვედ გამოეყენებინა მაშინ შექმნილი პირობები, მისთვის, მისი ქართველებისო, ძნელი არ იქნებოდა სპარსეთიდან გაედევნა ავღანები და ეთამაშა ის როლი, რომელსაც შემდეგში აზიაში თამაშობდა ნადირ-შაჰი. სპარსეთის დამპყრობლებს (ავღანებს) შაჰს გვრიდათ თუნდ ერთი გამორჩენაც ქართველთა მხედრობისა, რომლის ძალმოსილება მათ არა ერთხელ უგემნიათ თავიხან, ხუთეული სამშობლოში".

ახეთი იყო ეამი სამომავლო ბედისწერისა, რომელიც ჭერ კიდევ უცდდა „მზოფლიო მეროიკის მთავარი გმირის" მოთამაშეს.

ხოლო, ვახტანგ მეფე, როგორც ეტყობა, ასეთი „როლის მოთამაშედ" არ იყო მოწოდებული.

„მეფეთითვარე და დაუმორჩილებელი სული"

ისშაპანის ტრაგედიის თვალით მხილველი და ადმწერელი ქართველი ისტორიკოსი, დიპლომატი, სწავლულთ და მოგზაური იყო.

ჩვენ უკვე შეგხვედით იოსებ ქართველს:

იგი დაიბადა 1687 წელს, ტფილისში, გახპარ და ანა ამეხალამაშვილების გვარლნან კათოლიკურ ოჯახში.

მამა — გასპარ ამეხალამაშვილი ტფილისის ნაცვალი იყო.

ყმაწვილობიხას იოსები სწავლობდა ტფილისის კათოლიკურ სასწავლებელში. აქ შესანიშნავად დაეუფლა ლათინურ დ იტალიურ ენებს, გრამატიკას და სალვოსმეტყველეა ხაგნებს.

ამეხალამაშვილების ოჯახი მანამ კარგად ცხოვრობდა, სანამ გიორგი მეთერმეტე ყაენმა მეფობიდან არ გადააყენა და ბოლის სპარსეთში არ წაიყვანა.

ახალმა მეფემ, ერეკლე პირველმა კათოლიკეთ ბრძოლა გამოუცხადა. გასპარ ამეხალამაშვილსაც მოსთხოვეს კათოლიკობაზე ხელის ალება. გასპარმა ცივი უარი თქვა. ერეკლემ იგი ქალაქის ნაცვლობიდან გადაადგილ და ბოლოს ტფილისიდანაც გააძევა ოჯახინად.

ლტოლვილებმა ჭერ ერანს შეაფარეს თავი. 1699 წელს ისფაპანიდან ევროპაში გიმგზავრა კათოლიკეთა ელჩობა, ეპისკოპოს, ელიასის მეთაურობით. ელიასს გიორგი მეთერთმეტის წერილები მიჰქონდა ევროპის მესეეურებთან.

კათოლიკურ ელჩობის აემგზავრა გასპარ ამეხალამაშვილიც, რომელსაც ევროპაში სასწავლებლად თან მიჰყავდა თორმეტი წლის ვაჟიშვილი იოსები.

მგზავრობამ ხამი წელიწადი გასტანა. ისფაპანიდან, შემახისა და ასტრახანის გავლით, ჭერ მოსკოვს მივიდნენ. მოსკოვში გასპარ ამეხალამაშვილმა ეროოელები ვხეხვიაბსკოეს ქართველებთან მიიყვანა, არჩილი და მისი ოჯახი გაიცნო. არჩილმა პეტრე პირველთან შუამეკოლმლობით დიდი დახმარებაც გაუწია ელიასსა და მის თანამგზავრებს.

მოსკოვიდან წასულებმა გაიარეს კიევი, ლვოვი და ვარშავა.

ლევან სანიკიძე
შეკრძალეთ ხელები

ვარშავაში, 1701 წელს, გახპარ ახეხალაშვილი მოულოდნელად გარდაიცვალა.

გამყვა დაობლებული ოსები ევროპელებს.

მისი ბაღრონობა და მეფრვეობა იკარგა ეპიკო

კ ლ ე ტ ო ა ვ ი. ოსებში ისე შთამბეჭდავად მოუთხრობდა სპარსეთში დატრიალებულ ამბებს, რომ მამი-კლერაკმა გადწყვიტა ყოველივე დიდწერა, ვითარცა ისტორიული ხასიათის ნაშრომი.

თვითონ წერს მამი-კლერაკი: ამის შესახებ ვეხაუბრე პატარ ოსებს, რომელმაც მომიწოდა ეს ამბრი.

ასე შეიქნა ფრანგი ინჟინერი ისტორიკოსი, რომელმაც ოსებ ქართველის მონათხრობისა და ისტორიულ შრომათა საფუძველზე 1750 წელს გამოაქვეყნა სამტომიანი „სპარსეთის ისტორია ამ საუკუნის დამდეგიდან".

თვითონ ოსებმა ქართულ, იტალიურ, ფრანგულ და თურქულ ენებზე დაწერა სასტორიო სერია — „სპარსეთის რევოლუციები".

ოსებს ქართველის ხასხასტორიო თხზულებებით ხაზრდოობენ მისი დროისეკე გამორნილი ისტორიკოსებიც: ფრანგი ლეი მამი-კლერაკი, ინგლისელი ჯონს ბანვი, პოლონელი თადეუშ კრუშინსკი, სომეხი სარგის გილანენცი.

* * * * * *

ჯერ ჯერობით არაა ცნობილი, სად და როგორ დაასრულა თავისი სიცოცხლე ამ დიდებულმა ქართველმა კაცმა, იმყამინდელი მსოფლიოს მაღალგონიერებული ხაზოგადოების ღირსულმა წევრმა — დიპლომატმა, ისტორიკოსმა, პოლიგლოტმა.

სიცხლი ესე ცას შეჯღაღადებს

ავდანთა ბელადი მირ-მაჰმუდი ჩამოვარდნაზე იყო-მეთქი ერანის ტახტიდან. იგი მხოლოდ ისფაჰანს და მის ახლომახლო ქვეყანას ფლობდა, ხოლო ერანის განაკიდურ მხრეებზე ჯერ ჯერობით ხელი არ მიუწვდებოდა.

ავდანთა დამამხობელი აჯანყების სული ტრიალებდა სპარსეთის პროვინციებში.

მირ-მაჰმუდს სჯერდა, რომ აჯანყების თესლს ერანელი ქართველები სთესავდნენ მის დასამხობად.

ოჰ, ეს ქართველები, არ იქნება და არ დაინგენენენ! ახეთია მათი ჯიში და ჭილაგი! მდგლობა ალლაჰს, რომ ქართველები თვითონ სჭამენ ერთმანეთს და სხვათა ქვეყნების დასაგმელად არა სცალიან! ახლა, ამ უცხო მოწაზე თითო-ოროლად გაფანტული ქართველები რაებს სჩადიან? ერთი ქართველის ერთ შეძახებას შეუძლია ათასი სპარსი გამოაფხიზლოს ხალათის ძილიდან და ხელში იარაღი აიღებინოს, ალბათ, საქართველოშიც ვერ დაბრეკენენ ახე ლაღად, დიდგულად და კადნიერად ქართველები, როგორც აქ — ერანში...

ყაზვინში რაღაც აჯანყება მზადდება თურმე. უეჭველად იქაური ქართველები აქეზებენ იქაური სპარსელებს.

უნდა ნოსერან დაუნდობლად ყაზვინელი სპარსელი წარჩინებულნი, სპარსელთაგან მხოლოდ წარჩინებულნი.

მაგრამ ქართველთაგან ყველა უნდა ამოწყდეს დედაბუდიანად!..

* * * * * *

გულნაბადის ბრძოლაში დაღუპულ როსტომ ლევანის ძეს, სპარსეთის უფლარდასს, თორმეტი წლის ვაჟიშვილი დარჩენია.

დაობლებული ბიჭი რომელიღაც ავდანელს აუყვანია შვილობიდან.

ყაზვინის „აკადემიაში" სწავლობდა ის ბიჭი. (ყოფილა ამნაირი სასწავლებელი ყაზვინში).

სასწავლებლიდან მომავალი ყმაწვილს, რაკი ქართველად შეიტნეს, ავდანელი მეორეები ეედენენ მოსაკლავად.

ბიჭი ავდანთა მეთაურებთან მივარდა და მფარველობა ითხოვა. მეორენი დეენაში ისე გამხეცებულიყვნენ, მეთაურთა ბრძანებებს ყური არ ათხოვეს და როსტომის ძე დაუნდობლად ანჭეს ხმლებით.

მთელი ყაზვინი ფეხზე დაადგა მშვენიერი ყმაწვილის მხეცურმა მკვლელობამ.

„აჯანყებამ" დაიფრთხო და დაფეთა მირ-მაჰმუდი.

სასწრაფოდ გაეუსლა რჩეული ჯარით ყაზვინისაკენ.

მისულითანავე თავს დაესხნენ ავდანელნი სპარსელ და ქართველ ოჯახებს, მამაკაცები მოედნისკენ გაითრიან, ერთად შეაქუნეს და ხალხის თვალწინ ყველას თავები დააყრევინეს.

მცირე დრომ განვლო და მირ-მაჰმუდმა იფიქრა — შვილები ყოველთვის ცდილობენ მამების სიხსნი აიღონონ, ამიტომ...

ამიტომ საჭიროა, სრულიად მოიხსოს წარჩინებულთა წრე სპარსელებისა და ქართველებისა... მოიხსოს დედიან-პატარიანად.

* * * * * *

ერთ დღეს ყაზვინის „აკადემიიდან", ავღანთა ბრძანებით, მასწავლებლებმა გაიყვანეს ორასი ყმაწვილი — სპასნელ და ქართველ წარჩინებულთა შვილები.

კუნთები უნდა შევუთოსნოთ ყმაწვილებსო, გვეხინჯოთ, როგორ გაიქცევიანო, — ამბობდნენ ცხენებზე ამხედრებული ავღანელნი.

ქალაქს რომ გასცდნენ და გაშლილ ველზე გავდნენ, ავდანთა მეთაურმა გაქცევა უბრძანა ბავშვებს.

ისინიც მოწყდნენ და გაფრინდნენ, გულ-ქართლად და გულდადნობილად.

ავდანელებმაც ცხენები მოსხლტეს და გამოენინენ გულგამხეცებით.

წამიეწიენენ, ხმლები ეშიშველეს და დაუშინეს სისხლწყურვალებით.

ერანის ცხელი ცისკვამი იფლითებოდა ნასაკვდილად განწირულ ბავშვთა წვიალით.

ლეგან სანიკიძე
შეარქაფმო ხმლები

ერანის ცხელი მიწა იღვენფფებოდა ბავშვთა ლვთაებრივი სიხმელით.

როგორც იქნა, გათავდა... რა, „მკვლელობა"? „ბორტება"? „მხეცობა"? რა სიტყვა აზიდავს ამ საოცარ ბავშვთამკვლელობას?!

ახე კი მოხდა.

ბავშვთა სიხმელა ცას შეპღალდა, მაგრამ...

არც ცისგვინი ჩამოვკეფილა.

არც დედამიწ დაქცეულა.

მზოლოდ ბორტაბის დემონი იცქირებოდა აპეირონიდან, ფერდაკარგული და სახემორღვეული.

. . . . . .

ნუთუ დაუსჯელი უნდა დარჩენილიყო ეს ენიო უთქმელი და გონებით განუზომელი ბორტაბა?!

ნუთუ ეკინა ნემესიდას — შურისგების ქალღმერთს?

ისევ ქართველთა მეფეს ეპირა ყველაზე მძლავრი ხმალი შურისგებისა, მაგრამ...

. . . . . .

ყაზბეგიდან ისფანამს ბრუნდებოდა მირ-მამმედი ავლაბრელი ჭარეთ.

ხატაბტის რომ მიადგა და აბასაბადის ხიდზე შეგიდა, გაახსენდა, რომ სწორედ აქ, ამ ხიდზე, ქართველი მეომრები შემოგბნენ და შემოეკლინენ ერანის ტახტზე ამავალ ავღანთა ბელადის მხედრობას.

ახლა არავითარი საფრთხე არ ჩანდა. მხოლოდ ცნობისმოყვარე ხალხით გაეკიდილიყო ქუჩა-ბანდები.

არ ჩანდა, მაგრამ ერობაშად გაიოქცა და გავარდა, ვითარცა მეხი მოწმენდილ ცაზე.

ითოჭოს მარილა ციდან ჩამოვარა ხმლით მოელვარე უცნო მხედარი და ზედ თავზე დაეცა ავლაბთა ჯარს.

სანამ ავლაბელებმა გონს მოსვლა და ხელის განძრევა მოასწრეს, მანამ „ცოფმოვლენილმა მხედარმა" გავეშებული ცემით ათამდე მეომარი ჩამოადგა დაჩეხილი და დაკვეთილი.

ხმლები ალმოიხდინეს ავლაბელებმა.

მაგრამ „ცოფმოვლენილმა" კიდევ მოასწრო ხმლის ხეთქინებითა და ცხენის ძგერინებით ათი ავღანის ძირს დანარცხება და დახიკვდილება.

და თვითონაც გადმოეშვა ცხენიდან ძმიმედ დაჭრილი.

მიცვივდნენ და მფუარადი მოამხადეს გონწართმეულს.

გრძელი და ხშირი ომის ტირვრები ჩამოეშალა უზვერულოვაში სპეტაკ ხაეზე.

თორიც გაუხსნეს, პერანგს მისწედნენ და...

ქალის მკერდმა იეღვა, სიხმლით დაორთქლილმა.

გონს მოიყვანეს და მირ-მამმედს მიმგვარეს, „ერთის დასახრირებულნ".

ქართველი ქალი ყოფილა, საქართველოდან ჩამოსული!

აბასაბადის ხიდზე რომ ქართველები ავღანელებს შეეწყდნენ, ერთი იმ ქართველთაგანის ცოლი ყოფილა ეს ქალი.

ქმრის მოკვლის ამბავი რომ შეუტყვია, ოჯახი ორი შვილით და ქონებით ძმისთვის დაუტოვებია და თვითონ სპარსეთს წამოსულა, ხატყვით — ქმრის სანახავად, საქმით — ქმრის სიხხლის ასაღებად.

და აკი აიღო კიდეც: ოცი ავღანი დაჯალა ქმრისა და მის ოვისტომთა სიხხლით დარწყულებულ უცხო მიწას!

მაშ, ისევ ქართველი!

ამჯერად ქართველი ქალი!

ციდანს ვერ ამოიღო ხმა გაოცებით ენაჩავარდნილმა და გაკვირვებულმა მირ-მამმედმა.

ბოლოს, როგორც იქნა, ბრძანა: „მოეკალითო მთელის ყურადღებონო, რამეთუ ამ განსაცვიფრებელმა ქალმა ჩაიდინა დღემდე გაუგონარი სიმამაცე და თავგანწირვა"...

ეს კი ალარ ვიცით, რა ბედი ეწია შემდგომ, მართლაც და, ამ განსაცვიფრებელ ქალს..

შედეგი „პოეტური პოლიტიკისა"

ბევრნი ბევრს რასმე იტყოდნენ, მაგრამ ვინ მოეს ბინებდა?

მეფე იყო და ბრძანებდა, იქმოდა, რასაც ინებდა!

დავით გურამიშვილი

1722 წლის 28 მაისს ტფილისში ჩამოვიდა ყარაბალ-განძასარის სომეხთა კათალიკოსი ესაია მანან ჯალალიანი. ვახტანგი და ჯალალიანი ერთმანეთის დიდი სიხარულით შეხვდნენ და შეეწრაფნენ: შეექმნათ ერთიანი ქართველ-სომეხთა ლაშქარი და დაძრულიყვნენ შემოსხისაკენ, ჩრდილოეთიდან დაძრულ რუსთა მხედრობასთან შესახვედრად.

ჯალალიანი ყარაბალს გაბრუნდა და თან წაიყვანა ვახტანგისგან გამორჩეული ქართველი სარდლები სომეხთა ლაშქრის მოსამზადებლად.

წერს შესანიშნავი სომეხი ისტორიკოსი ლეონ: „ვახტანგმა იმედი ჩაუნერგა სომეხთა მოძრაობის მეთაურებს და ფასდაუდებელი სამსახური გაუწია სომხური არმიის ჩამოყალიბების დროს, მიაწოდა რა სომხებს არა მხოლოდ სამხედრო მრჩევლები, არამედ სარდლებიც. გასაგებია, რომ სომხები დიდად მადლობდნენ ქრისტიანე კეთილ და ეხერეიულ ვახტანგს. მინას ვარდაპეტ ფერეგაზიანი. ამბატის წინამძღოლი, სწერდა მინას მოძღვარს: „უფალმა გამოუღვიძა ჩვენს ქრისტიანებს კეთილი მწყემსი და მძლე ქართველი მეფე, რო-

ბელმაც თავიანი ქეთილგონიერებითა და ნიჭით შეკრება დაჩაგრული და გაფანტული ხოფები ერი, ადგილ-ადგილ გაამაგრა, მეურვეობა გაუწია... ხოფებ-ქართველთა საბრძოლო კავშირის ოდეი შესანიშნავი მოვლენა იყო".

1722 წლის 15 ივნისს ომეიტაკორმა პეტრე პირველმა საბრძოლველი ლაშქრობის მანიფესტი გამოაცხადა.

2 ივლისს ვახტანგ მეექვსეს რუსეთიდან ეწვია პეტრე პირველის ელჩი ბ ო რ ი ს (ბაადურ) თ უ რ ქ ე ს ტ ა ნ ი შ ვ ი ლ ი.

ჩრდილოეთის დიდი ხელმწიფეც ქართველ მეფეს ატყობინებდა, — რუსთა ჯარები სულ მალე გამოჩნდება ალბინის ზღვის სანაპიროებზე, ხოლო მანამდე თქვენ, თქვენის ქართველებით ლეკებს შეეტრძოლეთ, ოღონდ ისე მოიქეცით, თურქეთი რომ არ გაგაჯაროთ და ომის გამოცხადების საბაბი არ მისცეთო!

ახეთი „ხამოკავშირეო დავალებანი" შესრულება არც ისე იოლი ხაქმე გახლდათ. ვახტანგ მეფე ლეკებს, ახე თუ ხეე, „მოუვლიდა", მაგრამ ლეკებს თურქები მფარველობდნენ და ბაჯი-დაუდგა და სურხანა-ბანს თურქეთის მხარეკერით აღმოხავლეთ კავკასიაში ლეკთა სახელმწიფოს შექმნა უნდოდათ. ჩვენ ალაბისაკენ ნაბრძანებები გვაქვს, ქეშმარიტი მუსლიმანები — სუნიტები, შიიტი სეფიანების უღლისგანაც გავთავაინუფლოთ და ქართველ-ხოფხოთ ხახლიც დავლიოოთო, — ბაოძანდოდნენ ლეკთა ბელადები თურქეთის ფაღიშაისგან წაკეზებულნი. ახლა ვახტანგ მეფეს ახე როგორ უნდა მოეხერხებინა, რომ ლეკისოვის შემოკრული ხმალის ომსაალო არ გამოეგდო ხაოჩარ ველზე?

იმ დღეებშეიე თურქეთის ხულთანის, ა ჰ მ ე დ III-ის ელჩიც ეწვია ვახტანგ მეფეს. ერანს ლაშქრობას ვაპირებ და შენი კავშირი და დახმარება მჭირდებაო; თუ ჩემთან კავშირს დათანხმდები, ხამაგიეროდ მთელი ხაქართველოს მეფოსას მოგიძღვნიო, — აწერებოდა ოსმალეთი ფაღიშაჰი.

ვახტანგმა ხულთანს უუოყმანოდ უარი შეუთვალა და ეს ამბავიც პეტრე პირველს მოსწერა. წერილში ამეოთქვამდა ალბინისპირეთში რუსთა შემოსვლის გამო; ჩეე ხახწრაფოდ დავიძვრები ჩემის ჯარებით და 20 ივლისს განკაში ვიქნებიო, — სწერდა ქართველი მეფე რუსთა იმპერატორს.

ასტრახან-ფერგის გამოვლით მოდიოდნენ რუსული ლეგიონები. ფერგიდან დარუბანდისკენ აიღეს გეზი. ტარკი გამოიარეს. შამხალმა ომი ვერ გაბედა. ლეკთგან გული და ხელი ვინც გაითამაშა, რუსებმა ყველა „მიახწორ-მიახწორეს" და ბოლოს დარუბანდიც უომრად ჩაიბარეს.

ამ ხოფხთა ლაშქარი შეეურთდა ქართველ-ლობას, დიდი ხიხარულით, მხნეობიანად ებრძოლნენ.

დღე-დღეზე ელოდა ვახტანგ მეფე რუსების შემოსვლას შარავანში, ხადაც თვითონაც მიდიდოდა „დათქმულ ადგილზე".

ოდეს და ელოდა, დარწმუნებული და დაჯერებული, რომ „ერთადერთი სწორი გზა" აირჩია.

უკან აღარ იხედებოდა. იცოდა მხოლოდ, რომ უკანდახსახეეი გზა თვითონვე ჩაეკეცა, განა— დასწვა ხიდი მდინარეზე გადასვლის შემდეგომ. ხაში თვე იცადა.

და, როგორც იქნა, ნოემბერში მოუვიდა ამბავი ჩრდილოეთიდან — ჩრდილოეთის ჯარ გაკერებული თვალით მაკვერალ მეფეს.

მოუვიდა!.. მაგრამ ვაი იმისთანა მოსვლას!

პეტრე პირველი უკან გაბრუნებულა დარუბანდიდან! ჭქეთ რომ უნდა წამოსულიყო (საქართველოსკენ), თურმე, პირიქით, იქით წასულა (რუსეთისკენ)!

მიზეზი?!

მიზეზი კი არა, მიზეზები, — რაიც მანამდე წინასწარ ან არ ჩანდა, ან კარგად არ ჩანდა: საკმარისი არ ყოფილა ჩრდილოეთიდან ჩამოუვანილი ძალები კასპიისპირეთის დასაპყრობად. ბაკო ვერ აიღეს, იქაურებმა „რუსულ დახმარებაზე" უარი თქვეს, მტკვრის შუბართაგში რუსებს „ხავაჭრო ქალაქი" უნდა დაეარსებინათ და ვერც ეს შეძლეს; ტარხაპორტი არ უკარგოდათ, სურსათი არ ბყოფნიდათ; მთავარი მაინც ის გახლდათ, რომ ოსმალეთმა ჯარები დახარა აღმოხავლეთ კავკასიისა და კასპიის ზღვის გეზით. პეტრე პირველი ოსმალეთთან ომს დაუშინდა და უკუიქცა ასტრახანისკენ.

პეტრეს პოდპორუჩიკი ტ ო ლ ს ტ ო ი გამოეგზავნა ვახტანგთან. წელს ლაშქრობა კარგად „არ გამოგვიდიაო" და მომავალ 1723 წელს „უფრო წარმატებით" უნდა განვაგანლოთო.

თავზარი დაეცა ვახტანგ მეფეს.

მაშ, მისმა „ხსნ ელმა", მისმა „მესიამ" უკან დაიხია!

ახლა, ალბათ, ავითონაც უნდა დაიხიოს უკან!

მაგრამ, რომ დაიხიოს, სადღა დაიხიოს, როცა ყოველი უკანდასახეეი გზა თვითონვე წინასწარ ჩაეკეცო და ჩაეწვა რუსი ხელმწიფის ისე მისტიკურად ბოიმედეს!

იგი ახლა ხავსებით მარტოდმარტო იყო მტრულ გარემოცეაში.

მტერი იყო თურქეთის ფაღიშაჰი ამმედ მეხამე.

მტერი იყო ხპარსეთის ორივე შაჰი (მირმაჰმუდი ისფაჰანში, თამაზ II — თავრიზში).

ლევან სანიკიძე
შკარკარაშო ხელები

მტერი იყო დაღესტნის ორივე ბატონი — ბაჯი-დაუდი და სურხაი-ხანი.

და ახე გასინჯეთ, მტერი იყო კახეთის მეფეც — კონსტანტინე მამამად-ყული-ხანი.

* * * * * *

ორი ათასი რუსი ჯარისკაცი მაინც გამომგზავნეთ საქართველოშია, — იმდენია უილაჯო ხელის ხავსავით ქართველთა მეფემ.

ტოლსტოის გულწრფელად უნდოდა, აღსრულებულიყო ვახტანგის თხოვნა და ბევრიც იბრძოლა ხაამისოდ. ბოლოს პეტრე პირველმა მართალი მოაწერა ხელი ორი ათასი რუსი ჯარისკაცის გამოყოფაზე საქართველოსთვის. მაგრამ ქაღალდზე დაწერილისა და ხელმოწერილის განხორციელებისთვის აღარავის ეფიქრებოდა. ...

რა მოუფიქრებლად, განუსჯელად და განუკითხავად მინდობია თურმე ვახტანგ მეფე, „მეფე" კი არა — ვახტანგ „პოეტი" ყოველად მიამიტურ, ხოცრად მალემრწმენ „ქრისტიანულ გულს"!

თურმე პოლიტიკა გაცილებით უფრო სახტიკი და „ხვანჭიანი" ხათაბალა ყოფილა. ვიდრე პოეტური „პაი-პუუ", „რანი და, მოვკაკანი და, სახლი და, კარი, ბანი და"... და მისთანანი!

. . . . . .

უმძიმესი ფიქრებით დარეგვილი ვიდოდა ვახტანგ მეფე განჯიდან ტფილისისაკენ გასროლილ გზაზე.

გაგრძელება იქნება

„...საერთოდ ახალგაზრდობის და, კერძოდ, კომუნისტური ახალგაზრდობის კავშირთა და ყოველგვარ სხვა ორგანიზაციათა ეს ამოცანები შეიძლებოდა ერთი სიტყვით გამოგვეხატა: ამოცანა იმაში მდგომარეობს, რომ ისწავლონ"

ლენინი

(თხზ., ტ. 31, გვ. 35ეუ).

ეროვნული ბიბლიოთეკა

პოეზიის ფერიდიანები

ისიკავა ფაკუბოკუ

ძვირფასო მკითხველო, ისიკავა ფაკუბოკუს ლექსთა ბწკარედები იაპონური ენის მცოდნემ ლიანა არეშიძემ შემომთავაზა, რისთვისაც დიდ მადლობას მოვასსენებ, როგორც თანამთარგმნელს.

ჯანსუღ ჩარკვიანი

ერთი მუჭა ქვიშა

1

ვიჯექ ჩემთვის და
ქვიშას ვჩიჩქნიდი,
ჩაჟანგებული
იარაღი
ვიპოვე უცებ.

2

ქვიშაზე სიტყვა
ასზე მეტჯერ
დავწერე — „დიდი",
უარვყავ ფიქრი სიკვდილზე და
სახლში დავბრუნდი.

3

გუნდა ტალახით
გამოვძერწე
დედის პორტრეტი,
სევდა უფრო უსაშველო
არსებობს განა?

4

გულს რომ უხარის იმნაირი საქმე თუ
შემხვდა,
სიკვდილის ფასად რომ დამიჯდეს —
აღარას ვჩივი.

5

ძაღლი შემომხვდა ყურმოჭრილი,
ცოდვით დავინვი
და ყოველივე შემეზარა ამქვეყნიერი.

6

არაფრის გამო,
უდარდელად ვიწექ ბალახზე,
ჩამომიქროლა,
დამასკინტა შუბლზე ჩიტუნამ
და კმაყოფილმა მეცხრე ცაზე შეეკრა
კამარა.

7

ტყიდან მომესმა
გასროლის ხმა,
სამწუხაროა,
ხმა გასახარი მაშინაა —
შენ რომ გესვრიან.

8

გულში ისეთი იშვიათი იდგა სიჩუმე—
საათის წიკწიკიც
სასიამოვნოდ მეჩვენებოდა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

9

აველ მთის წვერზე,
ქუდი უაზროდ დავუქნიე ვიღაცას და
ქვევით დავეშვი.

10

ყოველდღე ვხვდები ტრამვაიში
ქონდრის კაცის მონკურულ
თვალებს,—
დღეს საკუთარი სხეულიდან
გამომიყვანა.

11

მე შევიხედე სარკეების მაღაზიაში
და უცებ შეკერთი,
ჩამოფლეთილი ტანსაცმელით
დავდივარ თურმე.

12

გული, რომელსაც
შეუძლია შენთვის სიკვდილი —
უნდა აცოცხლო.

13

თუ პირფერობა შევიგრძენი —
სევდა მანვება,
ვინც კარგად მიცნობს,
ის მიხვდება
ამ სევდის მიზეზს.

14

ასეც კარგია,
ისეც კარგია —
ფიქრობს მავანი,
იმ მავანივით უდარდელი
მეც ვიყო ნეტა.

15

ხმლად გამოვთალე ბამბუკი
და ძაღლი გავლახე, —
ბავშვის თვალებით მიმზერდა იგი.

16

თავს აღარ ვიკლავ სიკვდილზე
ფიქრით,
რადგანაც გული
უსიცოცხლო გახდა სრულიად.

17

როცა ვშორდები
შვილსა და მშობელს —
ვუახლოვდები
სიმშვიდეს და
სასტიკად მიჭირს.

18

თითქოს ხუმრობდა —
თავის მოკვლას აპირებდა და
ატრიალებდა ხელში სატევარს,
მაგრამ სახე?
რომ დაგენახათ რა სახე ჰქონდა!

19

დღევანდელი დღეც
გამოვარდა გულიდან, როგორც
დაჭრილი მხეცი,
თან გაჰყვა სევდა
უკმაყოფილო ადამიანის.

20

სუსხიან ღამით
სასტუმროში ნაღველთან ვწევარ,
ყელის სიმშრალეს მობუზული
ვებრძვი ლოგინში.

21

მეგობრებიდან,
რომლებიც მგავდნენ,
ერთი მათგანი გარდაიცვალა,
ხოლო მეორე, გამოვიდა ციხიდან და
თავს ცუდად გრძნობს.

22

თავაუღებლად ვიმუშავე,
რაც კი შემეძლო — ვიმუშავე,
ცხოვრებას მაინც არ დასტყობია,
გაშტერებული ვუყურებდი
ჩემს დაღლილ ხელებს.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

23

თუმც გული ხარობს
უმიზეზოდ,
თავს კარგადა გრძნობს
პატარა რაღაც
ზეიმისთვის მაინც აკლია.

24

ჯარისკაცთა რაზმს
მზერას დიდხანს არ ვაშორებდი,
წარმოიდგინეთ —
ნატამალიც არა ჰქონდათ
სახეზე სევდის.

25

სამი წელია ყოველდღე ვფიქრობ,
რომ შემდეგ კვირას
ძილს მოვანდომებ.

26

მომეჩვენა,
სიტყვები რაიც არ იცის ხალხმა,
მარტო მე ვიცი.

27

ამხანაგები თუმცა ცოტა მჯობიან
ჭკუით,
მე მაინც ყვავილს ვყიდულობ და
ცოლთან მივდივარ.

28

ნეტა მაჩვენა ადგილი, სადაც
სიამოვნებით ვიცხოვრებდი
განთიადამდე.
უცებ, სახლი რომ გამახსენდა,
გული დამეწვა.

29

მსურს ისეთი რამ ჩავიდინო,
რომ მთელი ხალხი გავაოცო
და მერე გავქრე.

30

ტირის ბავშვი, როცა უწყრები,
ვინ დამიბრუნებს
იმდროინდელ გულს აჩუყებულს.

31

თუ გაწყენინეს — მოიწყინე,
ანდა, სჯობია,
დაამთქნარო და არ იფიქრო სულაც
წყენაზე.

32

იმას ვაკეთებ —
სულ არაფერს რომ არ ვაკეთებ.
და ერთს ვოცნებობ:
განვლილ ცხოვრების
არცერთი დღე არ დავივიწყო.

33

სულ ფულზე ფიქრობს —
ვიფიქრე და გულში დავცინე...
საოცარია, მეც იმწუთში ფულზე
ვფიქრობდი.

34

თითქოსდა ურო ჩამიშვეს თავში,
ისე თუხთუხებს მამულის სევდა,
მიიზლაზნება მოწყენილი კვამლი
ცისკენ.

35

ჩურჩულითა ვსთქვი ჩემი სახელი
და ცრემლი წამსკდა,
თოთხმეტი წლისაც არ ვიყავი იმ
გაზაფხულზე.

36

დავტოვე კლასი
და გავიპარე
და მერე დიდხანს
ვიწექი მარტო
ნანგრევებში უძველეს კოშკის.

37

გულაღმა ვიწექ
ბალახებში
კოძუკატას კოშკის ლოდებთან,
ცას ვუყურებდი
და ვტკებებოდი ჩემი ბავშვობით.

38

რა არის სევდა?
პირდაპირ გეტყვით —
აკრძალული ხილია იგი...
მე მისი გემო
ადრე ვიგემე.

39

მოწმენდილ ცას რომ დავინახავ,
ვუსტვენ ყოველთვის,
რა ვქნა,
საოცრად მსიამოვნებს
როდესაც ვუსტვენ.

40

მე როცა მძინავს
მაშინაც ვუსტვენ,
წარმოიდგინეთ —
თხუთმეტისა როცა ვიყავი
სტვენა იყო ჩემი სიმღერა.

41

ჩემს გვერდით იდგა
და ქვებს ესროდა პატარა ჩიტებს
სალდათის შვილი.

42

სკოლის ეზოში,
შეშოდგომის ფერმკრთალ ბალახში
ყვაოდა ერთი თეთრი ყვავილი,
დღემდე არ ვიცი
მისი სახელი.

43

აწ გარდაცვლილი უფროსი დის
შეყვარებულის უმცროს ძმასთან
ვმეგობრობ ახლა,
ჩემს საყვარელ დას
სევდით ვიგონებ.

44

გამახსენდა წუთი გაფიცვის,
ახლა იმგვარად აღარ მიჩქეფს
სისხლი ძარღვებში,
გულში ფარულად
ჩუმი სევდა შემომეპარა.

45

თითქოს დიდი ქვა გადმოაგდეს
მაღალი მთიდან —
ისევ ჩავვარდი დღევანდელ დღეში.

46

იგი სკოლაში სულ პირველი ზარმაცი
იყო,
ახლა პირველი
ვაცი არის თავის საქმეში.

47

ძველი მეგობრის ყავარჯენს ვენდე
და გავაღწიე ბრბოდან
უვნებლად.

48

გამახსენდება ღვთიური ღამე,
როცა ამხანაგს პირველად
ვუამბე ჩემს სიყვარულზე.

49

თითქოს ფრანს მოსწყდა
ფერადი კუდი,
ისე გამშორდა
შეუმჩნევლად
ყმაწვილი გული.

50

რა ძვირფასია
კილოკავი მშობლიურ სოფლის,
მივედი ბრბოსთან და სმენად ვიქეც.

ეროვნული ბიბლიოთეკა

51

ერთხელ, ოდესღაც,
ჩემი ოთხწლედის სახურავზე
შევაგდე ბურთი.

52

სოფლის გზის პირას
უამრავი ღორღი ეყარა.
ნეტა წელსაც თუ გაიზრდება
გზისპირს ბალახი?

53

მე შევუერთდი ასაკუსას
მხიარულ მეჯლისს
და იქედანაც წამოვედი
გულდაწყვეტილი.

54

თითქოს ასი წლის
ძილის შემდეგ გამოვიღვიძე,
ო, იქნებ ერთხელ
ისე შვებით ამოვიოხრო —
ალარ ვიფიქრო ალარაფერზე.

55

ხელები გულზე დავიკრიფე
და გავიფიქრე, —
რომ გავიზრდები
ცეკვაცეკვით
გამოვალ მტრის წინ.

56

როს გაწვიმდება —
ჩვენს სახლში ყველა მოწყენილია,
ნეტავი მალე გადაიღებდეს.

57

კვლავ თვალწინ მიდგას:
სიცოცხლით სავსე ამხანაგის
მომაკვდავ სახეს
გადაუარა დაღლილობამ
და უღონობამ.

„მხოლოდ მაშინ, თუ ძირფესვიანად გარდავქმნით სწავლის საქმეს, ახალგაზრდობის ორგანიზაციას და აღზრდას, ჩვენ შეგძლებთ მივაღწიოთ იმას, რომ ახალი თაობის მეცადინეობას შედეგად მოყვეს ძველისაგან განსხვავებული საზოგადოების, ე. ი. კომუნისტური საზოგადოების შექმნა“.

ლენინი

(თხზ., ტ. 31, გვ. 339).

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ევა შგრიგმაგერი

ღ ი მ ი ლ ი

სიყვარულია ჩემი სიცოცხლის წყარო,
როცა ვუყვარვარ ვინმეს, ბავშვივით ვხარობ,
როცა სიკვდილი არარაობად შემცვლის,
მსურს დარჩეს ჩემგან
მხოლოდ ღიმილის ცეცხლი.
სიყვარულია ყველაზე დიდი მადლი,
რომელსაც კაცთან მისასვლელ ბილიკს ვადრი,
არადროს ვიკლავ სიყვარულის ჟინს გულში,
ჩემს ნამდვილ სახეს ყველას გულღიად ვუხსნი,
მიმნდობ სახეზე სხვათა სიცილი ღვივის.
რაიც მიმდიდრებს მრავალფეროვან ღიმილს.

დაკარგული წელიწადი

დაკარგული წელი,
დიდი დრო და ხანი,
ნვრილად გაფლანგული
იმედები ხვალის,
აბლაბუდას ქსელი,
სექტემბერი მწველი,
დათრთვილული გლოვით
დაკარგული წელი.

მგრძნობიარობა

სხვებზე ამბობენ —
გრძნობა აქვთ ჭარბად,
ჩემზე სხვაგვარად
იტყვიან ალბათ.
ჩემი ცხოვრების
წესი და რიგი,
წუწუნს და ჩივილს
გვერდს უვლის რიდით,
მე ინგლისური
ზრდილობა მიყვარს,
საკუთარ თავზე
რომ არ ძრავს სიტყვას
თავის დარდებში
არავის გასვევს,
უჩვენებს ყველას
უზადო სახეს.
მეც გულისგულში
ბევრ დღეებს ვნანობ,
მაგრამ მივყვები
ცხოვრების კანონს,
და ცოდნა, რასაც
გვერდს ვიღარ ვუვლით,
მე მიმსუბუქებს
ტყვილს და დუმილს.
დავმალოთ გრძნობა,
ასე რომ გვშვენის
და ჭრილობებიც
დავფაროთ ჩვენი.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ა პ რ ი ლ ი

ჩემი ლექსები მოპარულია,
ჩემი ლექსები მოარულია, —
დაწრეტილი და
დროთი ღარიბი
ვარ ჩაჭედილი
ტანჯვის ყალიბში.
ფუჭად ჩავლილა
სევდით მდიდარი...
ნუთისოფელი — ესევითარი!...

აპრილის დილა
სახემდიდარი...
ეროლვა გლეტჩერის.
გრილი ნიავის...
ქათქათა თოვლის
მარადი ბრწყინვა —
და ვარდისფერი
ოცნების წვიმა...

ბედნიერება

დღეებს სამიჯნუროდ
ვერკინები,
ივნისი...
ლამეები წითელი,

არავითარი შეკითხვები,
მხოლოდ სიყვარულით ვითვრები.
გულმა თუ ტკივილით იკივლოს —
შენად
ნუ მიითვლი, სიკვდილო!

გრძნობის შემოტევა

ყოველთვის არსებობს
მეორე ნაპირი,
არსებობს ქვეყნად
დრო მნარე, მშვიდიც,

არსებობს პასუხი,
როდესაც გაჰყვირი,
მაგრამ შუა უძევს
უფსკრული დიდი!

მარადიულობა

ბოლოს და ბოლოს იქითკენ მიდის,
ყოველი გზა და ყოველი ხიდი,
რომ ვოქვათ სიტყვებით ჩვენი
სათქმელი
ხვალინდელია თუ დღევანდელი.
წინათ მეგონა — ჩემთვის ვწერ
მეთქი,
ახლა კი მხოლოდ
სხვისთვის მსურს წერა,
მინდა ითარგმნოს დღეს ჩემი
ლექსი—

კიდით კიდემდე
გადანვდეს ყველას.
ვინც მოისმინოს სიმღერა ჩემი,
ვერ დაივიწყოს სტრიქონის ფერი,
მე ხომ უბრალო რამეზე ვმღერი
გასაგები და მარტივი ენით;
ლექსის თემა მაქვს, თავზე სამყოფი,
მაღელვებს ჩვენი ყოფნა, არყოფნა,
ბრძოლა-ცხოვრება
ყოველდღიური,
გულისტკივილი მარადიული.

გერმანულიდან თარგმნა მედეა კაჩიძემ

ეროვნული
ბიბლიოთეკა

სპარსული პოეზია

დაყიყი
(X ს.)

და იმ ორს მონებს ერი და ბერი

ქვეყანას ორი
რამით იპყრობენ
და იმ ორს მონებს ერი და ბერი:
ეროს ლეგა ფერი
გადაჰკრავს ფარჩის,
მეორეს ადევს ზაფრანის ფერი.
ერთი ოქროა,
ზედ რომ ტვიფრავენ
სახელს, მეფობის ვისიც დგას ჯერი,
ხოლო მეორე
ივმენური
რკინაა ბასრი და რისხვით მზერი.
მეფობის ჟინმა
თუ აგიტანა,
თუ მეფის სკიპტრის გსურს იყო
მჭერი,
განგებაც უნდა
ვწყალობდეს, მაგრამ
ვერას იქმ მარტო განგების
ცქერით.
პირით ბადაგი
უნდა გდიოდეს,
ხელით — ბაჯაღლო დინარის ჩქერი,
გულში მოყვრობაც
გედვას და მტრობაც, —
მოყვასს ეფერო და მუსრო მტერი.
ორი რამ გინდა,
თუ გსურს, ქვეყანამ
გმონოს და მოგცეს ხარკი და ზვერი:
პირველი იგი
ოქროს ქისაა,
ხოლო მეორე — მახვილის წვერი!

ჟესაი მარაველი
(X ს.)

ცრუ სოფელს ვენდე

და იდგა სამას ორმოცდაერთი
წელი ჰიჯრული
წელთათვლით ჩვენით,
დღით ოთხშაბათი,
სამი დღე უკლდა,
მიწურვილიყო შევალის დღენი*.
რისთვის მოვედი
ამ ქვეყნად? საქმით
რა უნდა მექნა ან მეთქვა ენით? —
უნდა მემღერა და დღენი
ჩემნი
უნდა განმევლო შვებით და ლხენით,
მერე ვით განვვლე?
ამ წუთისოფელს
მივათრევ, როგორც ჯაგლაგი ცხენი

*) 953 წ. 16 მარტი. შევალი — მუსულმანური მთვარის კალენდრით წლის მეათე თვე.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ოჯახის ტყვე ვარ,
ცოლ-შვილის მონა,
დამდაბლების და დამცრობის
მთმენი.
ორმოცდაათი
წელი გავლილე,
რა შეერჩა ხელში, რისი ვარ მძენი?
ხელთ მაქვს ანგარიშსწორების
წიგნი
ათასი წყენის, ჭირის და სენის.
როგორ მოვაბამ
თავს ანგარიშის
სწორების ამ წიგნს, რომც ვიყო
ბრძენი,
როცა სიცრუე
მიძევს საძირკვლად,
ხოლო სირცხვილმა ამივსო სხვენი!
თავი სიხარბეს
ჩავუგდე ხელში,
სიწუწკისაგან მივიღე ძღვენ...
ცრუ სოფელს ვენდე,
მათხოვრად ვიქეც
და ამაზრზენი საქმენი ვქენ...
ლერწამს ვემსგავსე
ამდენი ზრუნვით,
ამდენი შრომით, წყრომით და
წყენით,
თმა რძისფრად მექცა,
ღაწვები — ლილის,
გულში კი ნაღველს ვტენი და ვტენი...
ვით გასაწკეპლი ბავშვი
წკეპლის წინ,
კანკალებს, ახლოს არ ჩანან მწენი,—
სიკვდილის შიშით
ვძრწი დღე და ღამე
და ვერ მშველიან ადამის ძენი.

ფერეხი
(X-XI ს.ს.)

სანამ სისხლი გიდუღს

რა კარგია, როცა გიყვარს
და გულს გიძრავს მისი ვნება,
რა კარგია, დედაკაცის
მძიმე დალალებით ება!
რა კარგია გულის სწორთან
ფეხის მორთხმა, ნოხის გება,
შეჰყევ სმას და ტკბილზე ტკბილი
ღვინო წრუპე ნება-ნება,
სანამ გიდუღს სიჭაბუკე,
სანამ სისხლი თვისას შვრება,
თორემ როცა დაბერდები,
შვებაც მშვიდად მოგეშვება.
არ ეგების ჭაბუკისთვის
სიჭაბუკის უქმად დება,
იმის ქება როგორ ითქმის,
ვინც არ იხდის ტრფობის სნებას!
ბაგე შენი ქალის, ქალის
ბაგეებზე თუ არ დნება,
რაღა შენი ქვეყნად ყოფნა,
რაღა გზაზე ჯირკის გდება.
სიყვარული შვების ტაძარს
აბია და კარად ება.
მაშ, შეაღე შენც ეს კარი,
მაშ, იგრძენი შენც ეს შვება!

საადი
(XII ს.)

რა აზრი აქვს მაშინ

ეს საწუთრო, ჩემო ძმაო,
სხვას ვის დარჩა, შენ რომ დაგრჩეს,
მე შენს საშველს აქ ვერ ვხედავ,
მიეკედლე ისევ გამჩენს!
როგორ გინდა, სოფელს ენდო,
ამ სოფელმა, იცი როცა,

შენიხთანა შევრი ზარდა,
მაგრამ ყველა ამოხოცა.
სული გაყრას რომ დაგიწყებს,
რა აზრი აქვს მაშინ, ვინ ხარ,
სახელმწიფო ტახტზე ზიხარ
თუ მათხოვრად მტკვერში გდიხარ?!

კარგი სახელი

სულ ამას ტირი:
მრავალი მყავსო
ცუდის მდომი და ავის მოსურნე;
სულ ამას ჩივი:
ხალხში თავს მჭრის და
აბრუს მიტეხსო ძველი მოშურნე;
სულ ამას სწუხარ:
დანას ლესაეენ
მტრები, რომ სისხლი ჩემი ღვარონო;
სულ ამას შიშობ:
კარგი სახელი,
ძლივს რომ ვიშოვე, არ მომპარონო!
აბა მე გეტყვი:
სიკეთეს სდევდე
და გიწოდებდნენ სიავის ჩამდენს,
სჯობს, ვიდრე ჩუმად
სიავეს თესდე
და გარეგნულად კეთილი ჩანდე!

სანაგ
(1080—1140)

საკუთარ თავს ვჩხრეკ

საკუთარ თავს ვჩხრეკ,
დამიდგა ჟამი,
თავად, ვიცოდე, თუ რა ხვითო ვარ,
გუნებით რა ვარ,
გავიგო ანდა
ბუნებამ გვამში რა ჩამიტოვა.
ვიცი, შეცნობა
ვისაც ჭსურს საგნის,
უნდა შეხედოს ამ საგანს თვითონ,
მაგრამ მე როგორ
უნდა შევიძლო,
შენ, თავო ჩემო, შორიდან გჭვრიტო!
ჩიგნითა არსი
ქაცვით მაქეს სავსე,
ხოლო გარედან შროშნად ვყვავიეარ,
რომ შემომხედავ,
თეთრ ქორად ვჩანვარ,
მაგრამ თუ გამჩხრეკ, შავი ყვავი ვარ.
ჩვენებით ბადაგს
გაჩვენებ, მაგრამ
სმევით ეხამს გასმევ და გესლით
გგესლავ;
საქმით გიმუხთლებ
და გიორგულებ,
სიტყვით კი ურცხვად გფიცავ და
გესავ,
ნუ მოხვალ ჩემთან,
წყურვილით ტანჯულს
წყლად არ გეჩვენო უდაბნოს წირი,*
მე მაცთური ვარ
და მაძახური,
შენ ღვთისნიერი გგონივარ მნირი.
მე ღრუბელი ვარ,
შენ ხვატი გაღრჩობს
და სასოებით მე მაპყრობ მზერას,
მე კი წვიმაზე
არც მიფიქრია
და მიკვირს, ჩემი რომ კიდევ გჯერა!
ამფსონნი კაცთა
თვალთა სინათლედ
მიხმობენ, მაგრამ ხომ ვიცი თავად,
თვალთა სინათლედ
სხვას ვით ვექმნები,
როდესაც თვითონ ბეცი და ბრმა ვარ!
ვიყავი ხარბი,
ვიყავ უძღები,
ვნებათა ჩემთა არ ჰქონდა კიდე,
გულის ყანაში
ლენცოფა ვთესე
და დღეს რად გიკვირთ, ლენცოფას
ვმკიდე!

*) მირაჟი (ქართ.).

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ჰაფეზი
(XIV ს.)

რას გვერჩით ახლა

მას შემდეგ, რაც დღეს
ჩვენ ვნახეთ, ხალხნო,
ღვთის მადლს რა ვუთხრათ ან კაცის
ამაგს? —
დღეს ლოცვის ნაცვლად
ჩვენს ფირს* დუქანში
ღვინის სმა ჰქონდა და პურის ჭამა!
ჩვენ, მის შეგირდებს,
რას გვერჩით ახლა,
მიზგითში ერთს თუ გამოვრჩით
ნამაზს,
როდესაც ღვინის
სარდაფში უდევს
ბუდე ჩვენს მოძღვარს და სჯულის
მამას!
ის თუ იქ ლოთობს,
ჩვენ ჩვენი რწმენის
სარდაფში ვისხდეთ, ვის რაში ჰგამა?
რაც მაქვს ბუნება,
დასაბამით მაქვს
თვინიერ მისდა ამქვეყნად რა მაქვს!
დალალთა მისთა
ხლართებში გაბმა
რა თავბრუს მახვევს, რომ მიხვდე
ამას,
ჭკვიანო, შენც კი
დაკარგავ ჭკუას
იმ ბორკილისთვის, მე რომ დღეს
დამაქვს!

*) რელიგიური ორდენის თუ თემის მეთაური.

ის, უხილავი

რამდენჯერ მითქვამს
და ახლაც ვამბობ
(განვიმეორებ ჩემს ნათქვამს კიდევ):
ამ გზას მე ჩემით
არ დავდგომივარ,
მომყევო! — მიხმო და გავეკიდე.
ვით თუთიყუშმა
არ უწყის, ვისას
რას იმეორებს (მწვრთნელს ჰფარავს
რიდე)*
ის, უხილავი,
მე მხმობს: ეს თქვიო!
და მეც მის ნათქვამს ვფენ კიდით-
კიდე.
არ ვიცი და არც
ვკითხულობ, რა ვარ,
არც ვეძებ, ხელი რა საქმეს ვკიდე, —
ეს მას მოჰკითხეთ
ჩემთ გადამკიდეთ, —
მე ვარდად მკრეფდეთ, თუ ეკლად
მმკიდეთ.
ის კიდევ ზილფთა
შენთა სურნელმა
ისე დაათრო, ველად რბის ხელი!

*) თუთიყუშს თურმე ასე წვრთნიან: სარკის წინ დასვამენ, თვითონ კი სარკის უკან ჩაჰფარებული ფარდით დაფარულნი, სიტყვებს წარმოსთქვამენ. ფრინველს კიდევ ეს თვისი ორეული სხვა, მოლაპარაკე ფრინველი ჰგონია და ბაძავს მას (მთარგმნ.).

სპარსულიდან თარგმნა მაგალი თოდუამ

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ლენინი გვასწავლის

ივანე ქოჭაღია

ლენინი ახალგაზრდობის კომუნისტური აღზრდის შესახებ

საბჭოთა ხალხი, მთელ პროგრესულ კაცობრობასთან ერთად, აღნიშნავს ვ. ი. ლენინის დაბადების 110-ე წლისთავს. ვ. ი. ლენინმა შემოქმედებითად განავითარა და გააძრავლა კ. მარქსისა და ფ. ენგელსის თეორიული მემკვიდრეობა. „ლენინიზმი — ეს არის, ნათქვამია სკკპ ცკ-ის დადგენილებაში ვ. ი. ლენინის 110-ე წლისთავის შესახებ, თანამედროვე ეპოქის მარქსიზმი, საერთაშორისო მუშათა კლასის ერთიანი, მთლიანი, განუყოფელი განვითარებადი მოძღვრება".

ვ. ი. ლენინმა განსაზღვრა ახალგაზრდობის კომუნისტური აღზრდის ძირითადი პრინციპები. ვ. ი. ლენინის დებულებებზე დაყრდნობით სკკ პარტიამ დასახა თანამედროვე პირობებში იდეოლოგიური, პოლიტიკურ-აღმზრდელობითი მუშაობის ეფექტიანობის ამაღლების მთავარი გზა — კომპლექსური მიდგომა აღზრდის საქმის დასაყენებლად: პოლიტიკური, შრომითი და ზნეობრივი აღზრდის ერთიანობა.

ახალგაზრდობის აღზრდა რთული და საპასუხისმგებლო საქმეა. იგი გულისხმობს მომავლის მშენებელთა სულისკვეთებისა და ხასიათის ფორმირებას, გულისხა და გონების გაპოწრთობას. ჯერ კიდევ 1906 წელს, იმოწმებდა, რა ფ. ენგელსის სიტყვებს, ვ. ი. ლენინი წერდა: „ჩვენ შომავლის პარტია ვართ, მომავალი კი ახალგაზრდობას ეკუთვნის. ჩვენ ნოვატორების პარტია ვართ; ხოლო ნოვატორებს ყოველთვის მეტი ხალისით მისდევს ახალგაზრდობა"[1].

განვითარებული სოციალიზმის პირობებში განსაკუთრებით იზრდება საბჭოთა ხალხის, მეტადრე ახალგაზრდობის შეგნებულობის როლი კომუნისტური საზოგადოების მშენებლობაში. ახალგაზრდობის საქმიანი კეთილფიცადა უდიდესი საზოგადოებრივი სიმდიდრეა. მშრომელი მასების, კერძოდ ახალგაზრდობის აღზრდა მაღალი კომუნისტური შეგნებულობის სულისკვეთებით განვითარებული სოციალიზმის კომუნიზმში გადაზრდის დიდმნიშვნელოვანი პირობაა.

ვ. ი. ლენინმა 1920 წელს კომკავშირის მესამე ყრილობაზე გამოსვლაში ახალგაზრდობის წინაშე დააყენა პროგრამული მოთხოვნა: „ვისწავლოთ კომუნიზმი". შემდგომში გაშლილი სახით მან ეს მოთხოვნა უფრო სრულყო: „ჯერ ერთი — სწავლა, მეორე — სწავლა და მესამე — სწავლა".

ახალი ცხოვრება თუ გინდა აშენო, უნდა გქონდეს ცოდნა. კომუნისტური მრწამსი ყალიბდება, უწინარეს ყოვლისა, ადამიანის ხერთო სულიერი ზრდის საფუძველზე. ახალგაზრდობამ არ შეუძლია კომუნიზმის აშენება, წერდა ვ. ი. ლენინი, ცოდნათა იმ ჯამის შეუთვისებლად, რომელის შედეგი თვით კომუნიზმია. „იმის ნიმუშს, — დასძენდა იგი, — თუ როგორ წარმოიშვა კომუნიზმი კაცობრიობის ცოდნათა ჯამიდან, წარმოადგენს მარქსიზმი"[2].

კომუნისტური აღზრდის თეორიული წყარო

[1] ვ. ი. ლენინი. თხზ., ტ. 11, გვ. 422.

[2] ვ. ი. ლენინი. თხზ., ტ. 31, გვ. 342.

მარქსიზმ-ლენინიზმია. მიხი დაუფლება თვით სპეციალობის ღრმად და საფუძვლიანად ათვისების პირობაა. ამიტომ აქცევს პარტია, კომკავშირი ესოდენ დიდ ყურადღებას შრომელთა, ახალგაზრდობის პოლიტიკურ თვითგანათლებას.

მარქსიზმ-ლენინიზმის მასობრივი შეისწავლა საბჭოური ცხოვრების წესის, საზოგადოებრივი შეგნების ამაღლების თავისებურება გახდა. გასულ ხასწავლო წელს კომკავშირულ-პოლიტიკური განათლებაში რვა მილიონი ახალგაზრდა იყო ჩაბმული. პარტია, ამავე დროს, დღენიადაგ ზრუნავდა შრომელთა, ახალგაზრდობის ზოგადსაგანმანათლებლო დონის ამაღლებისათვის. საბჭოთა ხელისუფლების გარიგებაზე ვ. ი. ლენინი ოცნებობდა ჩვენი ქვეყანა გამხდარიყო მთლიანად წიგნიერი ახალგაზრდოო. პარტიამ დიდი ხანია ეს ამოცანა გადაწყვეტა. განვითარებული სოციალიზმის ეტაპზე საყოველთაო საშუალო განათლების მოთხოვნაც განხორციელდა. ახლა მარტო ჩვენი რესპუბლიკის კომკავშირელთა 65 პროცენტზე მეტს აქვს საშუალო, არასრული უმაღლესი და უმაღლესი განათლება. მეოთე ხუთწლედის დასასრულს ყოველ მეათე საბჭოთა მოქალაქეს ექნება უმაღლესი და საშუალო განათლება. ასეთია პოლიტიკური და კულტურული რევოლუციის შერწყმის შედეგი.

ვ. ი. ლენინმა მეცნიერულად განსაზღვრა სწავლების აღზრდასთან შეხამების პრინციპი. სწავლების პროცესი, წერდა ლენინი, უნდა იყოს დაკავშირებული კომუნისტური აღზრდის პროცესთან. ისინი არსებითად უნდა ერწყმოდეს ერთმანეთს. კომუნისტური იდეურობის ფორმირებისათვის მხოლოდ თეორიული განათლების მიღება როდი საკმარისი. კომუნიზმის შესწავლა არც მხოლოდ იმის შეთვისებას ნიშნავს, რაც ნაკვეთია სახელმძღვანელოებში ან წიგნებში კომუნიზმის შესახებ. საჭიროა პრაქტიკული გამოცდილების შეძენა, თეორიული ცოდნის განმტკიცება საჭმით. ვ. ი. ლენინს ძველი სკოლის მასწავლებელ მიაჩნდა „წიგნის სრული გათიშვა ცხოვრების პრაქტიკისაგან". თეორია ორგანულად უნდა იყოს დაკავშირებული პრაქტიკასთან. „შუშაობის გარეშე, ბრძოლის გარეშე, — წერდა ვ. ი. ლენინი, — კომუნიზმის მწიგნობრული ცოდნა... არაფერად არ ღირს"[3]... „საბჭოთა სკოლა მოწოდებულია აღზრდის არა მარტო განათლებული, არამედ პოლიტიკურად წიგნიერი, კომუნისტისათვის თავდადებული მებრძოლი". კარგადაა ნათქვამი: მოსწავლე ახალგაზრდა ჭურჭელი როდია, რომელიც უნდა ავავსოთო, არამედ ჩირაღდანია, რომელიც უნდა ავანთოთ. საჭიროა თეორიული აღზრდა შეეუხამოთ რევოლუციურ პრაქტიკას, საწარმოო და საზოგადოებრივ-პოლიტიკურ აღზრდას. დღესაც სახელმძღვანელო მნიშვნელობა აქვს ვ. ი. ლენინის მითითებას: „... სკოლა ცხოვრების გარეშე, პოლიტიკის გარეშე, — ეს სიცრუეა თავლიმაკლობა".[4]

პრაქტიკას შეხამებული ცოდნა მოითხოვს შემოქმედებით აზროვნებას, მეცნიერების დედაარის დაუფლებას. მარქსიზმში მოთავარი არა ანბანი, არამედ არსი. ჩვენი სკოლის ამოცანა, წერს ლ. ი. ბრეჟნევი, ახალგაზრდობას ჩაუნერგოს შემოქმედებითი აზროვნების ჩვევები. მაგრამ არანაკლებ მნიშვნელოვანია საქმის მეორე მხარე — კომუნისტური მსოფლმხედველობის ჩამოყალიბება საბჭოთა ადამიანებისათვის მეცნიერული მსოფლმხედველობის ფორმირება სკკ პარტიის ცენტრალური კომიტეტის ცნობილ დადგენილებაში იდეოლოგიური მუშაობის თაობაზე, პოლიტიკური აღზრდელობითი საქმიანობის დედაარსადაა გამოცხადებული.

ვ. ი. ლენინმა განსაზღვრა ცოდნისა და მსოფლმხედველობის თანაფარდობის პრინციპები.

მსოფლმხედველობა ცოდნისა და რწმენის შენადნობია. „შეიძლება ცოდნა-განათლება გკონდეს, — ამბობდა ე. ა. შევარდნაძე საქართველოს სტუდენტთა რესპუბლიკური აქტივზე გამოსვლაში, — რწმენა კი არა... მაგრამ ისიც ცხადია, რომ ცოდნის გარეშე ურაეევი რწმენა არ ყალიბდება". იდეების ცოდნა, ვიდრე ის რწმენად არ ქცეულა, ჯერ კიდევ არაა იდეურობა. ცოდნისა და რწმენის, სიტყვისა და საქმის თანაფარდობის საკითხი განსაკუთრებით აქტუალური გახდა განვითარებული სოციალიზმის პირობებში. ამიტომ წამოსწია წინა პლანზე ეს პრობლემა სკკ პარტიის და საქართველოს კომპარტიის XXV ყრილობამ. მარქსისეული ადამიანისათვის უცხოა გაორება და უარინციობა. მებრძოლური ხასიათი იდეური ადამიანის ნიშანთვისებაა.

შემოქმედებითი შრომა და კომუნიზმის მშენებლობის პრაქტიკა მეცნიერული მსოფლმხედველობის ჩამოყალიბების მატერიალური საფუძველია ცოდნა და პრაქტიკული უმოქმედობა შეუთავსებელია იდეური ადამიანისათვის. ამ დებულების სისწორეს ადასტურებს კომუნიზმის მშენებლობის თანამედროვე პრაქტიკა. საბჭოთა ახალგაზრდობამ თავისი ადმფორენა შეაქვს კომუნიზმის მშენებლობის უმნიშვნელოვანეს უბნებზე — ტიუმენის ნავთობის სარეწებზე, ბაიკალ ამურის მაგისტრალზე, ენგურჰესის მშენებლობაზე და სხვ. ახალგაზრდობის პოლიტიკური აღზრდის ეფ-

---

[3] ვ. ი. ლენინი. თხზ., ტ. 31, გვ. 341.

[4] ვ. ი. ლენინი. თხზ., ტ. 28, გვ. 88.

ივანე ქოგალია
ლენინი ახალგაზრდობის კომუნისტური აღზრდის შესახებ

ექტურობის საზღვრებ მისი კონკრეტული საქმიანობა. ამრიგად, კომუნისტური იდეურობა არის ცოდნის, რწმენისა და პრაქტიკული მოქმედების შეჯამებინი.

კომუნისტური მრწამსის ჩამოყალიბების მნიშვნელოვანი პირობაა ახალგაზრდობის აღზრდა ინტერნაციონალიზმისა და საბჭოთა პატრიოტიზმის სულისკვეთებით.

ბურჟუაზიის იდეოლოგები ან უგულებელყოფენ ეროვნულს (ეროვნული ნიჰილიზმი) ან ზეგიადებენ მას (ნაციონალიზმი). სინამდვილეში, ეროვნულსა და ინტერნაციონალურს შორის ორგანული კავშირია. ნამდვილი ეროვნული იდეები ამავე დროს ინტერნაციონალური იდეებია. ასეთივე მიმართებაა პატრიოტიზმსა და ინტერნაციონალიზმს შორის.

საბჭოთა პატრიოტიზმი ბუნებით ინტერნაციონალურია. პატრიოტიზმს უპირისპირდება არა ინტერნაციონალიზმი, როგორც ჩვენს იდეურ მოწინააღმდეგეებს ესახებათ, არამედ ნაციონალიზმი. საბჭოთა პატრიოტიზმი გულისხმობს მშობლიური მიწა-წყლის, ხალხის ტრადიციებისადმი სავალალოს ორგანულ შეხამებას სოციალიზმის, კომუნიზმის საერთო მიზნებისათვის.

განვითარებული სოციალიზმის პირობებში ინტერნაციონალიზმი მეცირეროცხოვან კომუნისტთა იდეალიდან ყველა ერისა და ეროვნების რწმენისა და ქცევის ნორმად იქცა. ჩვენში არ არსებობს ნაციონალიზმისა და შოვინიზმის სოციალური საფუძველი. მიუხედავად ამისა, მშრომელთა, განსაკუთრებით ახალგაზრდობის აღზრდა საბჭოთა პატრიოტიზმისა და სოციალისტური ინტერნაციონალიზმის სულისკვეთებით პარტიის, კომკავშირის ერთ-ერთი დიდმნიშვნელოვანი ამოცანაა.

საბჭოთა ხალხმა საბოლოოდ გადაუვლია ეროვნული საკითხი მის იმ ასპექტებში, რომლებიც წარსულისადან მოვიღეთ. მაგრამ ჯერ კიდევ გვხვდება ნაციონალიზმისა და შოვინიზმის გადმონაშთები ეროვნული კარჩაკეტილობის, ეგოისტურობის და სხვ. სახით. „...ეროვნული ცრურწმენები... შეტად სიცოცხლუნარიანნი მოვლენაა, — წერს ლ. ი. ბრეჟნევი, — რომელიც გამჯდარია პოლიტიკური თვალსაზრისით არასაკმაოდ მომწიფებულ ადამიანთა ფსიქოლოგიაში. ეს ცრურწმენანი ცოცხლობენ ისეთ პირობებშიც, როცა ერთა შორის ურთიერთობაში რაიმე ანტაგონიზმი-სათვის ობიექტური წანამძღვრები დიდი ხანია აღარ არსებობს".[5]

პარტია, კომკავშირი დღენიადაგ სრულყოფს ინტერნაციონალიზმი და პატრიოტული აღზრდის მეთოდებსა და საშუალებებს. ამ საქმეში ემსახურება ინტერნაციონალური მეგობრობის კლუბები, ხალხთა მეგობრობის უნივერსიტეტები, ლიტერატურა და ხელოვნება, რომელიც, როგორც ლ. ი. ბრეჟნევმა კომკავშირის XVII ყრილოვნაზე აღნიშნა, საბჭოთა ხალხს სისხლი სისხლთაგანი და ხორცი ხორცთაგანია. ჩვენი რესპუბლიკის ინსიდველში მეგობრობის თეატრი და მეგობრობის მუზეუმი მშრომელთა ინტერნაციონალური აღზრდის ცენტრებად იქნნენ. ლენინიზმის მიხედვით პატრიოტული და ინტერნაციონალური აღზრდის ურთიერთკავშირი და ერთიანობა ვლინდება როგორც ეროვნული ღირსებისადმი პატივისცემაში, ისე ნაციონალიზმისა და შოვინიზმის რეციდივებისადმი შეურიგებლობაში.

კომუნისტური მრწამსის ჩამოყალიბების მნიშვნელოვანი პირობაა ახალგაზრდობის აღზრდა ბურჟუაზიული იდეოლოგიისა და მორალისადმი შეურიგებლობის სულისკვეთებით. ვ. ი. ლენინი წერდა „ჩვენ დაღესრმევად უნდა ვებრძოლოთო ყოველგვარ ბურჟუაზიულ იდეოლოგიას, რა ახალშიდის და ბრწყინვალე სამოსელშიც უნდა ეხვიეოს იგი".[6] იდეოლოგიური ბრძოლის გამწვავება ჩვენი ეპოქის ერთ-ერთი ნიშანთვისებაა.

ბურჟუაზიული იდეოლოგია ცდილობს შეალამაზოს კაპიტალისტური სინამდვილე და ჩირქი მოსცხოს ჩვენს სოციალურ და სულიერ ღირებულებებს, ხახელი გაუტეხოს რეალურ სოციალიზმს. ისინი განსაკუთრებულ იმედს ამყარებენ ახალგაზრდობის იდეურ კვნარალებაზე, ცდილობენ მოშზამონ საბჭოთა ახალგაზრდობის ზოგიერთი ჯგუფის შეგნება ნიჰილიზმისა და ურწმუნოების ზმაზით, დაწერეგონ მათში სკეპტიციზმი და აპოლიტიკურობა. სიმრთლე სოციალიზმის შესახებ მძლავრი იარაღია ორი იდეოლოგიის ბრძოლაში.

ჩვენი ხალალმწიფო განუხრელად იცავს ორი სისტემის მშვიდობიანი თანაარსებობის ლენინურ პრინციპს. მაგრამ შეუძლებელია თანაარსებობა იდეოლოგიის სფეროში. ვ. ი. ლენინი წერდა: არ შეიძლება „კომპრომისი „თეორიაში, პროგრამაში, დროშაში". რევოლუციური მოძრაობის დროშა შეიძლება იყოს მხოლოდ მეცნიერული სოციალიზმისა და კლასობრივი ბრძოლის მოძღვრება, პრინციპები არ რიგდებიან, ისინი იმარჯვებენ ბრძოლაში.

ლენინიზმის მიხედვით იდეური ბრძოლა სახელმწიფოებრივ ნორმალურ ურთიერთობას არ გამორიცხავს. ამა თუ იმ იდეოლოგიის გამარჯვება იარალის გზით კი არ უზრუნველყოთ. ეს საშიში კურსია, რომელსაც შეიძლე-

5 ლ. ი. ბრეჟნევი. საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის ორმოცდაათი წლისთავი, თბ., 1972. გვ. 31-32.

6 ვ. ი. ლენინი. თხზ., ტ. 5, გვ. 424-425,

ბა მოჰყვეს იდეური ბრძოლის გადაზრდა „ფსიქოლოგიურ ომად“. სწორედ ასეთი კურსი აიღო უკანასკნელ პერიოდში ეშმ-ს და ჩინეთის ხელმძღვანელობამ.

კომუნისტური აღზრდის ერთ-ერთი ძირითადი მიზანია ახალგაზრდობისათვის შრომასადმი კომუნისტური დამოკიდებულების ჩანერგვა, მათი შრომითი აღზრდა.

ორგანული კავშირია როგორც სწავლებასა და აღზრდას, ისე შრომასა და აღზრდას შორის. შრომა ყველაზე დიდი მასწავლებელია. უსაქმურობა იწვევს ადამიანის სულით დაცემას, ხასიათის დაძაბუნებას. პარტიის პროგრამაში საზოგადოებრივად სასარგებლო შრომა გამოცხადებულია საბჭოთა ადამიანის წმინდათაწმინდა მოვალეობად. ეს მოთხოვნა კანონმდებლურად დამკვიდრდა ავარეული სსრ კავშირის ახალ კონსტიტუციაში.

კომუნისტური პარტია, ლენინური კომკავშირი განსაკუთრებით დიდ მნიშვნელობას ანიჭებენ შრომისადმი პატივისცემის სულის-კვეთებით ჭაბუკთა და ქალიშვილთა აღზრდა. ფ. ე. ლენინი მოითხოვდა სწავლების შრომასთან ორგანულ შეუბამებას და პირველად „...შეუძლებელია წარმოვიდგინოთ მომავალი საზოგადოების იდეალი უიმისოდ, — წერდა იგი, — თუ ახალგაზრდა თაობის სწავლებისა ნაყოფიერი შრომასთან არ იქნა შეერთებული; ვერც სწავლა-განათლება ნაყოფიერი შრომის გარეშე, ვერც ნაყოფიერი შრომა პარალელური სწავლებისა და განათლების გარეშე ვერ იქნება აუვანილი იმ სიმაღლეზე, რომელსაც ტექნიკის თანამედროვე დონე და მეცნიერული ცოდნის მდგომარეობა მოითხოვს“7.

ახალგაზრდობის შრომითი აღზრდის მნიშვნელოვანი საშუალებაა მუშაობა და გლეხობა ახალი შეხედვა. შესაბამისედან ამაღლია პოლიტექნიკური სახსოვნელების, როლი. ფართოდ გავრცელდა დამრიგებლური მოძრაობა. განვითარებული სოციალიზმის ეტაპზე მთელი სისრულით ისხამს ხორცს ლენინური დიტოლება, ბხოლოდ მუშებთან და გლეხებთან საერთო შრომაში შეიძლება გახდეთ ნამდვილი კომუნისტი.

მომწიფებული სოციალიზმის პირობებში ძირეულად შეიცვალა შრომის ხასიათი და შინაარსი. იზრდება ახალი ტიპის მუშაკი, რომელს ხაქმიანობაში ორგანულადაა შერწყმული ფიზიკური და გონებრივი შრომა. ახლა მთავარია არა მარტო შრომის საყოველთაობის პრინციპის დაცვა, არამედ, და ეს კიდევ უფრო არსებითია, წარმოების ეფექტიანობასა და ხარისხის ამაღლება. ჩვენი ახალგაზრდები არ უნდა იზრდებოდნენ გუოგრილ ხელოსნებად. ესინი უნდა იყვნენ, წერს ლ. ი. ბრეჟნევი, თავიანთი ხაქმის ნამდვილი [illegible] ვანნი, ოსტატები. შუშაობის ხარისხის ამაღლება ლენინური კომკავშირის ხაბრძოლო ამოცანაა.

შრომითი აღზრდის მნიშვნელოვანი პირობაა დროის ეკონომიის, მოამზირნების რეჟიმის დაცვის შესახებ ვ. ი. ლენინის მოთხოვნის ცხაუნრელი დაცვა. ლენინიზმი განსხვავებულ ცნებებს: მოამზირნობა და სიძოწეწე, გულსაკვთობა და მფლანგველობა. იდეურობა ადამიანმა კარგად იცის დროის ფაქტორის დაფასება.

შრომითი აღზრდის მნიშვნელოვანი ფაქტორია თავისუფალი დროის რაციონალური გამოყენება. სოციალიზმმა შემქნა შრომის ახალი ხასიერო. ჩვენს ქვეყანაში ხაშუშო კვირის ხანგრძლივობა 1918 წელთან შედარებით 18 ხაათით ნაკლებია. მაგრამ ზოგჯერ თავისუფალ დროს ფუქად ხარჯავენ. ამას გაანაკუთრებით დიდი ზიანი მოაქვს ახალგაზრდობისათვის. „უსაქმურობა, ქეიფი, მოწეწენელი, მე ვიტყოდი, „ბხარულება“ „დროის მოკლელობა“ მიზნით, — ახალგაზრდობის წესებს ეს დანაკარგები, — წერს ლ. ი. ბრეჟნევი, — შემდგომში ძნელი ანანაზღაურებელია“.8 თავისუფალი დრო ხაზოგადოების წინაშე პასუხისმგებლობისაგან თავისუფალი დრო რომია.

ახალგაზრდობის შრომითი აღზრდის დიდმნიშვნელოვანი პირობაა შრომის დისციპლინის აღზრდა.

მომწიფებული სოციალიზმის პირობებში მთელიანად დამკვიდრდა მარქსისტულ-ლენინური პრინციპი: „ვინც არ მუშაობს, ის არც ჭამს“. სოციალისტური წარმოება ემსახურება ადამიანის მატერიალური და სულიერი მოთხოვნილებების დაკმაყოფილებას. კომკავშირი უფდამ მოწინავე მიჯნებზეა. 350 ათასზე მეტი ახალგაზრდა კომკავშირული ხაგზურეანი წავიდა ყამრის ახალგიანებლად. მეცხრე ხუთწლედში ხტუფენტთა ხაალმენერბო რაზეგმაზე შესარულეს დაახლოებით 5 მილიარდი მანეთის ხამუშაო.

კომკავშირულ-დამკვრელურ ბრიგადებს ხაწარმოლიანად უწოდებენ მუშაოა უნივერსიტეტებს. ხაქართველოს კომკავშირის შრომით ხაქმიანობას მაღალი შეფასება მოსცა ხაბჭოთა მთავრობამ. დაჯილდოდა იგი ლენინის ორდენით. ბევრი ანალოგიური მაგალითთა მოტანა შეიძლება.

მიუხედავად ამისა, ჯერ კიდევ არიან მუქ-

7 ვ. ი. ლენინი. თხზ., ტ. 2, გვ. 584.

8 ლ. ი. ბრეჟნევი, სიტყვა სრულიად საკავშირო ალკა XVII ყრილობაზე, თბ., 1974, გვ. 17.

ივანე ქოჩალია
ლენინი ახალგაზრდობის კომუნისტური აღზრდის შესახებ

ეროვნული ბიბლიოთეკა

თახირები, რომლებიც გაურბიან შრომას და პარაზიტულად ცხოვრობენ. შრომის დისციპლინის დარღვევამ დიდი მავნებლობა მოაქვს საერთო საქმისათვის. პარტიას ჩვენი საქმიანობის ყველა სფეროში შრომის დისციპლინის განმტკიცება კომუნისტისათვის ბრძოლის დიდმნიშვნელოვან ფრონტად მიიჩნია. საყოველთაოდ ცნობილია ჩვენს რესპუბლიკაში შრომის დისციპლინის განმტკიცების უზრუნველსაყოფად საკრებულის პარტიული ორგანიზაციის მიერ გატარებულ ღონისძიებათა შედეგები. ამჟამად პარტია ხელმძღვანელობს ვ. ი. ლენინის მითითებით. „შრომის ახალი დისციპლინის ვგება,— წერდა ვ. ი. ლენინი,— ადამიანთა შორის საზოგადოებრივი კავშირის ახალი ფორმების ვგება, შრომაში ადამიანთა ჩაბმის ახალი ფორმებისა და ბერიტების ვგება, — ეს არის მრავალი წლისა და ათეული წლების საქმეა.

ეს ყველაზე უფრო მადლიანი და უკეთილშობილესი საქმეა“.[9]

ახალგაზრდობის კომუნისტური აღზრდის მნიშვნელოვანი მხარეა მისი ზნეობრივი აღზრდა. პარტია, კომკავშირი ხელმძღვანელობს ვ. ი. ლენინის მითითებით. „საჭიროა, რათა თანამედროვე ახალგაზრდობის აღზრდის, განათლების და სწავლების მთელი საქმე, — წერდა ვ. ი. ლენინი, — წარმოიდგენდეს მასში კომუნისტური მორალის აღზრდას“[10].

ვ. ი. ლენინმა განსაზღვრა კომუნისტური მორალის სოციალური როლი. სკკ პარტიამ ჩამოიყალიბა კომუნიზმის მშენებლის ზნეობრივი პრინციპები. ზნეობრივი აღზრდის პრობლემა ახალი ასპექტით წარმოაჩინა სკკ პარტიის XXV ყრილობამ. მან განსაზღვრა საბჭოთა ადამიანის მორალური სახის ძირითადი ნიშნები: შრომისმოყვარეობა, პატიოსნება, თავმდაბლობა, ამხანაგობა, ურთიერთპატივცემა და სხვ. კომუნისტური მორალი ამ ნორმების შენადნობია.

განვითარებული სოციალიზმის პირობებში გაბატონებული კომუნისტური ზნეობა. მისი ძირითადი ნიშნები მტკიცედ დამკვიდრდა საბჭოთა ხალხის ცხოვრებაში. მაგრამ ისინი ჯერ კიდევ არ ქცეულან ყველა საბჭოთა მოქალაქის ყოველდღიური ქცევის ნორმებად. ჩვენი განათლების საერთო დონეს ზოგჯერ არ შეესაბამება ჩვენივე პირადული ზნეობრივობა. საბჭოთა ადამიანის, მეტადრე ახალგაზრდობის მორალურ სახესთან შეუთავსებელია მომხვეველობა, კარიერიზმი, მექრთამეობა, სახელმწიფო დოვლათის დაკაცება, შრომის დისციპლინის დარღვევა და სხვა სოციალური წყლულები. ზოგიერთი პოლიტიკურად მოუმწიფებელი ახალგაზრდა ბაძავს საზღვარგარეთიდან შემოდწეულ ზნეჩვეულებებს და თავისი მეშჩანური შეხედულებებით ბღალავს საბჭოთა ახალგაზრდობის ღირსებას. ყოველივე ბელი ნეგატიური მოვლენების დაძლევა.

ზნეობა დაკავშირებულია ცოდნასთან და მოითხოვს მას. მაგრამ ყოველგვარი მორალური წარმატება როდი განამტკიცებს ინტელექტის ძალას. სოციალისტური რევოლუციის ერთ-ერთი ძირითადი შედეგია ცოდნისა და ზნეობის შერეთება.

კომუნისტური მორალის დამკვიდრებაც მოითხოვს ცოდნის შეხამებას რევოლუციურ პრაქტიკასთან. ვ. ი. ლენინი ახალგაზრდობი. საგან მოითხოვდა ცოდნის შეძენას არა საკუთარი სიამოვნებისათვის, არამედ ახალი საზოგადოების შენებისათვის. „კომუნისტურ ზნეობას, — წერდა ვ. ი. ლენინი, — საფუძვლად უდგას ბრძოლა კომუნიზმის განმტკიცებისა და დამთავრებისათვის“.[11] ზნეობრივია ის ქცევა, რომელიც ხელს უწყობს ჩვენს წინსვლას კომუნიზმისაკენ, პირიქით, რაც ხელს უშლის — ამორალურია.

ახალგაზრდობის ზნეობრივი აღზრდა ორგანულადაა დაკავშირებული შრომით აღზრდასთან. შრომისმოყვარეობა ზნეობრივი ადამიანის უპირველესი ნიშანია, სიზარმაცე კი — უზნეობა. ფიზიკური შრომისადმი პატივისცემა, წერდა ვ. ი. კალინინი, პროლეტარული მორალის ერთ-ერთი უძლიერესი ბურჯია. სწორად აღნიშნავს ა.კ. ლიტერიაგინი — ყოველი კაცის ძირითად ზნეობრივ ფასს, მის მორალურ სახეს შრომისადმი მისი დამოკიდებულება განსაზღვრავს. ვინც კეთილსინდისიერად არ შრომობს თავის სამუშაო ადგილას, მაღალი ზნეობრივი თვისების კაცად, კაცურ კაცად ვერ ჩაითვლის თავს.

ვ. ი. ლენინს ჯანსაღი, გონივრული მოთხოვნილების აღზრდა მშრომელთა, კერძოდ ახალგაზრდობის კომუნისტური აღზრდის დიდმნიშვნელოვან პირობად მიაჩნდა. განსაკუთრებით აქტუალურია ეს მოთხოვნა თანამედროვე პირობებში.

ლენინიზმისათვის უცხოა სიღატაკის ფილოსოფია და მეშჩანური ფსიქოლოგიაც. ადამიანი ბენდეიერება მხოლოდ მატერიალური სიკეთის სიუხვეში როდი. მატერიალური უზრუნველყოფა თვითმიზანი კი არაა, არამედ პიროვნების ყოველმხრივი განვითარების საშუალება. მას თან უნდა ახლდეს ცხოვრების ბაზნისა და აზრის სწორი გაგება.

არაჯანსაღი მოთხოვნილებები წარმოშობენ ამორალურ თვისებებს: სიხარბე, ნივთების კულტი, მომხვეველობა და სხვ. ამიტომ ექცევა ჩვენში ესოდენ დიდი ყურადღება გონივრული მოთხოვნილებების აღზრდას.

---

9 ვ. ი. ლენინი. თხზ., ტ. 30, გვ. 632.

10 ვ. ი. ლენინი. თხზ., ტ. 31, გვ. 348.

11 ვ. ი. ლენინი. თხზ., ტ. 31, გვ. 354.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

სერგო ყურაშვილი

ეპოქის დოკუმენტები

„დიდი ადამიანის ცხოვრების ასპარეზი მუდამ ეშვენიერი სახასთამაშოა: იგი სულს ალფრთოვანებს... ხამოქმედოდ აღგვაშნებს".

ბესარიონ ბელინსკი

გენიალური ადამიანის ბიოგრაფიისა და მისი პიროვნების ყოველმხრივი გამოკვლევისათვის მეტად დიდი მნიშვნელობა აქვს პირადი მიმოწერის გაცნობას.

ამ მხრივ ფრიად საინტერესოა ვ. ი. ლენინის წერილები მისი დედის მარიამის, დების: ანას **და** მარიამის, ძმის დიმიტრის, ხისის მ. ტ. ელიზაროვის, ალრეფელ ნ. კ. კრუპსკაიასა და სხვა პირებისადმი.

ეს 798 წერილი, რომელიც 1893-1922 წლებში იწერებოდა მთლიანად შესულია ვ. ი. ლენინის თხზულებათა მეოთხე გამოცემის 34-ე, 35-ე **და** 36-ე ტომებში.

ამ ლენინური დოკუმენტების მნიშვნელობა, თავისთავად ცხადია, სცილდება უბრალო მიმოწერის ფარგლებს. ისინი ყოველმხრივ ავგიხსნიან ვ. ი. ლენინის დიად, ადამიანურ ბუნებას, **მის** უბრალოებას, თავმდაბლობას, ცხოვ**რებისეულ** მოვლენებში ღრმად ჩაწვდომის ოვ**�ათ უნარს.**

ლენინი ოროგორც ადამიანი, მისი ცხოვრებისა **და** მუშაობის წესი, მიდრეკილებები, ჩვევები, ადამიანებისადმი მისი დამოკიდებულება — აი რაზე მოგვითხრობენ მისი პირადი წერილები.

მსოფლიოური ყველაზე ბედნიერი დედა ვ. ი. ლენინის დედა, როგორც ალმზრდელი, **როგორც** რევოლუციონერი შვილების მშობელი, მან ჭეშმარიტ ნაზი და მოხიყვარულ ყული.

ლენინმა იცოდა, რომ დედა ერთია, რომლის შეცვლა შეუძლებელია: ის მხოლოდ ქებათა-ქების ღირსია. დედა ბელადისათვის იყო მიზნადვალი, სიცოცხლე სამყარო, **რომლის** გულში ანთ**ია შვილებისადმი** სიყვარული, სანთელივით **რომ** იწვის. დრომ და მანძილმა ვერ შეეწყვიტა ლენინის კავშირი დედასთან.

თავიდი დროის დიდ ნაწილს ლენინი დედისადმი წერილების მიწერას უთმობდა. ეს არ იყო შემთხვევითი: ნ. კ. კრუპსკაია წერდა: „ვლადიმერ ილიას ძეს ძალიან უყვარდა დედა... ნებისყოფის **ძალა** ვლადიმერ ილიას ძეს გამოჰყვა დედისაგან, გამოჰყვა აგრეთვე მისი გულისხმიერება, ყურადღება ადამიანებისადმი".

ვ. ი. ლენინი დედას წერილებს სწერდა მოკლედ, დამაჯერებლად და გულახდილად.

ალბათ ლენინმე უკეთ არავინ იცოდა, რომ „ყველაფერს ნათელს და სიუკეთესოს, რითაც ოცნება სიცოცხლეს ამკობს დედის სახელი ჰქვია".

მახლობლებისადმი გაგზავნილი 274 წერილიდან ვ. ი. ლენინმა დედას 161 მარადი მიმწერა. ისინი მშობელი დედისადმი უფაქიზესი გრძნობით და მზრუნველობით გამოირჩევა. როგორც წესი, ვ. ი. ლენინი ყოველ კვირა დღეს უგზავნიდა წერილებს დედას. ამ მხრივ იგი გამონაკლისს არ უშვებდა არც სასაკიმროში, არც გადასახლებაში და, თითქმის, ემიგრაციაში ყოფნის დროსაც.

1893 **წლის** 5 **ოქტომბერი.** „...გუშინ მივიღე, ძვირფასო დედაკო, შენი ორი ოქტომბრის წერილი. როგორც იქნა ვიშოვე ჩემთვის, ვფიქრობ, კარგი ოთახი: პატარაა და ჩემი ოთახიდან მათ ფარბაზში გამავალი კარი ქალალდგაკრულია, ისე, რომ ხმა ყრუდ გადის ოთახი სუფთა და ნათელია...

ვოლკოვის სასაფლაოზე ვიყავი ჩამოსვლის ცოტა ხნის შემდეგ. იქ ყველაფერი დაცულია — ჭვარიც და გვირგვინიც". (ვოლკოვის სასაფლაოზე დაკრძალულია ვ. ი. ლენინის და — ოლგა ილიას ასული, რომელიც ტიფით გარდაიცვალა პეტერბურგში 1891 წლის გაზაფხულზე).

1895 **წლის** 29 **აგვისტო.** „ამ დღეებში მივიღე შენი წერილი, ძვირფასო დედაკო... ჭირ-ჯერობით კმაყოფილი ვარ ბერლინით... წინანდებურად ვმუშაობ სამეფო ბიბლიოთეკაში. ხალმოობით კი ჩვეულებრივ დავესტუმრები სხვადასხვა ადგილებში. ვსწავლობ ბერლინურ ზნე-ჩვეულებას და ყურს ვუგდებ გერმანულ ლაპარაკს... რაც შეეხება იმას, რომ ჯ ფიდხანს დავრჩე, არა მგონია: „სტუმრად ყოფნა კარგია, მაგრამ შინ სჯობს".

1897 წლის 2 მარტი. „ერთხელ კიდევ გწერ გზიდან, ძვირფასო დედაო... ოიზზე გადასვლა საკრარო ხდება ცხენებით ამიტომ, რომ ხიდი ჯერ კიდევ საბოლოოდ როდია მზად, თუმცა უკვე აგებულია მისი ჩონჩხი...

...გზამ გაცილებით ნაკლებად დამღალა, ვიდრე მოველოდი... აქ, უკლებლივ ყველა დამე შესანიშნავად ძინავს. მიდამოები დასავლეთ ციმბირის გზისაა... გასაოცრად ერთფეროვანია: შიშველი და ცარიელი ველი, არც სადგომი, არც ქალაქები. ძალიან ოქროთია სოფლები. აქა-იქ ტყეა. ისე კი სულ ველია, თოვლი და ცა! — ისეა მთელი ფანი დღის განმავლობაში... ველის ბეჭრი მეტისმეტად კარგია. ადამიანი თავისუფლად სუნთქავს... (ვ. ი. ლენინი მოსკოვიდან გადასახლებაში გაემგზავრა 1897 წლის 22 თებერვალს და 4 მარტს ჩავიდა კრასნოიარსკში).

1897 წლის 18 მარტი. „ამ ორ კვირაში მივიღე, ძვირფასო დედაკაცო, შენი ორი წერილი...

შუ-შუ-შუ ცუდი სოფელი როდია. მართალია, ხაკმაოდ შიშველ ადგილს მდებარეობს, მაგრამ ახლოს ტყეა, თუმცა ძალიერ გაკაფული. ენისეიზე გასახვლელი არ არის, მაგრამ მდინარე შუში ჩაუდის სოფელს... ენისეის საკმაოდ დიდი შენაკადი ახლოს არის და აქ ბანაობა შესაძლებელი იქნება. პორიზონტზეა ხაიანის მთები თუ მათი განშტოებები; ზოგი მთელად თეთრია და არა მგონია აქ თოვლი როდისმე მთლიანად დნებოდეს. მაშასადამე მხატვრულობას მხრივაც ზოგი რამ არის და ეს ტკბილად როდი ვთხზავდი ჯერ კიდევ კრასნოიარსკში ლექსს: „შუშში, ხაიანის მთის პირას"... მაგრამ პირველი ტალის მეტი, სამწუხაროდ, ვერაფერი შევთხზე!

აქ ცუდი სანადირო არ უნდა იყოს. გუშინ წავედი 12 ვერსზე და ვნადირობდი იმ ბენაზი და დუპალებზე. გარეული ფრინველი ბევრია, მაგრამ უძაღლოდ ისინი ისეთი მსროლელისათვის, როგორიც მე ვარ, ნადირობა საკმაოდ ძნელია. გარეული თხებიც კი არის, ხოლო მთებში და ტაიგაში... არის ციცვი, ხასპაფური, დათვი, ირემი...

ანატოლი და ილი კვლავ საპერობილეში ჩასხეს. მათ არ უნდოდათ წასულიყვნენ სანამ ნათხონა არ გიიხსნებოდა. და, ეი გენერალგუბერნატორმა განკარგულება გასცა, რომ მათ საპერობილეში იცადონ".

1897 წლის 19 ივნისი. „გუშინ მივიდე, ძვირფასო დედაო, შენი და მანიაშის 29-ის წერილი... აქაც ვბანაობ ზოგჯერ დდუში ორჯერ) ენისეიში, სეიერნოის პირბადეთ—ვიცავ თავს კოლეტებისაგან, რომლებიც აქ უამბოგია, თუმცა ეს კიდევ არაფერი. ჩრდილოეთთან შედარებით! ფენადრობ. მართალია, აქ სეირნობისათვის შესაფერები ადგილები არ არის, მაგრამ ნადირობის დროს მიხდება ხოლმე შორს წასვლა — კარგ ადგილებში"...

1916 წლის 12 მარტი. „ძვირფასო დედაკაცო ჩვენ ახლა ციურიხში ვცხოვრობთ. ჩაჭვედდეთ, რომ აქეთ ბიბლიოთეკებში ვიმუშაოთ — ეს ადგილი ტბა ძალიან მოგვეწონა. ბიბლიოთეკები კი ბევრად ჯობს ბერნისან. ახე რომ აქ უფრო დიდხანს დავჰყოფთ, ვიდრე გვინდოდა".

ასეთი იყო ვ. ი. ლენინის დამოკიდებულება მშობელთა დედასადმი. ლენინის დედა იყო ეკატერინა ა. დ. ბლანკის შვილი. დედა პედაგოგიური ტალანტით დაჯილდოებულ მარიამს უადრესად განათლებული ქალის სახელი ჰქონდა მოპოვებული.

მარიამ ულიანოვა ფრიად სერიოზულობით და გულისხმიერებით ეკიდებოდა თავისი შვილების აღზრდას. იგი ბევრი იდეური მეგობარი იყო და ეხმარებოდა რევოლუციურ ბრძოლაში. ზოგჯერ მაპყვებოდა კიდეც შვილებს გადასახლებაში, ხელს უწყობდა, როცა ისინი საპერობილეებში იყვნენ გამომწყვდეულნი.

საყოველთაოდ აღიარებულია, რომ მარიამს ნებისყოფის უდიდესი ძალა ჰქონდა და ამასვე უნერგავდა შვილებს.

მარიამ ალექსანდრეს ასული ულიანოვა (1835-1916) მოესწრო თავისი სწორუპოვარი შვილის ვ. ი. ლენინის ჩაფოფალნებლის პროლეტარიატის მეფლადად, რომლის გულისა და გონების ყოველი სიტკვა ეოცსდოსს მილიონობით მშრომელ ადამიანთა დიდ საქმეებში.

ჩვენი პლანეტის ერთ-ერთ უბედნიერეს და უკეთილშობილეს ადამიანს — ვ. ი. ლენინის დედას შეეძლო ეთქვა: „ბედნიერებაა ეოცოდე, რომ ჩემი შვილი გაიზარდა, ჯანმრთელი და შეუქანია მედგრად შეებრძოლოს ცხოვრებას და გაიმარჯვოს. მაგდლობელი ვარ, ჩემო ძვირფასო, იმისათვის, რომ ჩემი სიცოცხლე გაამდიდრე შენი ენერგია გულის ხაუნჯით"

ვ. ი. ლენინმა სწორედ თავისი ენერგია გულითად უმეტეს ქეკეთა-ქეკეა მშობელ დედას.

ვადიდოთ და თაყვანი ეცეთ დედას ლენინურად!

აი რას ვკანწყავლის ვ. ი. ლენინის მდიდარი მეუკეთრეტრეობა.

მასწავლებლებისათვის ლაკონურად დაწერილ, ადამიანებისადმი ხიყვარულით აღსავსე ამ წერილებშიც აღბეჭდილია ხალხისადმი მზრუნველი რწმენა და პატიოსანება. ლენინის წერილებში არასოდეს არ ეფერება დარდი, ხასოწარკვეთა და ეუმიდლობის სევდა. ლენინი ადამიანებისადმი ეფარადდებას ირეწდა ენერგია ენერგიით და არა რიიმე ანგარებით, წინასწარ აკეიაკებული თვალსაზრისით. ამ წერილებში ვ. ი. ლენინი ადამიანებს ასწავლიდა, თუ როგორ ეპოვნათ თავიანთი გზა და ბილიკი თავისუფლებისათვის ბრძოლაში.

ცარიზმის პოლიციურ პირობებში მიწერ-მოწერა ძნელდებოდა. ამის გამო ვ. ი. ლენინი თავის დას ანა ილიას, ძმიერ ალექსანდრეს ეოლოდაში ეფო გადასახლებულთან, სწერდა: „ძალიან ძნელია ჩვენს მდგომარეობაში მიწერ-მოწერა აწარმოო ისე, როგორც ვინდა".

8. ო. ულიანოვა ალნშშვან, რომ ვ. ი. ლენინს ერთ-ერთი დამახასიათებელი თვისება იყო დიდი აკურატულობა და პუნქტუალობა, აგრეთვე მკაცრი ეკონომია საერთოდ სახსრების ხარჯვაში და, კერძოდ, პირადად თავისთვის.

ლენინს „სიცოცხლე უყვარდა, — წერს მ. ი. ულიანოვა, — ყველა მისი გამოვლენებით და იმეორითად თუ ვინმე შეეძლო ცხოვრების ისე ფაროდად დაკვირვება და შესწავლა, როგორც მას".

ყველაზე ინტენსიური და ღრმად შინაარსიანი იყო ვ. ი. ლენინის მიწერ-მოწერა ახალშეკავშირეთში 1897-1899 და 1908-1909 წლებში. სწორედ ამ წლებში გამოიცდა ვ. ი. ლენინის ფუნდამენტური ნაშრომი „კაპიტალიზმის განვითარება რუსეთში" და „მატერიალიზმი და ემპირიოკრიტიკიზმი". ამ გამოცემათა უზრუნველსაყოფად საჭირო იყო უაღრესად საქმიანი დაკვალებების გაცემა.

1897-1899 წლებში, ვ. ი. ლენინი გადახალლებაში იმყოფებოდა, და კავშირის ახლოლებლთან წერილებით იმყარებდა.

ეს წერილები მკაფიოდ ახასიათ ვ. ი. ლენინის დიდ ადმოფოთებას ამ პერიოდში წარმოშობილი რევიზიონისტული მიმდინარეობის გამო. ბოლკაკოფის სტატიას ლენინი უწოდებს თავიდან ბოლომდე ჩმახვას, ხოლო ბერნშტეინის შესახებ წერს: „მე და ნადია მაშინვე შეეუფლეთ ბერნშტეინის წიგნის კითხვას და ნახეკიანზე მეტი წაგიკითხეთ, მისი შინაარსი სულ უფრო გვაოცებს, თეორიულად წარმოუდგენელად სუტტია, სხვისი აზრების გამეორებაა, მხოლოდ ფრაზებია კრიტიკის შესახებ, ხოლო სერიოზული და დამოუკიდებელი კრიტიკის ცდაც კი არ არის. პრაქტიკულად ოპორტუნიზმია... და ამასთან მაინც მხდალი ოპორტუნიზმი, ვინაიდან ბერნშტეინს არა სურს პირდაპირ შეეხოს პროგრამას".

ამრიგად, გადახასლებიდან მახლოლებისადმი მიწერილი ბარათებში ნათლად ჩანს, რომ ვ. ი. ლენინი ფრიად დროფოდან ეხმაურებოდა პარტიული ცხოვრების ყველა მწვავე საკითხებს.

1908-1909 წლებშ, როცა გამოსაცემად მზადდებოდა მისი შრომა „მატერიალიზმი და ემპირიოკრიტიკიზმი", ხშირად ვხედებით ზოგად თემებზე, საკუთრივ მისი წიგნის შესახებ გამოთქმულ ხახლოლმძღვანელო აზრებს. ის შეუპოვრად ანადგურებდა მარქსიზმის რევიზიის ცდებს (ბოგდანოვი, ბერნშტეინი, ბოლგაკოვი, ლუნაჩარსკი).

ვ. ი. ლენინს შემდეგი წლების წერილებში მახლოლებლებისადმი, აგრეთვე აღსავსეა პარტიის საკმისათვის ზრუნვით, რევოლუციურ მოღვაწეობაში მეგობრებისა და თანამებრძოლებისათვის დახმარებით, პარტიის კადრების გამობრძმედისათვის დაუღალავი შუშაობით.

ამრიგად, ხახლოლებლებისადმი მიწერილ ბარათებს წითელ ზოლად გასდევს შეუპოვარი ბრძოლა მარქსიზმის სწორად გაგებისათვის, მისი შემოქმედებითი გამოყენებისათვის.

ა. ა. ულიანოვა-ელიზაროვა წერს, რომ ლენინის „წერილები ყოველთვის ანკარა წყაროს წყალს წარმოადგენდა ყოველდღიური სეგდანობის, ნერვიულობის, ყოველდღიური ალათის დასაძლეველად, სიმხნე

ნოემბრიდან 1911 წლის ნოემბრამდე. ეს 16 წელი მთელი ხანაა ბელადის ცხოვრებასა და მოღვაწეობაში.

1895-1901 წლების წერილები შუქს ფენენ ლენინის მოღვაწეობას რუსეთში სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტიის შექმნილზედ, მის ბრძოლას ნაროდნიკობის, „ლეგალური მარქსიზმის“, „ეკონომიზმის“ წინააღმდეგ. ისინი მოწმობენ, თუ როგორ ახორციელებდა ლენინი რევოლუციური, მარქსისტული, პირველი ხანერთი რუსული გაზეთის — „ისკრის“, შექმნის გეგმას, ახასიათებენ ლენინის ხელმძღვანელ როლს „ისკრაში“, მის პრინციპულ ბრძოლას გაზეთის რედაქციაში.

1901-1904 წლების წერილები ნათელად წარმოსახავენ ლენინის ბრძოლას პროლეტარიული პარტიის რევოლუციური პროგრამის შექმნისათვის, რუსეთის სოციალ-დემოკრატიული ორგანიზაციების დასარაზმავად „ისკრის“ პროგრამული და ორგანიზაციული პრინციპების საფუძველზე, პარტიული მუშაობის გაჩაღებისა და პარტიის ყრილობის მომზადებისათვის, პარტიის მეორე ყრილობის შემდეგ მენშევიკების გამოშვეული მოკმედების მხილებისათვის. წერილები კაკასიის კავშირის კომიტეტისადმი გვიჩვენებენ ლენინის დაუცხრომელ ხელმძღვანელობას კაკასიის ბოლშევიკური ორგანიზაციებისადმი.

1905-1907 წლების წერილები ახასიათებენ ლენინის მოღვაწეობას რუსეთის პირველი რევოლუციის პერიოდში, პარტიის მესამე ყრილობის მოწვევისა და მისი გადაწყვეტილებების შესრულებისათვის, ბოლშევიზმის ტაქტიკური პრინციპების გამარჯვებისათვის (წერილები ცკ-ს, ს. ი. გურევიჩს, რ. ს. ზემლიაჩკას).

1908-1911 წლების წერილები გვიჩვენებენ ლენინის შეუნელებელ ბრძოლას მარქსისტული რევოლუციური პარტიის შექმნისათვის, ცოცხალი პარტიული ძალების დარაზმვისათვის, რათა ბოლშევიკები ჩამოყალიბებულიყვნენ მტკიცე, მონოლითურ, ახალი ტიპის პარტიად. ლენინიზმის პარტიად.

ახალი რევოლუციური აღმავლობის წლებში დაწერილი წერილები აღნუსხავენ ლენინის მოღვაწეობას ბოლშევიკური ლეგალური გაზეთის „პრავდისა“ და მეოთხე სახელმწიფო სათათბიროს ბოლშევიკური ფრაქციის ხელმძღვანელობის დარგში, შეიცავენ ლენინის სახელმძღვანელო მითითებებს ეროვნულ საკითხებზე.

ა. მ. გორკისადმი, ვ. კ. ორჯონიკიძისა და სხვებისადმი მიწერილი ბარათები, ფრიად თვალსაჩინოდ ნათელყოფენ ლენინის მისწრაფებას პრაღის კონფერენციის გადაწყვეტილებათა სიფუძველზე პარტიული ძალების დასარაზმავად, მის ბრძოლას ტროცკის მიერ მოწყობილი ანეგვიტოს ანტიპარტიული ბლოკის წინააღმდეგ.

მრავალი წერილი უჩვენებს ლენინის თავგამოდებულ ბრძოლას იმპერიალისტიური ეროვნული ომის და აშკარა სოციალ-შოვინისტთა, კაუცკელთა და ტროცკისტთა გამეტებლური პოლიტიკის წინააღმდეგ. ამ წერილებში გაშუქებულია ლენინის მოღვაწეობა რუსეთში ბოლშევიკური ორგანიზაციების შუშათის ხელმძღვანელობის შესახებ, სოციალ-შოვინიზმის წინააღმდეგ, იმპერიალისტიური ომის საბოჭალაო ომად გარდაქმნისათვის საბრძოლველად.

1918-1920 წლების წერილებში ლენინინ იძლევა დარიქტივებს ქვეყნის თავდაცვის საკითხებზე, საბრძოლო დავალებებს ყოილი არმიისადმი და მითითებებს საბჭოთა ზურგის განსამტკიცებლად.

1921-1922 წლების წერილებში გაშუქებულია საბჭოთა სახელმწიფოს განმტკიცების, სახალხო მეურნეობის დაეგეგმვისა და ქვეყნის ელექტრიფიკაციის პრობლემები.

ამ წერილების მნიშვნელოვანი ნაწილი ეძღვნება საბჭოთა სახელმწიფო აპარატის მუშაობის გაუმჯობესების ამოცანებს — ბიუროკრატიზმთან ბრძოლას, კადრების სწორად შერჩევას, სახელმწიფოს მართვაში მშრომელთა ფართო მასების ჩაბმას. სულ 35-ე ტომში შესულია ვ. ი. ლენინის 324 წერილი, რომელთა მნიშვნელობა ფასდაუდებელია, როგორც ლენინური იდეების შემცველი დოკუმენტებისა.

ეს ორის **და** ეს. ამის მეტი რაიმე პირდაპირი ცნობა ბაგრატ-ვახტანგის შესახებ ადარ არსებობს. **მხოლოდ თავები მეფეთნის დასასრულეი, 1648-54 წლებში „რაეეა ლარიბობისაზე"** მყოფი თეიმურაზი ერთგვარი ხამდურავ-ხინაულთან ამბობს ხაწუორის მიმართ: „მომაძულა თვინთა ტოტთა, ძმა არ მამმო, და მეელიო". ამ პერიოდიდან მარილეაც ცნობილია, რომ თუ ადრე „ყველას მეფობა ბატონის თეიმურაზისათვის უნდოდა", 40-იან წლებში სიტუაცია მკვეთრად შეიცვალა როსტომ მეფის სასარგებლოდ. „...კახეთ

ნაც ქართველთ მიხელოდეს და მეფეს როსტომს პატონთნი თეიმურაზის დაჭირვას ეპატიჟებოდენენ“ ალნიშნავს ფარსადან გორგიჯანიძე. რა-გრაც სჩანს, თეიმურაზს თავის სამკეკრო მამფლშიც კი უკვე მბარდაჩეკი ალარ ჰყავდა და საყრდენ გამოცელილი მეფე ახლა მხოლოდ ნათესახობა-სტუმარ-მასპინძლობის კანონებს მინდობილი განუსაზღვრელი დროით სტუმრობდა იმერეთში მეფე ალექსანდრესთან. ვიმეორებ, რომ ფეკტობრივ მდგომარეობას კარგად ასახავს თვით თეიმურაზის სიტყვებიც: „მომაძალეთა თვისთა ტომთა“. და თუ ტაპეის ეს სეგმენტი ეხოფენ ზუსტ ინფორმაციას ატარებს, მაშინ ინტერვიის ძალით მეორე სეგმენტიც ასეთივე სიზუსტეს შემცველად უნდა ალვიქვათ და ვგარაუდოთ, რომ მეფე-პოეტს ჩრდილში მყოფი თავისი ძმის მამართ რაღაც უკმაყოფილების გრძნობა ჰქონდა. სახელდობრ რა, ეს მხოლოდ ანალიზმა შეიძლება წარმოაჩინოს, რადგანაც წყაროებში რაიმე პირდაპირ ცნობას არ ვხვდებით.

ახლა განვიხილოთ ის საკითხი, თუ რა ცნობებს იძლევა „წამების“ გვიდგიდელი ტექსტი მისი ავტორის შესახებ. ძირითადად ავტორი თავისთავს წარმოგვიდგენს, როგორც ეპალგა-ზარეს, მხეე პაეს, ცოდვილს, რომელი სა-ბოლოო სამყოფელი ჯოჯოხეთია. ამ თვითდახასიათებას აშკარად უპირისპირდება 18. I. „მე ვითა ეოქენ უბრონმა“, რადგანაც „უბრონ“-ს წარმოდგენა აღმატებითი ხარისხის გარეშე შეუძლებელია და ის არავითარ შემოხვევაში არ შეიცავს თვითდამცირების და თვითგვემის ელემენტსაც კი, რაც ახე ჭარბად არის დამახასიათებელი ავტორისათვის. ვიდრე „უბრონ“ ფუნქციას გავარკვევდეთ, საჭიროა გავიხსენოთ ის ზოგიერთი ავტორიოგრაფიული ხასიათის ცნობა, რასაც შეიცავს „წამება ქეთევან დედოფლისა“.

როგორც დასაწყისში ალვნიშნეთ, პოემის ტექსტიდან ჩანს, რომ 1618 წელს ავტორს უნახავს შარაზში მოსე ბერის ხიკვლილით დასჯა, ხოლო 1624 წელს კი ქეთევანის ხიკვდილს არ დასწრებია: 67. III. „მე ავაზაკი, შემცოდე, ახლოს არ ვიყავ, ვინანნ“. ეს უნდა იყოს ის დიდი ცოდვა, რომელიც აწუხებს და რომელიც გამოე მიანჩია, რომ უეჭველად ჯოჯოხეთში მოხვედეა: 26. III „ჰო, ჯოჯოხეთის მლოდნელმან, შიშმან და ზარამან მიხამან“; 82. IV. „მიიელის მატლი უძილო და ცეცხლი ალტყინებულო“. ხოლო რადგანაც ჯოჯოხეთში მოხვედეა, იცის, რომ მისი სული ეველარ შეხვდება ქეთევანის სულს, რადგანაც ამ უკანასკნელს 71. III. „ხამოთხენი მიელიან“ და იქ 77. IV. „ზის ხარხსა კიბისასა“. ეს გამდელენუშელეა არის პოემაში 25. IV. „სულსა რას ვაქნეე, თუ შვილსა მაშინც ვერ შეეფარეთ“. საეჭვოდ ალ ეჩვენოს ამ ადგილებიდან ამეთვეე ფეკტები აწუხებს ქეთევანსაც: 24. IV. „შეიელი ამბავი ენატრებოს,

-

ეროვნული ბიბლიოთეკა
www.nplg.gov.ge

ონდა მას სხვა კითხვა“. მაგრამ აქ არის ერთი მეტად საყურადღებო ტაეპი, რომელიც ანსნა თხოულობს: 36-ე სტროფის ერთი ადგილი ხელნაწერებში იკითხება „პაპალ ენმე მიჩვენებს, ხმელნი სწორ უპოვარსა“. ბუნებრივია, რომ არც ზ. ავალიშვილი და არც სხვა რომელიმე მკვლევარი ამ ტაეპს საეჭვალოდ აღ შეპხებია ამ უბრალო მიზეზით, რომ ისინი ძირითადად პოემის ბეჭდურ ტექსტს ეყრდნობიან, ხოლო ბეჭდურმა რედაქციამ არ გაიზიარა ტაეპის ასეთი წაკითხვა და ხელნაწერებში არსებული ერთ-ერთი ვარიანტი ამჯობინა: 36. III. „პატეეხა ენმე მიჩვენებს, ხმელზე სწოროპოვარესა“. დადუბარნდეთ კვლავ „პაპატას“, რაც ჩვენ მიგვაჩნია, რომ ძირითადი ტექსტში უნდა იყოს; თუ რატომ, ამას ანალიზი გვიჩვენებს. თავისთავად ჩნდება კითხვა: ვინ არის ეს პაპატა და რატომ უნდა აწუხებდეს ხიკვდილ-სიცოცხლის მიჯნაზე მდგომ დედოფალს მისი უხსნობა? ცოტა უფრო ქვემოთ ნთქვამი 24. IV. „შვილი ამბავი ენატრებოს, არა უნდა მას სხვა კითხვა“ პაპატასთან მიმართებაში, ერთი შეხედვით უკვე წინააღმდეგობას შეიცავს, რადგანაც თუ „შვილებში“ უეჭველად ოთეიმურაზი და ბაბარატ-ბესხანები იგულისხმება, მაშინ პაპატა ახალი სახელია, რომელიც აზრობრივი დაბეგრთვის თვალსაზრისით სწორედ შვილების ოთეიმურაზისა და ბაბარატ-ბესხანების ტოლფასოვანია. წესით ეს ახეც უნდა იყოს, რადგანაც საისტორიო წყაროებიდ ადასტურებს, რომ ქართულ სინამდვილეში ბესხანები და პპატა სინონიმურ წყვილებს წარმოადგენს: ვეხანენ||ვატი (ქნინობიდი ფორმა წოდებით ბრუნვაში) ვატა (სახელობითი ბრუნვა)||პაპა||პაატა. რადგანაც ვდებულობთ მეტად მნიშვნელოვან დასკვნას, რომ აქ ავტორი ქეთევანის პირით თავის ნაკუთარ სახელს ახსენებს, არ შეიძლება ყურადღების მიღმა დაეტოვოთ ავტორისეული მეტაფორული ხედვა, რადგანაც აღმოხვლეთის ქვეყნების შუა საუკუნეების ლიტერატურასთვის დამახასიათებელი ყველა ძირითადი ნიშნმონიკური სიტყვა, რომელიც, როგორც წესი ავტორის სახელის დაშიფრულ გადმოცემას შეიცავს, სწორედ მეტაფორულ აზროვნებაზეა დამყარებული. საინტერესოა, ამ თვალსაზრისით ვვაძლევეს თუ არა პოემა რაიმე ახალ ინფორმაციას? 36-ე სტროფის მიხედვით პპატა წარმოდგენილია, როგორც „სწორუპოვარი“. ცოტა უფრო ზევით კი ავტორი თავისთავს „უბრონ“ უწოდებს: 18. I „მე ვითა ეოქენ უბრონმა მოწადენთა ცრემლთა ნრანი“. როგორც ვხედავთ, უბრონ-სწორუპოვრები კვლავ სინონიმურ წყვილს ქმნიან და აქ შეიძლება ეს შემოხვევითად ჩაითვალოს, მითუმეტეს, რომ ავტორის-

ეროვნული ბიბლიოთეკა

თვის მეტაფორათა მეტად ზუსტი სმარება არის დამახასიათებელი. ამის დასადასტურებლად გავიხსენოთ ერთი მაგალითი. წერს რა ქეთევანის შირაზში ტყვეობის შესახებ, ავტორი აღნიშნავს, რომ დედოფალი მასთან მყოფ თეიმურაზის შვილებს ზრდიდა:

15. III. „თვალთა სინათლის სანაცვლოდ, შვილებსა სჭვრეტდა მისსა,

IV. ეგვიპტეს ყოფნა არად ჩნდა, ზრდიდა ნაყოფსა მისსა“.

ცხადია, რომ აქ „თვალთა სინათლე“-ში თეიმურაზ I იგულისხმება, ხოლო როდესაც შაჰ-აბასის ბრძანებით დედოფალს შვილიშვილები დაეშორეს, ავტორი დამწუხრებულ ქეთევანს ათქმევინებს: 20. III. „თვალთა წამართვეს სინათლე, დაბნელდეს ცადა მდებელნი“. აქ უკვე „თვალთა სინათლეს“ ლევანი და ალექსანდრე წარმოადგენენ იმ მოტივით, რომ მამის აღმნიშვნელი მეტაფორა შვილებზეა გადატანილი.

ახლა დავუბრუნდეთ იმ საკითხს თუ რადგან ალარ არის მოსალოდნელი ბაგრატ-ვახტანგის შირაზში ყოფნა და რა გზებით არის შესაძლებელი საქართველოში მისი დაბრუნება. ამ კითხვებს რომ პასუხი გავცეთ უეჭველად უნდა გავითვალისწინოთ არსებული ვითარება. შირაზში ტყვეობაში მყოფ ქეთევან დედოფალს მის პირად მსახურთა გარდა თან ახლდნენ სასულიერო წოდების წარმომადგენლებიც, რომელთა რიცხვიც შემდგომ თანდათან შემცირებულა. 1624 წლისათვის მხოლოდ ერთი ხუცესი გიორგი იხსენიება.

მიუხედავად იმისა, რომ ტყვეებს მკაცრად იცავდნენ, როგორც სჩანს სპარსელებს ანუ-ბდათ მათგან სასულიერო პირების ჩამოცილება, რადგანაც, როგორც თვითონვე აღნიშნავენ, ბერ-მონაზვნები ხელს უშლიდნენ ირანში გადასახლებული ქართველების გამამტკიცებლებად გასპარსელებას. ამ მდგომარეობის შეგნებით, სპარსელები ზოგჯერ „ვერ ამჩნევდნენ“, ოდესაც ზოგიერთი ქართველი ბერი საქართველოსკენ „ჩუმად გამოიპარებოდა“ ხოლმე. როდის უნდა გადაეწყვიტა ბაგრატ-ვახტანგს ასეთ ადგილებში დაბრუნება? ჩვენის აზრით, ეს უნდა ყოფილიყო მხოლოდ 1621 წლის შემდეგ, როდესაც ირანში მყოფ ქართველებს უკვე მკაცრად მოთხოვეს მაჰმადიანობის მიღება (იხილეთ მუნში, გვ. 117). შირაზიდან საქართველოსკენ მომავალი გზა არ იქნებოდა უსაფრთხო და სავარაუდოა, რომ სიძნელეების დაძლევაში მას ფარული დამხმარე უნდა ყოლოდა. ასეთ დამხმარედ კი ჩვენ შეგვიძლია ვივარაუდოთ მხოლოდ შირაზის მმართველი იმამყულიხანი და ირანში მყოფი კათოლიკე მისიონერები. ალბათ ამიტომ არის, რომ მათ მიმართ პოემის ავტორი აშკარა სიმპათიებს ამჟღავნებს. უფრო მეტიც: სწორედ კათოლიკეთა მიმართ დამოკიდებულებაში უნდა გამოკვეთილიყო მისი დაპირისპირება თეიმურაზ I-თან. თუმცა ამ დაპირისპირებაში უეჭველად უნდა გავითვალისწინოთ „წამებაში“ დაცული „სადა ბუკვა-ხელმწიფე-შვილი“-ც, რაც არსებულ ვითარებაში აშკარად ირონიულად ეფერება თეიმურაზ I-ის მიმართ. ამან კი მეფე-პოეტი, რომელიც იმითაც კი ლიზიანდებოდა, რომ საქართველოში რუსთაველს ჩემზე მაღლა როგორ აყენებენო, ბუნებრივია ვერაფრის ვერ აპატიებდა. აკი თქვა კიდეც სამდურავი: ამ ხოფელნა „ძმა არ მამმო“-თ.

ყოველივე ზემოთ თქმული ნებას გვაძლევს გამოვიტანოთ დასკვნა, რომ აგიოგრაფიული შინაარსის მქონე პოემა „წამება ქეთევან დედოფლისა“ ეკუთვნის მის უფროს შვილს ვახტანგს, რომელიც ბავშვობიდანვე სახუფიერო ცხოვრებისათვის იყო გამწესებული და სათანადო ცოდნას ეუფლებოდა ნიმოწმინდის მონასტერში. 1613 წელს ის დედამისთან და თავის ორ მეცრეწლოვან ძმისშვილთან ერთად შაჰ-აბასის ტყვეობაში აღმოჩნდა. სავარაუდოა, რომ 1621-24 წლებში ის კვლავ საქართველოში დაბრუნდა და კარჩაკეტილ სამონასტრო ცხოვრებას ეწეოდა. ბაგრატ-ვახტანგს ზემოთ განხილული პოემის გარეა სხვა ნაწარმოებებიც აქვს დაწერილი, მაგრამ ამაზე მომავალში მოგვიწევს მსჯელობა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლია კოჭაშვილი

ქართული ხალხური ზღაპრების კომენტირებისათვის

III-IV საუკუნეებ ქვეყნების ხალხთა ზეპირი შემოქმედების ურთიერთგადაჯაჭვულნა ცნობილია, მაგრამ ეს გაკვლევა მხოლოდ გარეგნულია; შინაარსობრივად კი ხალხური შემოქმედება ყოველთვის ერთგნულ სულიერკვეთებან გამოხატავს და ღრმად ხმოვდება მისი შემოქმედი ხალხის სულიერ სამყაროს. ზღაპრის თვისობრივ მხარეს განპირობებს ის, რომ იგი ახასიათებს არა მთლიანად ქვეყნის, არამედ ამა თუ იმ კუთხის თავისებურებას, რაც ეკონდება ადათ-წესებისა და ზნე-ჩვეულებების გამომხატველ ტერმინოლოგიაში, რიტუალების თავისებურ გაჯერებაში და ა. შ. საბოლოოდ კი თითოეული ზღაპარი მაინც ავლენს ზოგად-ეროვნულ ხასიათს. ამიტომაც მხატვრულ-ესთეტიკურის გარდა, ზღაპარს აქვს მეცნიერული ღირებულება და უკვე ამიტომ კვლევისათვის საჭიროებს კომენტარს. ჩვეულებრივ, ზღაპრების კრებულები ამავე დროს განკუთვნილია ხმოვანხმა კუთხისა და ახალის მკითხველთა ფართო აუდიტორიისათვის. ამდენად, ახსნა-განმარტება თითოეული ლექსიკური თუ ფრაზეოლოგიური გამოთქმისა, რომელიც ზღაპარში გვხვდება, აუცილებელია.

ამა თუ იმ მხარეში შეკრებილ ზღაპრებში გაბნეული ზოგადალმოსავლური წარმომავლობის ლექსიკურ-ხემანტიკური და ფრაზეოლოგიური ერთეულები, ქართველი მკითხველისათვის რომ გასაგები იყოს, ზღაპარი გარკვეულ კომენტირებას მოითხოვს, — ისევე, როგორც ნებისმიერი ორიგინალური თუ თარგმნილი კლასიკური ლიტერატურული ძეგლი („ვეფხისტყაოსანი", „ვისრამიანი", „რუსუდანიანი" და ა. შ.); ამასთან, გასათვალისწინებელია კიდევ ერთი გარემოება: კლასიკურ ლიტერატურულ ძეგლში ფიქსირებული ესა თუ ის სიტყვა ერთი გარკვეული მნიშვნელობით ხალხურ შემოქმედებაშიც შეიძლება გვხვდებოდეს, მაგრამ ზმირად რომელიმე ტრადიციული ლიტერატურული ტერმინი ფოლკლორში სრულიად განსხვავებული შინაარსისაა. ამ შემთხვევაში განსაკუთრებით თვალში საცემია ალმოსავლური წარმომავლობის ლექსიკა, მაგალითად: „აჭარელ ხალხურ სიტყვიერებას, ისევე როგორც საერთო მეტყველებას, აჩნია თურქული ლექსიკის კვალი. თურქულია, პირობითად ვამბობთ, თორემ წარმოშობით ხვარსული და არაბული ბევრი სიტყვა დიდი ხნიდან თურქულ ენაში დამკვიდრებულა და ამ გზით აჭარულშიც გადმოსულა"[1]. და რადგან ზღაპარში ყველაზე უფრო ხელშესახებად არის შემონახული ხალხთა ურთიერთობის კვალი, საჭირო იქნებოდა დაგვიძებნა არა მარტო ცალკეული კუთხის ზღაპრებში, არამედ მთლიანად ქართულ ხალხურ ზღაპრებში ის ალმოსავლური წარმომავლობის რეალები, ყოფითი დეტალები, ელემენტები თუ ლექსიკური და ფრაზეოლოგიური ერთეულები, რომლებიც ქართულ ზღაპარში ეხოდენ მრავლად მოიპოვება. ამ თვალსაზრისით, ქართულ ხალხურ ზღაპრებში (გამოცემული კრებულების მიხედვით მაინც) შეხსახწავლია ალმოსავლური წარმომავლობის ლექსიკური ერთეულები, რომლებიც შესაძლოა თემატურად ასე დალაგებულიყო:

I ალმოსავლური წარმომავლობის სახელები:

1. ხაკუთარი სახელები:

ა) ადამიანთა საკუთარი სახელები:

„ამისთვის ვსტარი ამ სიფლავზე, შით ამ ყოფება ჩემი შემოსიბანუ".

ბ) გრძნეული პერსონაჟთა საკუთარი სახელები:

„ამ დევს ეწოდება ბაბაკანჯომი".

2. ხაზოგადო სახელები:

ა) გრძნეული პერსონაჟები:

---

1 ლ. კობაძე. ქართული ხალხური სტეკვიერების მასალები, **ალუ** ზრომები 118; ობ., 1967, გვ. 47.

„ამ ხელმწიფეს ეს ჯიგარ რომ შეეძინა, ორი ფეკალამბარი შემოფრინდა“.

ბ) რეალური მგრძნობიარეები:

„ხელმწიფეს ჰყავდა მშვენიერი და ლამაზი ქალი ნეტა-ნდარეჯანი“.

3. გეოგრაფიული ხასიათები:

ა) გეოგრაფიული გარემო:

„ჩვენი ხელმწიფე მიხეთის ხელმწიფეა“.

ბ) წარმოსახვითი ადგილები:

„მაშინჩემმა დამავალა ახირეთში წასვლა.“

II ადმოსავლური რეალები:

1. ხალხკრიტიკა მოწყენილობა-ალწერილობა:

„ხელმა ცხვირი ახორში შეიყვანა და დაკალა.“

ა). ავეჯი.

„ლამით დაინახა ხუცესი ადგა, მივიდა ოზონდარახთან, გამოიღო კარები, გამოიტანა ხასმელ-საჭმელი და მადიანად მიაძღა ზედ“

ბ) ჭურჭელი:

„ჩაჯდა ქვაში, მოეპარა მდელის დედა ქვაში, ზარფუში დახურა“

გ) მოფენილობა:

„აიკენეს უნცროსი ვაჟის ცოლი, გაუშალეს ხუროანი“

2. ნივთიერი:

ა) საყოფაცხოვრებო ნივთები:

„მამავო, წადი და ოჭროს შადმები გაალეთინინო“

ბ) ხასწავლო ნივთები:

„აწია ნუხბაფი და თარიზე დადვა“

გ) გრძნეული ნივთები:

„ეს ფაზმანდი, რომ მეიხსნას, იმ წუთში გაეცოსდელსო“

3. ქსოველები:

„დაუურთავ აბრეშუმიდან მოკსოვილი ბეზი მომიბატენ“

4. წამოსახსამი:

„ტატველი იჯდა და კანკალებდა, ბიკმა ქათიბი წამოასხა“

5. თავსაბურავი:

„შეკრიკმა ჩიდო წერილი ქუდის ყალამაში და ბაუდა ბაზან“

6. ბამკაული:

„ეერიერმ ხელებზე ალიფუნის ბილეზუდი შება და დალოცა“

7. ხასმელი:

„ზუთუნსასავს თავ-ბოლოს თაფლის სასნელები ენთო, გვერდით შარბათი ედგა“.

8. ხაჭმელი:

„ხვალ დილას გამოგიცხობ აზულთოზუღსა, ოჭრიც წაიღე, შენი უფროსი ვეზრიც წაიყვანე და მაგის წამალს მოიტანთ“

9. თამაშობანი

—მე და შენ ჯუზუ ოქროკინი ვითამაშოთ“

10. ფეკეი:

„თოვლზე გაუთენებამდე ხორაში იხამეს, არ დაგაყინდეთო“

11. ხაკრაკი:

„ბოლოს შევიდა ქორწილში და დეიწყო საზზე დამდერება“

III ადმოსავლური წარმოშობის ტერმინები:

1. უმაღლესი სოციალური ფენის ადმნიშვნელი ტერმინები:

„ამ ბიჭის დანახვაზე ქალმა იკითხა: ხიდან ან როგორ ჩამოვარდი ჩქ შაბზადე“

2. ხახელმწიფო-ადმინისტრაციული ტერმინები:

ა) სამოხელეო ტერმინები:

„ერთ ხელმწიფეს ერთი მუშერიბი ყავდა“

ბ) სოციალურ-ეკონომიური ტერმინები:

„იყო ერთი ფადიშაბი. იმას ყავდა გოგო შვილი, ხამიც ხიზმეკარი“

3. ქალაქის ვაჭრობა-ხელოსნობათა და კაკავრიებული ტერმინები:

„იყო ერთი ბიდიანი, ქეთუნდა ვაჭარი“.

4. ფულლიმური ხასულიერო პირები და მასწავლებლები:

„შუთანაბმ თქვა, მე იმდენი უნდა ვისწავლო, რომ მუდერეხი უნდა გავხდეთ“

5. ნაგებობასთან დაკავშირებული ტერმინები:

„ხონდა გაკეთებული თემბელზანა ხელმწიფეს“

IV ადმოხავლური ფრაზები და ენობრივი კალკები:

1. „სალამ-ქალამი უთხრეს, გაიცინეს ერთმანეთი და გაბედნენ სამთავენი ძმები“.

2. კალკები:

„ბიჭეს ეიდებს არ ალიცავს“

V სოციალური ურთიერთობანი:

1. მრავალფოლიანობა:

„რიცა ხიზმარა თვის უწინდელ ხიმამრთან მივიდა, ერთი ცოლი ერთ მხარეს მოიხვა, მეორე, მეორე მხარეს“

VI ადამ-წესები:

„მამაკს ვაუკვირდა, — მელიაც გახოკავებულაო და შეეკითხა მას:

— სად მიბრძანდები ხოკა ეფენდი? მელამ უპასუხა:

— ქაბაში მივდივარ სალოცავად და ჩემი ცოდვების მოსახდელადო“

VII დანარჩენი ლექსიკა:

„მოუსვეს თავზე ეს ბეწვი უხეიროს, გაუბნინეს ფეხები ფალ-ხ-ლ-ა-ბ-ა-ნ-ი-ა-ნ-ი შინვე ფეხზე წამოდგა“.

VIII ლექსიკონი: (ანბანზე განლაგებული ყველა ლექსიკური ერთეულის):

ქართული ხალხური ზღაპრების (მხეიდელიანში გვაქვს გამოცემული კრებულები) უმეტეს ნაწილს კომენტარი არ ახლავს. გამონაკლისია „ლაზური ზღაპრები“ (გამოხაცემად მოამზადა, ბიბლიოგრაფიკა და შენიშვნები დაურთო ზურაბ თანდილავამ. რედაქტორი ალ. ღლონტი. გამომცემლობა „ნაკადული“, 1970), მაგრამ, სამწუხაროდ, განმარტება არც ამ კრებულს ახლავს. მასში განმარტებულია მხოლოდ ორი სიტყვა 1. ჯაში — ეშმაკი, ჯაჭი, ავი სული; გვ. 94; და 2. პილილი — დუდუკი; გვ. 145; დანარჩენი განუმარტავადაა დატოვებული.

მაგალითისათვის შევეხებით ზოგიერთ მათგანს, იხეთ სიტყვებს, რომლებიც, ერთი შეხედვით, თითქოს ბანალურია, მაგრამ სინამდვილეში შეიცავს ნიუანსს, რომელიც უკეთეს შემოხვევაში მხოლოდ მოქმელისათვის ან მისი წრისათვის თუ არის გასაგები.

ქართული ენის განმარტებით ლექსიკონში ახია ახსნილი სიტყვა „არაბი“.

ა რ ა ბ ი (არაბის) არაბეთის მკვიდრი.

ა რ ა ბ ი (არაბისა) კუთხ. (რაჭ.) ვიხაც ზედი ტური დაბადებიდანვე გაჭრილი აქვს (ვ. ბერ.).

ა რ ა ბ ობ ა (არაბობისა) 1. არაბად ყოფნა, არაბული წარმომავლობა.

ახლა ვნახოთ, თუ როგორი მნიშვნელობით არის ნახმარი სიტყვა ა რ ა ბ ი ამ კრებულში:

„ეგზაზე ერთი წისქვილი შეგხვდება, შეიხედ, ქვას მოაბრუნებს, მოელენ ა რ ა ბ ი ნ ი, ქვას მოაბრუნებს, ბოლელენ ა რ ა ბ ი ნ ი ნ“ (ზ. თან. 1970. 99) „ისმაილ-ბაკიმ მიიხედა და ფანჯარაზე გადმომდგარი ა რ ა ბ ი დაინახა... ისმაილ-ბაკიმ ხმალი ქარქაშში ჩააგო და ა რ ა ბ ს მკერდი გაუხსნა, მაგრამ უცნაურმა ხანაბაობამ გააოცა:: ა რ ა ბ ს ძუძუები ჰქონდა. ისმაილ-ბაკი თვალებს არ უჯერებდა. მის წინ ქალი იყო“ (ზ. თან. 1970. 152-3).

როგორც ეხედავთ, ამ მაგალითში „არაბს“ გარკვეული ჯადოსნურ-გრძნეული ელემენტის სემანტიკური დატვირთვა აქვს. ე.ი. „არაბები“ არიან ადამიანები, რომლებიც გამოჩნენდნენ წისქვილის ქვის დატრიალებისას და გზას ახვევენ ზღაპრის მთავარ პერსონაჟს. მეორე მაგალითია: „ფანჯარაზე გადმომდგარი ა რ ა ბ ი დაინახა“ აქ სიტყვა „არაბი“ არის ჩვენს ხალხურ-ტრადიციულ ენაში ნახმარი მნიშვნელობით — „არაბეთის მკვიდრი“, მაგრამ ამასთან ერთად იგი მეიმბარი ქალია.

ა რ ა ბ ი — (არაბს) მოიხიბარე ბედუინებიდ

ა რ ა ბ ი — ვინც არაბული ენა, წესები ქცევა შეეთვისოს; არაბულად მოლაპარაკე. არაბი ქალი. გრძნეული, გუდთმინანი, ვისაც ზედ ტური დაბადებიდანვე გაჭრილი აქვს. ბანაბი კაცი. ლაშაანი არაბი. ზღაპრებში „არაბი“ ჯადოსნის მსახურებს ეწოდებათ. გვხვდება „შავი არაბი“, „წითელი არაბები“ და სხვა. ერც. იხ1.

ხ ო ჯ ა

„უუმეტრი აგყოლია, შვილო, მიდი ხ ო ჯ ა ს თ ა ნ შეგიოლოცავს და მორჩებიო, — უორჩია ბიჭს მოხუცმა და გაიდო მხარზე თოხი და ყანისაკენ გასწია“ (ზ. თანდ. 1970.62)

„ერთ ადგილას ვიღაც ხ ო ჯ ა დაინახა, ორივე ფეხზე ეფვანი ჭმნნდა შებმული და სიარულის დროს აყდარუნებდა.

— ვინ არის ეს უ ც ნ ა უ რ ი ხ ო ჯ ა, ფეხებზე ეფვანი რატომ მიუბამსო? იკითხა კაცმა.

— ლეთისნერი კაცია, ჯიაჭნელებსაც კი არ აბიჯებს, ეფვნებიც ამიტომ აქვსო.

— ეს არის ქურდი, დაიჭირეთო! — უთხრა კაცმა მცველებს.

მცველები დიდხანს ყოყმანობდნენ. შემდეგ მოჰკიდეს ხელი ხ ო ჯ ა ს და ფალიშაბს მიჰგვარეს“ (ზ. თანდ. 1970. 175).

ხპ. (ხ ვ ა ჯ ე) — ხაპაკოო პირი, წარჩინებული, თავი კაცი, რომელიც ხაზოგადოებაში დიდი პატივით სარგებლობს. ბატონი, ვეჯარი. მხსნელი, ხალხის ფალიშაბი. ყოელთანმცოდნე. მხსნელი დიდვეჯარი, რომელიც უმთავრესად საგარო ვეჯრობასთან არის დაკავშირებული. ალსანიშნავია, რომ საგარეო ვეჯრობით დაკავებული მხსნელი დიდვეჯრები სპარსულ წყარობებში ტერმინ „ხოჯათი“ აღინიშნებოდნენ2.

პირველ მაგალითში „ხოჯა“ — ყოველისმცოდნეა, რომელმაც შელოცვა იცის და ამით არჩენს ავადმყოფს. ხოლო მეორე შემთხვევაში, იმის ნაცვლად, რომ „ლეთისნერი“ იყოს, ალმოჩნდება ქურდი, ავაზაკი (ზღაპრებში ხშირია ხაწნაავდედგო მოვლენები).

ზ ე მ ბ ე ნ ი

„ამ მიზნით დედამ ავადმყოფობა მოიგონა და დაწვა. დაუძახეს ექიმბაშს.

— ათი დღის სავალ კაზაზე, ერთ ხოფელ-

---

1. ვ. ჩიქოვანი, ქართული ეპოსი, თბ., 1965, გვ. 96; თ. რაზიკაშვილი, ხალხური ზღაპრები კახეთში შეკრებილი, თბ., 1952, გვ. 35-55; თურქული ზღაპრები, შედგენა, წინასიტყვაობა და შენიშვნები დაურთო ლ. ნოდიძემ, თბ., 1972, გვ. 5-8.

2 კ. ეუეია, სეფიანთა ორანის ქალაქები და საქალაქო ცხოვრება. თბ., 1966, გვ. 57.

ლია კოტაშვილი
ქართული ხალხური ზღაპრების
კომენტარიებისათვის

ზ ე მ ე ზ ე ბ ი ს წ ყ ა ლ ი. თუ მოარჩენს ის წყალი მოარჩენს, მეტი არაფერიო — თქვა ეკიმზაშმა“

(ზ. თანდ. 1970. 145)

„ერთხელ ფადიშაჰის ცოლი ავად გახდა. ეკიმზაშებმა ფადიშაჰს ურჩიეს:

ზ ე მ ე ზ ე ბ ი ს ყურძენი უნდა აჭამოთ [illegible] არაფერი უშველისო“

(ზ. თანდ. 1970. 110)

როგორ უნდა გაიგოს ქართველმა მკითხველმა, რა არის „ზემზემი?“ ხალიან უნდა იცოდეს მან რომ ზაჰზაჰ

არაბ. (ზ ა ჰ ზ ა ჰ) არის წყარო მეკაში ქაბას ტაძართან და ამ წყალს ეუსულმანი მორწმუნენი სასწაულმოქმედ ძალად მიაწერენ.

მ უ ხ ა ფ ი

„ისევ გაბრუნდა დედამიერი ხოჯასთან და ჰკითხა:

— ხოჯა, მოწყალებად ქალაქნის მიცემა თუ შეიძლებიო?

— ენახოთ, მ უ ხ ა ფ ი თუ სწერიაო! — თქვა ხოჯამ, გადმოიღო მ უ ხ ა ფ ი და დაიწყო კითხვა“

(ზ. თანდ. 1970. 180)

არაბ, (მოხპაღ) ძვ. 1. მაამადიანთა სჯულის წიგნი. 2. ყურანი. ზდრ.

რუსთაველი „შეეხედე, ვნახე სახსოვარსს მუხაფი გამლილ მდებარე“.

ს ა ო ნ ე ლ ი, ჯ ა მ ე

„საღამო ხანს (ფადიშაჰი) ჯ ა მ ე ს თ ა ნ მივიდა და ჩუმად უთვალთვალებდა. ჯამეში [illegible] ერთადერთი ხოჯა იყო. შუადამემდე იმოქცევნ, მერე შ ე მ ო ი ხ ს ნ ე ს ს ა ო ნ ე ლ ე ბ ი, გაიხადეს ხოჯას ს ა ბ ო ნ ი, ეაჩაღლის ტანსაცმელი ჩაიცვეს და ჯ ა მ ე დ ა ნ გავიდნენ. ფადიშაჰი ყველაკვალ გაჰყვა მათ. ხ ო ჯ ე ბ ი წავიდნენ. ბატიუნის დუქნის კარი, რაც კი ძვირფასი რამ იყო, წამოიღეს და ჯ ა მ ე ს ქვეშ საიდუმლო ადგილას შეინახეს. შემდეგ ყველა ხ ო ჯ ა ნ ს ა ბ ო ნ ი ჩაიცვეს ლა [illegible] ...

ეროვნული ბიბლიოთეკა

დასაძინებლად“.

(ზ. თანდ. 1970. 176)

თურ. (ხარაკ) — ხალმა, თავსაბურავი, ხალიტ.

თურკულში (ხარაკ) ნაწარმოებია (ხარმაკ)-ისაგან, რაც ნიშნავს — გაბვეკას. ხოჯას თავსაბურავი (თურკული ხარმაკ). აღმოსავლურ სამყაროში თავსაბურავი ტანსაცმლის აუცილებელი კუთვნილება იყო. არაბ. (მასჯიდ-ე ჯამ, ე) საკრებულო მეჩეთი.

ამ მაგალითში ნათლად ჩანს აღმოსავლური ეთნა (ხოჯის ტანსაცმელი ეცვა, თავზე ხარული ჰქონდათ შემოხვეული, ლოცულობდნენ ჯამეში) და თითოეული მათგანი, რასაკვირველია, მოითხოვს განმარტებას.

ყ ა დ ი

„ბიქმა ლოცვის უკლო და არც მარხვა შეინახა. ხალხმა გიუგო ეს და უჩივლა. ყ ა დ ი მ დაიბარა ბიქი და უთხრა“ (ზ. თანდ. 1970. 172)

როცა ეს სიტყვა ქართული კლასიკური ლიტერატურის რომელსამე ძეგლში გვხვდება, მას, როგორც წესი, განმარტავენ ხოლმე. მაგრამ არ განვმარტავთ მას მაშინაც, როცა იგი ხალხური შემოქმედების ნიმუშშია ფიქსირებული?

ყადი არაბული სიტყვაა (ქაზი) და ნიშნავს მოსამართლეს. ყადი სასულიერო მსაჯული იყო. მის მოვალეობას შედგენდა მტკიცედ დაეცვა „დიდებული შარიათის“ და „ბრწყინვალე ხარწმუნოების“ წესები. ყადის თანმდებობიაზე დანიშვნისას, უპირატესობას ძლევენენ იმ პირებს, რომლებიც სეიდების შთამომავლებად ითვლებოდნენ და ამიტომ კარგად ჰქონდათ შეთვისებული შარიათის ნორმები ყადი ძირითადად ახამრთლებდა ამ პირებს, ვინც ხამოკლაქო და ხაოჯახო წესებს არღვევდა(ხიხლილს ხამარილისაგან ვანსხვავებით). ბუნებრივია, რომ მორწმუნე და ხამართლიანი ყადების გვერდით იყვნენ ცრუ და გაიძვერა ყადებიც. ეს ყველაფერი უზეველა ასახული ქართულ ზღაპრებში.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ᲔᲡᲘᲗᲧᲚᲘᲡ ᲚᲔᲜᲘᲜᲘᲐᲜᲐ

ᲛᲐᲠᲢᲘᲜ ᲐᲜᲓᲔᲠᲡᲔᲜ-ᲜᲔᲥᲡᲝ

ᲓᲐᲜᲘᲔᲚᲘ ᲛᲬᲔᲠᲐᲚᲘ

ᲐᲠ ᲐᲠᲡᲔᲑᲝᲑᲡ ᲮᲐᲚᲮᲘᲡ ᲪᲮᲝᲠᲕᲠᲔᲑᲐᲨᲘ ᲐᲮᲔ ᲗᲣ ᲘᲡᲔ ᲛᲜᲘᲨᲕᲜᲔᲚᲝᲕᲐᲜᲘ ᲛᲝᲕᲚᲔᲜᲐ, ᲠᲝᲛ ᲐᲠ ᲣᲙᲘᲗᲮᲕᲠᲓᲔᲑᲝᲓᲔᲡ ᲚᲔᲜᲘᲜᲘᲡ ᲓᲐ ᲠᲔᲕᲝᲚᲣᲪᲘᲘᲡ. ᲓᲦᲔᲡ ᲛᲡᲝᲤᲚᲘᲝᲡ ᲐᲖᲠᲘᲡᲖᲐᲠᲔᲑᲘ ᲡᲐᲛᲔᲪᲜᲘᲠᲝ-ᲡᲐᲮᲘᲡᲪᲘᲪᲮᲚᲝ ᲑᲠᲫᲝᲚᲐᲨᲘ, ᲛᲐᲒᲠᲐᲛ ᲛᲐᲨᲘᲜ, ᲚᲔᲜᲘᲜᲘᲡ ᲒᲐᲠᲔᲨ, ᲕᲘᲡ ᲗᲣᲚᲔᲓᲚᲔᲠ ᲒᲐᲒᲔᲯᲐᲠᲔᲑᲘᲡᲐᲡ ᲧᲝᲕᲔᲚᲓᲦᲔ ᲣᲚᲔᲑᲓᲐ.

ᲩᲕᲔᲜ, ᲙᲝᲜᲒᲠᲔᲡᲘᲡ ᲛᲝᲜᲐᲬᲘᲚᲔᲑᲘᲡ, ᲐᲯ ᲨᲔᲣᲙᲠᲘᲑᲘᲚᲘᲗ ᲛᲡᲝᲤᲚᲘᲝᲡ ᲧᲕᲔᲚᲐ ᲙᲣᲗᲮᲘᲗᲘᲡᲐᲒᲐᲜ: ᲒᲔᲠᲛᲐᲜᲔᲚᲘ ᲓᲐ ᲡᲘᲡᲢᲔᲛᲐᲢᲘᲙᲣᲠᲘ ᲤᲘᲖᲘᲙᲝᲡᲔᲑᲘᲡ ᲓᲐ ᲘᲜᲓᲝᲚᲔᲚᲘ ᲧᲣᲚᲘᲡ — ᲧᲕᲔᲚᲐᲡ ᲒᲕᲯᲔᲠᲝᲕᲐᲓ ᲛᲣᲨᲑᲔᲑᲘ, ᲨᲐᲜᲒᲣᲚᲘ, ᲔᲒᲒᲘᲞᲢᲔᲚᲘ ᲤᲘᲖᲘᲙᲝᲡᲔᲑᲘᲡ ᲓᲐ ᲘᲜᲓᲝᲚᲔᲚᲘ ᲧᲣᲚᲘᲡ — ᲧᲕᲔᲚᲐᲡ ᲒᲕᲯᲔᲠᲝᲕᲐᲓ ᲐᲮᲐᲚᲘ ᲙᲕᲔᲚᲘᲡᲐᲜᲘ ᲡᲐᲭᲘᲠᲝᲔᲑᲐᲨᲘ. ᲛᲐᲒᲠᲐᲛ ᲗᲕᲘᲗ ᲚᲔᲜᲘᲜᲘᲛ ᲣᲠᲧᲕᲔᲕᲐᲓ ᲓᲐ ᲛᲙᲐᲪᲘᲡᲐᲓ ᲘᲪᲝᲓᲐ, ᲠᲝᲛ ᲒᲐᲛᲐᲠᲯᲕᲔᲑᲐ ᲛᲝᲡᲐᲕᲚᲔᲑᲘᲡ ᲓᲐ ᲗᲐᲜᲓᲐᲛᲐᲚᲘ ᲒᲖᲐᲨᲘ... ᲚᲔᲜᲘᲜᲘᲡ.

...ᲗᲕᲘᲗ ᲚᲔᲜᲘᲜᲘᲡ ᲒᲐᲠᲔᲣᲜᲑᲝ, ᲛᲘᲡᲘᲜ ᲣᲑᲠᲐᲚᲝᲡᲣᲚᲘ, ᲠᲔᲮᲚᲨᲘ ᲐᲮᲚᲘᲡᲐ ᲔᲞᲝᲩᲘᲗ ᲐᲓᲐᲛᲘᲐᲜᲘᲡ ᲬᲐᲠᲛᲝᲐᲩᲜᲓᲐ, ᲛᲐᲡᲗᲐᲜ ᲗᲐᲜᲮᲛᲝᲑᲘᲡᲐᲡ ᲧᲕᲔᲚᲐᲖᲔ ᲣᲑᲠᲐᲚᲝᲡᲣᲚᲘ ᲐᲓᲐᲛᲘᲐᲜᲘᲪᲐ ᲙᲐᲠᲒᲐᲓ ᲒᲠᲫᲝᲜᲓᲐ, ᲠᲝᲛ ᲛᲘᲡ ᲬᲘᲜᲐᲨᲘ ᲧᲝᲤᲘᲚᲐ ᲔᲠᲗ-ᲔᲠᲗᲘᲐ ᲘᲛ ᲐᲠᲐᲩᲕᲔᲣᲚᲔᲑᲠᲘᲕᲘ ᲞᲘᲠᲝᲕᲜᲔᲑᲘᲗᲐᲜᲐᲒᲐᲜᲘ, ᲠᲝᲛᲚᲔᲑᲘᲪ ᲘᲑᲐᲓᲔᲑᲘᲜᲐ ᲐᲮ ᲐᲜ, ᲨᲔᲡᲐᲫᲚᲝᲐ, ᲐᲗᲐᲡ ᲬᲚᲔᲚᲬᲐᲓᲨᲘ ᲔᲠᲗᲮᲔᲚᲘ, ᲓᲐ ᲔᲡ ᲡᲐᲝᲪᲐᲠᲘ ᲐᲓᲐᲛᲘᲐᲜᲘᲡ ᲮᲔᲚᲘᲡ ᲩᲐᲛᲝᲠᲗᲛᲘᲕᲘᲗ ᲣᲚᲐᲛᲔᲑᲓᲐ ᲓᲐ ᲗᲮᲘᲗᲓᲐ ᲔᲫᲔᲑᲜᲐ ᲠᲐᲛᲔ ᲗᲐᲕᲘᲡ ᲪᲮᲝᲠᲕᲠᲔᲑᲐᲖᲔ.

ᲚᲔᲜᲘᲜᲘᲡ ᲤᲘᲖᲘᲙᲣᲠᲘ ᲣᲒᲠᲔᲓᲔᲑᲘᲡ ᲧᲣᲠᲘ ᲣᲑᲠᲐᲚᲝᲐ ᲮᲐᲚᲮᲘᲡ ᲡᲘᲪᲮᲚᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ, ᲛᲐᲗ ᲒᲣᲚᲘᲡᲬᲘᲒᲜᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ ᲐᲓᲐᲛᲘᲐᲜᲘᲡ ᲬᲘᲜᲐᲨᲘ ᲐᲓᲐᲛᲘᲐᲜᲘᲡ, ᲠᲝᲒᲝᲠᲪ ᲗᲕᲘᲗ ᲛᲐᲗ, ᲘᲡᲔ ᲛᲐᲗ ᲮᲐᲫᲘᲗᲔᲑᲓᲐ, ᲒᲕᲘᲠᲩᲘᲜᲔᲑᲓᲐ, ᲠᲝᲛ ᲨᲠᲝᲛᲐᲛᲓᲐ ᲪᲮᲝᲠᲕᲠᲔᲑᲘᲡ ᲥᲕᲔᲛᲝᲗᲘᲗᲘᲪ. ᲛᲐᲠᲢᲝ ᲔᲡ ᲧᲣᲠᲘ ᲓᲘᲓᲘ ᲯᲘᲚᲘᲗᲘᲪ ᲘᲧᲝ ᲐᲗᲐᲡᲬᲚᲘᲡᲬᲘᲜᲐᲜᲘ ᲓᲐᲒᲠᲔᲯᲘᲚᲘᲡ ᲪᲘᲪᲮᲚᲘᲡᲗᲕᲘᲡ.

ᲐᲓᲠᲔᲓᲐᲪ ᲐᲠᲐᲡᲝᲛᲔᲓᲘᲡ ᲛᲔᲓᲒᲐᲠᲐ ᲣᲑᲠᲐᲚᲝᲐ ᲮᲐᲚᲮᲘᲡ ᲬᲘᲜᲐᲨᲘ ᲐᲓᲐᲛᲘᲐᲜᲘ, ᲕᲘᲜᲪ ᲘᲡᲔ ᲙᲐᲠᲒᲐᲓ ᲘᲪᲜᲝᲓᲐ ᲗᲐᲕᲘᲡ ᲪᲮᲝᲠᲕᲠᲔᲑᲐᲨᲘ, ᲠᲝᲒᲝᲠᲪ ᲘᲪᲜᲝᲓᲐ ᲚᲔᲜᲘᲜᲘ.

ᲐᲛᲘᲢᲝᲛ ᲚᲔᲜᲘᲜᲘᲡ ᲨᲣᲛᲨᲘᲡ ᲒᲣᲚᲘᲡᲗᲕᲘᲡ ᲛᲣᲓᲐᲰ ᲔᲤᲔᲠᲐ ᲒᲐᲜᲡᲐᲙᲣᲗᲠᲔᲑᲣᲚᲘ ᲐᲓᲒᲘᲚᲘ, ᲠᲐᲰᲐᲪᲐ ᲕᲔᲠᲐᲕᲘᲗᲐᲠᲘᲐ ᲢᲐᲜᲯᲕᲐ ᲓᲐ ᲪᲘᲚᲘᲡᲬᲘᲛᲠᲘᲡ ᲯᲐᲚᲘᲗ ᲨᲔᲠᲐᲕᲣᲚᲘᲐᲡ. ᲗᲕᲘᲗ ᲧᲕᲔᲚᲐᲖᲔ ᲓᲐᲑᲠᲘᲜᲯᲕᲔᲑᲣᲚᲘᲡᲗᲕᲘᲡ ᲓᲐ ᲩᲐᲛᲝᲠᲩᲔᲚᲘᲡᲗᲕᲘᲡ ᲣᲑᲐᲠᲬᲣᲜᲐᲕᲓᲐᲗ, ᲠᲝᲪᲐ ᲚᲔᲜᲘᲜᲘᲡ ᲡᲐᲮᲚᲘᲡ ᲬᲐᲠᲛᲝᲗᲥᲛᲘᲡᲗᲕᲘᲡ ᲓᲐᲛᲬᲔᲠᲚᲔᲑᲘ ᲩᲕᲔᲜᲘᲡᲗᲕᲘᲡ ᲛᲘᲛᲐᲠᲗᲐᲕᲓᲜᲘᲜᲔᲑᲘᲡ ᲗᲕᲚᲔᲑᲘᲡᲗᲕᲘᲡ ᲣᲑᲠᲬᲧᲘᲜᲐᲕᲓᲐᲗ, ᲠᲝᲪᲐ ᲚᲔᲜᲘᲜᲘᲡ ᲡᲐᲮᲚᲘᲡ ᲬᲐᲠᲛᲝᲗᲥᲛᲘᲡᲗᲕᲘᲡ ᲓᲐᲛᲬᲔᲠᲚᲔᲑᲘ ᲩᲕᲔᲜᲘᲡᲗᲕᲘᲡ ᲛᲘᲛᲐᲠᲗᲐᲕᲓᲜᲘᲜᲔᲑᲘᲡ ᲗᲕᲚᲔᲑᲘᲡᲗᲕᲘᲡ ᲣᲑᲠᲬᲧᲘᲜᲐᲕᲓᲐᲗ.

ᲡᲢᲐᲢᲘᲘᲓᲐᲜ: „ᲛᲔ ᲕᲜᲐᲮᲐᲕ ᲚᲔᲜᲘᲜᲘ“

ᲐᲠᲜᲝᲚᲓ ᲒᲕᲐᲘᲖᲘ

ᲒᲔᲠᲛᲐᲜᲔᲚᲘ ᲛᲬᲔᲠᲐᲚᲘ

ᲐᲛᲘᲡ ᲬᲘᲜᲐᲜ ᲔᲠᲗ-ᲔᲠᲗᲘᲐ ᲩᲕᲔᲜᲘᲡ ᲔᲣᲠᲝᲞᲘᲡᲚᲐᲛᲐ ᲓᲐᲛᲝᲩᲕᲔᲣᲚᲔᲡ ᲤᲝᲢᲝᲡᲣᲠᲗᲘᲡ, ᲠᲐᲛᲓᲐ ᲓᲘᲓᲘ ᲡᲘᲡᲮᲐᲠᲗᲚᲘᲡ ᲛᲝᲛᲙᲐᲛᲔᲑᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲠᲔᲕᲝᲚᲣᲪᲘᲘᲡ. ᲓᲦᲔᲡ ᲛᲡᲝᲤᲚᲘᲝᲡ ᲐᲖᲠᲘᲡᲖᲐᲠᲔᲑᲘ ᲡᲐᲛᲔᲪᲜᲘᲠᲝ-ᲡᲐᲮᲘᲡᲪᲘᲪᲮᲚᲝ ᲑᲠᲫᲝᲚᲐᲨᲘ ᲛᲘᲓᲘᲡᲐᲠ ᲓᲐᲛᲬᲔᲠᲚᲔᲑᲘ ᲩᲕᲔᲜᲘᲡᲗᲕᲘᲡ ᲐᲠᲐᲡᲐᲮᲐᲠᲔᲑᲘᲗ ᲓᲐᲛᲐᲯᲔᲠᲔᲑᲚᲘᲡ ᲛᲘᲜᲘᲨᲜᲔᲚᲝᲕᲐᲜᲘ ᲛᲣᲨᲐᲝᲑᲘᲡ ᲓᲠᲝᲨᲘ ᲠᲝᲛ ᲨᲔᲫᲚᲔᲑᲓᲐᲓᲐᲗ, ᲨᲔᲪᲓᲘᲚᲘᲧᲝᲗ ᲛᲘᲡᲗᲕᲘᲡ ᲣᲤᲠᲝ ᲛᲔᲢᲘ ᲐᲛᲑᲐᲕᲘᲡ ᲗᲣᲠᲘᲗ ᲛᲘᲗᲮᲠᲝᲑᲓᲐᲗ.

ᲐᲛ ᲐᲓᲐᲛᲘᲐᲜᲘᲡᲐ, ᲠᲝᲛᲚᲘᲪᲘ ᲧᲣᲚᲘᲡ ᲬᲘᲨᲐᲠᲘᲢᲘᲗ ᲰᲣᲛᲐᲜᲘᲡᲢᲘᲐ ᲘᲧᲝ, ᲐᲠᲐᲡᲗᲣᲠᲘ ᲘᲪᲜᲝᲓᲐ, ᲠᲐ ᲐᲘᲧᲝ ᲣᲛᲝᲙᲘᲛᲔᲓᲠᲝᲑᲘᲡ ᲡᲘᲛᲬᲘᲜᲐᲕᲘ, ᲘᲪᲐ ᲛᲣᲓᲐᲛ ᲒᲚᲘᲜᲘᲡᲬᲘᲜᲐᲗᲐᲕᲓᲐ ᲘᲪᲘᲡᲘᲡᲙᲔᲜᲘ, ᲠᲐᲪ ᲫᲚᲘᲔᲚᲐᲓ ᲛᲘᲜᲐᲬᲘᲜᲔᲑᲘᲡᲗᲕᲘᲡ ᲘᲧᲝ, ᲛᲘᲡᲗᲕᲘᲡ ᲩᲕᲔᲣᲚᲘᲡ ᲤᲐᲜᲢᲐᲖᲘᲘᲡ ᲣᲜᲐᲠᲘᲡ ᲨᲔᲣᲫᲚᲝᲑᲘᲗᲐᲜ ᲚᲔᲜᲘᲜᲘᲡ ᲐᲠᲐ ᲛᲐᲠᲢᲝ ᲬᲕᲓᲔᲑᲝᲗᲐᲡ ᲡᲘᲜᲗᲐᲛᲓᲔᲑᲚᲘᲡ, ᲐᲠᲐᲛᲔᲓ ᲐᲛᲐᲕᲔ ᲓᲠᲝᲡ ᲗᲘᲗᲘᲗᲘᲡ ᲨᲣᲥᲡᲐᲪ ᲩᲕᲔᲜᲘᲡ ᲒᲐᲜᲐᲛᲐᲠᲯᲕᲔᲑᲐᲖᲔ, ᲓᲐᲤᲘᲥᲠᲘᲚᲘᲧᲝ ᲛᲘᲡ ᲨᲘᲜᲐᲒᲐᲜ, ᲓᲐᲤᲘᲥᲠᲘᲚᲘᲧᲝ ᲛᲘᲗᲮᲠᲝᲑᲓᲐᲗ.

ᲡᲢᲐᲢᲘᲘᲓᲐᲜ: „ᲨᲠᲝᲛᲐ ᲛᲘᲡᲘ ᲪᲮᲝᲠᲕᲠᲔᲑᲘᲡ ᲡᲐᲣᲙᲔᲗᲔᲡᲝᲐ“

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბერეული პიტერ და ჰროზიაკოსი

იმ წუთიდან, დაადგამ თუ არა ფეხს სამეფოთა კავშირის მიწაზე, ვიდრე აქედან არ გაეემგზავრები, ლენინი ყველგან შენთანაა. იგი მონუმენტურ ძეგლებში, მოედნებზე და პარკების აყვავებულ კუთხეებში რომ დაუდგამთ, იგია პეონერის ბავშვურ ღიმილში და მუშის გულში, ხამაკროთა მანქანების რიტმულ გუგუნში თუ თავთავების შშვიდ სიმწიფეში. ყველაფერი მწყობრშია დგება და შენდება ლენინის სახელით, მისი იდეების სახელით, ხოცვა-რულით შესრულებული მისი პორტრეტები და სურათები, პროფილი თუ პიუსტები მოჩანს ყოველი მხრიდან. ქვეყნის უმაღლესი მთის მწვერვალიდან ულრმეს ჭაბურღილამდე ეღერს ლენინის სახელი, გაისმის ლენინის სიტყვა, განადიდებენ ლენინის პარტიას. ლენინის იდეებით შთაგონებული ადამიანები ზორცს ასხამენ თავიანთ ათასწლოვან ოცნებებს.

არასოდეს და არსად შემხვედრია ისეთი სიყვარული, სპეციოთა ხალხს ლენინი რომ უყვარს. ეს არის რაღაც მოსმენილივი, სულისწამალები, ეს არის გრძნობა, რომელიც ავსებს მილიონობით ადამიანთა მთელ სიცოცხლეს, ადამიანებისა, ვისთვისაც დაიბადა, იბრძოდა და მოკვდა ლენინა, მოკვდა ფაზიკურად, მაგრამ მისი გენია იცოცხლებს მანამ, ვიდრე კაცობრიობა არსებობს.

ლენინი ყველგან არის: ზეგანის ფურცლებზე და კოსმოსში, ლაბორატორიასა და შაბტში, ჭალაკად თუ სოფლად, ჰაერში, ზღვაში და მიწაზე, და, პირველ ყოვლისა, ლენინი არის პარტიის გრანდიოზულ ბეგემში, იმ ნათელ მიზანში, რომელიც წლადან წლამდე აახალგაზრდავებს ადამიანებს მკლავგაშლილი რომ მიაპყრონენ კომუნიზმისაკენ.

ნარკვევიდან: „ლენინი"

ალბერტ რის ვილიამსი

ამერიკელი ჟურნალისტი

ვიუხელსაად იმისა, რომ ძალზე გადატვირთული ეყო თითქმის ოცდაოთხსაათიანი დაძაბული მუშაობით, ლენინი მაინც ხშირად გამოდიოდა სიტყვით. ცოცხლად და თვალსაჩინოდ ანასახიერებდა შეკმნილ ვითარებას და ავსებდა დიაგნოზებს. გასაოცარია ის ენთუზიაზმი, ლენინის სიტყვები რომ იწვევს ნაკლებგანათლებულ ხალხში, უბრალო ადამიანებში, თუმცა იგი ლაპარაკობს ხშირადაც და ამასთან უამრავ ფაქტს ამოწმებს.

ლენინი დაალაქტაკეთ ბოლშევიკის ოსტატობა, რასაც ხელს უწყობს მისი გასაოცარი სიმშვიდე და თავდაჭერილობა დებატების დროს, ხოლო დებატებში მისი სტატეა. ოლგინი ამბობდა: „ლენინი ოპონენტს კი არ პასუხობს, აცამტვერებსო..." იგი სამართლების პირს წაიგავს, ანუ ტვინი გასაოცარი სიმჭახეთრით მუშაობს, ოპონენტის მცირეოდენი შეცდომაც კი არ გამოეპარება, უარყოფს მოუღებელს და უჩვენებს, რამდენად აბსურდული დასკვნების გამოტანა შეიძლება მათგან. ამავე დროს ლენინი ლაპარაკობს ირონიულად, დასცინის თავის ოპონენტს, დაუნდობლად ანადგურებს მას. გიგანტმანეზენები, რომ მაინ მსხვერპლი უმეცარია, თავდაჯერებული არარაობაა. მისი ლოგიკის ძალა გიტაცებთ და გხიბლავთ.

დროდადრო ლენინი აცოცხლებს თავის ფრაზებს მოსწრებული სიტყვებით ან დამცინავი რეპლიკით, მაგალითად, დასცინოდა რა კამკოვს, რომელიც გაუთავებლად იძედოდა შეკითხვებს, ლენინმა გამოაყენა ანდაზა: „ერთ ხულელს შეუძლია ამდენი შეკითხვა მოგცეთო, რომ ათ გონიერს გაუვიდეს პასუხის გაცემაოო".

ზოგჯერ ლენინი ახალი წყობის ფალსიტაკრაციად უბრალო მაგალითებს ამეცელიებს. ერთხელ, მაგალითად, მოიყვანა მოხუცი ელენა ჭალის ნაამბობი, რომელმაც უთქვამს: თუ წანამ თოფაანი კაცი ტეფნი ფაჩხის შეკონვას არ მანებებდა, ახლა ამ კაცს ადარ მეშინია, იგი პარიქეთ, ჩემს დამცველად მეგულვითო.

ლენინი ყოველთვის ცდილობდა უპირველესად ეპოქმედა გონებაზე და არა გრძნობებზე, მიუხედავად ამისა, მსმენელების რეაქციის მიხედვით შეიძლებოდა მსჯელობა, თუ რა ემოციური ზეგავლენა და ძალა ჰქონდა მის ლოგიკას.

ნარკვევიდან: „ლენინი ტრიბუნაზე"

ეროვნული
ბიბლიოთეკა

პოლ ვაიან-კუტიურე

ფრანგი პოეტი და პროზაიკოსი

ამ ბუშტებრაზ მოაზროვნეს და საოცარი ნებისყოფის ადამიანს არ ეცალა ხულიერი დრამებისთვის. იგი მტკიცედ იყო დარწმენებული თავისი საქმის ჩისწორეში, არ სრეფიდა არავითარი ყოყმანი, არავითარი გადაბრა ერთხელ დასახული მიზნისაკენ.

ლენინ-ინტელიგენტს შეეძლო ეაზროვნა ნუშასავით, ლენინი ორატორი ლაპარაკობდა ებრალოდ, ბრტყელ-ბრტყელი სიტყვების გარეშე. ადამიანმა, რომელმაც შეხძრა მთელი საუკარო, ვინც წინასწარ ჭვრეტდა ყველაფერს, რითაც კი ცხოვრობდა და ხულდგმულობდა ეს სამყარო, მთელი თავისი შეგნებული ცხოვრების მანძილზე შეინარჩუნა საოცარი უნარი, ეაგრძნო და ეაზროვნა როგორც ჩინელ ულის, როგორც ზანგ მებარგულს. დაბერავებულ ანამიტა-ხა და ინდუსს ისევე კარგად იცნობდა, როგორც ლენინგრადელ მელიათონს ან ახალ ვირჯინიელ მეშახტეს, ლენინი დასრულებული ტიპია ახალი ადამიანისა, ჩვენ იგი მომავლის ადამიანის პირველსახედ ვგვევლინება..

წარკვეულიდან: „ლენინი“

იპან ოლბრაპტი

ჩეხოსლოვაკიელი მწერალი

ვლადიმერ ილიჩს პირველად შეეხვედი **1920** წლის 16 მარტს, მოსკოვის დიდ თეატრში, სადაც მოეწყო **სამგლოვიარო** სხდომა ი. მ. სვერდლოვის გარდაცვალების წლისთავთან დაკავშირებით...

გვერდით კულისებიდან სცენაზე გამოვიდა ლენინი და პრეზიდიუმის მაგიდასთან კიდიდან მესამე თუ მეოთხე სკამზე სრულიად შეუმჩნეველ ადგილზე დაჯდა. რატომ? იმიტომ, რომ ეს ამხანაგებს შორის იყო, მათთან ერთად ოცდაბუთი წელი ემუშავნა, ყველას კარგად იცნობდა **და ხსენებაც ადრეთვე კარგად** იცნობდნენ მას.

...მომხსენებელი შეხავალი სიტყვით ხსნის კრებას, ლენინი საკაზე ისედება, მელოტ თავზე ხელს ისვამს... შემდეგ დგება და ავანსცენაზე ადის. აცვია, როგორც სადმე, სუფთა საწყრამში მომუშავე ნუშაა... ლენინი სიტყვას ილებს... ხმა ძლიერი და მყღერი აქვს, ლაპარაკობს სვერდლოვზე. მისი ფრაზები მშვიდი და მეტყველი, მკაფიო და ნათელია, რადგანაც ყველაფერი, რაზედაც იგი ლაპარაკობს მნიშვნელოვანი და საყურადღებოა, საჭირო არ არის რაიმეს ხაზგასმა და ზედმეტიც არაფერია... მასეინ უსმენენ ლენინს, ათასობით თვალი პარტერიდან და ლოგებიდან ერთ წერტილში იყრის თავს. სახეზე ყველას ერთნაირი ღიმილი შეპეულნვია: წუნარი, ოდნავ შესაძჩნევი, ნაზი ღიმილი ღრმა სიყვარულისა. ლენინი ხომ ამ ხალხის სისხლი სისხლთაგანი და ხორცი ხოცთაგანია, ერთხელაც არ წარმოუთქვამს სიტყვა, ამავე დროს მშრომელთა გულის სიტყვაც რომ არ **ეთქვილიყოს**.

ნაკადიდან: „ჩემი ოცდათერთმეტი ვლადიმერ ილიას ძე ლენინზე“

თეოდორ დრაიზერი

ამერიკელი მწერალი

ეს იყო ადამიანი, ვინც მთელი ცხოვრება და ფიქრები მიმართული იყო მეცნიერული ძიებისა და ბრძოლისაკენ **უკეთესი** საზოგადოებრივი წესების შექმნისათვის, ადამიანი, რომელიც ბოლოს და ბოლოს, მიგვი **ფართო** შესაძლებლობა ხელმძღვანელობა გაეწია უზარმაზარი, **მანამდე დამონებული და ჩამორჩენილი ეროვნებისათვის.**

ჩემი აზრით, ლენინის მიერ ყოველმხრივ და საფუძვლიანმა გაგებამ იმისა, თუ რა, უნდა ვაკეთოდეს და რა შეიძლება გაკეთდეს უდიდეს ქვეყანაში, რომელსაც მსოფლიოს ერთი მეექვსედი უჭირავს და რომელიც მეფის ტირანიის გამო მთელი ასეული წელით ჩამორჩა მისი თანამედროვე ამერიკისა და ევროპის ეკონომიური, სოციალური და მეცნიერული პროგრესის დონეს, — ყველაზე მეტად მიაპყრო და კვლავაც მიიპყრობს მთელი მსოფლიოს ყურადღებას. საკირო იყო არა მარტო ყველი, დესპოტური რეჟიმის დამხობა, არამედ ამ ქვეყნის ხალხთა მასების შორის ადამიანებისა და ხასრების გამოხახვა ისეთი სოციალური წყობის დამკარებასთანად, რომელიც საამრთლიანი და ამავე დროს პრაქტიკულად განსახორციელებელი იქნებოდა, რადგან მასების ხაარსეპო მოთხოვნილებების დაკმაყოფილებასთან ერთად, საკირო იყო ტირანიის შედეგად წარმოქმნილი ყველა გადმონაშთისა და რელიგიური ცრურწმენათა დაძლევა, რომელიც ჯერ კიდევ ტვირთად აწვა ხალხის შეგნებას.

უფრო სანმელი იყო, მიეხედვრებინათ ეს ადამიანები, რა მნიშვნელობა ჰქონდა მათთვის ყოველივე ამას, რასაც მათგან მოითხოვდნენ.

1927-1928 წლებში რუსეთში ყოფიხანს, ქვეყნის განაპირა მხარეებში ხშირად მინახავს ლენინის ფოტოები დარაზმული მუშები და გლეხები მოკრძალებით თავს რომ ხრიდნენ ან ქუდს იხდიდნენ ლენინის პოუტალის წინაშე და, რამდენადაც მივხედდი, ეს ადამიანები ლენინის სახით ხედავდნენ თავის მხსნელს (რა თქმა უნდა, სრულიად სამართლიანად).

თუმცა ლენინი ცოცხალი ადარ არის, მაგრამ სოციალური წყობა, რომელიც მან შექმნა და რომელიც მისმა თანამებრძოლებმა და მემკვიდრეებმა დღევანდელ სიძლიერემდე და აღიდგომდე მიიყვანეს, სამუდამოდ დარჩება მომავალ თაობებს.

სტატიიდან: „ლენინი“

ფრანსისკო რ. პინტოსი

ეუოგვაელი პუბლიცისტი და ისტორიკოსი

ლენინი პირველად 1922 წელს ნოემბერში გნახე. როდესაც იგი კომინტერნის IV კონგრესის დელეგატთა წინაშე გამოდიოდა...

დარაზში, სადაც სხდომა მიმდინარეობდა, ხალხით იყო გაჭედილი. სხდომის დელეგატთა ამსოლუტური უმრავლესობა ესწრებოდა. სტუმრებსა მათთვის ბანკეტთენილი ადგილები დაიკავეს... უეცარად მოსცრო კარი ჯალი, ლენინი შემოვიდა და ჩქარი, ხერეული ნაბიჯით გეიმართა ტრიბუნისკენ.

თითქოს ზამბარებმა ზე აგვისროლეს ყველანი ფეხზე წამოვდექით და მქუხარე ტაშით მივესალმეთ მსოფლიო პროლეტარიატის დიდ მეთაოს, დიდხანს ვუკრთოდით ტაშს, ყურადღებახ არ ვაქცევდით ლენინის პროტესტს, ბოლოს, როგორც ეჩნა, საშუალება მიეცა დაეწყო სიტყვა...

ლენინი გერმანულად ლაპარაკობდა.. ყურადღებით ვაკვირდებოდი, რათა მეხსიერებაში აღმიბეჭდა მისი იერსახე და ეტყობი, დიახ, ჩანდა, რომ ხერხიაზული და ხანგრძლივი ავადმყოფობა ჰქონდა გადატანილი, ზოგჯერ დაღლილობაც ემჩნეოდა. შუბლსა და სიფეთქლებზე ოფლის მსხვილი წვეთები ასხდა, მაგრამ დაღლილობას ხელი არ შეუშლია დროდადრო თავისა გასაოცარი ენერგია გამოემჟღავნებინა, ეს ზაშინ, როდესაც სურდა ხაზი გაესვა მოხსენების ყველაზე მნიშვნელოვანი ადგილებისათვის.

იმთავითვე ჩანდა, რომ ეს იყო ადამიანი, ვინაც შეიძლო შეეხანშნავად გადმოეცა თავისი აზრები, რომ იგი მასების უდიდესი ბედნადი იყო, კარგად იცნობდა ამ მასებს, ეხმოდა მათი და შეეძლო ელაპარაკა უმთავრეს და უმნიშვნელოვანეს საკითხებზე ამსოლუტურად უბრალოდ. ყოველივაერი რიტორიკის გარეშე. ლენინი ლაპარაკის დროს ზოგჯერ ფახდადადა შენიშვნებს მის წინ ტრიბუნაზე რომ ეწყო, შემდეგ თვალს გადაავლებდა ოუდიტორიას, თითქოს სურდა დარწმუნებულიყო, რომ მისი ნათქვამნი სწორად გიიგეს...

ლენინმა დაასრულა მოხსენება. ჩვენ კვლავ ფეხზე წამოვდექით და დიდხანს ვუკრავდით ტაშს. შემდეგ გაიხსნა ინტერნაციონალი, ყველანი ჩვენ-ჩვენ ენაზე ვმღერიდით და ხმები აზარზარებდა მინების კრეწლის სახახლის ფანჯრებზე.

სტატიიდან: „ზანმირნის ხალხი ამბობს“

ეროვნული ბიბლიოთეკა

შალვა გოზალიშვილი

მშობლიური ხალხის სამსახურში

გასულ წელს „ფერანმა“ გამოსცა ცნობილი საზოგადო მოღვაწისა და მწერლის ილია ალხაზიშვილის წიგნი — „ჯავახური ლეგენდები“.

კრებულს წინ უძღვის აკადემიკოს შოთა ძიძიგურის შესავალი წერილი, რომელშიც მოხაზულია ილია ალხაზიშვილის პორტრეტი, ახასიათებია მისი საზოგადოებრივ-ლიტერატურული მოღვაწეობა, დიდი მამულიშვილური დამსახურება.

კრებულის შესადგენად დიდი შრომა გასწია და დასაბეჭდად მოამზადა ილია ალხაზიშვილის შვილმა, მწერალმა ზაალეა ალხაზიშვილმა.

წიგნის პირველ და მეორე განყოფილებაში შესულია ავტორის ნაწერების მცირე ნაწილი: — ბუნება და ცხოვრება (მგზავრის დღიურიდან), მოგზაურის განთიადი, ტაბაწყურის ტბა, ერთი კუთხე ჯავახეთისა, თრიალეთის მთა და ცხვარი, მტკვრის სათავეებთან — უწინდელი ზემო ქართლი და მტკვრის სათავე;

წიგნის ბოლო განყოფილებაში დაბეჭდილია ხალხური თქმულებებისა და ლეგენდების საფუძველზე შექმნილი ლექსები. — „ერთი უზენაესი მოკალიბობთაგანი არის სამშობლოს სიყვარული და მისი ერთგულება“ — წერდა მწერალი და საზოგადო მოღვაწე ილია ალხაზიშვილი ქართველი ხალხისადმი მიმართულ ერთ თავის წერილში. ეკუმარიტად ეს იყო მთელი მისი ცხოვრების მთავარი დევიზი, რომლის შესრულებასაც მოახმარა მან მთელი თავისი ცოდნა და გამოცდილება.

გულწრფელი პატრიოტული სიყვარულით ალსავსე წერილში — „ბედნიერება და მიზანი ცხოვრებისა“, რომელიც დიდი მწერლის აკაკი წერეთლის ხსოვნას მიუძღვნა, ილია ალხაზიშვილი 1915 წელს წერდა: „მიყვარს სამშობლოს თბილი კერა, ცივი წყარო, გიჟი მდინარე. მიყვარს მთის ჰაერი, მისი ეთერი და ნაზი ზეფირი. ცა მშვენიერი, ცა მხიარული, ლაჟვარდი, ბუმბერაზ მთებზე, თოვლის ზოლზე დაყრდნობილი.

ყველასათვის მოიზიხლავია ხელთუქმნელი ედემი ჩემი საყვარელი სამშობლოსი... ვინ არ უგალობდეს უცხოთ დახატულს ცოცხალ სურათებს, რომელთაც გრძნობით მოსილი კეკლუცი ბუნება ყოველ ცისმარე დღეს სცვლის და კვალად ქმნის — მარად და მარად... ყველანი მოვალენი ვართ პატიოსანსა და მეედგარი შრომით ვიცხოვროთ. ჩვენი ოფლით მონაგარი, ალალი ლუკმა ჩვენც ტკბილად შევიგრგოთ და გვერეებულსაც ვარგოთ“ (ციტ. „განათლება“, 1915, № 3).

ეი ამ ღრმა რწმენითა და კეთილშობილური მისწრაფებით აღბეჭდილი გამოვიდა სამწერლო და საზოგადოებრივ ასპარეზზე სამოღვაწეოდ ილია ალხაზიშვილი გასული საუკუნის 70-იან წლებში. მას შემდეგ იგი, თითქმის ნახევარი საუკუნის მანძილზე, დაუღალავად იღვწოდა შობლიური ქვეყნის საკეთილდღეოდ, მისი ნათელი მერმისისათვის.

ყოფილი ყმის შვილმა, ობოლმა და არაფრისმქონე ილია ალხაზიშვილმა დიდი შრომითა და ენერგიით, სწავლისადმი მუდმივი მისწრაფებითა და სიყვარულით შეძლო სათანადო განათლების მიღება.

ბუნებით ნიჭიერი ახალგაზრდა — ილია ალხაზიშვილი, გამოფენებული მეცადინეობისა და სწავლის შედეგად, 1872 წელს ახალქალაქში (ჯავახეთში) ფერშლად დანიშნეს. სულ მალე მან

ეროვნული ბიბლიოთეკა

საშობლოსა და ხალხისადმი ერთგული, უანგარო მუშაობითა და საამხანაგოო მოწინავე ქართველთ საზოგადო მოღვაწეთა და მწერალთა შორის საერთო აპაგებისცემა და სიყვარული დაამსახურა. ამის შემდეგ ილია ალბალაზეველი, მთელი თავისი სიცოცხლის განმავლობა მშობლიური ხალხის წრეში ტარიალებდა, მისი სადუმბერთით ალსავსე ცხოვრების მონაწილე და მოწიანრე იყო. 1877 წლიდან იგი ახალქალაქი უფროს ფერშლად დანიშნეს. 1880 წელს მან პირველმა ახალქალაქში აფთიაქი გახსნა.

ილია ალბალაზეველი არ კმაყოფილდება თავიანი ცოდნით. იგი წინ მიისწრაფის, ცდილობს სწავლის გაგრძელებას. 1883 წელს მან ქუთაისის გიმნაზიაში ჩაბარა. 1886 წელს ხარკოვის უნივერსიტეტში პროფეზორის თანაშეწეს გამოცდა დაიჭირა.

1889 წელს ილია ალბალაზეველი ჩაირიცხა ხარკოვის უნივერსიტეტის სამკურნალო ფაკულტეტის თავისუფალ მსმენელად, სადაც ბატაკებით სწავლობდა ბუნებისმეტყველებას. 1891 წელს მან დაამთავრა უნივერსიტეტის სრული კურსი, მიიღო პროფეზორის დიპლომი და ისევ საშობლოში დაბრუნდა სამუშაოდ.

ილია ალბალაზეველს არ აკმაყოფილებდა მარტო სამსახურებრივი საქმიანობა. 1875 წელიდან იგი მეტი ენერგიით შეუდგა ლიტერატურულ მოღვაწეობას. წერდა ქართული ეუფნესკენ-გაზეთებში ხალხის ყოველდღიურ ჭირ-ვარამეზე. მისი პირველი კორესპონდენციები და წერილები ჯავახეთიდან გამოაზეანელი, დაბეჭდილ 1875 წლის გაზეთ „დროებაში" (№№ 18, 28, 29, 30, 42, 51, 58, 69, 105 და სხვ.). ამის გამო იყო, რომ ხერგეკი მესხი „დროების" ფოსტის განყოფილებაში ილია ალბალაზეველს სწერდა: „იმედი მალმალ მოგვაწვდით მანდაყო ამბებს". მომავალის იმედებით გამხნევებულს ილია ალბალაზეველს ამის შემდეგ, პრაკტიკულ მუშაობასთან ერთად, სიცოცხლის უკანასკნელ დრომდე კალამი ხელიდან არ გაუგდია. ორმოცდაეხეთი წლის მანძილზე „დროების", „ეკეერის", „ეკალის", „ნაკადულის", „ჭეკერის", „განათლების", „ცნობის ფურცელის", „კაკაზსკი ვესტნიკის" ფურცლებზე ზზრიად იბეჭდებოდა მისი კორესპონდენციები, წერილები, ისტორიულ-ეთნოგრაფიული ხასიათის ნარკვევები, მოთხრობები, მგზავრის შთაბეჭდილებანი, მეცნიერულ-პოპულარული თხზულებანი და სხვა.

სამაგვო ეუფნალ „ჭეკერში", მისი დაარსებიდანვე (1890 წ.) ილია ალბალაზე�eი დიდი ხალისით თანამშრომლობდა; ამ ეუფნალში დაიბეჭდა მისი მხატვრული ნარკვევი — „მტკვარი", „ჭორობა", „რიონი" და „ბატარა-ბატარა სამეცნიერო წერილები: „ამბავი ზუსკენელისა", „ზვავის ფრინველებში" და სხვა.

ალბალაზეველი ეუფნალ „ეკეერის" ფურცლებდა პოპულარულ წერილებს და ამ გზით ეცდებოდა ხალხში სწავლის ეუფრცელებას; ხელს უწყობდა სკოლებისა და ბიბლიოთეკების გახსნას. მან „კაკაზსკი ვესტნიკში" გამოაქვეყნა „მოკლე ისტორიული მიმოხილვა საქართველოს საკარისა".

თავისი ქვეყნის დიდი პატრიოტი ილია ალბალაზეველი საქართველოს ისტორიული წარსულის დიდებულით ამცოდნე იყო. მას შემოკლილი ჰქონდა მთელი საქართველო. კარგად იცნობდა ზემო ქართლს, მის ისტორიულ წარსულს, ეთნოგრაფიას, ხალხის ეოფაცხოვრებას, ბუნებას, ისტორიულ ძეგლებს. მას ბრაგალეკრ ჰქონდა მოგალილი ეს მხარე, რომლის შესახებაც არაერთი საეურადღებო ნაშრომი გამოაქვეყნა.

ილია ალბალაზეველმა 1897 წლის ცალკე ეუფნად დაბეჭდა „ბუნება და ცხოვრება", სადაც ეუდიენცი გატაცებით და სიყვარულით აღწერა მეხსეთ-ჯავახეთის იმერიონდელი მდგომარეობა, ისტორია, მდებარეობა, ბუნება, ეთნოგრაფია, ხალხის ეოფა.

მწერლის მხატვრული ნარკვევები: „ვარძიის მონასტერი", „ბუნება და სამკურნალო მცენარეები", „ჯავახეთი", ხალხური სიტყვიერებიდან შეკრებილი და გამოქვეყნებული ლეგენდები, ვალდოდებები, ჩვენი ქვეყნის შესანიშნავი აღწერილობა და სხვა დღესაც გატაცებით იკითხება, რადგან იგი ყოველივე ამას გადმოსცემს სადად, მხატვრულად, ქართული ენის შესანიშნავი ცოდნითა და სიყვარულით.

მშობლიური, ხალხური ენის საუკეთესო მცოდნეს ილია ალბალაზეველს შეეძლო ეთქვა: — „მიყვარს ტკბილი, ხალხი ქართული და რაც გიდგა სანინტერესო შინაარსიანი წერილი თუ წიგნი იყოს, თუ რომ რამდენიმე წინადადების წაკითხვამ გულისყური არ დამიტკბა, ბრაზმორეული უკუეგდგებ ზოლმე".

ილია ალბალაზეველს გამოსაცემად გამზადებული ჰქონდა „ფარმაცევტული ტერმინები ანუ ქართულ-რუსულ-ლათინური სახელები წამლებისა", — მთელი ოცდაათი წლის განმავლობაში შეგროვილი 2178 ტერმინი, ბუნების ლექსიკონი ანბანზე დალაგებული, რომელშიც მრავალი საყურადღებო ცნობა იყო მოცემული ბოტანიკიდან, ქიმიიდან, მედიცინიდან, ზოოლოგიიდან. ასევე გამოუცემელი დარჩა მისი ხელნაწერი დღიური: „რაჭა-ლეჩხუმი, მისი ბუნება და ხალხის ცხოვრება".

ილია ალბალაზეველი ეკუთვნის ქართველ მწერალთა და საზოგადო მოღვაწეთა იმ სახელოვან პლეადას, რომელსაც სათავეში ედგა მე-19 საუკუნის მეორე ნახევრის ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის დიდი მეგობრეზი, მწერალი და საზოგადო მოღვაწე ილია ჭავჭავაძე. მის მუდამ ახლო მეგობრული და საქმიანი ურთიერ-

რითმა ჰქონდა ილია ჭავჭავაძესთან, აკაკი წერეთელთან, იაკობ გოგებაშვილთან, სერგეი მესხთან, გიორგი წერეთელთან, ანასტასია თუმანიშვილ-წერეთელთან, ლუარსაბ ბოცვაძესთან და სხვებთან. ამას ნათლად მოწმობს ილია ალბაზიშვილის ეპირადი წერილები, რომლებიც შემონახულია ალნაშვილ წმერალთა პირად ფონდებში.

ლიტერატურული მუშაობის პროცესში ილია ალბაზიშვილი რჩევა-დარიგებისა და დახმარებისათვის ხშირად მიმართავდა ხოლმე ეკიბ ჭავჭავაძეს. იგი თავისი შრომის — „სამკურნალო წამალთა სწავლის წიგნის" შესახებ 1889 წლის 21 აგვისტს ეკ. ჭავჭავაძეს სწერდა: „ამ რამდენიმე დღის წინეთ მოგართვით ჩემი შრომის პირველი წიგნიც, ე. ი. პირველად გამოგზავნილი იყო „წიგნი მეორე" და მეორეც „წიგნი პირველი". უეცვალოთ უკვე მოღებული გეკნებათ ორივე წიგნი... მოთატევეთ ჩემო ლმობიერო ხელმწიფევ, რო ახე ვიკადნერდებით და ბევრს კაწუხებთ, მაგრამ რა ვქ�, თქვენს მეტს ვინ მივმართოთ, რახან გიტვირთოთ ჩვენი სიცავრული სამშობლოს ბედის გაძღოლა, შემწუხებელიც ბევრი ვეყოლებთ, მე არ ვარ პირველი და უკანასკნელი"...

წერილში მოხსენებული ილია ალბაზიშვილის შრომა დადებითად იქნა შეფასებული. 1889 წლის „ივერია" (№ 137) „ახალ ამბავში" მკითხველს აცნობებდა ილია ალბაზიშვილის „სამკურნალო წამალთა სწავლის წიგნის" ბეჭდვილობას.

ილია ალბაზიშვილის ქართველი მოღვაწეობისადმი მიმართული წერილებიდან ნათლად ჩანს, რომ იგი თავისი პრაქტიკულ-საზოგადოებრივი და სამწერლო მოღვაწეობით, სიცოცხლის უკანასკნელ დღემდე, აქტიურ მონაწილეობას იღებდა ქართველი ხალხის უკეთესი მომავლისათვის ბრძოლაში. იგი მთელი თავისი შეგნებული ცხოვრებით, შემდეგისდაგვარად პირნათლად მუშაობდა შშობლიური კულტურის ასაკვავებლად.

ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების დახმარებით, იგი ახალ-ქალაქსა და ჭავახეთის სოფლებში აარსებდა სკოლებს, ბიბლიოთეკებს, ფარცელებდა ქართულ წიგნებს, სახელმძღვანელოებს; სწავლა-განათლებაზე გავრცელების საარკვინისათვის შემოწერილების სახით აგროვებდა საჭირო თანხებს; მისი უშუალო ხელმძღვანელობით, საზოგადო მოღვაწე ივანე როსტომაშვილთან ერთად, ჭავახეთის მთელ რიგ სოფლებში გაიხსნა სკოლა და ბიბლიოთეკა-სამკითხველო, 1918 წლის კი — ქართული გიმნაზია. წლების განმავლობაში იგი იყო ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების რწმენებულად ახალქალაქში და აქტიურ საზოგადოებრივ საქმიანობას ეწეოდა.

სამშობლოს წინაშე ილია ალბაზიშვილის ამ ... მსახურების შესახებ ნათლად დადადებულია „ეროვნული ცენზორის მიერ აკრძალული 1893 წლის 25 ოქტომბრის „ივერიის" მოწინავე: „თვალები, 25 ოქტომბერი". მოწინავეში, რომელის ავტორი ცნობილი ქართველი ისტორიკოსი ალექსანდრე ფრონელი იყო, ვკითხულობთ: „ბატონი ილია ალბაზიშვილი დარბაისლად, ვით ძველი ფრონის ეპიკოსი, მოგვითხრობს ჭავახეთის სამშუახარო ამბებს. აქ ოდესმე სიცოცხლე სდუღდა. ქართველი კაცის მაჯა ღონივრად სცემდა და მისი ხმის გრგვინვა შორს გაისმოდაო.

დღეს ყველაფერს ფერი უცვლია. ქართველების ნაშან-წულიც ალარ მოსრნენს. აზაბმეურელი თათარსავით ღორის თავს კი არ გვედვებიან, თვით ჭეეფენს, თვით ჩვენი ირსებობისათვის გამოოცხადებიან ხასტიკი ბრძოლაზე.

ეპეკი არ ფუდაო, ამბობს ბატონი ალბაზიშვილი, განვლეს დრონი, ეთმნი და ეს დიდებული ნაშთნი (ეკლესია-მოხსენტრები), მტუმარე მოწმენი ქართველების ამ მხარეში გაძლიერებული ცხოვრებისა, წუთისოა და ქარიშხლისგან მოიტანობიან და არც კაცის ხელი დაერიდება ამ წმიდათა წმინდან შეხებასო..." (სცსა, ფონდი 481, ანაწერი 1, საქმე № 1190, ფურც. 52).

ილია ალბაზიშვილის ღრმად სწამდა სამშობლოს ბედნიერი მომავალი და მთელი თავისი არსებით იღწვოდა შშობლიური ენის, ლიტერატურის, მეცნიერების, ხასალხო განათლებისა და კულტურის აღორძინებისათვის.

ილია ალბაზიშვილი გარდაიცვალა საკართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარებამდე ერთი თვით ადრე. 1921 წლის 27 აგვისტს სუსხიან დამეს.

ილია ალბაზიშვილი წარსული დროის (1853-1921) ნაყოფიერი მწერალი, უანგარო მამულიშვილი და ხალხოვანი მოღვაწე იყო. მისი ნათელი ხსოვნა ყოველთვის იცოცხლებს ქართველი ხალხის თაობებში. მწერალი თავის დროზე ბევრს წერდა. მისი მოეზაურის შეობეჭდილებები და დღიურები, ისტორიულ-ეთნოგრაფიული წერილები და ტატიები, მოთხრობები, ნარკვევები თუ ლექსები გაბნეულია ქართულ დროსუფლ პერიოდულ გამოცემებში. მწერლის ეპისტოლარული მემკვიდრეობაც საკმაოდ არის გაბნეული ქართველ მწერალთა და მოღვაწეთა პირად ფონდებში.

ახლანდეს გამოცემულ კრებულში „ჭავახეთი ლეგენდებში" ილია ალბაზიშვილის ლიტერატურული მემკვიდრეობის მხოლოდ მცირე ნაწილია დაბეჭდილი.

სახუროველია მაღლიერმა ქართველმა მკითხველმა დროზე მიიღოს წერილნა და ხალხოვანდ მოღვაწეს — ილია ალბაზიშვილის ლიტერატურული მემკვიდრეობის რჩეულ თხზულებათა ორტომეულად მაინც. ეს იქნება ნამდვილი ძეგლი მისი ნათელი ხსოვნისა.

მწერალთა დიმილნარევი ცხოვრებისეული ეპიზოდები

დიალოგი სადალაქოში

დიალ. ინგლისელი მწერალი მარკ ტვენი სავორნგეეთის ერთ პატარა ქალაქში ყოფნისას სადალაქოში შევიდა.

— გეტყობათ, უცხოელი ხართ? — ჰკითხა დალაქმა.

— დიახ, პირველად ვარ ამ ქალაქში.

— ბედნიერი შემთხვევაა. აქ მარკ ტვენია ჩამოსული და ალბათ სალამოს მის ლექციას დაესწრებით.

— რა თქმა უნდა.

— ბილეთი გაქვთ?

— ჯერ არა.

— საამწუხაროა, რადგან ყველა ადგილი გაყიდულია და ფეხზე მოგიხდებათ დგომა.

— დალახვრას ეშმაკმა, ამ მარკ ტვენთან არასოდეს ბედი არა მწყალობს, მის ლექციაზე ყოველთვის ფეხზე მიხდება დგომა, — ღიმილით მიუგო მწერალმა.

ფალვაში ზვეული

„პიგვალიონს“ პრემიერის შემდეგ ალფრედოვანებული მაყურებლები ტაშის ვრიალით ავტორს უხმობდნენ. სწორედ იმ მომენტში, როდესაც ბერნარდ შოუ ფარდის წინ გამოჩნდა, მკუხარე ოვაციას ირაუსიდან მძაფრი ხტენის ხმა შეერია.

შოუმ იარფსისკენ ხელი დაიქნია და მხიარულად შესძახა:

— სავსებით გეთანხმებით, მეგობარო, მაგრამ მარტო მე და შენ რას გავხდებით ამდენ ხალხთან.

უგემოვნო შემთხვევა

ერთ საზოგადოებაში მარკ ტვენი სახუმარო ამბავს ყვებოდა. ყველა გულიანად ხარხარებდა. მხოლოდ ერთი ბანკირი არ აზარებდა ამ სიცილით მხიარულებას. იგი წამოდგა, ჯიბეში ხელები ჩაიწყო და ქედმაღლურად ვინაცხადა:

— ბატონებო, ნეტავი რა ანის აქ არაჩვეულებრივი. ყოველი იუმორისტი გონებამახვილობს.

ყველამ მარკ ტვენს შეხედა.

— თქვენ მართალი ხართ. არსებობს ამაზე კიდევ უფრო უჩვეულო ამბები, — მიუგო მწერალმა და დასძინა: — განა ჩვეულებრივია ის მოვლენა, რომ ბანკირი საკუთარ ჯიბეში ხელს იყოფდეს?!

ორგანეს ზუთა ამირანაშვილმა

ყარეყანის მე-2 გვერდზე — ვ. ი. ლენინი. პორტრეტი ეკუთვნა „ეროსკოსთვის“ სპეციალურად შესრულეული მხატვრისა ეფა ჯიფარიძეს.

ჩვენი მისამართი: თბილისი, 380002, დადიანის ქ. № 2.

ტელეფონები: მთავარი რედაქტორი — 99-85-81, მთ. რედაქტორის მოადგილე — 72-26-32, მდივანი — 72-44-78, გაპუოფლებათა გამგეები — 72-26-35, პროზის — 72-26-30, ლიტერატურული თანამშრომლები — 72-47-88, „ეროსკოს“ დამატება — 72-17-04, ხელოვნ. ტერმინ — 72 43-75.

გადაეცა ასაწყობად 19. 2. 80 წ., ხელმოწერილია დასაბეჭდად 8. 4. 80 წ., ქაღალდის ზომა 70×108. ფიზიკური ფორმათა რაოდენობა 10. პირობით ფორმათა რაოდენობა 14. საღრ-საგ. თაბახი 15.85. შეკვ. № 470. ფუ 07306. ტირაჟი 40.350.

საქართველოს კპ ცკ-ის გამომცემლობის სტამბა, თბილისი, ლენინის 14
Типография издательства ЦК КП Грузии, Тбилиси, ул. Ленина, 14.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ფასი 60 კაპ.

ინდექსი 76236

*ЕЖЕМЕСЯЧНЫЙ ЛИТЕРАТУРНО-
ХУДОЖЕСТВЕННЫЙ И
ОБЩЕСТВЕННО-ПОЛИТИЧЕСКИЙ
ЖУРНАЛ*

«ЦИСКАРИ»

**ИЗДАТЕЛЬСТВО
ЦК КП ГРУЗИИ**